# ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით ფასი 1,50 ლარი 26 სექტემბერი 2008 №20(72)

1516
2008



დიდუბის მიწა აღარ უნდა იბღალებოდეს

ბუცატის შეხვედრა აინშტაინთან

ჯანსულ ჩარკვიანის ლექსები

ღარდიანი თაობის სარკე

უნამუნო დონ კიხოტზე

სასძლოს გალობა

ეროვნული ბიბლიოთეკა



მხატვარი დავით წერეთელი

# 29 სექტემბერი
# ნიკო ლორთქიფანიძის დღე

# წიგნის თარო


თამაში
თამაშის
გარეშე


არჩილ ქიქოძე
მყუდრო


მთავარეპისკოპოსი თადეოზი
ლექსები




მზია ხეთაგური
Мзиа Хетагури
სიცოცხლე,
როგორც
დანაშაული...


7


პრეზიდენტის ინსტიტუტი


ნოდარ მამაცაშვილი
ბეღურების ადაჯიო



## შინაარსი


| | | |
|---|---|---|
| ალიონიდან ალიონამდე | 2 | როსტომ ჩხეიძის გამოსვლები უეკრანოდ |
| პროზა | 6 | მაკა გოგუაძე პეკანები |
| | 12 | გივი ალხაზიშვილი მომავალი წარსული |
| პოეზია | 21 | ჯანსულ ჩარკვიანი მზე და ღრუბელი |
| | 24 | ჯემალ ინჯია გიჟური ვალსი და სხვა ლექსები |
| პოეტის ერთი ლექსი | 27 | ნატა ვარადა სასძლოს გალობა |
| პირველი შთაბეჭდილება | 28 | მაია ჯალიაშვილი შერეული ქორწინება |
| ესეისტიკა | 29 | მიგელ დე უნამუნო დონ კიხოტის სამარე |
| წუთები და წლები | 35 | ემზარ კვიტაიშვილი ახალგაზრდული ჟინი და გაყვითლებული ფურცლები (ერთი განუხორციელებელი სცენარის თავგადასავალი) |
| რეპორტაჟი | 41 | ეკა ბუჯიაშვილი დარდიანი თაობის სარკე (ნონა კუპრეიშვილის ლექცია) |
| კრიტიკა | 46 | გია ხოფერია „აირევი ივერია“ ორდარული გაგებით |
| | 48 | მანანა ტაბიძე ჟურნალი „სემიოტიკა“ (ახალი სამეცნიერო გამოცემა ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტში) |
| საყვარელ ქუჩაზე | 50 | ელგუჯა ბერძენიშვილი ოდესღაც რუსთაველზე |
| ახალი წიგნები | 58 | გრიგოლ სენეკური აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის გახლეჩილი კაცის სიყვარული |
| უცხოური ნოველა | 60 | დინო ბუცატი შეხვედრა აინშტაინთან |
| მოზაიკა | 63 | დაკარგული გამარჯვება |



დამფუძნებელი „ილიონი“
მისამართი: თბილისი,
ჩუბინაშვილის №41
რედაქცია – (995 32) 96-20-62
რეკლამა – (995 93) 65-93-68
გავრცელება – (995 99) 98-80-34
ფაქსი: (995 32) 96-20-62
E-mail: info@mtserloba.ge

მთავარი რედაქტორი – როსტომ ჩხეიძე
პროზის რედაქტორი – ივანე ამირხანაშვილი
პოეზიის რედაქტორი – მაკა ჯოხაძე
კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – თამაზ ნატროშვილი
მხატვრული რედაქტორი – კარლო ფაჩულია დიზაინერი – მალხაზ იაშვილი
სტილისტ-კორექტორი – ნინო დეკანოიძე დაკაბადონება – თენგიზ რობიტაშვილი
ოპერატორი – თამარ ჩიხლაძე სარეკლამო მენეჯერი – ეკა ბუჯიაშვილი
გავრცელების სამსახური – გელა გარდაფხაძე

გარეკანზე: მადრიდი
მაკა გოგუაძე

დაბეჭდილია სასტამბო "ომეგა თეგი" საქართველო, თბილისი, სარაჯიშვილის 17 ტელეფონი: +995 32 53 03 62
PRINTED BY "OMEGA TEGI" PRINT HOUSE TBILISI, GEORGIA, 17 SARAJISHVILI STREET TELEPHONE +995 32 53 03 62


„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 10 ოქტომბერს

# როსტომ ჩხეიძის გამოსვლები უეკრანოდ

## თითქოსდა თვითონაც — რომანის გმირი

— გთხოვთ, ნუ მესტუმრებით! — ასეთი წარწერა ამშვენებდა ჰერმან ჰესეს ჭიშკარს.

ამ წარწერას ვერსად იპოვნით გაბრიელ გარსია მარკესის ჭიშკარზე, მაგრამ სხვას რას უნდა გულისხმობდეს მის სახლს გარშემორტყმული სამმეტრიანი გალავანი?!.

მეტისმეტ ყურადღებას დაუღლია ასე ბერიკაცი, რომ გაურბის ყველას და მკაცრად იცავს პირობას: ინტერვიუსათვის ტყუილუბრალოდ ნურავინ მომაკითხავსო.

არადა, კოლუმბიამაც რა ილონოს, ეს პიროვნება თავისი უმთავრესი დიდებისა და წარმატების სიმბოლოდ რომ შეურაცხავს და: ქუჩებში ყველგან გაბოს გალიმებული სახე შემოგყურებთ უზარმაზარი ბანერიდან, ჟურნალ-გაზეთები აჭრელებულია სტატიებითა და ფოტოსურათებით მარკესის დღევანდელობიდან, ტელევიზია რაზეც უნდა გადასცემდეს სიუჟეტს, ხელოვნება იქნება, ფეხბურთი, პოლიტიკა თუ ამინდი, ერთიორი სიტყვით მაინც უნდა მოიხსენიონ ისტორიაში ეს უდიდესი კოლუმბიელი.



დავით პაპავა-გურჯი და გაბრიელ გარსია მარკესი

ამ ყოველივეს ამოიკითხავთ დავით პაპავა-გურჯის ლიტერატურულ ნარკვევში, რომელიც შესავლად უძღვის თეა გვასალიას მიერ თარგმნილ კრებულს, შემდგარს მარკესის ერთი რომანისა („სიყვარულსა და სხვა დემონებზე“) და ცამეტი მოთხრობისაგან, და გამოცემულს „ინტელექტის“ მრავალმხრივ მნიშვნელოვანი და წარმატებული სერიით „ნობელის პრემიის ლაურეატები“.

ნარკვევის ავტორი პროფესიით რეჟისორია, მოღვაწეობს ლონდონის ერთ-ერთ თეატრში და, რაოდენ დაუჯერებელიც უნდა იყოს, კოლუმბიის ქალაქ კარტახენაში დაუდგამს სცენაზე „მარტოობის ასი წელი“. მხოლოდ მას ებოძა ეს პატივი მთელ მსოფლიოში, მარკესმა განსაკუთრებით მოწყალე თვალით შეხედა და მისცა უფლება დაედგა ეს სპექტაკლი, მიუხედავად იმისა, რომ მანამდე სასტიკად უარობდა ამ რომანის გასცენიურებას. სხვა რომელი ნოველა და რომანიც ნებავდათ რეჟისორებს, მწერალი ყაბულს გახლდათ, „მარტოობის ასი წელი“ კი — ნურას უკაცრავად.

ხოლო ამჯერად ნებართვა და თანაც როგორი დაპირებით:

— სადაც უნდა დადგათ სპექტაკლი, პრემიერაზე აუცილებლად ჩამოვალ!

ახალგაზრდა კაცს მაშინვე თბილისი გახსენებია და აღფრთოვანებულა: რამხელა ამბავი იქნება ჩემი ქვეყნისათვის, რომ მარკესი ამ მსოფლიოში სახელგანთქმული რომანის პრემიერაზე თბილისის ერთ-ერთი თეატრის პარტერში ვიხილოთო.

სასწრაფოდ გადმოფრენილა თავისი სამშობლოს დედაქალაქში და ყველა წამყვანი თეატრი მოუვლია. მათ ხელმძღვანელებს კი, ვის რა მიზეზით და ვის რა მიზეზით, უარით გამოუსტუმრებიათ.

არადა, რამხელა ხმაური მოჰყვებოდა მთელ ცივილიზებულ სამყაროში — „მარტოობის ასი წლის“ დადგმის უფლება მარტო თბილისს ერგოო.

ეს არის უპატიებელი ეპიზოდი ჩვენი თეატრალური და საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის.

სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ადამიანებს ასეთი შეცდომები არ ემართებათ.

თორემ რეჟისორმა ისეთ წარმატებას მიაღწია კოლუმბიის სცენაზე, პირველი რეპეტიციის ნახვის შემდეგ მარკესს ქება არ დაუშურებია:

— შვილო, გეტყობა, რომ მაღალი კულტურის ქვეყნიდან ხარ.

სპექტაკლი კი შეფასდებოდა 2007 წლის საუკეთესო დადგმად.

გახარებს ახალი სახელის გამოჩენა და მისი წარმატებით აწყობილი კარიერა, და ადრე თუ გვიან ჩვენც მოგვიწევს მისი სპექტაკლების ხილვა, ჯერჯერობით კი იმის თქმა შეიძლება დაბეჯითებით, რომ დავით პაპავა ესეისტისა და ბელეტრისტის უდავო ნიჭითაც ყოფილა დაჯილდოებული, თორემ ასეთ შესანიშნავ ლიტერატურულ პორტრეტს ვერ შექმნიდა.

— მე ხომ არც ლიტერატორი ვარ და არც ხელოვნებათმცოდნე...

ამ ნარკვევის მიხედვით „კოლუმბია-ვნებაა!“ იგი ერთიცაა და მეორეც.

ასეთი რანგის კრიტიკულ-ესთეტიკური ნიმუშებით, ასეთი მახვილგონივრული და ფსიქოლოგიური დაკვირვებებით მაინცდამაინც განებივრებულნი არა ვართ.

ეპიზოდი, როდესაც მისთვის ასერიგად ძვირფასი გოგონა ჩუქნის მარკესის ამ რომანს, თვითონ კი სამუდამოდ ქრება ჭაბუკის თვალსაწიერიდან, ნოველას დაშვენდებოდა.

ხოლო ის პასაჟი: „თითქოსდა მეც რომანის ერთ-ერთ გმირად ვიქეცი... ოღონდ ვერ გავიგე, რომელ გმირად... ხან პიეტრო კრესპი მეგონა ჩემი თავი, რადგან ყველა ეშხიანი ქალი მიყვარდებოდა, ხან კი — მელკიადესი, კოლუმბიელე-

ბისათვის მეც შორეული და უცნობი ქვეყნიდან ვიყავი და უცნაურ ენაზე რალაც-რალაცებს ვუხსნიდი" — ოდნავადაც არ არის გამიზნული გარეგნული ეფექტისათვის, ის უდავოდ წრფელი განცდაა, რადგანაც სხვაგვარად ასე შიგნიდან და ღრმად ვერ გაიაზრებდა ვერც მარკესის პიროვნებას და ვერც კოლუმბიის ზღაპრულ სამყაროს, ასე ხელშესახებს რომ ხდის მკითხველისათვის სტილური დახვეწილობით.

ახალ სახელთა აღმოჩენა რედაქციების მოვალეობა უფროა, ვიდრე გამომცემლობების, მაგრამ როდესაც კახმეგ კუდავას რანგის პროფესიონალები ხელმძღვანელობენ გამომცემლობას, ისინი რედაქტორის მოვალეობასაც ძალდაუტანებლად ითავსებენ და მათი მოღვაწეობის ნიშანდობლივ ეპიზოდად იქცევა თუნდაც ის, რომ „აიძულებენ" წინასიტყვაობის დაწერას ისეთ პიროვნებას, რომელიც უეცრად ამ ჟანრშიც გამოავლენს შესაფერის უნარს.

კოლუმბიელ ჟურნალისტებს კი იმ შეკითხვაზე: უცხოელმა, სხვა კულტურის წარმომადგენელმა, როგორ მოახერხეთ მარკესის უნიკალური პოეტური ენის სცენაზე გადმოტანაო, — დავით პაპავა ასე მიუგებდა:

— ქართველები და კოლუმბიელები ერთმანეთს ძალიან ვგავართ. ამიტომ ჩვენთვის მარკესის გაგება, ამოხსნა იოლია. მისი გმირებივით არარეალურ, ილუზორულ და ოცნებების სამყაროში ვცხოვრობთ. ვართ პოეტურები და ემოციურები.

...ისე რა იქნებოდა — მარკესი თბილისის ერთ-ერთი თეატრის პარტერში!..

## „ვწუხვარ, ერთადერთი ვარ"

„საბას" ლიტერატურული ჟიურის წევრებმა უკვე მეოთხედ რომ აღიარეს აკა მორჩილაძე წლის საუკეთესო რომანისტად, გამარჯვებულმა მოკლე სამადლობელ სიტყვაში ჭკუა დაარიგა საზოგადოებას: ძილის წინ ნახევარი საათი დაუთმეთ კითხვასო, — თავისი ეს მეოთხე წარმატება კი სრულებით არ გაკვირვებია: გარშემო ვიხედები და სხვას ვერავის ვხედავ, ამ ჯილდოს ღირსი რომ იყოსო.

თავმდაბლობისა და მორიდებულობის ნოტებს, რაც აშკარად გამოსჭვიოდა მოკლე სამადლობელ სიტყვაში, არ გაუნელებია თქმულის კატეგორიულობა, ანარეკლი იმ მწერლის თვითრწმენისა, პოპულარობით მხოლოდ გოჩა მანველიძე რომ უსწრებს. რაკიღა მე თვითონ სოციოლოგიური გამოკითხვა არ გამიმართავს, ვეყრდნობი იმ მონაცემებს, რასაც გვთავაზობენ ამ საქმიანობით გატაცებული ადამიანები.

ძილის წინ ნახევარსაათიანი კითხვის რაციონი უდავოდ სასარგებლო იქნებოდა, საზოგადოება მარტოდენ სნობებისაგან რომ შედგებოდეს და კითხვა ყველას ჰამაკში წოლასა თუ ნეტარ სიზმრებში შეცურების პირველბიძგთან ჰქონდეს გაიგივებული.

რაც შეეხება გარშემო მიმოხედვასა და თავის შეგრძნებას ლიტერატურულ უდაბნოში:

ალბათ რაოდენ მწუხარეა ასეთ ადამიანთა განცდები, და იქნებ მწვავე დრამატიზმითაც განმსჭვალული, როდესაც ახლომახლო ველარავის ამჩნევენ

განა ვის არ აუმღვრევს სულს ირგვლივ ლიტერატურული უდაბნოს ხილვა.

განა ვის არ წაუხდენს გუნებას საკუთარი კოლოსობა — ბოლოსდაბოლოს ხმის გამცემი მოგენატრება.

ეს შეგრძნებანი უცხო არ არის ქართული ლიტერატურისათვის, თავის დროზე — 30-იან წლებში — ერთ მწერალსაც გამოეცადა: სევასტი თალაკვაძეს — სოცრეალიზმის თვალსაჩინო სახელსა და მასკულტურელს. ის წუხდა სწორედ ასე და მგონი პირდაპირ ამ სიტყვებითაც: გარშემო ვიხედები და სხვას ვერავის ვხედავ ჩემს ტოლსო.

მაშინდელი სოციოლოგიური გამოკვლევის შედეგებზე ხელი არ მიგვიწვდება, მაგრამ ნომენკლატურული კრიტიკის ცნობების მიხედვით, სევასტი თალაკვაძეს შესაძლოა მხოლოდ ერთი სოცრეალისტი უსწრებდა პოპულარობით ან ისიც არა

ალბათ რარიგ წუხდა ლიტერატურულ უდაბნოში კოლოსად წამომართული.

მისი თვითრწმენა სამაგალითოდ გამოიყურება ახალთაობათათვის. და, როდესაც გლობრეალიზმი ხელუხლებელს ტოვებს სოცრეალიზმის მთავარ ძარღვსა და არსს — მასკულტურელობას, აუცილებელი გახლდათ, რომ სევასტი თალაკვაძესაც გამოსჩენოდა თავისი მიმდევარი, ესტაფეტას — ღირსეული გამგრძელებელი.

მისასალმებელია, რომ მისმა მოსვლამ არ დაიგვიანა!..

## როდემდე უნდა იბღალებოდეს დიდუბის მიწა?

დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში შემსვლელი თუკი საფლავებს სათითაოდ ჩამოივლის, რათა ქედი მოიხაროს დიდებულ სახელთა და მათი ღვაწლის წინაშე, მოულოდნელად გადააწყდება დომენტი მშვენიერაძის სამარესაც და აუცილებლად იკითხავს გუნებაში: ნეტა ვინ არის და აქ საიდან მოხვედრილაო.

ვინ არის და

საიდან მოხვედრილა და:

ოთარ ჩხეიძეს მემუარული ყაიდის დიდტანიან ქმნილებაში „დროდადრო", დღიურის ქარგაზე რომ არის აგებული, 1989 წლის 22 აპრილს ჩაუნიშნავს გრიგოლ აბაშიძის ნაამბობი, თუ როგორ მომხდარა ეს დაკრძალვა იმ ადამიანის, ვინც:

„მკვლელი ტალახაძესთან ერთადა, 24-ში ზესტაფონის სადგურში საბარგო ვაგონებში შეყრილ ხალხს რო დაუშინეს ტყვიამფრქვევი".

ის მშვენიერაძეა, ის, ამ ულმობელი ჟლეტვის, ამ დაუვიწყარი ტრაგედიის ერთ-ერთი თაოსანი!!!

მისი გარდაცვალებისას (შევიკავოთ თავი სხვა გამოთქმისაგან!) ჯერ კიდევ მწერალთა კავშირს ეკითხებოდა დიდუბის პანთეონის ბედი, როგორც მწერალთა პანთეონის.

მაშინ ცენტრალური კომიტეტის მდივნობა კულტურის დარგში დევი სტურუას ებარა.

ამ სახელს ისე გამოთქვამს გრიგოლ აბაშიძე, ძლივას მოისმის.

„უკანა სავარძელში ვსხედვართ იმის მანქანაში. წინ მძღოლია რაღა თქმა უნდა. მძღოლმა არ გაიგონოსო. ჩვევაა. გადმოყოლილი, თორემ ახლა რიღასი ეშინიან დევისა"

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

იმას დაურეკავს გრიგოლ აბაშიძესთან, როგორც მწერალთა კავშირის მაშინდელ თავმჯდომარესთან: დაადგინეთ, რომ მშვენიერაძე იქ დაიკრძალოსო.

ამას პრეზიდიუმის სხდომა მოუწვევია და პრეზიდიუმის წევრებს უარი განუცხადებიათ.

ასეც მოახსენებდა ცეკას მდივანს (ისევ ჩურჩულით წარმოთქვამს ამ სახელს!).

— რა მოტივით? — ის იკითხავდა.

— იმ მოტივით, რომ ზესტაფონის ვაგონებში ხალხი დახვრიტა, — აუხსნიდა.

გაეხარდებოდა დევი სტურუას:

— კონტრრევოლუციონერები დაუხვრიტავს, დიდი დამსახურება ჰქონია. თქვენი დადგენილება აღარც მინდა. თავისუფალი ბრძანდებით.

და კიდეც დაუკრძალავს დიდუბის პანთეონში.

გრიგოლ აბაშიძე კი ნაამბობს დასძენდა:

— დიდხანს, დიდხანს ვილაცანი სიბინძურეს ასხამდნენ იმის საფლავზე.

— ხოლო იმისი იქ დაკრძალვით მთლად პანთეონი შელანძღეს, — ჩაურთავს ოთარ ჩხეიძე.

— შელანძღეს, — ეთანხმება გრიგოლ აბაშიძე.

სიბინძურეს ასხამდნენ იმ საფლავზეო...

ხალხს თავისი უზომო გულისწყრომა და პროტესტი იმჟამინდელი პოლიტიკური რეჟიმის პირობებში სხვაგვარად როგორ გამოეხატა!..

ოფიციალურად ამ ტრაგიკული ეპიზოდის ხსენება იკრძალებოდა.

თანდათან მიიჩქმალა ეს ეპიზოდიც და მის თაოსანთა სახელებიც.

ისევ ოთარ ჩხეიძე გაიხსენებდა საუკუნის მიწურულს.

მის ნოველაში გაიელვებს მშვენიერაძე, ტალახაძესთან ერთად, ცხადია: „პაგანინის თითები".

მანამდე ჭიათურელთა ის საბედისწერო გამოსვლა მოიხსენიებოდა, ბუნდოვანებაში ჩაძირული: ნეტა თვითონვე შეცდნენ, სულსწრაფობით დაემართათ, თუ მზაკვრულად გამოიტყუეს, რათა საბაბად დაეხვიათ ხელზე სახელმწიფო ტერორის დასაწყებად?!.

იარაღი ჯერ იმათ აღმართეს, ქაქუცა ჩოლოყაშვილს ერთი დღის შემდგომ რომ დაეთქვა საყოველთაო აჯანყება — ერთდროულად აბრიალებულიყო ამბოხის ცეცხლი საქართველოს თითქმის ყველა მხარეში და კიდეც გადაეგდო ქვეყანას რუსული უღელი.

ჭიათურელები გამოცალკევდნენ ამ საყოველთაობიდან და კიდეც დაწყებისთანავე დასრულდა აჯანყება.



ალბრეხტ დიურერი აპოკალიფსის მხედრები

რარიგ აღინთნენ იმ პირველი წუთებით ჭიათურელი მეამბოხენი, ბოლშევიკთა საბჭო რომ გამორეკეს, ჩახოცვით არ ჩაუხოცავთ, გამოდევნეს მხოლოდ შენობიდან და ზესტაფონის გზაზე დააყენეს, იქიდან რუსეთში ეძიეთ თქვენი ბედი, მაინც იმათ უფრო შეთვისებიხართო.

„არც მიულწევიათ ზესტაფონამდისა, დამსჯელი რაზმები შემოეყარნენ შუაგზაზედა. შემოეყარნენ. გააბრუნეს. გამომრეკელნი დახვრიტეს ადგილზევე. დასხეს ისევ გამორეკილნი. და მოედვნენ ირგვლივა, მოედვნენ და მოედვნენ, გზაზე აღარავინ გაუშვეს, ლოგინში აღარავინ დააყენეს, ნამოპკრიფეს, დაილალეს იმავე გზაზედა, ზესტაფონის გზაზედა".

გახსენებულია ისიც, თუ როგორ დაცალეს თბილისისა და ზესტაფონის ციხეები, ქურდბაცაცები გაუშვეს და:

„დაპხვრიტეს ლაზათიანი ხალხი, ვისაც ხელები სუფთა ჰქონდა, სახე ნათელი, ავისა და კარგის გარჩევა ვინც იცოდა, დაპხვრიტეს და პხვრეტდნენ, გაპყავდათ და გაპყავდათ, რის გამოძიება, რომელი სასამართლოო"

რკინიგზის სადგურში, ზესტაფონში, ვაგონებს ისე გატენიდნენ ხალხით, ნემსიც აღარ ჩავარდებოდა, და ბჭობას მოპყვებოდნენ: საით სჯობს მათი გაგზავნა და გამოკეტვა, თბილისისა თუ ქუთაისის ციხეებშიო?..

„ვიეთნი ბჭობდნენ. ორმა გადასწყვიტა: ზესტაფონელმა უჯრედის მდივნებმა: მშვენიერაძემა, ტალახაძემა მიუყენეს ტყვიამფრქვევები ვაგონებსაო და დიოდა სისხლი ნატყვიარზედა, ჩქეფდა, დგაფუნობდა, მოსდევდა მოთქმაი განწირულთა, თთქოს ჩანჩქერი ილენება ლოდებზედაო"

ქართლში მწერლის ოჯახს გადახდენოდა მწარედ აგვისტო-სექტემბრის ეს ტრაგედია და ამიტომაცაა, რომ ასეთი ექსპრესიით, გულისმომკვლელი სიმძაფრით წარმოსახავს იმ შემაძრწუნებელ ამბავს, რომელიც შიშველ ფაქტადაც დამთრგუნველ შთაბეჭდილებას ახდენს.

და, აი, ამ მშვენიერაძის საფლავს, როგორც ძვირფას სახსოვარს, ინახავს დიდუბის პანთეონი!!!

როგორც „დიდად დამსახურებულის" — „კონტრრევოლუციონერთა" განადგურებაში

ეს რეალობაში ეჭვქვეშ აყენებს ჩვენს ზნეობასაც და არსებობის აზრსაც: ვართ კი საზოგადოება?..

უნებურად გახსენდება ის კადრი კინოფილმიდან „მონანიება", ქეთევან ბარათელი სასამართლოზე რომ აცხადებს: სანამ ვარლამ არავიძე მიწაშია, ის ცოცხალია და განაგრძობს საზოგადოების გახრწნასო.

მშვენიერაძე არამცთუ მიწაშია, სულაც პანთეონში მისჩენია ადგილი და ის განაგრძობს თუ განაგრძობს საზოგადოების გახრწნას.

კი მაგრამ, როდემდე?

მაინცდამაინც ქეთევან ბარათელის საქციელი უნდა განმეორდეს?

თუ ამ საფლავსაც ის დაემართოს, რაც ფილიპე მახარაძის საფლავს ჩვენს წმინდა მთაზე?

კონსტანტინე გამსახურდია დაჟინებით რომ იმეორებდა ლიტერატურულ თავყრილობებზე: როდემდე შეიძლება მთაწმინდაზე გვერდიგვერდ განისვენებდნენ ქრისტე და იუდაო (ილია ჭავჭავაძესა და ფილიპე მახარაძეს გულისხმობდა), — საბჭოთა სახელმწიფომ, რასაკვირველია, სრულებით არ ათხოვა ყური, არაფრად ჩააგდო მწერლის ბაგით გამოთქმული სახალხო პროტესტი და იმ საფლავს გულმოდგინედ ინახავდა მანამდე, სანამ ვილაცის მადლიანი ხელი ააფეთქებდა პირველი თაობის გამოჩენილი ბოლშევიკის, ილიას მკვლელობის ერთ-ერთი თაოსნის, განსასვენებელს და საფლავის ნაცვლად ვეება ორმოს დატოვებდა.

ნუ აიძულებს ხელისუფლება — მისი ის რგოლი, უშუალოდ ვისაც ევალება ასეთ დანაშაულთა, სწორედ დანაშაულთა და არა შეცდომათა, გამოსწორება — ჩვენს საზოგადოებას, კვლავაც თვითგასამართლებას მიმართოს. ეს ნამდვილად არ იქნება საჭირო, არადა, ამ საფლავის ამოკვეთა საკულტო ადგილად გადაქცეული დიდუბის ტაძრის შემოგარენიდან სახალხო მოთხოვნილებაა, ყველა იმათი, ვინც შეძრულია ეროვნული თავმოყვარეობის შემბღალავი ამ აქტით და მისი დაუსრულებლობით.

მაინც როდემდე?

ბარბარუსულ (ჭკვიანი კორექტურის წყალობით ეს უფრო მართებული ფორმა მკვიდრდება ჩვენს მართლწერასა და საზოგადოებრივ ცნობიერებაში!) საქციელსა და მოქმედებებს ჩვენ მაინც ცივილიზებულად უნდა მივაგოთ საკადრისი.

ამიტომ:

როდემდე?

ამ უწყინარ შეკითხვას მშვიდი, წყნარი, გამიზნული მოქმედება უნდა მოჰყვეს, რათა აღარ იბღალებოდეს დიდუბის მიწა და ჩვენი საზოგადოებრივი შეგნება.

## საით ვეძიოთ სიზუსტე?

„ჩვენი მწერლობის" 2006 წლის დამაბოლოვებულ ნომერში გამოვაქვეყნე იუმორისტული, სახალისო მასალა „გროტესკული ფერხული", რომელიც აიგო პოსტმოდერნიზმისათვის ნიშანდობლივ ლიტერატურულ ხერხზე — ლევან ბრეგაძის მიერ თარგმნილ უცხოურ ეპიგრამებს მხოლოდ სათაურები შევუცვალე ანუ: ზოგადი სახელწოდებანი ჩავანაცვლე საზოგადოებისათვის მეტ-ნაკლებად ცნობილ ლიტერატორთა სახელებით და... ეპიგრამები სულ სხვაგვარად აელვარდა.

სამწუხაროდ, „გროტესკულ ფერხულს" მოჰყვა არაჯანსაღი აჟიოტაჟი — რატომღაც განაწყენებულმა ადამიანებმა არ თუ ვერ გაითვალისწინეს ამ მასალის ჟანრობრივი თავისებურება, მიუხედავად იმისა, რომ საგანგებოდ შედგენილ წინათქმაში მთელი ძალ-ღონით შევეცადე მოსალოდნელი უსიამოვნებანი ამერიდებინა და ვირწმუნებოდი და ვიხვეწებოდი, ანგარიში გაეწიათ მისი იუმორისტული აღნაგობისა და ბუნებისათვის.

კიდევ კარგი, ლევან ბრეგაძემ მაინც არ აღიქვა „გროტესკული ფერხული" სხვაგვარად, თორემ შესაძლოა ბრალიც დაედო ჩემთვის მისი მრავალწლიანი ნაჭირნახულევის უცერემონიო მითვისებისათვის.

ეს ცოტა ვრცელი ექსპოზიცია იმისათვის დამჭირდა, რომ ამას წინათ კომპიუტერულ სივრცეში ვიღაცამ (ფსევდონიმით დაშიფრულმა პიროვნებამ) მიხო მოსულიშვილს, პროზაიკოსსა და ჟურნალად სახელდებული გამოცემის „ლიტერატურული პალიტრას" რედაქტორს, მოაგონა მისადმი მიძღვნილი ეპიგრამა ამ ციკლიდან, განსაკუთრებით კი ეს ორი სტრიქონი:

**ბეჭდავს, რაც ყველამ ისედაც იცის,**
**ან რისი ცოდნაც არ სურს არავის.**

უცხოელი ეპიგრამისტის ეს სიტყვები გასაოცრად ზედგამოჭრილი აღმოჩნდა ჩვენი გმირის რედაქტორული უნარისა და ამ გამოცემის აგებულება-შინაარსისათვის.

პატივცემულ მიხოს სასაცილოდ არ ეყო ეს შეხმიანება და საპასუხო მოკლე ბარათში მტკიცედ განუცხადა შემხსენებელს: თავის დროზევე წავიკითხე ეს სტრიქონები და მერე რა, ის კი არა, ჯემალ მეხრიშვილიც მედავებოდა რაღაცას და ან იმან რას მიაღწიაო.

ჩვენი ნაცნობობის ხანაში — თუკი ჩემს ბიოგრაფიას ამ თარგის მიხედვით დავყოფ პერიოდებად — მიხო მოსულიშვილი მოჩანდა მომეტებულად თავაზიან და მორიდებულ ახალგაზრდა კაცად, ურთიერთობისას სასიამოვნო შთაბეჭდილებას რომ ტოვებდა და ამიტომაც არაერთ ლიტერატორს უთქვამს დანანებით: ეჰ, რა იქნებოდა, ამასაც დაჰყოლოდა ნიჭიო. თითქოს პირი შეეკრათ და იმეორებდნენ გურამ დოჩანაშვილისეულ შეფასებას თავისი გმირის — გოგია კიზირიასი („ნაბიჯი").

სასიამოვნოა, რომ დროთა კვალობაზე მორიდებულობის ქურქი გაუხდია და სითამამეც შეუძენია!..

არ გეგონოთ, მისი მოკლე ბარათის კონცეფციის გადასინჯვას ვაპირებდე.

მხოლოდ იმ დეტალმა მიიქცია ყურადღება, ჩემი სახელის ხსენებამ ჩვენს გმირს ჯემალ მეხრიშვილი რომ წამოაგონა.

რამდენად სარწმუნო შეიძლება იყოს ეს შეთანასწორება?!

ვთქვათ, ანა კალანდაძე სადაც კი მოკრავდა თვალს ჩემს გვარ-სახელს, გერონტი ქიქოძე ახსენდებოდა.

მიხო მოსულიშვილი სხვაგვარად განსჯის.

ცხადია, ვერავინ დაუშლის პარალელებსა თუ ასოციაციებს და, სასურველია, უფრო მეტი გასაქანიც მისცეს ცნობიერების ნაკადის მდინარებას, პროზაში თუ ვერა, ფიქრში მაინც.

ერთი კი არის:

თუ ჩვენი მიხო ამჟერად უფრო ახლოსაა ჭეშმარიტებასთან, ვიდრე ანა კალანდაძე, დასანანია, ქალბატონ ანას ეს ერთადერთი შეცდომა რომ მოსვლია, და მაინცდამაინც ჩემს გამო.

ისე რომელი იუმორისტი მე ვარ, ნეტა „გროტესკული ფერხულის" შექმნას რა მრჯიდა!..

უცნაური პროზაიკოსია მაკა გოგუაძე, უცნაური და ღრმა.

თავშეკავებული ირონია და მათემატიკურად ზუსტი დეტალები არის მხოლოდ ზედაპირი, უცნაური სიღრმეები იმის იქით ინ-ქება.

როგორც აქ, ამ მოთხრობაში „პეკანები“.

სინამდვილის აღქმის განსაკუთრებული უნარი თუ არ გაქვს, ასე ცხადად ვერ დაინახავ ოცდამეერთე საუკუნის პატარა ადამიანის შინაგან ჭიდილს; ვერ გადმოსცემ იმ შიშს, რაც მას დაუფლებია.

ამ მოთხრობის პერსონაჟები კულტურული ადამიანები არიან. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ისინი არიან „საზოგადოებრივი ცხოველები“, მზადმყოფნი ყველაფრის მისაღებად და ამით უფრო კულტურულები და ამდენად განწირულნი.

მოქმედების სივრცეც ძალზე ნაცნობია, ამბავი ხდება აქ, საქართველოში, სადაც პეკანები არ აქვთ, მაგრამ პრუსტი იციან და იქ, ევროპაში, სადაც პეკანები აქვთ, მაგრამ პრუსტი არ იციან.

და კიდევ ერთი რამ: როგორ სხვანაირად იკითხება ძველი ანტითეზა „ადამიანი—სამყარო“. როგორ შევცვლილვართ. რანი ვართ ახლა და რანი ვიყავით თხუთმეტი-ოცი წლის წინათ, როცა ეს ყველაფერი ინყებოდა.

მაკა გოგუაძე

# პეკანები

დაგეშილი აკვირდებოდა სერგი ნაბლის ხის ტოტების გიჟურ ყირას. აპრილის ქარში ავისმანიშნი ვერაფერი მოიხელთა და ფანჯარას გაეცალა.

ჩაცმული წამონვა. მკერდზე მუშტები დაიწყო და თვალები დახუჭა. ქუთუთოების სითბო თვალებმა ქრთამად მიიღეს და დაჰყვნენ სერგის ვედრებას არ გამოეტყორცნათ მისთვის მომავლის ხატები.

„რაღაც იცოდა!“ — იფიქრა ძველ ნაცნობზე, დილას ბაზარში გადაეყარა.

ბაზრის ლაფს გრძნობდა ფეხქვეშ, ფარნა ჩაფიძესთან რომ გააბა საუბარი. ოცი-ოცდახუთი წლის უნახავი ჰყავდა. მით უფრო გააკვირვა მისმა ნერვიულ-ირონიულმა „როგორ ხარ?“ — გასაყოფი არასოდეს არაფერი გვქონიაო.

თბილად გაუღიმა მაინც:

— უდარესი ადგილია, არა, შეხვედრისთვის? შენ? შენ როგორ გიკითხო? ადრე ხშირად გხედავდი ტელევიზორში...

— ამ საგიჟეთში როგორ უნდა იყოს კაცი? ხომ ხედავ, რაები აკეთეს! — ფარნამ ხელები აიქნია.

— ახალი არაფერი — კიდევ ერთხელ გამოავლინეს და მოცელეს.

ჩაფიძე ეჭვიანად ჩააცქერდა თვალებში.

სერგიმ დააზუსტა: ქართველურ ენერგიას ვგულისხმობო.

ფარნამ ღრმად ჩაისუნთქა და ორ-სამჯერ ჩაახველა ზედიზედ:

— ყველაზე ამაზრზენი მაინც ეს ჯიბის ბანკებია, გეუბნები მე შენ! აუჰ, რაებზე აწერენ ხელს! შეიძლება ნორმალურ ქვეყანაში ბანკს თავისი ბიზნესები ჰქონდეს აქეთ-იქით?! გეკითხები! და ეს ყველაზე მცირე ბოროტებაა. აქ ვის გაახარებენ თუ ღმერთი გწამს! გახრჩობენ! სიგიჟეა! აზრი არ აქვს არაფერს. მერე როგორ მოედვნენ ყველაფერს, როგორ მოედვნენ!..— ჩაფიძე უკვე ყვირილზე იყო გადასული.

სერგიმ დაყვავება სცადა:

— ვერაფერს გეტყვი, ძალიან ზერელე წარმოდგენა მაქვს ამ სფეროზე...



კაი, კაცოო! — ფარნამ, აშკარა აგდებით.

სერგი განითლდა, სიგარეტს მოუკიდა, თან მოძალებულ მებარგულთა წყება მოიგერია. ფარნას მხარზე ხელისგული შეახო:

— გახსოვს, სილამაზეს რომ დავსდევდით ერთად? ყავა „ივერიის“ ბოლო სართულზე, ჯიმი მორისონი...

ფარნამ ტაში შემოჰკრა:

— სილამაზე არ ვიცი, მაგრამ ცხონებული კიჟას გვამს რომ დავსდევდით მე და შენ მილიციასთან ერთად, მტკვრის ნაპირ-ნაპირ, მახსოვს.

— მერე?! კიჟა სილამაზის მთავარი მადევარი იყო ჩვენ შორის. ეგ ყავაც მაგან არ წამოინყო?! სად არ აწყდებოდა საწყალი: ლენინგრადი, მოსკოვი, ბუხარა... გამოცდილება ჩამოჰქონდა, მისიაში გრძნობდა თავს, არა?

— კაი, შენი ჭირიმე, რა მისია, ერთი ზახოდისთვის გაგყიდდა. არ იყო ეგრე, მოგზაურო?

სერგი შეცბა. „მოგზაური“ მისი ძველი მეტსახელი იყო, გულისხმობდა მის გატაცებას დაუსწრებლად მოეხილა აღთქმული ადგილები.

— გახსოვს, კამბოჯაში რომ იმოგზაურე? კამპუჩია! მაგარი იყო. რაებს ჰყვებოდი: ცხელ ქვებზე და დამწვარი ხვლიკების გვამებზე ტაძართან, კედელთან აყუდებულ მედიტაციაში მყოფ ლამაზ ქალზე — ყოველდღე ერთსა და იმავე ადგილას მხვდებოდა შინიდან გამოსულსო... მაშინ ვინ იცოდა ვირტუალური ამბები, მაგარი იყო! ჰმ, კარგად გამოიყურები, ხო იცი!

სერგიმ თვალები გაკვესა. დამასწარიო, — მშრალად უთხრა.

— **ბუდას ცრემლებით** რომ გვაბოლებდი, ეგ თუ გახსოვს?

სერგის გულიანად გაეცინა:

— რატომ გაბოლებდით, ძმაო, მაგათი კულტურის იგავია, მე კი არ მოვიგონე: ბუდას შეებრალა ყმანვილი,

სატრფოს სიკვდილს რომ გოდებდა და მთელი ღამე მასთან ერთად იგლოვა. დილას კი უთხრა: ჩემს ნაცრემლარზე ყვავილი ამოვა, გალეჭე, გაგაძლებინებსო. რა ვქნა, მე ძალიან მიყვარდა ეგ ლეგენდა — ჩემთვის ყველაზე მისაღები ვერსია იყო...

სერგი კვლავ შეეხო ფარნას მხარს. ტელეფონის ნომრები გაცვალეს.

— პატარა ბიჭივით ხარ, ტო! — მიაძახა ჩაფიძემ და თვალს მიეფარა.

სერგიმ ისევ მოუკიდა სიგარეტს. მის გვერდით ბრგე ახალგაზრდა აყუდებულიყო — გამოგყვებითო. სერგის გაუელვა: მებარგულთა ჩია საძმოს რაღაც არ ჰგავსო. ეს გამართლებად ჩათვალა, თავისი გრძელი ნუსხის გათვალისწინებით. კაპრონის ჩანთები იყიდა და ხელში მიაჩეჩა.

კიდურები დაუმძიმდა. სიკვდილი უნდოდა, მაგრამ არ შეიძლებოდა.

გადაწყვიტა რეკორდულ ტემპში გამკლავებოდა დავალებას. ორმოციოდ წუთში მებარგული შვიდასი ლარის სურსათით იყო ახორხლილი.

გაწეული ძალისხმევის მერე სულის მოსათქმელ-მოსაოხებლად ჩირისა და თხილეულის მრავალიარუსიან დახლთან შეყოვნდა. სათავისო თამაში წამოიწყო, მეტად სათავისო — პეკანები იკითხა.

— ეგ რა არის? — ჰკითხა მოვაჭრემ.

— ბერძნული კაკალი ხომ იცი?

— ეგა, კაცო, იგივე ქართული კაკალია! რაჭველებში იკითხე. მე შემოტანილი საქონლით ვვაჭრობ.

— მაცადე ლაპარაკი! ბერძნული ანუ შენებურად ქართული, სინამდვილეში კი სპარსული კაკლის ჯიშისაა, რასაც ვეძებ. გემო იგივე აქვს, შეიძლება ცოტა უფრო მოტკბო. ოღონდ ცრემლის ფორმისაა, გლუვი ყავისფერი ზედაპირი აქვს, ლებნებიც და რქებიც — მოგრძო, ლათინურად carya illinoiesis ჰქვია

ეგეთი არაფერი ვიცი, ვაჭრობაში ხელს მიშლითო, — გამყიდველმა.

სერგი ჯერ კიდევ ტკბობაში იყო იმის გამო, რომ პეკანების იშვიათობის კიდევ ერთი ნიშანი მიიღო, როცა ზურგს უკან ერთბაშად შეიგრძნო მებარგულის არყოფნა. მოტრიალებაც არ სჭირდებოდა — მიხვდა, რომ გაექცა.

გაფითრებულს ისევ იმ მოვაჭრემ დაუთმო სკამი. სერგი მოწყვეტით დაეშვა. თვალი გაუშტერა ვიტრაჟებიანი სარკმლის ჩამსხვრეულ სამკუთხედს, რომლიდანაც გაურკვეველი ფერის ცა მოჩანდა. ლაპალუპით დასდინდა ცრემლები.

მოვაჭრემ ქალები შეყარა — ცუდადააო.

— იმ ბიჭს გადავურეკოთ მობილურით, თქვენ რომ გახლდათ, ხომ აქვს ტელეფონი?

— მებარგულს? — მწარედ ჩაეცინა სერგის.

— არა, თქვენთან რომ იყო. რა, მებარგულად წამოგყვათ? არ იყო ის მებარგული, ჩვენებიდან არ იყო. ქალებო, აქ რომ მაღალ-მაღალი ბიჭი იდგა, ჩვენებიდან ხომ არ იყო? არა, და მეც მაგას ვამბობ. ვაიმე, ხომ არ გაგქურდეს თქვენა, კაცო, ჰა? გაქურდეს! რატომ არ მისდევთ მაშინ? დაცვას დაუძახეთ! პატრული!

არ გინდათო, — სერგიმ თვალები მილულა. მოვაჭრე ქალების ალყაში იყო. ერთს, მეტად ჩასუქებულს, მისი ხელი ეჭირა და ანუგეშებდა:

— შვილო, არაფერზე არ ინერვიულო, რამდენჯელ დაგვაწიოკეს ჩვენცა, რა ზარალი გვანახეს, ვინ მოთვლის. შენი ჭირიც წაულია და დოზანაც, არ იდარდო...

სერგის უნებურად გაეღიმა: ცალკე „შვილოზე" — ქალზე ათი წლით უფროსი მაინც იყო, ცალკე იმაზე, რომ ლოყა მის გვერდზე ჰქონდა მიდებული.

დაცვა მოვიდა. წინ კი ფარნას მოჰკრა თვალი. ასეთ იდიოტურ სიტუაციაში ვერ დაენახვებოდა. წამოხტა, თვალები მოიჩრდილა და ხელი დაუქნია ვიღაცას, არარსებულს, ვითომდა გასასვლელთან მდგომს:

— უჰ, ეგერ ყოფილა ის ოხერი, აი ხელი რომ ამიწია, დაინახეთ? ნერვებს ავყევი, კარგო ხალხო, მაპატიეთ. ტყუილად შეგაწუხეთ.

ფაშფაშა ყველის ვაჭარს ხელზე მოუთათუნა და სწრაფად გაშორდა იქაურობას.

მანქანა მაინც რომ დახვდა ადგილზე, აღტაცება ვერ დაფარა.

ბანკომატი იპოვა. კოდი სამჯერ შეეშალა და აპარატმა პლასტიკური ბარათი ჩაუყლაპა. სახტად დარჩა — ამას ნამდვილად აღარ ელოდა. ოფლში ცურავდა. ბარათის დაბრუნებისთვის ბრძოლის დრო აღარ იყო. მიმდინარე ანგარიშიდან ათასი ლარის მოსახსნელად გაექანა.

ბანკში სიახლე დახვდა: დარბაზში შესასვლელად რაღაც ბილეთის აღება მოსთხოვეს. ტუმბოსმაგვარი აპარატის ცისფერ ეკრანზე ეწერა „ოპერატორი, მოლარე". ურჩიეს „ოპერატორისთვის" შეეხო თითი.

ბილეთი მოხია და თავისუფალ ოპერატორს მიადგა. ოპერატორმა ქვითარი გამოუწერა და მოლარესთან გაუშვა.

მოლარემ: ვიდრე თქვენი ნომერი არ დაიწერება მონიტორზე ვერ მიგიღებთ, დიდი რიგიაო. სერგი სალაროების წინ ჩამოჯდა და მათ თავზე წითლად განათებულ ციფრებს მიაჩერდა. ბევრი კლიენტი გაუშვეს, მისი ნომერი კი არ დაიწერა. სერგის გულს ბაგაბუგი გაჰქონდა. ეჭვი შეუჩნდა: მაშინ ხომ არ გაუშვა თავისი რიგი, ბანკის ახალგაზრდა მენეჯერის დიალოგს რომ მიაყურადა მოხელე გოგონასთან.

ოპერატორთაგანს მიადგა.

თუ თქვენი ნომერი არ ამოუგდია, ვერაფრით დაგეხმარებით. გთხოვთ, თავი შეიკავოთო.

თითქმის მთელი საათი გავიდა კიდევ. ბოლოს მის გვერდით მჯდომმა ქალმა შებედა: მონიტორს რატომ არ უყურებთო. ახლაღა მიხვდა — ჭერთან დაკიდებულ მონიტორზე ყოფილა საუბარი, მას რომ ვალუტის ცხრილები ეგონა. მაგრამ მისი დათარსული 320<17 არც ამ სიაში ჩანდა. გამოძიება სხვა ოპერატორთან განაგრძო.

თუ ასეა, მიდით, მოლარის ბილეთი აიღეთ და ახლა იმას დაელოდეთო.

მზად იყო მეორედ ეტირა.

ამ მომენტს რომ იხსენებდა იფიქრა: ისე, შეიძლება ფარნამ სულაც არაფერი იცოდაო.

მოლარის ბილეთით ხელში დაბრუნებულს თავისი ძველი ნომერი დახვდა მონიტორზე. ძლივს დაუჯერა თვალებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალის საშინლად გაბანჯგვლულმა ხელებმა დაითვალეს მისი ფული. ეს ხელები მყის მიათვალა დღის ინფერნალურ კოლექციას. შუშის კაბინასაც სტოიკურად გაუძლო მეორედ და გავიდა.

ისევ ბაზარს უნდა შერკინებოდა, დეზერტირებში აღარ მიესვლებოდა. ნაცნობს გადაურეკა — საბურთალოს ბაზრის ახალი მისამართი დაადგინა.

გოთუას ალმართზე ამოყო თავი. დილანდელზე მეტი მიაფლანგა, მაგრამ ცოლმა და მისმა დამხმარეებმა თითქმის ყველაფერი დაუწუნეს. თვითონაც იცოდა, რომ პირველ ნავაჭრთან ეს ახლოსაც ვერ მივიდოდა. ჭურჭლის მსხვრევით და ნათესავი ქალის გაქცევით დამთავრდა ყველაფერი.

რაც გადახდა არავისთვის აუხსნია. თავის ოთახში განმარტოვდა.

* * *

რული ეკიდებოდა, მუშტები მოშვებოდა. ჩვეულებრივ, ცერა თითის დატანებით კრავდა მუშტებს და ისე იძინებდა. ახლა განზრახ არ ჩქარობდა მათ მოჭერას.

ორი-სამი წლის წინ ანამ მიუთითა: სასაცილოა, მუშტებით რომ იძინებო.

მის სიცილზე ავადმყოფურად რეაგირებდა. მაშინაც ფხუკიანად დაიწყო თავის მართლება, ენად გაიკრიფა: „გახსოვს, რომ ჩამეკითხე: ჩემს ბიჭს ნარკომანია როგორ ავარიდოო? მე გითხარი, რომ უბედურება მაშინ იწყება, როცა ბავშვი ნარკომანის მანერების ბაძვას იწყებს, ხომ ასეა?

შენს გამოჩენამდე სულ მკერდზე დაწყობილი გაშლილი მტევნებით მეძინა როგორც მიცვალებულს. ეს იყო ჩემგან ბაძვა თუ მორგება სიკვდილის ატრიბუტიკის. ახლა კი სხვანაირადაა საქმე — მინდა ვიცოცხლო შენთვის, ვიბრძოლო შენთვის, ძილშიც! ამიტომ ვბაძავ ახალდაბადებულ ჩვილს, მუშტებით რომ ემუქრება ქვეყანას"...

მაშინვე ირწმუნა საკუთარი სიტყვები — მისალებ ვერსიად ეჩვენა.

ისევ დილის თავგადასავალზე, კერძოდ, მებარგულზე კონცენტრირება არჩია: ნუთუ შინიდანვე ამ განზრახვით იყო გამოსული? თუ მე ვაცდუნე ჩემი სიბრიყვით? რა მომენტში შემარჩია მსხვერპლად? რა შემამჩნია ასეთი ფარნასთან ლაპარაკის დროს? ნეტა რა უყო ამდენ ხორაგს — იქნებ დედის ორმოცის გადახდა უნდა, ან წაგებული სუფრის, ან ცოლი მოჰყავს? ოღონდ ნუ გაყიდდაო. ერთი რამ კი მართლა დასანანია — ის ნავაჭრი უფრო კარგი ენერგეტიკის იყო, ვიდრე მეორეო.

დანაშაულის განცდას რომ არ დაეგლახავებინა, ისევ თავისი ქურდი დაიყენა თვალწინ — მოქეიფე, თავისნაირ ბედოვლათებთან გალაღებული. მის სახეზე ტყლიპის ხსენებაში — მარჯვნივ ჰქონდა თუ მარცხნივ, რაც თეორიულად შეიძლებოდა მომავალში გამოსდგომოდა, ჩაეძინა, ერთმანეთზე დაწყობილი გაშლილი მტევნებით.

არ გასულა ნახევარი საათი და ოთახის კარის სახელურს წვალება დაუწყო ვიღაცამ. სერგიმ იფიქრა, რომ ცოლს უნდოდა შემორიგება ხვალისთვის. წინააღმდეგი არც თვითონ იყო.

არავინ შემოვიდა. თხუთმეტ-ოც წუთში კი სახელურის აწევ-დაწევა განახლდა. თუ შემოდიხარ, შემოდიო! — უნდა ეყვირა უკვე, რომ ოთახში ცოლის ოთხმოცდაშვიდი წლის ბებია, ნელი, შემოფახურდა ფრთხილზე ფრთხილი ნაბიჯით. ერთხანს უხერხულად იბორიალა, მერე საწოლის წინ მდგარ პატარა ტახტზე ჩამოჯდა და ჭკვიანად შეტყუპებულ მუხლებზე უშველებელი, მინასთან ნაჭიდავები ხელისგულები დაილაგა.

სერგი გაკვირვებისგან სულ გამოფხიზლდა, მაგრამ თვალებს განგებ არ ახელდა. ვერაფრით მიმხვდარიყო, რამ გააბედინა მოხუცს მასთან, მითუმეტეს მძინარესთან, შემოსვლა.

ნელი გაურკვევლად აჩურჩულდა. მერე წამოდგა, სერგის ფეხებთან პლედი შემოუსწორა და ხმას უმატა. სერგიმ სიტყვების გარჩევა დაიწყო:

— გეიხარე შენ, მიჭირს ლაპარაკი... რაფერ დეიყოლიე ი მყრალი ყაზახი, დია, გამიკვირდა, ღმერთმანი... შენ თუ იზამდი მაგას... გვიან დეიწყო მან კეთილი ცხოვრება, რო იცოდე... სულ მთელი წლები ველოდი მე მაგის კეთილ ცხოვრებაში შესვლას. სამოცდახუთმეტს გარასული იყო უკვე, აპა! მაგიტოა ბალანასავით უზნეო ჯერაც — იყეფება და თავს აქ გასული... იგი რას დოუშვებდა, მე თუ აწი პატივს მცემდნენ სპეციალურად! ხან შოკოლადი რომ მომიტანე, ხან ის მშრალი ნამცხვარი, ზუსტად მე რომ მიყვარს, იგი... შოკოლადიც ზუსტად იმფერი სა ნახე, მე რომ სახელი მქონდა ჩაწერილი სახლში და ვერ ვიშონე?! დეინახა მან ყველაფერი! სულ მუდამ მადლობელი მიგულვე, შვილო. მარა იგიც რო არ დასაჯე, გენაცვალე! თლათ გარასახულია, თლათ! დეიმორცხვა სასტიკათ. მაგიზაა ოთახში შეკეტილი და ვერ გამოდის, წნევები კი არ აქ მართლა. რაფერ გამპარსა მაი ბიჭმა თავი და წვერიო, — შენზე ამბობს. ისე გამპარსა, რავაც მე ვინატრებდიო. რა ადეკალონი მასხურაო, იმდენი, თლათ დამასველაო. დამატკპობელი სული დგას ახლაც მაი გაფუჭებულისგან...

ნელი გაყუჩდა. წელთანაც ამოუხვია პლედი სერგის. მერე მის მარცხენა ხელს სწვდა და ფრთხილად, მაგრამ დაჟინებით დაადებინა საწოლზე. სერგის წარმოდგენა არ ჰქონდა რას უკეთებდნენ, მაგრამ დაჰყვა. და აი, ნელიმ პერანგის გულის ჯიბეში ქაღალდი შეუსრიალა. კიდევ ერთხელ მიალამაზა გადასაფარებელი და გასასვლელად დაიძრა.

სერგიმ ვერ მოითმინა და ჯიბე გაისინჯა. ორმოცდაათლარიანი შერჩა ხელში.

— ეს რა არის, ნელი?

მოხუცი შეცბა. თავსაფარი გაისწორა. სერგიმ მის პატარა თვალებში ალალი შიში ამოიკითხა.

— რა არის ეს, ბებო?

— ექვსი თვის პენსია ევილე ერთად და ჩემს შვილიშვილებს დოვურიგე ორმოცდაათ-ორმოცდაათი ლარები.

— მე რომ შენი შვილიშვილი არ ვარ? — გაუღიმა სერგიმ და მოხუცს ხელი წაავლო მაჯაში.

— კაი კი ხარ და! — ჩაიდუდღუნა ნელიმ და მორცხვად გასწია სახე.

— გამომართვი! — სერგიმ ფული გაუწოდა.

მოხუცმა ხელი გაინთავისუფლა. ფული მარცხენა ხელისგულში ჩაუკუჭა სერგის და მუშტად შეუკრა. ზედ პლედიც წააფარა.

— დია, არ მაწყენინო, ცას კი არ გამოვეკერები.

სერგი აღარ შეეწინააღმდეგა: არა ფულს, არამედ მოხუცისგან ნაბოძებ მუშტს. მეორე ხელის მომუჭვა მაინც ვერ გაბედა. თავისი პოზის სიმბოლიკაში გაიხლართა. ფულის აღებამაც ნაღექი დაუტოვა. ძილი გაუტყდა, მაგრამ თვალები მაინც დახუჭა.

ისევ ჩამოაწვნენ კარის სახელურს. თავი მოიმძინარა. ცოლთან შესარიგებლად განეწყო კვლავ.

თიკო შემოვიდა — მისი ქალიშვილი.

გულმა საშინელი ცემა დაუწყო.

თიკო მიუახლოვდა და დააცქერდა. მერე მისი სკამზე მიკიდებული პიჯაკიდან ორი ღერი სიგარეტი მოიპარა და ისევ დააცქერდა.

სერგიმ ხელი წაავლო მაჯაში. თიკომ შეჰკივლა.

— ისე შეკრთი, თითქოს მიცვალებულმა სამარიდან წაგატანა ხელი.

თიკომ ხელი გააშვებინა:

— არ გინდა, რა.

— ჩემი ნდომა აქ არაფერს წყვეტს. თმა რას გიგავს, ნუთუ კიდევ შეიკორტნე?

— ხვალ მაგრად დავიყენებ.

— იმ კინოსახეს ვერ ეშვები, არა? ფეხშიშველა არაამქვეყნიური გოგონა მეგაპოლისში! არ გაგივა. ჯერ მარტო იმიტომ, რომ ეს არაა მეგაპოლისი, და საერთოდ... ფუ...

— არ გამივა — რას ნიშნავს, ვინმეს გაცურება კი არ მინდა. ეს მე ვარ!

— ჰოდა მაშინ შენად ყოფნა არ გაგივა... კარგი, შენი საქმე შენ იცი. ესაა მაჯა, ა? ძაფი!

— ეხლა შენიშნე?

— ნუ მეთავხედები! გამალვიძა და თან მეთავხედება აქ!

— იმედია ხვალისთვის გაგიშვებს!

„რა ჭირს?" — ჩაიღრინა თიკომ.

გადიოდა უკვე, სერგიმ რომ გააჩერა:

— დაიცა, ისეთი რამ უნდა გითხრა, რაც არასოდეს მითქვამს შენთვის.

— გითქვამს, გითქვამს.

— არ მითქვამს-მეთქი.

— გი-თქვამს!

— ზუსტად ვიცი, რომ არა.

— ო-ო!

— კაი, აბა რა უნდა მეთქვა?

— რომ ჩემს დაბადებამდე უკვე გიყვარდი.



*მხატვარი ნინო ზაალიშვილი*

— ჩასახვამდე, შტერო, და ბევრად უფრო ადრეც.

სერგის ჩაეცინა. ძილის გაგრძელება აღარ შეეძლო, სული ეხუთებოდა. ერთი ამოიგმინა და ადგა.

სარკესთან შეჩერდა. საკუთარი სახის ხილვა ეამა, გული აუჩუყდა — ამ სახემ ბევრი ბრძოლა მოაგებინა. ბევრიც წააგო, მაგრამ მისივე იმედით წაგებად არც ჩაუთვლია. ღრმად სწამდა, მის სხეულსაც ის მართავდა — უამრავ ხიფათს გამოატარა და ღირსეულად მოატანინა დღემდე ლამის პიროვნებად ქმნილი მისგანვე.

სერგიმ ცრემლი შეიშრო და რამდენიმე ძალზე სერიოზული მიმიკა მოირგო — სულის სუბიექტის. კარგად გამოუვიდა. მართალია, ეს სახეები თითქმის გამოუყენებელი რჩებოდა ცხოვრებაში, მაგრამ მათი არსებობის კიდევ ერთხელ დადასტურებამ საკუთარ არსენალში სიამაყე მოჰგვარა. გული ამოეწია. იმდენად, რომ ერთგვარი თავმოწონებით სადღეგრძელოს დეკლამაციასაც კი შეუდგა სარკის წინ:

— იცით, ხშირად გამიგონია გამოთქმა: „Он серьёзен как банкир". იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო არასერიოზული მამაკაცების ქვეყანაა, გამოდის, ბანკირები ჰაერივით გვჭირდება. მეორეს მხრივ, როგორც კი მართლა სერიოზული ქართველი გამოჩნდებოდა, ის მაშინვე ბანკს აფუძნებდა. დიახ, ყველაზე მაღალკეთილშობილი გავლენის გაშლაც კი შეუძლებელია ბანკის გარეშე.

ჰოდა მე ვისურვებდი, რომ თქვენი კვალიფიკაციის ახალგაზრდის ხელში ბანკის არა მარტო იდეა, არამედ საქმიანობაც მჭიდროდ გადაწვნოდეს ქართულ მესიანიზმს, მისი ულრმესი და უმაღლესი, ულრმესი და უ-მაღლესი(!) შრეების და ამოცანების მოცვით, და არ დასჯერდეს სანქცირებულ ფორმატს, რაც აშკარა დისკრედიტაციას უკეთებს, რომ არ ვთქვათ: კომიკურს ხდისო, სერიოზულობის ცნებას როგორც ასეთს...

უცებ გველნაკბენივით შეკრთა — ანას შენიშვნა გაახსენდა, რომელიც ალბათ კომპლიმენტი უფრო იყო, ვიდრე შენიშვნა: წარბებიდან ყურება გიხდებაო. მაგრამ, ჩვეულებრივ, სერგის იმაზე მეტად თუ რა თქვა ანამ, ის აინტერესებდა, რაც მან არ თქვა. ახლაც ნეგატივით აენთო, თან უკვირდა, როგორ გაუშვა უყურადღებოდ ეს ფრაზა თავის დროზე.

წარბებიდან ყურება რამდენადმე დახრილ სახეს გულისხმობდა. ამიტომ ახლა ამის საპირისპირო მდგომარეობა უნდა გამოეკვლია. ნიკაპი ასწია და ისე ჩააცქერდა თავის სახეს. პირველი, რაც დაინახა, ძალლის თვალები

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო და წამიერად შეებრალა კიდეც თავი ერთგულებისთვის. სინდისმა უკარნახა, რომ რაღაცას ახალტურებდა მისი შინაგანი მზერა. უფრო დაჟინებით ჩააშტერდა საკუთარ სახეს. მძიმე ნიკაპის ოპტიმისტური აღერება ცოტა არ იყოს შეუფერებლად მიიჩნია. მაგრამ ესეც არ იყო ყველაფერი. შეხედვაც აღარ უნდოდა, უკვე იცოდა, რომ თვალებში ერთგულების გარდა (თუნდაც სერვილიზმი ყოფილიყო), მისგან ძალიან კარგად შესწავლილი და რეფლექსირებული უნებობაც იდგა — მისი სისუსტეების თვისობრივი მასალა და ცხოვრების ჯვარიც ალბათ. არ იცოდა, რომ მისი ლუსტრირება სახის ამ პოზიციაში ყოფილა მოსახერხებელი. „ო ანა! ანა!"

სახე ჩაუქრა.

შიშის და შფოთვის შავი მდინარის გამყინავი ზვირთები დაძირვას უპირებდნენ ეკლიანი მავთულით დაბორკილს. მდინარე თითქოს ეცნო — „ნევა?" შეღებული პირით იდგა, გაქვავებული, ისეთ მდგომარეობაში, როცა ყოველგვარი პასუხი დანის ჩაცემას ჰგავს.

გადარჩენის ბორგვაში მოხუცის ნაჩუქარ ორმოცდაათლარიანზე გადაერთო — ნეტა თიკოსთვის მიმეცა წელანო. სწორედ ამ თანხას ელრიჯებოდა ერთი თვის წინ — გამჭვირვალე, უძირო ფეხსაცმელი უნდა ეყიდა Second hand-ში, „ფეხშიშველას ეფექტი აქვს, მამ!".

გადაირია მაშინ — სულ „ბაცანა-ქალი", „ბომჟი" და „მაიმუნი" უძახა. როგორ გაივლე თავში ნახმარი ფეხსაცმლის ყიდვაო. ყველაფერი ყველაფერი, მაგრამ ფეხსაცმელი?! ქალი გქვია ეხლა შენ?! რას გავხარ, რაებით დადიხარ?! შეიძლება რაღაც ნაგვის ბრმად გადმოღება კინოდანო? ბუნებაში არ არსებობს კაცი, ამ იდიოტიზმზე რომ წამოეგოსო.

თიკომ ჯერ ჯღავილით დაამადლა, ფეხშიშველა რომ არ დადის, მერე ბოროტად მოზეიმე თვალები გაუშტერა. მეორე დღეს კი თავისი სველი ჩალისფერი ფაფარი აიკრიჭა სულ მოკლედ, რითაც მამამისისგან გაქირდული კინოსახისადმი ერთგულება დემონსტრაციულად გააფორმა. სერგიმ ხელი ჩაიქნია მაშინ და იფიქრა, რომ ინციდენტი ავად თუ კარგად ამოიწურა.

„ჩემი შვილია!" — ამოთქვა ახლა.

უცებ ორმოცდაათლარიანი მოისაკლისა. დაკუჭული კუპიურა საწოლის ქვეშ იპოვა. — თიკოს რომ წაავლო ხელი ძაფის მაჯაში, ეტყობა, მაშინ დაუვარდა.

ძალიანაც კარგიო, — იფიქრა, — არასწორი იქნებოდა მოხუცის მიმართო.

ბანკნოტი საგულდაგულოდ გაასწორა და წიგნში ჩადო. რა უნდა ეყიდა ამ ფულით ისეთი, რომ ძღვენის სწორი ყოფილიყო? რა თქმა უნდა, თამბაქო! დანიური თამბაქოს დეკორატიული კოლოფი გახსნა და თითქმის ცარიელი ქისა თითებით მოსინჯა. რაღა გამყინავ შავ წყლებში, კარგი თამბაქოს ბოლში დაიძირება!

ფანჯარა გააღო და სიგარეტი გააბოლა. ერთი, მეორე. მერე ჩიბუხი შეუკეთა. თვითონაც იცოდა, რომ დრო გაჰყავდა — ანას კონვერტთან მისვლამდე.

წერილი გაშალა.

*„სერგი, მე ვარ.*
*გამარჯობა.*
*შენი ბოლო sms უკვე ოცი დღისაა, შენახული მაქვს.*

*ბოლო სიტყვას სხვა მაგნეტიზმი აქვს და მეც არ მიშვებს — ყოველდღე ვკითხულობ.*

*გეთანხმები, ჩვენი ურთიერთობა ის რაუტი არ იყო, რომლიდანაც ინგლისურად მიდიან. კი, ფაქტის წინაშე დაგაყენე, მაგრამ მთლად ინგლისურად არ წავსულვარ — დაგემშვიდობე და სამიოდ თვით ყოველგვარი კონტაქტის განყვეტა გთხოვე, მართალია, ტელეფონით და მიზეზის გაუმხელად. ჰო, და ალბათ სამი თვეც „ოდე" არ უნდა ყოფილიყო ჩვენთვის. მოკლედ, ჩემი საქმე სუსტია, ხო? — როგორც იურისტები ამბობენ.*

*მაგრამ რაც შეეხება გაძარცვულობას... როგორ შეიძლებოდა შენი გაძარცვულობით მე ავვსილიყავი. შენ ხომ თვითონაც არ გჯერა ამის. კარგი.*

*რატომ ვარღვევ სამთვიან ვადას მაშინ, როცა ბოლო საუბრისას სიმდაბლემდე ხისტი ვიყავი, „შეუვალი ჩინოვნიხასავით, სიტუაციის კონტროლით რომ ტკბება" (შენი სიტყვებია, მაპატიე რომ გახსენებ)?*

*ეს სულაც არ იყო სიტუაციის პატრონის ამპარტავნება, დამიჯერე. პირიქით.*

*სერგი, მომისმინე. მე ახლა გერმანიაში ვარ ერთი მნიშვნელოვანი საკითხის გადასაწყვეტად. ეს საკითხი თუ პრობლემა თვეების წინ წამოიჭრა ჩემ წინაშე და შენთვის თითქმის არ დამიმალავს (არანაირი სურვილი არ მაქვს ის ეპიზოდი შეგახსენო — რაკი ერთხელ გაგისხლტა, მორჩა!).*

*თუ ისევ ხარბი ხარ ჩემს დეტალებამდე, მეტსაც გეტყვი: ჯერჯერობით ჩვენი მეგობრების მეგობართან დავბინავდი ფრაიბურგში. ოთხი შვილის მარტოხელა დედაა, ფრაუ ლეფციგ. ჩემი საქმისთვის კი შტუდგარტში მაქვს რიგი დაკავებული. თავიდან გათვლებში გარკვეული ცდომა მომიხდა, ამიტომ ფაქტობრივად ოცდახუთი დღე დავკარგე. ოცი უკვე გავიდა. სამ-ოთხ დღეში ჩამომაკითხავენ და შტუდგარტში გადავალთ. იქ ლოდინი ძვირი ჯდებოდა. ლეფციგებთან კვირაში ასოთხმოც ევროს ვიხდი, საუზმე და სადილიც შედის. ერთი ოთახი მაქვს, აივანი მოზაიკით გაწყობილ ეზოში გადის. სხვების ვერანდებსაც ვხედავ, ზაფხულობით სავსეა ხალხითო, მაგრამ ახლა ცივა და... თუმცა ამ შაბათს გვერდითა სახლის აივანზე მოხუცი ცოლ-ქმარი გამოვიდა ლუდის დასალევად და კარტის სათამაშოდ. ლამის დილიდან ემზადებოდნენ. მაგიდის, სავარძლების, ფეხების დასადები პუფების და პლუშის პლედების გამოზიდვას ორი საათი მოანდომეს. მერე თვალის დახამხამებაში დაცალეს ლიტრიანი კათხები, ერთი ხელი კარტი ითამაშეს და ათ წუთში ჩხუბით შევიდნენ. არადა, არ ციოდა. მათ ნაცვლად დამწყდა გული.*

*სამგზავრო სამზადისმა და მერე მგზავრობამ მომსპო, სერგი. შტუდგარტში გამიჭირდებოდა. ფრაიბურგი პატარაა, ულამაზესი, აქ ყველა ჩუმად ლაპარაკობს. ვისვენებ.*

*მარტო უმცროსი ლეფციგების, ექვსი წლის ტყუპი დაძმის, წიოკობაა დაშვებული. მაგრამ ეგ არ მაწუხებს. ეს პატარა ქერა ბესტიები ნამდვილი ანგელოზები არიან. უკვე ეტყობათ, რომ ბარბაროსობის პედანტებად არ გაიზრდებიან. (სხვათაშორის, ვერც გლობალიზმის პედანტებს ვხედავ გარშემო). გუშინ მოსაკითხით ამოვიდნენ — უც-*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაური კაკლები მომიტანეს, ძალიან სასარგებლოაო, die Pekanne — ასე ეძახიან, და თან სამი წლის ცისფერთვალება მულატი ბიჭი ამომიყვანეს. მეზობელია, ქუჩის გადაღმა სახლიდან. მულატი რომ ჩავკოცნე, აღფრთოვანდნენ, მაგრამ მერე ეჭვიანად გასნიეს და თვითონ ჩამეხუტნენ.

ეგ პატარა შენიშნული მყავდა. ამას წინათ დედამისმა ფრანგული საფუნთუშედან (მათი სახლის ქვეშაა) ნამცხვარი გამოუტანა. ბავშვს ქვაფენილზე დაუვარდა. დედამ აიღო, სული შეუბერა და ისევ მისცა. ასეთი სისუფთავეა. თუ... შეიძლება დედამისის ნატურაა ეგეთი. ლამაზი კია. უფროსი შვილები თეთრები ჰყავს.

იმ ფრანგული საფუნთუშედან ისეთი სურნელი გამოდის დილაადრიან, ვიდრე ქუჩა ახმაურდება! დაკვირვებული ვარ, ხმაური სუნის შეგრძნობას ხელს უშლის. მოკლედ, ერთხელ მეც ვცდუნდი. სერგი, რა იყიდება, თუ იცი?! რა აღარ, მაგრამ „მადლენიც“ იყიდება. გაგიჟდები, ყველაზე იაფი ღირს, იმიტომ რომ დიდი არაფერი ყოფილა — პანაწუნა ოვალური, უკრემო ბისკვიტი! ცხადია, ვიყიდე, ოღონდ ბურდალიუსთან ერთად — მსხლის ნამცხვარია, უგემრიელესი, ჟელეს თხელი ფენა აქვს გადაკრული. აქ ფრანგული უფრო ესმით, ვიდრე ინგლისური. აღტაცებით ვყვებოდი, რომ „მადლენი“ აღმოვაჩინე, მაგრამ პრუსტი არ იციან.

პრუსტის არცოდნას კიდევ ვაპატიებდი, მაგრამ ფრაუ ლეფციგი ძალიან ეჭვიანია. შემატყო, რომ მოსმენა შემიძლია და მესაიდუმლედ გამიხადა. უსასრულოდ მიყვება თავის კაცებზე და იმაზე, როგორ გადის კედლებზე ეჭვიანობისგან. ეს ძნელი გასაძლისია ჩემთვის — თითქოს ბაზარში დგომა მინევს ყოველდღე. ეჭვიან ქალს ადამიანად არ ვცნობ. ვუხსნი, ეს გრძნობა აღარ მახსოვს-მეთქი. დარწმუნებული ვარ, არ სჯერა, ან თუ სჯერა, ფიქრობს, რომ ახლა არ მცხელა მაგისთვის. „Только мещане думают, что должны быть счастливы“, — ხომ იცი, როგორ მიყვარს ეს ფრაზა. ვერ ვაკადრე. თან მეშჩანის თარგმნა გამიჭირდა. მხოლოდ ბიურგერი თვლის, რომ ბედნიერი უნდა იყოსო, — ხომ ვერ ვეტყოდი. მგონი, მეშჩანი ისევე უთარგმნელია, როგორც пошлость. თუ უთარგმნელობა მითია საერთოდ?! მოკლედ, ვერ ვაკადრე.

მაგრამ ამას წინათ ტყუპების მამა რომ ესტუმრა, ამოვიდა და მითხრა: გაგაცნობ, არ გაინტერესებსო? რას ჰქვია მაინტერესებს, გამიგონია, არაბს რომ სხვა არაბი შეხვდეს და მისი ცოლი უბრალოდ მოიკითხოს, ყელს გამოჭრის-თქო.

მეგონა გაიბუტებოდა, მაგრამ გადაიკისკისა და მომეხვია (თუმცა წინადადება აღარ გაუმეორებია). მას მერე გული მომილბა მისდამი. განიცდის, რამდენიმე დღეში რომ ვტოვებ აქაურობას. წუხელ დილამდე ჩემ საწოლთან იჯდა თავისი ფოტოალბომებიანად.

მისი უფროსი ვაჟი, ოცი წლის იონასი, ჩემი ნაჩუქარი გობელენის ჯვრიანი ქუდით დადის, მეორე, ფრანცი, — ფსალმუნჩაკერებული ტყავის სამაჯურით. პატარა კონფესიურ-კულტურული ექსპანსიაც გამომივიდა, არა?!

სერგი!

სერგი, я устала быть красивой. ისე, გერმანიაში ამასთან დაკავშირებით პრობლემა არაა. სინდისის ქენჯნის გარეშე შეიძლება დაშვება. ეს თუ აღმიძრავს პროტესტს — დაშვებულ დაშვებას ვერ შევეგუები!

გუშინ მზიანი დარი იდგა. აივნის კარი შეღებული მქონდა, ქუჩას ვაყურადებდი, ჩვენი სახლის ქვეშ ბანკომატია. ქალების უჩვეულოდ ხმამაღალი ლაპარაკი მომესმა, შვილებს ედავებოდნენ რაღაცას. ამათაც სცოდნიათ ქართული ხმების ამოშვება-მეთქი, — ვიფიქრე. მერე რაღაც ჩვენებური დავიჭირე ინტონაციებში. ვეღარ მოვითმინე, ავდექი, ჩავიცვი და გადავიხედე. ქართველები შემრჩნენ! ის გოგო, ვინც ამ წერილს ჩამოგიტანს (ჩემი კლასელის უმცროსი და) თავის ქართველ დაქალთან ერთად, წარმოიდგინე. თორმეტი წელია აქ არიან, დაქალი გერმანელის ცოლია.

გავგიჟდი, დავუძახე და ორივე ამოვიყვანე ჩემთან, ბავშვები ქვემოთ დატოვეს. ყავა მოვადუღეთ, ბევრი მალაპარაკეს. უცებ ეს გოგო მეუბნება: ხვალ თბილისში მივდივარ, რამეს ხომ არ გამატან ან დამაბარებო?

აბა როგორ შემეძლო ამით არ მესარგებლა?!

რომ წავიდნენ, იონასმა მკითხა: არ შერცხვათ, თქვენ რომ გეჩხუბებოდნენ? რატომ არ დამიძახეთო!

ქართული ხმები! კომედია!

სერგი, სამთვიან ვადას მე მეტად ვერ დავარღვევ. ამიტომ არც აქაურ ტელეფონს გიგზავნი (პირადი არ მაქვს) და არც mail-ს გავხსნი, გაფრთხილებ. ეს კაპრიზი არაა.

შენ არაერთხელ გითქვამს ჩემთვის, რომ კულტურული ადამიანი ყოველთვის ყველაფრისთვის არის მზად. იმიტომ რომ **ყველაფრის** მიღება მისი შედგომის წინაპირობაა. ჰო, ძალიან ძნელია იყო ნამდვილად კულტურული. კულტურული ადამიანი **მკვდარი** ადამიანია.

არ შეგეშინდეს და ნუ იფიქრებ, რომ სამთვიანი ვადის გაწელვისთვის გამზადებ. მაგრამ წერილთან ერთად მაინც გიგზავნი ჩემი თეთრი ბესტიების მორთმეულ კაკლებს, გასაგებია, რის ნიშნადაც...

თავს გაუფრთხილდი. შენ გიჟ გოგოს ახლა და ახლა უფრო დასჭირდები, სხვანაირადაც დაგაფასებს რაც დრო გავა.

სერგი, უნდა მაპატიო ყველაფერი, ჩემო ადამიანო, ჩემი ცხოვრების საკვირველებავ და სინაზევ. და გახსოვდეს, რომ შეუცდომლად ტყუოდი!

შენი ანუკი<br>14.02.2008

სერგიმ, ალბათ უკვე მეათასჯერ დამბლამდე მონუსხულმა ბოლო ფრაზით, წერილი დაკეცა.

კონვერტიდან კაკლები ამოიღო და კარადაში დაკიდებულ ნაცრისფერ პიჯაკში ჩაყარა.

მეორე დღეს თიკოს ნიშნობაზე ხმა თითქმის არ ამოუღია. სასიძოს, ახალგაზრდა მსხვილი ბანკირის, სანათესაოსა და მისივე ემფატიკური ამერიკული „რ“-ს მძლავრობის მომენტებში, და მაშინაც, როცა წყვილის მიმართ „ნატურათა მეზალიანსის“ ეჭვი უწვავდა შუბლს, ჯიბეში პეკანებს უჭერდა ხელს.

მთელი საღამო მხოლოდ წარბებიდან აკვირდებოდა სერგი მის სახლში შეკრებილთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გივი ალხაზიშვილი

# მომავალი წარსული

## ჩაგანავა

ახლახან ერთი ძველი ნაცნობი შემხვდა საგამომცემლო კომბინატთან, ზედ რუსთაველზე. ბიჭები მოიკითხა, სად არიან და როგორო, გაიგო ყველაფერი და დანაღვლიანდა. შენ რას აკეთებ-მეთქი, რომ ვკითხე, გაეცინა. ვზივარ სახლში ხონში და საკუთარ თავს ვატყუებ, იქ თავს ვინ მომატყუებინებს?! მიშა ჩაგანავა სტუდქალაქელი მეგობარი, მეხუთე კორპუსში, ფილოლოგების კორპუსში, ასე ეძახდნენ, ჩვენს მეზობლად ცხოვრობდა. მიშა ცოცხალი ლეგენდა იყო. "ნიანგის" უშტატო კორესპოდენტის ნიგნაკით აღჭურვილი სასწაულებს ახდენდა. შეუშვებდა გასტრონომში ერთ პატარა ბიჭს, დაარიგებდა — ეს ოქროს საათი დაუტოვე გამყიდველს ძეხვში და არაყში და უთხარი, მამაჩემი გამოიხსნისთქვა. შევიდოდა ბიჭი გასტრონომში, შესთავაზებდა ოქროს საათს, გამყიდველი ჯერ უარზე იდგა, მერე ბავშვი იმდენს ელრიტინებოდა, თან ოქროს საათიაო, მალი-მალ ისე შეახსენებდა, რომ გამყიდველი ცდუნდებოდა. დაიტოვებდა საათს გირაოში და მისცემდა ბიჭს ძეხვს და არაყს. ბიჭი გამოართმევდა თუ არა სასმელს და ძეხვს, მიშა ჩაგანავა წამოადგებოდა თავზე და დააძრობდა "ნიანგის" უშტატო კორესპოდენტის ნიგნაკს. მაშინ იწყებოდა ერთი ამბავი. თქვენ არასრულწლოვან ბავშვებს რყვნით, რა უფლებით იტოვებთ ბავშვისგან ოქროს საათს და სანაცვლოთ აძლევთ არაყს?! გამოვარდებოდა გამგე, შეიყრებოდა მთელი ქვეყანა. მიშას ბიჭი ყურით ჰყავდა დაჭერილი. ერთხელ ისე მოქაჩა ყურზე, რომ ბავშვმა შეჰყვირა:

— ნელა მიშა ბიძია, მეტკინა! — მიშამ შენიშნა რომ გამგე გაფაციცებული უყურებდა ამ საეჭვო ვითარებას და უფრო აუწია ყური, თმაც მოწინკნა და მორთო ბავშვმა ღრიალი.

— ვინაა, შენი ბიძია, შე მამაძაღლო?!

— მეტკინა, მეტკინა. — გაჰკიოდა ბავშვი.

— დააბრუნეთ სასწრაფოდ საათი.

გამგე კაბინეტში შევიდოდა, ნოქარს დაუძახებდა და საათს იბრუნებდა და ბავშვი ძეხვიან-არყიანა ეგრევე ითესებოდა. მიშა გამგის კაბინეტში ყოვნდებოდა და მცირეოდენი პაუზის მერე გამოდიოდა. ცალი ხელი ჯიბეში ედო და ცდილობდა, გამოეცნო, რა კუპიურა ჩაუჩქმუჭნეს, მეორე ხელით კი "ნიანგის" უშტატო კორესპოდენტის ნიგნაკს სასოებით, თან დემონსტრაციულად, სხვებსაც რომ დაენახათ, ინახავდა პიჯაკის შიდა ჯიბეში.

— მეორედ არ ვნახო აქ ასეთი რამეები! — ჩაილაპარაკებდა მკაცრად და კოჭლობით, ცალ ფეხს ითრევდა, გაუყვებოდა ქუჩას.

მიშას ცოტა ფული სჭირდებოდა. ვუშოვე. ვკითხე:

— გახსოვს მიშა, წითელი კუთხის ამბავი?

— კაი, ერთი თუ კაცი ხარ, ნუ გამახსენებ. წევიდა ის დრო, დავგლახავდი.

მიშა მობერებული მეჩვენა, საცოდავად გამოიყურებოდა. იმ მიშას აღარ ჰგავდა სტუდქალაქის წითელი კუთხის ავეჯი რომ მიჰყიდა ერთ კახელ გლეხს, ფული ჯიბეში ჩაიდო და ხონში წავიდა. გლეხი მუშებთან ერთად მოვიდა სტუდქალაქის მეხუთე კორპუსში და წითელი კუთხის ავეჯის გაზიდვა დაიწყეს. კორპუსის ორმეტრიანი კომენდანტიც გამოჩნდა, გლეხი მუშებიანა გამოაძევა იქიდან და თან მიშა, შენი დედაო! — იგინებოდა. მიშა ხონელი იყო, კომენდანტი — სვანი. სულ ვფიქრობდი, საწყალი მიშა, ველარ გამოჩნდება აქ , თორემ კომენდანტს შეიძლება შემოაკვდეს-მეთქი. გავიდოდა ხანი, მიმავიწყდებოდა ეს ამბავი და მიშა ისე დააბიჯებდა მეხუთე კორპუსში, ვითომც აქ არაფერი მომხდარიყო. ორმეტრიანი კომენდანტიც ვერ ამჩნევდა მიშას, თვალს არიდებდა.

— რა მინდა ამ შავწითელისგან, ისიც ასეთივე ბაცაცაა, ოღონდ უფრო რაფინირებული, ცეკას ნაინსტრუქტორალი, კაგებეს ნააგენტარი, მევახშე. . . არა, მიშა ჯიგარია ამასთან შედარებით, თან როგორ გასაცოდავებულა. შემებრალა, გული მომიკვდა.

## ლმობიერი ცენზორი

იყო საბჭოთა კავშირი თავისი უკუღმართი იდეოლოგიით, სადამსჯელო მეთოდებით, ტოტალიტარული რეჟიმის ერთგული მწერლებით, პარტიისა და კომკავშირის მეხოტბეებით. ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ პოეტები და პროზაიკოსები, ვინ უკეთ შეასხამდა ხოტბას პარტიულ ყრილობებს, პროლეტარიატის ბელადს — ლენინს, კომუნისტურ ხუთწლედებს (აკი გამოიცა კიდეც „მერანში" ცნობილი სერია: „ქართველი პოეტები ხუთწლედის მხარდამხარ") და ზოგადად კომუნისტურ იდეოლოგიას. ამ შეჯიბრში ჩართულიყო ქართველ მწერალთა უმრავლესობა, მაშინაც კი, როცა ხრუშჩოვისდროინდელი ეგრეთ წოდებული „დათბობა" ფსევდოგამბედაობას მატებდა ზოგიერთ ჩემს კოლეგას, თუმცა სითამამის სივრცე ისევ იყო შემოსაზღვრული და ცნობილ „უნაპირო რეალიზმს" მკაცრად აკრიტიკებდნენ ცეკას კრიტიკოსები. ლენინის დაბადებიდან ასი წლისთავის საზეიმოდ გამოიცა ვეება წიგნი „ქართველი პოეტები ლენინს" და ისიც „მერანში". აქამდე ვისაც ლენინისადმი არ მიეძღვნა ლექსი, ღამეებს ტეხდა, როგორმე ხოტბა შეესხა პროლეტარიატის ბელადისათვის და იმ უზარმაზარ კრებულში მოხვედრილიყო, რომლის შეხსენებაც, დღესდღეობით, ცხადია, აღარ სიამოვნებთ და თავს იმით ინუგეშებენ, სხვა დრო იყო, რა გვექნაო. „სხვა დროში" ცხოვრობდნენ ის მწერლებიც (უმცირესობა), კომუნისტური იდეოლოგიის სასარგებლოდ სიტყვა რომ არ დაუძრავთ და თავისი შემოქმედებით კრიჭაში ედგნენ არსებულ რეჟიმს. მკითხველიც გათვითცნობიერებული იყო, იგავურად ნათქვამი როგორ წაეკითხა და როგორ გაეგო სტრიქონებს შორის შემალული აზრი, როგორ შეენიშნა ქვეტექსტში „გასუსული" ოპოზი-

გაგრძელება. იხ. „ჩვენი მწერლობა" №18,19

ცია. მკითხველი გაინაფა, ეძებდა, პოულობდა სათავისოს, არსებული რეჟიმისათვის მიუღებელ და დასაგმობ გამონათქვამებს, ცალკეულ ლექსებს, მოთხრობებს, რომანებს, რომელთა გამოცემა შეუძლებელი უნდა ყოფილიყო იმხანად, მაგრამ მაინც იბეჭდებოდა.

მეც ერთ-ერთი მათგანი ვარ იმათ შორის, ვინც განსხვავებულად აზროვნებდა და განსხვავებულ ნააზრევს ბეჭდავდა 60-იან, 70-იან, 80-იან წლებში. ეს ოცდაათწლიანი პერიოდი ქართული მწერლობისა რადიკალურად განსხვავდებოდა 30-იანი, 40-იანი, 50-იანი წლებისაგან, ანუ იმ დროისაგან, როცა იდეოლოგიურ კომპრომისზე სიცოცხლის გადარჩენის გამო მიდიოდნენ ცნობილი მწერლები და ამგვარი ხარკის გალებაც კი ვერ შველოდა ბევრ მათგანს.

სამოციანი წლების შემდეგ შეიძლებოდა ჩამალულიყავი ისეთ თემებში, ისეთ სტილისტიკაში, ეგრეთ წოდებულ ჰერმეტულ სამყაროში, რომ ხარკი არ გადაგეხადა არსებული რეჟიმისათვის, შენთვის გეცხოვრა და საარსებო მინიმუმი, „მცირედი კმა არს"-ო, გეთქვა. მაგრამ ესენი მცირედით როდი კმაყოფილდებოდნენ, უკეთესად ცხოვრება სურდათ და უკეთესი ცხოვრებისათვის საჭირო იყო, დროდადრო მაინც ეწერათ ცეკას საამებლად. ესენი გამუდმებით ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. ცეკას პირველ მდივანს მწერალთა თავისი ამალა ჰყავდა. ცეკაშიც არ ისხდნენ სულელები და ამალისთვის ირჩევდნენ შედარებით ნიჭიერ მწერალ-კონიუნქტურისტებს. კონიუნქტურულ შეჯიბრში ჩართული უმრავლესობა მაინც ვერ ღებულობდა იმ პრივილეგიებს, რასაც უფრო მოხერხებული მწერალ-კონიუნქტურისტთა ამალა. თუმცა ამალაში ჰყავდათ გამორჩეული უნიჭონიც.

ცენზურა თავის საქმეს აკეთებდა. არცთუ იშვიათად, ზოგიერთი ცენზორი თვალს ხუჭავდა და შეგნებულად „აპარებდა" საეჭვო ტექსტებს დასაბეჭდად. ამ ადამიანების გახსენება და შექება მინდა, რადგან ისინი რისკის ფასად, მათი პროფესიული წინაპრის, რაფიელ ერისთავის მსგავსად იქცეოდნენ. ეს მაშინ, როცა ზოგიერთი მწერალი მოხალისე-ცენზორად მუშაობდა ცენტრალური კომიტეტის იდეოლოგიის მდივნებთან, მათთან თანამშრომლობდა, შინაც სტუმრობდა და რაც „მთავლიტს გამორჩებოდა", ყურში ჩასჩურჩულებდა მთავარ იდეოლოგებს. ზოგიერთი მათგანი დღესაც ეთრევა თბილისის ქუჩებში და დასმენას ძველებურად აგრძელებს, თუმცა ყურს უკვე აღარავინ უგდებს.

სხვადასხვა დროს „მთავლიტში" მუშაობდნენ პეტრე ლიკლიკაძე, თამარ სვინტიძე, მარიამ აბრამია, ანდრო მირიანაშვილი, ამირან ასანიძე და მრავალი სხვა.

ქალბატონ მარიამ აბრამიას მურმან ლებანიძემ ლექსი უძღვნა. ეს ლექსი დაიბეჭდა პოეტის კრებულში „ლირიკა 1980", 2004 წელს კი მურმან ლებანიძის რჩეული ლექსების ორტომეულის პირველ ტომში.

**მარიამ აბრამიას**

**არის წაკითხვა**
**ორნაირი — გონებით, გულით,**
**წაკითხვა ერთი**
**და მეორე წაკითხვა გულით!**

**ჩემო მარიამ,**
**ჩემო კარგო მარო-ცენზორო,**
**კაცი არ ვიყო,**
**თუ მეწყინოს, ქვა რომ მესროლო,**

**რადგან ჩემს წიგნებს**
**შენ კითხულობ ჯერ გულის რეჩხით**
**და მხოლოდ მერე**
**წაიკითხავ... ცენზორის ეჭვით...**

**კითხვის ნიშნების,**
**გმადლობ, დაო, ხვნეშით წამშლელო,**
**მარიამ ჩემო,**
**ჩემს წიგნებზე**
**ბეჭდის დამსმელო!**

ეს ლექსი დასტურია იმისა, რომ საბჭოურ ცენზურაშიც არსებობდნენ კარგი ცენზორები, პოეზიის „გულის რეჩხით" წამკითხველნი, „კითხვის ნიშნების ხვნეშით წამშლელები", მაგრამ მაინც რომ დაუსვამდნენ ბეჭედს წიგნს. ამ ბეჭდის გარეშე კი გამოცემა შეუძლებელი იყო. მურმან ლებანიძის წიგნებში კი კითხვის ნიშნები სად არ წამოყოფდა თავს. ქალბატონი მარიამი „ხვნეშით", მაგრამ მაინც შლიდა კითხვის ნიშნებს.

ხშირად ვხვდებოდი ბატონ მირიანაშვილსა და პოეტ პოლიო აბრამიას ქვრივს მარიამ აბრამიას. ყოველი წიგნის გამოცემისას თავს იჩენდა ბუნდოვანი სტრიქონები, რომელთა ამოღება ან დატოვება მათთვის სათუო და ჩემგან განსამარტი იყო. მხოლოდ ზოგიერთ ეპიზოდს გავიხსენებ. ჩემს პირველ წიგნში, რომელსაც უბრალოდ "ლექსები" ერქვა და 1972 წელსაა გამოცემული, იქ დაბეჭდილი ერთ-ერთი ლექსი ეძღვნება მიხა ხელაშვილს. „საბჭოთა პერიოდში მისი სახელის ხსენება, ისევე, როგორც თვით ქაქუცა ჩოლოყაშვილისა, სასტიკად იყო აკრძალული. ხალხში გავრცელებული მისი რამდენიმე ლექსი, მთქმელის დაუსახელებლად და დიდი ხიფათის ფასად შეჰქონდათ ფოლკლორისტებს ხალხური პოეზიის კრებულებში" / თამარ ხელაშვილი- „ორიოდე სიტყვა მიხა ხელაშვილზე" გვ, 5.. წინათქმა წიგნისა - მიხა ხელაშვილი, „ლექსო ამოგთქომ ოხერო". 2006 წელი, გამომცემლობა „ცოდნა"/

არ ვიცი ცენზურის ლმობიერებას დავაბრალო თუ არცოდნას, წიგნში გაპარული მიხა ხელაშვილისადმი მიძღვნა. მიხა ხელაშვილი ხომ ქაქუცა ჩოლოყაშვილის შეფიცულთა რაზმის წევრი იყო და როგორც ჩანს უფრო არცოდნის ბრალია ან უყურადღებობისა, რასაც მაშინ უკვე იჩენდნენ ცენზორებიც და სხვა მოხელეებიც, რადგან იდეოლოგიური რღვევა კარგახნის დაწყებული იყო.

ლექსში „ნიქარას ზღაპარი" არის ასეთი სტრიქონები:

**რქებს მოამსხვრევენ, რა გაარღვევს მერე**
**ცხრაკლიტულს,**

ეროვნული ბიბლიოთეკა

**როგორლა ურქენს მაცილის ლანდს დროშად**
**დაკიდულს.**

ცენზორი თითქოს ვერ მიხვდა ან არ მიხვდა, რომელ დროშაზე იყო საუბარი. რატომ უნდა ერქინა ნიქარას ეშმაკის ლანდისთვის, რომელიც დროშასავით ფრიალებს. სამაგიეროდ, წიგნის გამოცემის შემდეგ მიხვდა მოხალისე პოეტი-ცენზორი და „ჩამიშვა". ამავე წიგნში, 1972 წელს რომ გამოიცა, დაბეჭდილია ლექსი „ვიოლინო — ზღაპრის დასაწყისი", რომელიც მთავლიტმა უპრობლემოდ დატოვა, თუმცა მოხალისე პოეტ-ცენზორის თვალს არ გამოპარვია შემდეგი სტრიქონები:

**შენ როცა უკრავ, მე ვხედავ უცნობს, —**
**საკუთარ სხეულს რომ მიუსაჯა „აუტოდაფე"**
**და მოედანზე შეგროვილ ბრბოს მოასმენინა**
**ძვლების ტკაცუნი.**

პოეტი-ცენზორი შედგა ტრიბუნაზე ამ წიგნის განხილვისას და განაცხადა, რომ მე, გივი ალხაზიშვილი, ამ ლექსში ვგულისხმობ პრალის მოვლენებს, კერძოდ, იან პალახს, რომელმაც საბჭოთა ოკუპანტების მიმართ პროტესტის ნიშნად თავი დაიწვა მოედანზე. ვინც გამცა, არ იმჩნევდა, რომ გამცა, თვლიდა, რომ შემაქო გამბედაობისთვის.

1975 წელს მთავლიტმა უპრობლემოდ დაბეჭდა ერთ-ერთი ჩემი ლექსი, რომლის ბოლო სტროფში წერია:

**შვიდი ნოემბრის ისმის სალუტი,**
**ეჩვევა თვალი მაჟორულ ელფერს,**
**ფანჯრიდან მოჩანს ხიდი, სალუდე,**
**მეტეხი, მტკვარი და ვახტანგ მეფე.**

არც ეს გამოპარვია მოხალისე პოეტ-ცენზორის თვალს. ამას უკვე იგავური საუბარიც აღარ ერქვა. თუმცა სხვებივით მეც იძულებული ვიყავი ზღაპარს, სიზმარს ან სრულ ჰერმეტულობას მივნდობოდი.

1981 წელს, როცა „მერანის" მთავარი რედაქტორი ჯანსუღ ღვინჯილია იყო, მისივე ინიციატივით გამოიცა ჩემი წიგნი „დიალოგი ფიქრში". მთავარმა რედაქტორმა იცოდა, რაც დაბეჭდა. ცხადია, იცოდა ცენზურამაც. მაგრამ როცა ერთ-ერთი ლექსის ამოღებას აპირებდნენ, ჯანსუღ ღვინჯილიამ თავის თავზე აიღო მთელი პასუხისმგებლობა და როგორც მოგვიანებით გამიმხილა, ამის გამო მოხვდა კიდეც — იქ, ზევით. ამ საეჭვო ლექსს ჰქვია „მდუმარე კაცის სიზმარი", ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს ანრი მიშოს სიტყვები: „მე დამესიზმრა, რომ მეძინა..."

**„მესიზმრა: წიგნის მაღაზიასთან რიგი იდგა ვეებერთელა. ნუ იტყვით, თურმე ტუალეტის ქაღალდის რიგში ჩამდგარიყო მთელი ქალაქი. სიზმარშივე გავიფიქრე: ამხელა ჯარი მეფე ერეკლეს რომ ჰყოლოდა კრწანისის ველზე, ასეთ სიზმარს ხომ ვერ ვნახავდი?!"**

ყველაზე მეტად ამ ლექსმა გააცოფა ზემდგომნი. მახსოვს, ცხონებული ჯანსუღ ღვინჯილია კარგა ხანს დადიოდა პირში წყალჩაგუბებული, უხასიათობის მიზეზს არ ამხელდა, თუმცა წუხილი სახეზე ეხატა.

ამავე წიგნში ბევრი ისეთი ლექსი დაიბეჭდა, ძველი დრო რომ ყოფილიყო, გაციმბირება არ ამცდებოდა:

**— ეს დღეც მკვდარი დაიბადა...**
**— ვიზიარებ თქვენს მწუხარებას,**
**ტირილად არ ღირს,**
**მომავალზე იფიქრე კვლავაც!**

**— მომავალი?**
**ის სადღაც არის, მაგრამ არ მოჩანს!**
**— უნდა გაუძლო, უნდა იდგე**
**ჰორიზონტის ცისფერ ყულფში თავგაყოფილი.**

**— ნეტა ვისი გეშინიათ?**
**— მაცილის, ექიმო!**
**ერთ ჩემს კოლეგას,**
**არაფრის რომ არ ეშინოდა,**
**თურმე ნემსი გაუკეთა მაცილმა და**
**ბრიყვის ტვინი გადაუნერგა!**

როგორც როსტომმა მითხრა „დიალოგი ფიქრში" ბატონ ოთარ ჩხეიძეს წაეკითხა და მომახარა, ასე თქვა მამაჩემმა „თავიდან ბოლომდე კონცეპტუალურად გააზრებული და ძალიან შეკრული წიგნია". არ დავმალავ, ძალიან გამიხარდა ბატონი ოთარის შეფასება. მან დაინახა ის, რაც სხვებმა ვერ დაინახეს და ეს სრულიად ბუნებრივი იყო, მის თვალს რა გამოეპარებოდა.

აი, ასე მუშაობდნენ ის შესანიშნავი ცენზორები, რომელთა მადლიერი ყოველთვის ვიქნები. თვალს ხუჭავდნენ, არ ხედავდნენ ან, იქნებ, ვერც ხედავდნენ. მინდა მჯეროდეს, რომ დიდი წინაპრის — რაფიელ ერისთავის საქმის გამგრძელებლები იყვნენ, უყვარდათ სამშობლო და თავის სიყვარულს „თვალდახუჭულნი" გამოხატავდნენ — არც შატბეროვს ეპუებოდნენ და არც ცეკას...

თუმცა ეს მოხალისე პოეტი-ცენზორები ახლაც ხომ დაჩანჩალებენ თბილისის ქუჩებში?! იჩანჩალონ, იჩანჩალონ, იჩალიჩონ, იჩურჩულონ, იჩათლახონ, იჩიხლიფირთონ. მაგათი საქმე ეგაა. ოღონდ ჩვენ ნუ დაგვიწყებენ იმის მტკიცებას, მაშინ სხვა დრო იყო და რა გვექნაო. თვალს მაინც ნუ გაგვისწორებენ, შერცხვეთ მაინც. მათი და ჩვენი ცხოვრების წესი მაშინაც და ახლაც რადიკალურად განსხვავდება. მათ საკუთარი ბიოგრაფიის გახსენების ეშინიათ, ჩვენ არა. ეტყვი რამეს და აენთებიან: სხვა დრო იყოო. კი, მაგრამ იმ „თვალმოხუჭული" ცენზორებისთვის აღარ იყო ის „სხვა დრო"?!

მოგვიანებით მივხვდი, რომ საბჭოთა კონიუნქტურის პარალელურად არსებობდა ანტისაბჭოთა კონიუნქტურა. მე, ზოგიერთ ჩემს უფროს კოლეგასთან ერთად, ანტისაბჭოთა კონიუნქტურით ვარსებობდი. ნებისმიერი კონიუნქტურა ბორკილია შემოქმედისთვის. იგი თავისუფლად უნდა აზროვნებდეს და ეს არ ნიშნავს ქვეტექსტის, იგავურობის, მინიშნების, გარკვეული ჰერმეტიზმის გაუქმებას მხატვრულ აზროვნებაში.

ოთხმოციანი წლების მიწურულს საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ დისიდენტური აზროვნება ერთგვარად ზღუდავს შემოქმედის თავისუფლებას, სახიფათოა და ხე-

ლის შემშლელი. იგი ერთგვარი ჩიხია და განვითარებას, ზრდას აფერხებს. თუმცა, იმ „სხვა დროში" მე, როგორც მწამდა, ისე ვიცხოვრე.

თანაგრძნობით გავიმსჭვალებოდი თუნდაც ერთი საბჭოთა მწერლის ალსარება რომ წამეკითხა — ეს რა სისულელეებს ვწერდი, ახლა, როგორც იქნა, გავთავისუფლდიო. მეტი არაა ჩემი მტერი. ის ისე ცხოვრობდა, როგორც სწამდა — კომპარტიულად, მე, როგორც მწამდა — ანტიკომპარტიულად.

თუმცა, უნდა ვთქვა, რომ თავისთავად, მწერლობად ვერ იქცევა ვერც „კომპარტიულობა" და ვერც „ანტიკომპარტიულობა". ეს უფრო ამორალურობისა და მორალის ჭიდილია, რომელიც ყველა დროში გრძელდება და ნებისმიერი ადამიანი საკუთარ სახელს ქმნის ან ანადგურებს.

პოლიტიკური ანგაჟირებისაგან სრულად ვერ განთავისუფლდება მწერლობა, მაგრამ შეძლებისდაგვარად უნდა მოერიდოს.

რეჟიმს არ მიესადაგო, არ იქცე ისეთად, როგორებიც არიან სახელმწიფოს ანუ „დროებითი რეალობის ავტონომიის" ხელისუფალნი.

ასე რომ... კეისარს კეისრისა — უფალს უფლისა...

* * *

შევედი თუ არა ოთახში,მდივანი შემომყვა:

— იცით, მთავარი გკითხულობთ, სასწრაფოდ მომიძებნეთ და დამირეკოსო.

— რომელი მთავარი?

— პარნასელთა კავშირის.

— ?!

მდივანი გავიდა და კარი გაიხურა. თანამშრომლებს უკვე გაეგოთ რომ პარნასელთა კავშირის მთავარი მეძებდა და ცნობისმოყვარედ მაყოლებდნენ თვალს კაბინეტისკენ მიმავალს. ახლაღა მივხვდი, რატომ მათვალიერებდნენ ასე გულდასმით, უნდოდათ გაეგოთ, სახეზე ხომ არ მეწერა ის, რაც მთავარს ჯერ არ ეთქვა ჩემთვის. გასაოცარია ამ ხალხის სულსწრაფული ცნობისწადილი.

## გუბურავას ვიზიტი

გუბურავა ისევ მოვიდა.

გამიღიმა, ისე როგორც ნასწავლი ჰქონდა, ბუნებრივი ღიმილიდან ვერ გამოარჩევდი.

ნაღდად ფული უნდა. გავიფიქრე და:

— ხუთი ლარი მჭირდება, ძმურად.

ამოვიღე და მივეცი.კიდევ კარგი აღმომაჩნდა. „რჩეულთა ბიბლიოთეკის" გამოცემები კარგად იყიდებოდა და წიგნის მაღაზიებში ვიღებდი გაყიდული წიგნების საფასურს.

ჩემი შვილები ამ ბიბლიოთეკის წიგნებით გაიზარდნენ პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით. ამიტომაც მათ მეტსახელად " რჩეულიშვილებს" ვეძახდი, მაგრამ შინაურების გარდა არავინ იცოდა რატომ.

მაშინ ვის ეცალა წიგნის დასაბეგრად ან აღსაღრიცხად?! არავის. თან ამ გამოცემებსაც, ჩემდა გასაკვირად, მკითხველიც და მყიდველიც გამოუჩნდა.

გუბურავა ფულს ძირითადად ალფონსობით შოულობდა. ისეთ ქალებს არჩევდა, რომ არ შეეხედებოდა, თვალსაც რომ აარიდებდა ადამიანი და რომ არც გაიფიქრებდა ერთი ამასთან მამყოფა, და თუ შემთხვევით გაიფიქრებდა, თფუი ეშმაკსო, უნდა მიეყოლებინა, თორემ, რომ ასრულებოდა, ხომ დაიღუპებოდა?!

— სად არიან ისინი?

— ვინ ისინი? — თითქოს ვერ მიხვდა, რას ვეკითხებოდი.

— თუმც რა საკვირველია, მას შემდეგ ხომ მრისხანე, ორმოცდარვა წელია.

— კი მაგრამ გალაკტიონი რამ გაგახსენა?

—შენმა ქალებმა. დონას რა უნდა შენგან? განცხადება შემოიტანა გუბურავას წიგნის ჰონორარი მე უნდა მომცეთ, ჩემი ვალი აქვსო. საბუთიც აქვს ნოტარიალურად დამოწმებული და იძულებული ვართ მას გადავუხადოთ შენი კუთვნილი ჰონორარი.

— იცის, რამდენი მეკუთვნის?

— ბუღალტერს ჯერ არ დაუანგარიშებია და შეიძლება არც იცოდეს.

— იქნებ მიშველო, ნახევარი მაინც რომ ავიღო და დანარჩენი მერე მიეცით, მარა შეიძლება არც მოვიდეს.

ასეთ ექსტრემალურ სიტუაციაში გუბურავა უბრუნდებოდა საბრალო ქალს, რომელსაც ზედ არავინ უყურებს და ემსახურებოდა, მანამ, ვიდრე წასართმევ ჰონორარს არ დაიბრუნებდა და ავანსსაც არ გამოსძალავდა. ახლა, როგორც ჩანს ძალიან უჭირდა, რადგან ხუთი ლარი ითხოვა. წავა ახლა დონასთან და დონა აღარ მოვა მანამ, ვიდრე ახალ ვალში არ გადააგდებს გუბურავა. დონასნაირი შვიდი ჰყავდა. ერთი "ნაკადულში", მეორე "საბჭოთა საქართველოში", მესამე"ლიტერატურულში" დანარჩენები მგონი უნივერსიტეტში.

მორიგეობით უჩიოდნენ, ესეც მორიგეობით აჩუმებდა მომსახურების გააქტიურებით.

ვისაც ვიცნობდი, ყველა გუბურავას ეძებდა ვალის გამოსართმევად. ერთი ნაცნობი მიმტკიცებდა, მერვე ვარ მევალეთა რიგში და ვალის აღება გუბურავასგან მალე მომიწევსო.

თავის დროზე ნოდარ დუმბაძეს დასდევდა კუდში, თქვენზე წიგნის დაწერა მინდა და გთხოვთ მომცეთ უფლება თქვენთან სიახლოვისო. ნოდარი დათანხმდა, ან როგორ ეტყოდა უარს,ნიჭიერი და წიგნიერი კაცი იყო გუბურავა და შესაძლოა, მართლაც რაიმე ხეირიანი დაეწერა მასზე. დაჰყვებოდა ნოდარს ყველგან, ახლდა სუფრებზე, ბლოკნოტში გამალებით იწერდა რაღაცებს, აგარაკზეც სტუმრობდა. ეს ყველაფერი გაგრძელდა მანამ, ვიდრე გაზ-24 არ გამოუყო პარნასელთა კავშირმა და ზედ ახალი ბინაც არ დაუმატა. ცხადია, ბატონი ნოდარის ინციატივით, მაშინ ის იყო კავშირის თავმჯდომარე.

ერთხელ, თურმე ნოდარს შემთხვევით შეხვდა გუბურავა, მიესალმა და ეკითხება:

— რა ქენი ძამა, მანქანა რომ მოგეცი ვალები თუ გაისტუმრე?

— გავისტუმრე, ბატონო ნოდარ.

— დანარჩენს რა უყავი?

— დანარჩენებმა მეიცადონ.

ნოდარი დანარჩენ ფულზე ეკითხებოდა, რაც მანქანის გაყიდვის და ვალების გასტუმრების მერე უნდა დარჩენოდა, გუბურავა კი პასუხობდა: დანარჩენმა მევალეებმა მეიცადონო. ამ დროს ნოდარმა არ იცოდა, ბინაც გაყიდული რომ ჰქონდა და ისევ უბედურ დღეში იყო.

— გუბურავა, ძმაო, თუ დროზე ვერ მოაგვარე საქმე დონასთან, მერე ნანასთან, მერე. . .

— კაი, რა ნუ მახსენებ, რა ქნან ცოდოები არიან. მე მივხედავ მაგ საქმეს.

მიშა ჩაგანავას მონაფედ არ აიყვანს გუბურავა. მიშა მელკი ჟულიკია. ო. ეს თან ნიჭიერია, შებმის ოსტატია. მერე, შეუხედავ ქალებთან რეგულარული სიყვარულობანა როგორი საქმეა, რაც არ უნდა დიდი ფული ჰქონდეთ?!

ბიჭებმა დაასკვნეს, ჩვენს მეგობრებს ვგულისხმობ, გუბურავას მაიმახი სატრფო, რომელიც ერთი ასორმოცდაათ კილოგრამს იწონის, ხოლო მეორე იმდენად გამხდარი და ნახშირივით შავია, რომ კაპიროვკით დახატულს ჰგავს და ხელს თუ ახლებ, შესაძლოა კიდეც გადაგედოს მური, თურმე ასმანეთიანებს აჩვენებენ და გუბურავას ასიანზე აქვს მყისიერი ერექცია. თქვენ გეცინებათ და სულაც არ არის სასაცილო ეს საგმირო ამბავი.

## აფიორა, რომელსაც ორი ავტორი ჰყავდა

არ მახსოვს ვისზე წერდა ოტია პაჭკორია — ყველა ღრიჭოში ზეთივით შემოაღწევს, ვერაფერი შეაჩერებს, ოთახში შემოჟონავს, ჭერიდანაც ჩამოიძუნძგლება, გაგესმევა ხელზე, სახეზე და უეჭველი დაგსვრის. ესეც ასეთი იყო. საგამომცემლო კომბინატის სამხატვრო საბჭოს სხდომას მხოლოდ წევრები ესწრებოდნენ. ავტორის მონაწილეობა გამორიცხული და წარმოუდგენელი იყო, რადგან კენჭისყრით უნდა გადაწყვეტილიყო, რომელი ავტორის რამდენი და რა მოცულობის ტომეულები უნდა გამოცემულიყო. რაღა დროს ტომების გამოცემა იყო, მაგრამ ყველაფერი ინერციით გრძელდებოდა. ხელისუფლება აფინანსებდა, კომბინატი გამოსცემდა. სამხატვრო საბჭოს სხდომა დიდი დაგვიანების მერე დაიწყო, რადგან ერთი ავტორი, ანუ ის, ვისი ტომეულების გამოცემის საკითხიც უნდა განხილულიყო, სხდომათა დარბაზიდან არ გადიოდა. მიანიშნეს, თითქოს ვერ მიხვდა, კიდევ მიანიშნეს, აისხლიტა, ასე გაგრძელდა მანამ, ვიდრე ერთმა მწერალმა პირში არ მიახალა: დატოვეთ დარბაზი და გვაცალეთ, გადაწყვეტილება მივიღოთო. მე რას გიშლით ხელს, დაიწყეთ?! უხერხული დუმილი შავწითელმა დაარღვია. იყოს, ერთი პრეცედენტი დავუშვათ, მისი ტომები, როგორც ვფიქრობ, მაინც უნდა გამოვიდეს და მხარს დაუჭერს ყველა მის გამოცემას. რაღას გავიდოდა. ბოლომდე დარჩა. დაამტკიცეს რომ მისი სამტომეული გამოვიდოდა, რეზო ინანიშვილის ორტომეულს შავწითელი შეეწინააღმდეგა და თავისი გაიტანა, თან დაასკვნა: ინანიშვილის ერთი ტომიც საკმარისია, ყელში რომ ამოგივიდესო.

გამოხდა ხანი და მოძალადე ავტორის პირველი ტომი ყველაზე ადრე გამოვიდა, რადგან შავწითელი შეშინებული ჰყავდა და ზედმეტ აყალმაყალს თავს არიდებდა, ერჩია საქმე მშვიდობიანად ჩაეფარცხა, თან მისი რა იკარგებოდა, მთავარი იყო ავყიას არ გადაჰყროდა, წესიერი კაცის გაჩუმებას კი რა უნდოდა.

პირველი ტომის ჰონორარი ბუღალტერმა გადაურიცხა შემნახველ სალაროში. აღმოჩნდა რომ შეცდომით, მეტობით გადაურიცხა და დანაკლისმა შეაშფოთა, შესჩივლა შავწითელს, ამხანაგომ ავტორს დაურეკა, ასე და ასე, ზედმეტი დაურიცხია 10 ათასი მანეთი და უნდა დააბრუნოო. ავტორმა, რომელიც ზეთივით ყველა ღრიჭოში აღწევს, იყვირა თურმე, შეცდომა ბუღალტერმა დაუშვა და მას გადაახდევინეთო. ვერ გადაიხდის, სად აქვს ამდენი ფული?! გამოექომაგა ამხანაგო ბუღალტერს. მაშინ დაიჭირეთ და საქმე დამთავრდება. ეს იყო ტომეულის ავტორის ბოლო სიტყვა.

ეს საქმე ასე იოლად არ დამთავდებოდა, შავწითელის მაქინატორულ გონებას რომ არ ემუშავა. მოატანინა ავტორს სხვა წიგნის დედანი ხელმეორედ გამოსაცემად, დაბეჭდა, გამოსცა, ჰონორარიც ბლომად გამოუწერა, ისე რომ ძველი დავალიანება, როგორც შეუთანხმდა, ჩამოაჭრა, დანარჩენი კი გაიყვეს.

## წარსული

1995 წელს გამოიცა ჩემი ლექსების კრებული, რომელშიც დაიბეჭდა 1990-95 წლებში გამოქვეყნებული ლექსები. ბაჩანა ბრეგვაძე ჩვენი გამომცემლობის ხშირი სტუმარი იყო და საქმიანი ურთიერთობა გვქონდა, როგორც მთარგმნელსა და გამომცემელს. "რჩეულთა ბიბლიოთეკის" პირველი წიგნი ბაჩანამ თარგნა ესპანურიდან და ეს წიგნი იყო — ორტეგა ი გასეტის "კულტურის დეჰუმანიზაცია", ერთ-ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი ნაშრომი, პირველად რომ ითარგმნა და დაიბეჭდა ქართულად. ჩვენი თანამშრომლობა ამ წიგნით დაიწყო და სხვებით გაგრძელდა.

ბაჩანას ჩემი ახალი ლექსების კრებული ვაჩუქე, რომლის რედაქტორი და წინასიტყვის ავტორია როსტომ ჩხეიძე.

კარგა ხნის შემდეგ ბაჩანამ აი, ასეთი შინაარსის ბარათი გადმომცა. სიმართლე გითხრათ, ძალიან გამიხარდა და 11 წლის მერე ვაქვეყნებ ჩემი ლექსის/ ლექსი პროზად/ ბაჩანასეულ თარგმანს და აქვე დავურთავ ქართულ ვერსიას.

## წარსული

ყოველი ნაბიჯი წარსულიდან გაქცევაა და ამავე დროს წარსულის გაგრძელებაა. მეჩვენება რომ ვშორდები წარსულს, დიახ მეჩვენება, რადგან იგი ჩემთან ერთად განაგრძობს წინსვლას; ჩემთან ერთად იცვლება და ვითარდება. წარსული არაა გარდაცვლილი დრო, იგი სათავეა და სათავეს ვგრძნობ მდინარესავით.

## IL PASSATO (წარსული)

Ogni passo è la fuga dal passatto e, allo stesso tempo, la continuazione del passato. Mi pare che m'allontoano dal passa-

to, si, mi pare, perchè colui continua a procedere insieme con me, si cambia è si svolge con me. Il passato non e un tempo morto. È una forte e la sento come la sento il fiume.

გივის — ძმას
ეს ჩემი იტალიური ნაცოდვილარი
სახსოვრად
ბაჩანასგან
27. 5. 97

დიდ პატივს ვცემ ბაჩანა ბრეგვაძეს და ეს მისთვის არაერთხელ მითქვამს, ყოველგვარი პირფერობის გარეშე, ცხადია, როგორც შესანიშნავ მთარგმნელს და ადამიანს. ქართულ სინამდვილეში მიჭირს დავასახელო სხვა მთარგმნელი, ვისაც თარგმნილი და გამოცემული ექნება ამდენი უდიდესი ავტორის უმნიშვნელოვანესი წიგნები. ამ წიგნებმა უკვე გააკეთეს თავიანთი დიდი საქმე და განაგრძობენ უჩუმარ რუდუნებას, მათი მთარგნელისა არ იყოს. შეუძლებელია არ დააფასო და განსაკუთრებული მადლიერების გრძნობა არ გამოხატო ამ ადამიანის უდიდესი ღვაწლის მიმართ.



მხატვარი აივენგო ჭელიძე

## არყოფნისაკენ

ნავთქურის სუნით გაჟღენთილ ოთახში ხან ვინ შემოივლიდა და ხან ვინ. ჩაილაპარაკა თუ არა ჩემმა მეგობარმა: გამოძვრნენ ხომ „ზაკვოს" ბუნაგიდან სიგოვანი და კიტუა? კარი გაიღო და გრიგოლ აბაშიძე შემოვიდა. წამოვუდექით უფროს კაცს, მივესალმეთ, სავარძელი შევთავაზეთ. პოეტური კრებული "არყოფნისაკენ" ახალი გამოცემული იყო და ჩვენ რამდენჯერმე აღვნიშნეთ, რომ იქ დაბეჭდილი ლექსების უმრავლესობა აღსავსეა შიშველი ტრაგიზმით, რაც სრულად ასახავს იმდროინდელ ქართულ რეალობას. ასე მკაფიოდ ის მძიმე ჟამი, იმხანად ვინმეს აესახოს პოეტურ კრებულში, ნამდვილად არ მახსენდება. მაშინ დაიწერა საქებარი სიტყვები ამ კრებულზე, განსაკუთრებით კი ლექსს "არყოფნისაკენ" აღნიშნავდნენ, მაგრამ არავინ ამბობდა, რომ ის წიგნი თავის უსასოობით, სასოწარკვეთით, გულგატეხილობით და ღრმა სინანულით სწორედ იმ დროს გამოხატავდა, რომელსაც შეესწრო მოხუცი პოეტი. სინანული ალბათ განვლილ წლებსაც გულისხმობდა, იმ დროს, რომლის გავლაც მოუწია და სხვაგვარად ვერ შეძლო. თუმცა , ისიც უნდა ვთქვა, რომ ბევრი სიკეთე აქვს გაკეთებული გრიგოლ აბაშიძეს ახალგაზრდა მწერლებისთვის, მერე რომ ლიტერატურულ ავტორიტეტებად იქცნენ.

ბატონი გროგოლი მაშინ პრემიების კომიტეტის თავმჯდომარედ მუშაობდა და იმ ქაოსსა და წყვდიადში, ყაჩაღობასა და სამოქალაქო არეულობისას ვის ეცალა ლიტერატურული პრემიებისა და ლიტერატურისთვის. შემოივლიდა, როსტომიც ხშირად იყო ჩემთან, და ძალიან ახარებდა ჩვენი რჩეულთა ბიბლიოთეკის ყოველი ახალი გამოცემა. მაშინ არც ჩვენ ვაქცევდით ყურადღებას იმ გარემოებას, ამ წიგნებს რა ვითარებაში უწევდა დღის სინათლეზე გამოტანა და არც კი ვფიქრობდით, მკითხველამდე მიაღწევდა თუ არა.

ბატონი გრიგოლი განსწავლული მწერალი იყო და სასიამოვნო მოსაუბრე.

1970 წელს /თუ არ ვცდები/ ხუთი ავტორის პოეზიის საღამო გაიმართა მწერალთა კავშირში. ამ საღამოს გამართვის ინიციატორი მაშინდელი მწერალთა კავშირის თავმჯდომარე გრიგოლ აბაშიძე იყო. გიგლა სარიშვილი/თარგმანებით წარსდგა/, თედო ბექიშვილი, ჯარჯი ფხოველი, მე და ვანო ჩხიკვაძე. საღამო კარგი გამოვიდა. ეს იყო ერთ-ერთი პირველი წარდგინება ახალი თაობის მწერლებისა ფართო საზოგადოებისა და უფროსი თაობის შემოქმედთა წინაშე. ცხადია, იგრძნობოდა ზემოდან ცქერა, ირონიული ღიმილი, მაგრამ გამოიკვეთნენ თანამდგომნი, კეთილმოსურნენი და ერთ-ერთი პირველი გრიგოლ აბაშიძე, კავშირის თავმჯდომარე იყო.

ამ წარდგინების შემდეგ მორის ფოცხიშვილმა მოინადინა ჩვენზე ზრუნვა და ისე რომ ჯერ წიგნიც არ მქონდა გამოცემული და კანტიკუნტად ვიბეჭდებოდი „ცისკარში" და "ახკომში" 1971 წელს მე და ჩემი მეგობრები, სრულიად მოულოდნელად, გამონაცვალი ბინებით დაგვასაჩუქრეს.

მაშინ მომცეს ოთარ შალამბერიძის გამონაცვალი ბინა ბორჯომის ქუჩაზე, ფართი 19 კვ. მეტრი, მაგრამ ჩემთვის იმხელა სიხარული იყო, რომ ენით ვერ აღვწერ. იოლად მისაგნები ბინა მალე შეეჩვია ნაცნობ-მეგობრების ხშირ სტუმრობას. ცხონებულმა ყარამან კიკვიძემ, შესანიშნავმა მწერალმა, რომელთანაც დიდი მეგობრობა მაკავშირებდა, კედლის განჯინაში წიგნის თაროები ჩამისვა და ირგვლივ მოაპირკეთა კიდეც. ყარამანმა მამისგან იცოდა დურგლობა და ეხერხებოდა ასეთი რამეების კეთება, როცა თავისთვის ან მეგობრისთვის იყო საჭირო.

1972 წელს გამოიცა ჩემი პირველი წიგნი „ლექსები" და მწერალთა კავშირში წარსადგენად რეკომენდაციები და-

26020

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიწერეს ოტია პაჭკორიამ, გივი გეგეჭკორმა და ბესიკ ხარანაულმა. ესენი ასე ჰაიჰარად რეკომენდაციას არავის უწერდნენ. იმავე წელს მიმიღეს კიდეც მწერალთა კავშირში, რომლის დისკრედიტაცია და დევალვაცია თავის პიკს მიაღწევდა გარკვეული დროის მერე და საიდანაც გამოსვლა მოგვიწევდა არაერთს, სრულიად გასაგები მიზეზების გამო. ხრწნა მაშინ უკვე დაწყებული იყო და ჩვენ ჯერ კიდევ ვერ ვგრძნობდით, თუმცა მიკვირდა რატომ, რაში მაძლევდნენ ბინას, ან სამსახურს ან რაიმე სხვა სიკეთეს, როცა გაფაციცებული ვიყავი, როგორმე დამეცინა ქვეტექსტურად, მინიშნებით, არსებული რეჟიმისთვის და ვახერხებდი არცერთი სტრიქონი არ დამეწერა იმათ სასარგებლოდ. თუმცა ამ თემაზე უკვე გიამბეთ, როცა ყუილი შარტავა გავიხსენე.

წლების მერე, გრიგოლ აბაშიძე პირველ აგვისტოს, თავის დაბადების დღეს, ისე არ გადაატარებდა არ დაეძახა ბესიკ ხარანაულისთვის, ჯემალ აჯიაშვილისთვის, ლია სტურუასთვის, ჩემთვის და უფროსი თაობიდან რამდენიმე აღიარებული მწერლისთვის. ვყოფილვარ მასთან წყნეტის აგარაკზე, თბილისის სახლშიც კეკელიძეზე, მახსოვს ფიროსმანის და გუდიაშვილის ორიგინალებით დამშვენებული მისი ბინის კედლები. ამ ტრადიციას მერეც აგრძელებდა მისი ოჯახი.

ერთხელ საუბრისას სიტყვა გენიალურ ხალხურ ლექსზე ჩამოვუგდე „ბინდისფერია სოფელი". კერძოდ კი ბოლო სტროფზე ვამახვილებდი ყურადღებას:

**მოვა სიკვდილო უჩინო,**
**ერთ წამში აგვყრის იარაღს,**
**ჩვენ რას წავიღებთ ქვეყნიდან,**
**სხვას არა წაუღია რა...**

ვვარაუდობდი, რომ ეს სტროფი კიდევ უფრო ახალი იყო, ვიდრე მისი გენიალური წინარე სტრიქონები, რადგან ბოლო სტროფში მკაფიოდ ჩანს ლიტერატურული კვალი და ვერსიფიკაციული ოსტატობა, რაც არ ახასიათებს ხალხურ ლექსებს.

ბატონმა გრიგოლმა მითხრა, რომ ეს სტროფი მისი დაწერილია და იმდენად გახალხურდა, რომ არც აპირებს იმის მტკიცებას, რომ ნამდვილად მისია. მიუხედავად ამისა, ჩემთან საუბარში დაადასტურა, რომ ეს სტროფი მას ეკუთვნის.

— ბატონო გრიგოლ, მერიდება, მაგრამ უნდა გითხრათ. ძალიან გვჭირდება, ის ამბები ვიცოდეთ, რასაც თქვენ შესწრებიხართ და ჩვენთვისაც აუცილებელია მისი ცოდნა. რამდენი რამ გექნებათ მოსაგონებელი. — ჩაფიქრდა, თავი გადაიქნია და დამეთანხმა, რომ მართლაც ბევრი რამ ახსოვს და იცის.

ბოლო დროს „ჩვენი მწერლობის" ფურცლებზე გამოჩნდა გრიგოლ აბაშიძის მოგონებები ფრაგმენტულად. სულ მაინტერესებს, როდის დაიწყო მოგონებების წერა. ერთხელ ჩინოს, მწერლის შვილს ვკითხე და მიპასუხა: კარგა ხანია წერდა , მაგრამ მეტი ვერ მოასწრო.

— გამოძვრნენ ხომ „ზაკვოს" ბუნაგიდან სიგოვანი და კიტუა?

რატომღაც დღეს ამეკვიატა მეგობრის ნათქვამი ეს ფრაზა და წამოჰყვა მთელი კასკადი მოგონებისა. რა მანძილია „ზაკვოს" ბუნაგიდან ბალტიის ფლოტის „სტუმრობამდე?!" მანძილი არც არის, იქვეა, ერთადაა. „ზაკვო" კი გაიყვანეს, მაგრამ ენგურთან გავლებული საზღვარი ვის კისერზეა, კარგად ვიცით.

## ფასო

ალექსანდრე ერქვა, ყველა ფასოს ეძახდა. ფასო მოვიდა, ფასო. შემოაღებდა კარს, რწევა-რწევით წამოვიდოდა ჩემკენ, ხელს გამომიწვდიდა და ჩამომართმევდა. ტანადი, შეხედული ბიჭი იყო, მაგრამ ამღვრეულ მზერასა და სიარულისას ხელების უკონტროლო ქნევაზე თუ გაამახვილებდა უცხო ვინმე თვალს და რამე საეჭვოს გაიფიქრებდა. დიპლომიანი ექიმი, ბიჭობაში ფეხბურთელი, ორივე საქმეს ჩამოსცილებია და ლექსების წერისათვის მიუყვია ხელი. ჰყვებოდნენ, რომ დიდი ტრაგედია გადაეტანა, თუ ამას გადატანა ერქვა, ახალგაზრდა, ახლადშერთული, ლამაზი ცოლი გაქცევია შინიდან. რატომ, რისთვის, ვისთან, არავინ იცოდა. ზოგი ამბობდა, რომ ცოტა აურია და ცოლმა იმიტომ მიატოვაო, ზოგი კი პირიქით, ცოლი გაექცა და მერე დაეტყო ფსიქიკური გადახრებიო. აგრესიული არ იყო და არავის არაფერს უშავებდა. პოეზია ეპოვნა თავშესაფრად და იქ იყო გამუდმებით. ბევრს კითხულობდა და ზოგჯერ ორიგინალური დაკვირვებებიც ჰქონდა. ჩამოაგდებდა სიტყვას რომელიმე წიგნზე და გაკვირვებული ვუსმენდი, ბორძიკით, მაგრამ საინტერესოდ მსჯელობდა, მერე უცებ ამოვარდებოდა კალაპოტიდან და სხვაგან გაუტევდა. ლექსებსაც ასე წერდა, ალაგ-ალაგ გასაგებად, ალაგ-ალაგ გაუგებრად, მაგრამ ამას არ ვჩიოდი, გაუგებრად და უფრო სულელურად ზოგი გაბერილი სახელის პატრონიც წერდა და რაღა ფასოსთვის შემეტია, თუ სხვას არ ვუტევდი. ეს გენიოსობაზე მაინც არ დებდა თავს და არც ნარცისიზმით იყო შეპყრობილი. თავისთვის წერდა, ეს წერა აძლებინებდა და ასულდგმულებდა და დროდადრო მადლი იყო რაიმეს დაბეჭდვა, მისთვის ცხოვრებას აზრი რომ არ დაჰკარგვოდა. „მნათობში" ბესიკ ხარანაული ეხმარებოდა და უბეჭდავდა რაღაცებს, მე გამომცემლობაში ვუვლიდი მის ბროშურებს, სადაც ლექსები იყო დაბეჭდილი. ალექსანდრე გიგიტაშვილი, იგივე ფასო, შეიძლება წაგიკითხავთ კიდეც მისი ლექსები ან ყური მოგიკრავთ.

ერთი ბედნიერება იყო, სიხარულით გაბრწყინებულ თვალებს რომ შემომანათებდა. მადლი იყო. აბა, რა?! მისი ხელნაწერის ამოკითხვა ჭირდა, თორემ მერე პატარა ხელის გაკვრა სინტაქსურ შეცდომებზე და ზოგან ისეთი სტრიქონი, ისეთი ხილვა ამოხტებოდა, გაოცდებოდა კაცი. ასეთ რამეს მხოლოდ ზღვარზე მყოფი კაცი თუ დაწერს, მაგრამ მალევე სცდებოდა ზღვარს ხან აქეთ, ხან იქით და მთლიანობას ცხადია ვერ ქმნიდა.

ჩაწყვდიადებულ თბილისში, ნავთქურის სუნით ჰაერდახშულ კაბინეტში შემოაბიჯებდა და რამე ახალი წიგნი მინდაო, მთხოვდა. შეგუებული ვიყავი ამ ვითარებას და თავს ვალდებულად ვთვლიდი, დავხმარებოდი რაიმეთი. „რჩეულთა ბიბლიოთეკის" წიგნები უყვარდა ძა-

ლიან და თუ რამე ახალი გამოცემა მქონდა, ვაჩუქებდი, სიხარულისგან აღარ იცოდა, რა ექნა. იყო პერიოდები, როცა რაღაც დროით იკარგებოდა და რომ მოვიკითხავდი, ვილაც მეტყოდა, არ მახსოვს ვინ, დედა და დეიდა პატრონობენ და დროდადრო საავადმყოფოში აწვენენო. უცებ ისევ გამოჩნდებოდა, რნევა-რნევით, ხელების უკონტროლო მოძრაობით. ერთხელ ცალკე გამიხმო და მითხრა, სასწაული წამალი უნდა გაჩუქოო.

— ფასო, არა ვარ ავად. წამალი არ მინდა.

— ძმობას გაფიცებ, უარი არ მითხრა, მეწყინება.

— ფასო, გაიგე, რომ წამალი არ მჭირდება.

— გამომართვი, თორემ მეწყინება.

მივხვდი რომ წინააღმდეგობას აზრი არ ჰქონდა და დავყაბულდი. აი, რა მითხრა ფასომ მაშინ:

— ძმაო, შენ იმდენი ამაგი გაქვს ჩემზე, რომ რით გადაგიხდი, არ ვიცი. ამ წამლებს მე მაძლევენ, ჰუმანიტარული დახმარებაა და ბლომად მაქვს, ეს ორი მუჭა შენ გქონდეს, ნუ მაწყენინებ. ტვინის მკვებავია, მაწყინარი არ არის, გამომართვი. პიჯაკის ჯიბეში ჩამიყარა ორი მუჭა კაფსულები. გაოგნებული ვიდექი ჩემთვის და ვფიქრობდი, ახლა დალევაც რომ დამაძალოს, მერე ნახეთ ჩემი სეირი. არ დაუძალებია.

ფასოს ზაფხულობით ვხვდებოდი ქვიშხეთში. ცოლშვილი მიმყავდა აგარაკზე დიმიტრი ყიფიანის სახლში. რომელიმე ოთახში დავბინავდებოდით და ეგრევე ავუყვებოდი ტყისკენ. ავუვლიდი სასაფლაოს, სადაც საფლავზე ამოსულ ბებერ ხეზე ბუდე გაემართა ლაბუა ჩიტს და ბარტყებს ფრენას ასწავლიდა. იქვე თენგიზ აბულაძის სახლი იდგა, მგონი ცოტა ზემოთ. ვისეირნებდი "პალიანკაზე", ასე ეძახდნენ რატომღაც პატარა მინდორს ტყის პირას, თან დანომრილი იყო, პირველი, მეორე და ა.შ. დავბრუნდებოდი და დაღლილი ჩემს საწოლზე მივეგდებოდი. უძილობა და ნამგზავრობა თავისას გაიტანდა და ჩამთვლემდა. ვილაც შემანჯღრევდა და თან ჩამძახებდა:

— გივი, გივი, ახალი ლექსი დავწერე.

პირველად რომ დამადგა მძინარეს თავს, მეგონა მესიზმრებოდა, მაგრამ ცხადი აღმოჩნდა. როგორც გავარკვიე ქვიშხეთში მამაპაპეული სახლი ჰქონია, თვითონ ყოფილა ერთადერთი მემკვიდრე და დედასთან და დეიდასთან ერთად, ყოველ ზაფხულს აქ ისვენებდა.

სიმართლე გითხრათ, ძალიან შევწუხდი, რადგან ვიფიქრე, რომ ჩემი დასვენება ჩაიფუშა. მაგრამ როგორც გაირკვა, თავს არ მაბეზრებდა და მხოლოდ მაშინ მომძებნიდა, როცა რაიმე ახალს დაწერდა. ასე იყო ყოველ ზაფხულს. წელიწადის სხვა დროს კი ხან დიდიხნით იკარგებოდა, ხან ისევ გამოჩნდებოდა. რამდენიმე წელია გამომცემლობაში არ გამოჩენილა.მეორე წელია, არც მე ვარ გამომცემლობაში, წამოვედი. ვერაფერი გავიგე, არც ის ვიცი, სად ცხოვრობს, სადა აქვს ბინა. ვილაცამ ამბავი მოიტანა, რომ ჯერ დედა გარდაცვლილა, ხოლო შემდეგ დეიდა და დარჩენილა მარტოდ-მარტო. ამბის მომტანმაც ყურმოკვრით იცოდა და დაზუსტებით ვერაფერს ამბობდა. სულ ველოდები, რომ ახლა შემოაღებს კარს, შემოვა რნევა-რნევით, ხელებს უკონტროლოდ გააქან-გამოაქანებს, ჯიბიდან ახალ ლექსს დააძრობს და მთხოვს წავიკითხო, მაგრამ არ ჩანს, არ მოდის, საეჭვოდ დაიგვიანა.

## მურმან ლებანიძის დანაბარები

გამომცემლობიდან საბურთალოზე მივდიოდი. მურმანი მანქანით იყო და არ მომეშვა, გაგიყვანო. ჩავუჯექი, გზად, ვიდრე მივდიოდით, წუხანდელ ლექსს წაგიკითხავო და ზეპირად მითხრა ის ლექსი, მერე რომ მესამე ტომში აღმოვაჩინე, მივაგენი და აქაც გადმოვბეჭდე:

მე ხომ ვიცი, ვიქცევი
ხვალ-ზეგ სამარეთო, —
რათა დამაკაიფოს , —
ლექსი დამარეტოს, —
ახლა დილის ხუთია, —
ვწრუპავ "ამარეტოს"

მე ვერ გავეჯიბრები
ვაჟას ლექსის თოხნაში!

ტატოს — საკაცობრიო
კვნესასა და ოხვრაში!
რუსთველს — ხოდაბუნების,
ზღვიდან ზღვამდე მოხვნაში!..

მაინც მიღრენს ათასი
ჩათლახი და ოღრაში!..

მე ხომ ვიცი, ვიქცევი
ხვალ-ზეგ სამარეთო, —
რათა ლექსი დამცეცხლოს,
ლექსი დამარეტოს,
ახლა დილის ხუთია,
ვწრუპავ "ამარეტოს"!

*2000*

ბოლოს საავადმყოფოში ვინახულე ბატონი მურმანი. გაუხარდა ჩემი მისვლა, ბევრი ვისაუბრეთ. მერე ერთხანს გაყუჩდა და ქალბატონ ლენას (მეუღლეს) სთხოვა — რაღაც მაქვს სათქმელი გივისთვის და დაგვტოვეო. ქალბატონმა ლენამ გაიკვირვა და შეეწინააღმდეგა კიდეც, რა გაქვს ჩემთან დასამალიო? ქალბატონი ლენა მაინც არ გავიდა პალატიდან, მოშორებით დადგა და მერე, როცა კარი გამოაღო და დერეფანში გაიხედა, მურმანმა წამჩურჩულა: როცა წავალ ამქვეყნიდან, შეეცადე ისეთი ადამიანები მოძებნო და შეკრიბო, ვინც ჩვენი ფასი იცის და ჩვენი სადღეგრძელო შესვითო.

გული ამიჩუყდა და თავი ძლივს შევიკავე. მისი გამხნევება ვცადე, მაგრამ ამაოდ,სრულიად მკაცრი და მშვიდი იყო. პირობა მივეცი, რომ შევასრულებდი მის თხოვნას, სასწრაფოდ დავემშვიდობე და გავედი პალატიდან, აღელვებული ვიყავი და მეშინოდა თვალზე ცრემლი არ შეენიშნა.

ეს იყო მურმანის ანდერძი, რატომღაც მე გამიმხილა და სხვას არავის.

შარშან მოვახერხე ვიწრო წრეში ამ ანდერძის აღსრულება.

ხშირად მოდიოდა ჩემთან „მერანში" თავის ოთხტომეულს დასტრიალებდა, თვითონ უკეთებდა ტექრედაქციას, თვითონ არჩევდა დიზაინს, გოგი წერეთელთან ერთად. დიდ პოეტობასთან ერთად ბრწყინვალე მესტამბე იყო. ერთ-ერთი ასეთი შეხვედრისას მურმანმა მოულოდნელად მკითხა: რამდენი წლისა ხარ? მგონი 56 წლის ვიყავი მაშინ და ვუთხარი, ან რა მქონდა დასამალი. ჩაფიქრდა და: იცი, რა უნდა გითხრა? დროზე დაიწყე არქივის დალაგება, მე რომ შენი ხნის ვიყავი, ამეებზე არ ვფიქრობდი, ახლა კი ყველაფერი თავზე მაყრია და ველარ ავუდივარ.

ახლა ვზივარ და მურმანის რჩევას ვასრულებ, ვალაგებ არქივს, ვადგენ ჩემს რამდენიმე წიგნს და ხშირად მახსენდება ეს საოცარი ადამიანი და პოეტი, მამაჩემის თაობის კაცი, რომელსაც ჩემზე დიდი ამაგი აქვს.

1999 წელს სახელმწიფო პრემიაზე იყო წარდგენილი ჩემი ლექსების კრებული "გამოსვლა უდროობიდან". მაშინ პროზაში წარდგენილი იყო შესანიშნავი პროზაიკოსი ჯემალ ქარჩხაძე, სამწუხაროდ — უდროოდ გარდაცვლილიყვნენ სხვებიც და, როგორც ყოველთვის, პოეზიაში დიდი კონკურენცია გაჩაღდა. ერთ-ერთს მფარველობდა სამხარეო გუბერნატორი /არც კონკურენტს ვასახელებ, არც მხარეს, არც გუბერნატორს/.

როგორც მურმანმა მოგვიანებით მიამბო, შევარდნაძეს დაუბარებია და უთხოვია, რომ პრემია მიეცათ გუბერნატორის პროტეჟესათვის. მურმანს უთქვამს შევარდნაძისთვის, რომ თხოვნას ვერ შეასრულებდა და, თუ დააძალებდა, მაშინ დატოვებდა თანამდებობას, რომ მავანისთვის პრემიის მინიჭებით თავი მოეჭრებოდა შევარდნაძესაც და ლებანიძესაც. თითქოს შევარდნაძე მანამდე არ ყოფილიყო მრავალგზის თავმოჭრილი. შევარდნაძეს აღარ გაუწევია წინააღმდეგობა და უთქვამს, როგორც ჟიური გადაწყვეტსო.

იმ წელს მივიღე სახელმწიფო პრემია და, რომ არა მურმან ლებანიძე, მაშინ გუბერნატორის პროტეჟე გაიმარჯვებდა. გუბერნატორის პროტეჟეს წინასწარ გაეშალა სუფრა ქუთაისში, იმდენად დარწმუნებული იყო რომ პრემიას მიიღებდა. როგორც მიამბეს, სამწუხაროდ ლხინი არ შემდგარა.

მურმანი ყველაფერთან ერთად ვაჟკაცი იყო და უაღრესად სამართლიანი, საშინლად სძულდა აღზევებული უნიჭობა და ისიც, ამიტომაც, უნიჭოებს არ უყვარდათ, რადგან ჩალიჩში ხელს უშლიდა და პირშიც მიახლიდა — უნიჭო ხარ და რა ვქნაო.

გაანათლოს ღმერთმა მისი სული. ხოლო ანდერძს, ვიდრე ცოცხალი ვარ, ყოველთვის შევუსრულებ.

* * *

მას მერე, რაც პარნასკავშირი და საგამომცემლო კომბინატი გაიყო, პრივატიზებული საგამომცემლო კომბინატიდან პარნასკავშირს შენობის ოცდახუთი პროცენტი ერგო წილად, დაიწყო კიდეც სასამართლოებში ჩივილი, დაპირისპირება, გაივსო ზიზღიანი თვალებით ირგვლივეთი, საითაც კი ვიხედებოდი და ამის მიზეზი ის იყო, რომ ყველა, რამდენიმე ასეული ადამიანი პოტენციურ მესაკუთრედ მიიჩნევდა თავს ან ცდილობდნენ საგამომცემლო კომბინატი ისევ ბიუჯეტზე დაეტოვებინათ და ძველებურად გაგრძელებულიყო მისი დაფინანსება ხელფასებიან-წიგნებიანად. მუხათწყაროს სახლი გავყიდე და საპრივატიზაციოდ დავდე თანხა. პარნასკავშირის წევრების უმრავლესობა თვლიდა, რომ წილები უფასოდ ეკუთვნოდათ, როგორც მწერლებს, ასევე უფასოდ მოითხოვდნენ წილს ძველი მუშაკები , სტამბის მუშები, გამომცემლობის სტაჟიანი თანამშრომლები. ეს დაპირისპირება დიდხანს გაგრძელდა, როცა სასამართლოებით ვერაფერს მიაღწიეს მომჩივნებმა, მას მერე მწერკავშირმა თავისი ოცდახუთი პროცენტის ცალკე გამოყოფა მოითხოვა, რაც სამართლებრივად ეკუთვნოდათ კიდეც.

რაც პარნასკავშირს მოვშორდი ტყვეობიდან დახსნილივით ვგრძნობდი თავს, მაგრამ ამ განწყობილებამაც სწრაფად გამიარა, ისე სწრაფად, როგორც დრომ, ჩემი წლები რომ შთანთქა და ვირტუალურ სამყაროს მიმაჯაჭვა, საიდანაც გამოსვლა ზოგჯერ არც კი მინდა, მსგავსი მოგონებები, რომ არ მომეძალოს და ის საშინელებანი, რაც როგორღაც განვვლე, აღარ ამეკვიატოს და არც აღწერა მომინდეს. ლამის სიცოცხლის ფასად დამიჯდა, იმის დაწერა, რაც თქვენ წაიკითხეთ. შევეცადე შემეკუმშა სათქმელი და გვერდი ამევლო უამრავი საჩოთირო ამბისთვის და თუ ზოგი რამ მაინც გიამბეთ, უნდა გამოგიტყდეთ, რომ წერისას უსიამოვნო შეგრძნება ხშირად მეუფლებოდა, მაგრამ მაინც ვწერდი, რადგან იმის ილუზია გამიჩნდა, რომ ვინმეს მაინც დააინტერესებს მომავალში და თუ არ დააინტერესებს, არც ამით დაშავდება რამე, საკუთარ თავს კი უკვე დავუშავე რაღაც, რასაც ჯერ სახელს ვერ ვარქმევ, მარამ დაახლოებით ვხვდები.

ბოლო წლებში, საგამომცემლო კომბინატში ჩემი მონადინებით დავით მჭედლური გადმოვიყვანეთ მთავარ რედაქტორად. მანამდე იგი, პარნასკავშირიდან გაძევებული, როსტომ ჩხეიძემ შეიფარა. დღესაც დათოს ლექსებს რომ ვკითხულობ, მის ადამიანურ თვისებებს ვიხსენებ, საშინლად მწყდება გული იმ უბედურებაზე, რაც 2005 წელის 24 მაისს მოხდა. მისი თვითმკვლელობა თავზარდამცემი იყო ჩემთვის, ბევრისთვის, რადგან ბოლო პერიოდში დიდად დავმეგობრდით და ბევრი რამ გავიგე მისგან პარნასკავშირის მაქინაციებზე, რაც გიამბეთ კიდეც და სადაც იგი სიმართლის თქმის გამო ზედმეტი აღმოჩნდა.

ახლა, როცა ვიხსენებ დათოს ლექსს „ნაცრისფერი კაცი" მზარავს და ვხვდები, რას უძლებდა იგი, ჩემი არ იყოს, კომუნისტი მაქინატორების ხელში ჩავარდნილი.

მისი არქივი გულდასმით მაქვს სანახავი. აკურატულად ინახავდა ყველა საჭირო დოკუმენტს და ბევრი რამ მეც მაჩვენა, ზოგი რამ მივიჩნიე, გამომექვეყნებინა კიდეც. მისი თვითმკვლელობის თავზარდამცემ ამბავს ისიც მოჰყვა, როგორც მისმა მეუღლემ შემატყობინა, თურმე ჩემთვის დაუტოვებია ანდერძი, რომელსაც აქვე დავბეჭდავ, როგორც იმ უმძიმესი დღის მოსაგონარს და ჩვენი ძმობის საბუთს..

**დასასრული შემდეგ ნომერში**



ხელოვნებაში პათეტიკა უხერხულობის გრძნობას აჩენს. ჯანსულს არაერთგზის დაურღვევია ეს აქსიომა. ქართულ პოეზიაში, უიშვიათესი გამონაკლისის გარდა, მხოლოდ ჯანსულ ჩარკვიანი ახერხებს ლექსი დროშასავით გაშალოს და მისი სემანტიკა ჰერალდიკად ისე აქციოს, წამითაც არ დაუკარგოს მომხიბვლელობა (ამის მაგალითად ჰიმნად ქცეული მისი გაფრთხილებაც კმარა ლომთახვედრ თავისუფლებაზე). უჩვეულოდ თბილი და მელოდიურია ჯანსულ ჩარკვიანის ლირიკა. სიცოცხლისა და იმედის დამამკვიდრებელ მეტაფორათა წყებას კი, სვანური კოშკებივით რომ ლაპლაპებენ ჩვენი ბედის ურთულეს რელიეფზე, კიდევ ერთი ულამაზესი ხილვა შეემატა:

„სიბერეც მზისფერია — გაუმარჯოს სიბერეს".

ასე მხოლოდ სულით ახალგაზრდა, გაუტეხელი კაცები ეგებებიან განსაცდელს. ჰერმან ჰესემ იცოდა, ასაკიც რომ განსაცდელი იყო. ამიტომაც მისი ბავშვობის ბაღში მწიფე ნაყოფივით ხეებზე სიბერის ღირსებაც ღუოდა.

2008 წლის აგვისტო-სექტემბერში დაწერილი ეს ლექსები აგვისტო-სექტემბრის მზით სავსე თასივით უჭირავს პოეტს ხელში და ჩვენი სვეგამწარებული სამშობლოს სადღეგრძელოს ე.ი. ლოცვას ამბობს.

ჯანსულ ჩარკვიანი

# მზე და ღრუბელი

## გაიღვიძე საქართველო!

არცა წუხელ არ მეძინა,
მზეც ღამეში ჩაიძირა,
ვზივარ, მახვშის სკამზე ვზივარ.
საქართველოს მაინც სძინავს.

გასჩენია ბზარი მუხლებს,
ჩაჩოქილა მთა და მდელო,
გთხოვ, ღრუბელო, დაიქუხე,
გააღვიძე საქართველო.

გწამდეს, ძველი ფარი გვიძლებს,
ახლა ვინ თქვა ჩვენი ძილი,
საქართველო, გაიღვიძე,
ჩვენ, ვტირით და ვერ ვიცინით.

ფიქრიც ველარ გადის ხიდზე,
ჩვენი რთველიც აღარ რთველობს,
გაიღვიძე, გაიღვიძე,
გაიღვიძე, საქართველო.

მტრისა ფიქრის მიმხვედრი ხარ,
მტერმა ფეხქვეშ არ გაგვთელოს,
მარიამის წილხვედრი ხარ,
გაიღვიძე, საქართველო!

## მამა

მამა —
დაისის მწუხარე ცეცხლი,
მამა —
ნაღველის გასხივოსნება,
ზოგს, დაუტოვეს
ოქრო და ვერცხლი,
ზოგს, ბორკილივით
პატიოსნება.

როს, სამებაში
დავანთებ სანთელს,
როს აინთება
დილის საარი,
უპირველესად
ვაღმერთებ ქართველს,
ქართული სისხლი
მაინც სხვა არი.

წამწამთ მსწრობელი
ყოფილა წამი,
დაბადებამდე
ვიყავ ცხრა თვისა,
ღმერთო, მარგუნე
გზა ჩემი მამის,
გზა, კაცობის და
გზა, სიმართლისა.

## ძმობის მზე

*ჟიული შარტავას*

ვერც დაჩოქება შეძლო და
გვიგინა აკვნის გამთლელი,
მაშინაც რუსი გვებრძოდა,
მაგრამ გვებრძოდა ქართველიც.

მარადის იყავ იმ მოდგმის,
ღვთის ძალა ვისაც მიეცა,
შენ, შერიგებას ცდილობდი,
მოუწოდებდი კიდეცა.

შენ სვამდი შენივ ჭურიდან,
არ გქონდა არცვის ქებანი,
შორს იყო შენგან შური და
მოძულე კაცის ვნებანი.

შენ, მარად ძმობის მზეს ახლდი,
გული კვლავ ვერ გთმობს მზისაო,
ძმებს სიყვარულით ეძახდი, —
დროაო ერთობისაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაანთე ძმობის სანთელი,
რაც ბევრს ნიშნავდა იმჯერად,
ეჰ, ვის უჯერებს ქართველი,
ჰოდა, შენც არ დაგიჯერა.

დღეს, ძმა ძმას, შურის მზერით წვავს,
შურით და ბოღმით ვმდიდრდებით,
ნეტა დღეს ჰყავდე ჩვენს მიწას,
დღეს უფრო მაგრა გვჭირდები.

## სიბერე მზისფერია

*ირმას*

კოშკში, მე რო აგიგე —
მზისა ფერზე მღერიან,
მზისა ფერი, გამიგე,
უძველესი ფერია.

ღმერთმა იცის, სად მივალთ,
მზისფერი შეიფერე,
ჩვენ, ამ კოშკში სამნი ვართ, —
მე — და, შენ — და, სიბერე.

მზის სხივები მღერიან,
მზისგან შორს არს სიბნელე,
სიბერეც მზის ფერია, —
გაუმარჯოს სიბერეს.

დრო და ჟამი ბრძენია,
ხან ტირის და ხან მასხრობს,
რა კარგია, ძველიდან
არაფერიც არ მახსოვს.

## ანა

პოეზიის შუა ზღვაში
ანა ნავებს,
თუ უყურებთ, რა ლამაზად
ანანავებს.

არ გაქრება, შენი ლექსის
აბადონი,
შენი ლექსის ზეციური
კაბადონი.

ჩინებულო, ერის მშვენო,
მშვენიერო,
ღვთისა ნებით, ერთადერთო,
შენმიერო.

თანადგომით, იდუმალო
და ფარულო
სათნოების ლურჯი ნისლით
დაფარულო.

ვერც ვერავინ ვერ შეგიცნო —
ნეტა ვინ ხარ?
იმ სოფელში ბედნიერი
ნეტარი ხარ.

## სამშობლო

მე ვეუბნები
ჩემი ქვეყნის ვითომ პატრონებს,
ვით ეკადრება ჩემს სამშობლოს —
ვარ პირში მთქმელი,
მე ვერსად წავალ,
ჩემს სამშობლოს ვერ მივატოვებ,
თქვენ, სადაც წახვალთ,
იქ იქნება სამშობლო თქვენი.

## 77

რა ხანია, ამ ქალაქის
ძველი მკვიდრი არი,
რაც იცოცხლა, სუყველა დღე
ჰქონდა ბინდიანი.

ქუჩა-ქუჩა ისე დადის,
ვითომ მშვიდი არი,
თუმცა, შუბლზე აწერია
ორი შვიდიანი.

## არჩევანი

*ჭაბუა ამირეჯიბს*

ძველს და ახალს
ვერ ანსხვავებს ქართველი,
დრო დავყავით
სიძულვილის კურსებად,
აფხაზეთი —
ზღვარზე იყო წართმევის,
დღეს, წაგვართვეს აფხაზეთი —
რუსებმა.

ყველა ტკივილს
ჩვენ სიმღერით განვიცდით,
ჩვენი ტვინი
კვლავაც მოუვლელია,
დღეს, არ ვიცით,
ვითომ, ვითომ არ ვიცით,
ქართველების
ხელიც რომ ურევია.

ცა დაბურეს
ხალხნო, ეშმას გვრიტებმა,
ძაღლის ყეფა
უკან მისდევს ქარავანს,

დამიჯერეთ,
ვამბობ ჭეშმარიტებას,
მოძულე კაცს
არჩევანი არა აქვს.

## ჩვენ, მტრებსა ვგავართ

ტირილი, ცრემლთა ციმციმით,
ძალიანა ჰგავს სიმღერას,
არ მესმის, ღამის სიცილი
როცა დღე ცრემლად იღვრება.

დღე არის ნაღდი უკუნი,
მეტი რა მემახსოვრება?
დამღალა, ამ საუკუნის
ნაღმა-უკუღმა ცხოვრებამ.

ეჰ, ჩემი თავი ჯანდაბას,
რა ეშველება შვილთაშვილს?
შენ გეუბნები, მატრაბაზს,
მომავლის დროშას ვინ გაშლის?

ცხოვრება იქცა „ბარდაკად" —
იცოცხლებთ, მართლა დიდხანსო,
ოღონდ, დღეს იყოთ კარგად და
დღე ხვალინდელი ვის ახსოვს.

და ფიქრობს ალბათ ქართველი,
გლახა დრო უდგას ქართველებს
როგორც შენა ხარ ნამრთმევი,
თახსირნიც ისე გვართმევენ.

## მართალი გზით

*ჯემალ ლალანიძეს*

ისიც ვიცი, ისიც ვიცი,
ყველა ვიცი ამქვეყნად,
მაგრამ შენი საოცრება,
რა ვქნა, ბევრმა არ იცის,
შენი ძალა, მართალი გზით,
სიყვარულით გამყვება,
ეგ ხალასი ერთგულება,
არის მიწის, არის ცის.

უგალობეთ უფალსაო, —
ახდენილა, რომ გითქვამს,
ეგ ლალანა შენი სახე,
ქართულ გვირგვინს ჩამოგავს,
ნუხელ „ლაზარეში" გნახე,
შენი გულწრფელობითა,
გეგაც შენთან ერთად იყო,
ვითარ ლოცვის წყალობა.

მაწყევართ და ურწმუნოებს,
ღმერთი მისას მიაგებს,
ქვეყნად მტერი მტერია და
არ არსებობს მტრის ხატი,
არ შედრკე და მაგრად დადექ
ვითარ ციხე-სიმაგრე,
მტერნი განბილდებიან და
შენ იხარებ ღვთის მადლით.

## „შუა კაცი ვარ უბრალო"

*(აკაკი)*

ის, მოკვდა და ცისა გახლავთ,
ეს, ცოცხალი, მიწისაა,
ვერც ვერაფერს გეტყვით ახალს,
ვინ, მიწის და ვინ, ცისაა.

ბედმა ერთი არ მაღირსა,
არც მიწის ვარ, არცა ცისა,
ყოფნა მინდა აკაკისთან,
მაგრამ ეშმა არ მაცლისა.

რა მქონდა და რა ნამყვება,
ნეტა ვისმე თუ აქვს განცდა,
აი, სულის აჯანყება, —
გარდაქცევა შუაკაცად.

## ხალვაში და ბალაფში

ჩაქრა უფლისა სანთელი,
სულ ტყუილად ყეფს ნაგაზი,
ხალვაში არის, — ქართველი,
ბალაფში კიდე — აფხაზი.

მე, ნამდვილ აფხაზს თავს ვუხრი, —
ვინც ჩვენს ძმობაში ათენებს,
უნდა მოვსთხოვოთ პასუხი,
გააფხაზებულ ქართველებს.

## მუზა

მუზა, ხშირად მომდიოდა,
მერე, უცებ გაფრინდა,
მე მეგონა, თბილისიდან,
გაფრენილა სარფიდან.
გაფრენილა, ჩემივ სულის
დაფნიდან და აფრიდან,
მე ვიცნობდი ცხრა წლიდან და
ის მიცნობდა ცხრა თვიდან,
რა ვიცოდი, დედა — მუზა
შვილად აღარ ჩამთვლიდა,
მცივა, მცივა უშენობით,
ველარ, ველარ გავთბი და —
მოდი, მოდი გევედრები,
უშენობა რათ მინდა?



ჯემალ ინჯია

დაიბადა 1937 წლის 14 იანვარს ქ. გორში.

წარჩინებით დაამთავრა ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის გორის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი.

პირველი ლექსი გამოაქვეყნა გორის საქალაქო გაზეთში („სტალინელი“) 1955 წელს. პირველი წიგნი „ლიახვმა თქვა“ გამოსცა 1965 წელს.

სხვადასხვა დროს მუშაობდა: გაზეთ „გამარჯვების“ განყოფილების გამგედ, კულტურის საქალაქო განყოფილების გამგედ, საქინფორმის კორესპონდენტად... 1980 წლიდან ხელმძღვანელობს შიდა ქართლის სამწერლო ორგანიზაციას.

გამოცემული აქვს ოცზე მეტი წიგნი, თეატრებში დაიდგა მისი ერთი ორიგინალური და ოთხი თარგმნილი პიესა. მისი ლექსები თარგმნილია უკრაინულ, რუსულ, ლიტვურ, უზბეკურ, ოსურ, ინგლისურ, სომხურ, რუმინულ ენებზე.

დაჯილდოებულია ღირსების ორდენით, მინიჭებული აქვს გალაკტიონ ტაბიძის პრემია, არის საქართველოს მწერალთა კავშირის 2004 წლის ლაურეატი პოეზიაში.

ქართულად თარგმნა ედგარ პოს, სერგეი ესენინის, ალექსანდრ ბლოკის, ვლადიმერ მაიაკოვსკის, კონსტანტინე სიმონოვის ლექსები და პოემები. პორტუგალიური ლიტერატურის კლასიკოსის ლუიშ კამოენსის სონეტები, რომლებიც გამოქვეყნდა ქართულ პერიოდულ პრესაში და პოემა „ლუზიადები“ (ეს უკანასკნელი თავისი მოცულობით „ვეფხისტყაოსანზე“ დიდია და, გასაგებ მიზეზთა გამო ჯერ არ გამოცემულა). მთარგმნელის გარჯას გაზეთმა „საქართველოს რესპუბლიკა“ მიუძღვნა ვრცელი სტატია სათაურით: „ჯემალ ინჯიას პოეტური გმირობა“ (2004.6.X).

## საგზაო ლოზუნგი

შენს თავზე როცა მიანიშნებდი,
სიბერეს როგორ გვიან იმჩნევდი, —
იმედს აძლევდი ჯანგატეხილებს.
სულაც არ გსურდა ახალ თაობას
მწვანე ქალაში დამდგარ ჭაობად,
წურბელად ანდა ჭანგად ეხილე.

სულ არ შეგცვლია ცხოვრების ნირი:
კოცნი, სვამ, ლოცავ, თამაშობ, ყვირი.
ხან სიხარულშიც ხარ მგლოვიარე,
როგორც წარწერა სომხეთის გზაზე
გადარეულ მძღოლს აფრთხილებს ასე:
„თუ გეჩქარება, ნელა იარე!“

* * *

რომ ვცოდავდით ჩვენს ღარიბულ ლექსიკონთან,
სადილად რომ არა გვდგმია სავსე თეფში, —
ლხენით ვთვლიდით, ვის რამდენი ლექსი გვქონდა
დაბეჭდილი რაიონულ გაზეთებში.

გამიტაცა შორეულმა ლაბირინთმა...
და „კეისარს“* გარს ეხვევა სტუდენტობა.
მან იქნება გაპატიოს ბლაგვი რითმა,
მაგრამ ის არ გაპატიებს უდენთობას.

და „ცისკარი“ და „მერანი“ და „ლიახვი“
იფურცლება სამკითხაო მზის კარტებად.
სანადიროდ ვზი მერანზე, დალი ალვირს
ხელთ მაჩეჩებს და ლიახვზე ცისკარდება.

1975.9.XI

* ოთარ ჩხეიძე

## კვართობა

დვანში ვიყავით, კვართობა იყო,
ძველი ქართული დღესასწაული.
იქ უნდა მოხვდე მუშაც, სწავლულიც,
ხალხის გულისთქმა რომ ყურად ილო.
ჩვენ არა ხორცის განცხრომისათვის
დავშვერით, განა გვწადდა გართობა:
დვანში ვიყავით, იყო კვართობა,
იყო თაყვანი მაცხოვრისადმი.

* * *

დღეს უნდა მახსოვრობას ვემონო
და ტვინში გავაცოცხლო ის კვირა.
მობრძანდი, ნოსტალგიის დემონო,
ჩემს თავზე დატრიალდი წისქვილად.

თითქოსდა ფიჭვნარში ვარ, იქ ტევრი
იშუშებს მოურჩენელ ნაფოტებს,
პუშკინის მუზეუმში რიხტერი
შოპენის ეტიუდებს აბოდებს.

## ალაზა ხაიაურს

როცა კახეთში ხანდახან
მოვინახულებ ალაზანს,
შენ მახსენდები. სადა ხარ,
ხაიაურო ალაზა?!
არა გჩვეოდა სიმკვირცხლე,
ვითარცა მოქნილ ავაზას,
მაგრამ მამულის სიკვდილზე
ფიქრს უკრძალავდი ავაზაკს.
ყურებში მიდგას შენი ხმა:
ცხოვრება უნდა ლამაზად!

ჩემს სურვილს არც მე შევნიშნავ
და დავამატებ ამასაც:
თუ ლექსის დარაჯებივით
ფეხზე მოვკვდებით, ალაზა,
ვერ შეაკავებს ჯებირი
ქალის ცრემლების ალაზანს.

* * *

ბგერებად იღვრება იოსებ ჰაიდნი...
სუფრაა გაშლილი მურაბით, ჩაიდნით.
„დაისხით ფინჯანზე მდუღარე წყალი. ლელვს
წაავლეთ კუნწზე და კბილებში ჩაიდნეთ", -

ამგვარად მარიგებს მაესტრო სტრავინსკი,
სტრავინსკი, რომელიც არ არის მრავინსკი.
ფინჯანი ლამბაქით მაგიდის კიდეზე
ნელ-ნელა გავწიე და ვისკი დავისხი.

## მერის

კარმელიტების ორდენი
ისე არ სნამდა კარმელიტს,
როგორც მიყვარდი, მერი, მე,
ჩემს თვალზე ცრემლის მომდენი.
(ამ თვალში მაშინ კარმენი
უხუნდებოდა მერიმეს)

გაზრდილო სულ სხვა საქმროსთვის,
შენთან ქებანი მცირენი,
ხმამაღლა ვერ კი მებოდა
და გწერდი პირველ აკროსტიხს:
„მთაში დაჭრილი ირემი
ერკემალს ერკინებოდა"...

## არჩილ ებრალიძე

ძლიერ პოეტებს,
მაგრამ ლაყე მოჭადრაკეებს,
ჭადრაკს თვით არჩილ
ებრალიძე ეთამაშება.
ოსტატის შიში
იგრძნობა, რომ ბოჭავთ ლაყეებს,
ჩემი აფრების
მე შემეძლოს ნეტავ აშვება.

ფორას აძლევდა
და იგებდა კაპიკებს „მტერთან"
მწერალთა ბალში.
ეჰ, არ შედგა ჩვენი პარტია.
ერთხელ ლუდის სმამ
მოგვიწია ბუფეტში ერთად,
დრომ მორიდება
(მერამდენედ) არ მაპატია.

დახლთან მივედი,
რამდენიმე ბოთლი გამიხსნეს.
დავდგი სუფრაზე,
ვფიქრობ, უნდა ეყოთ ამათ ეს.
არჩილი გაქრა,
ამფსონებმა ასე ამიხსნეს,
ფულს ისესხებს და
მაგიდაზე ლუდს მოამატებს.

ერთხელ სურათი
გადავიღეთ ლეონიძესთან,
ეს იყო და ეს,
აღესრულა საწყალი მალე.
ვნატრობდი: ნეტავ,
ავადმყოფი სახლში იწვეს და
მოჭადრაკეებს
მის მაგივრად ვუხდიდე ვალებს.

## ბაბუა მოსეს აღსასრული

ოთხივე მხრიდან სასახლეში მწოლს ხელი გკიდეს,
როგორც სუყველა მოკვდავი, შენც ბედს დამორჩილდი,
ვინ იფიქრებდა, რომ სოფელში კერას მოშლიდი,
ერთი ოქრო გაქვს, ისიც მდუმარ პირშილა გიდევს.

შენმა ვაჟებმა რა გიშველონ, ბაბუა, კიდევ,
არც ნიკო არის კრეზი და არც გაბო როტშილდი,
მეორედ როცა მოხვალ, თუ არ გაბოროტშვილდი,
ისევ აიტან ხურმის ხეზე საყურძნე გიდელს.

ისევ შეჯდები შენს ქურანზე, „მერნად" ცნობილზე,
დღეს კი რა გითხრა, მეზობლებმა მეც ამაღმუვლეს,
შენი სხეული ასე ულვთოდ რომ შემოფიცრეს.

ბედს დაემდურე: „საბნად თოვლი ვერ წამახურე!"
მეჩექმე ჰგავდი ნიკოლოზის ჯარის ოფიცერს,
ულვაშებს როცა იწკეპავდი წვერწამახულებს.

## თეთრი ფოთლები

*არ დაიჯერებ, არ დაიჯერებ*
*არ დაიჯერებ, თუ ვით სატრფო ხარ*
**ნიკოლოზ ბარათაშვილი**

მარტვილის მონასტრის ზარების დარისხვას
უფალი შემინდობს,
მაგრამ შენ?.. ეგრისს რომ ესმოდა ზარის ხმა,
სად იყავ შენ იმ დროს?
თავისთან ამიხმო ჭყონდიდის მაღლობმა,
ხეს ვაცლი დიდ ხაოს

და კოლხთა ამაყი დედოფლის მახლობლად
შენს ბედზე ვმკითხაობ.
არ გჯერა?.. ამასაც ხომ არა სჯეროდა,
თუ როგორ ეტრფოდნენ.
განახავ და ჩემს ფიქრებს მოგიტან — ჩეროდან
მოგროვილ თეთრ ფოთლებს.

* * *

შენი თოვლივით ტანი მიყვარს,
სიზმარ-კუნძულზე გაბინავებ.
რქაწითლის ფიცხი ტანინი ხარ,
მიხეთქავ სისხლის კაპილარებს.
შენთან წყლის ალი მიმიქარავს,
თვალი მაცდურად ჩამიკარი,
როცა არავინ მიმიკარა,
შენ გულში მაშინ ჩამიკარი.
შენ გულში მაშინ ჩამიკარი
როცა არავინ მიმიკარა,
თვალი მაცდურად ჩამიკარი,
შენთან წყლის ალი მიმიქარავს.
მიხეთქავ სისხლის კაპილარებს,
რქაწითლის ფიცხი ტანინი ხარ,
სიზმარ კუნძულზე გაბინავებ,
შენი თოვლივით ტანი მიყვარს.

## წვიმა

არ ვარ გულგრილი წვიმებისადმი,
რადგან ისინი ანაწილებენ
შეყვარებული წყვილებისათვის
კაეშანს, გულის გამაწვრილებელს.
წვიმა მოჰყვება ნაჯაფარ შუბლზე
შენზე წუხილით გაჩენილ ღარებს
და მიკვირს, რომ არ მეცლება ფუძე
განვლილი წლებით მდიდარს და ღარიბს.
არცვინ მაღელვებს, არცვინ მამშვიდებს,
რა დაგვრჩენია გარდა იმ წლების.
თუ არ გითხარი ამ წვიმაში დღეს —
როგორ მიყვარხარ, — გარდაიცვლები.

* * *

ჩემს კიდურებზე სევდის ბორკილებს
დარდის ციხეში გააქვთ ჩხარუნი.
დაგლანდე, მაგრამ წავიფორხილე
და დამენაცრა ეს სიხარული.
ჩემი ხატი ხარ უპირველესი,
შენ არ ამშვენებ სხვის ანტრესოლებს.
გთხოვ, არსენას ქლიბს თუკი ვერ მესვრი,
შენი ფრჩხილების ქლიბი მესროლე,
რომ მერე, როცა თავი ავიშვა
ჩემზე წამოგცდეს გულის სიღრმეში:
ღმერთმა იმდენად გამბედავი შვა,
ისევ ჩაჯდება დარდის ციხეში.

## გიჟური ვალსი

ვროკავდით, ჩვენს შორის იოტის
ოდენი ჰაერიც არ იდგა.
მიყვარდი, მწყუროდი, მტკიოდი,
მარიტკა, მარიტკა, მარიტკა.

კი განვლო მას შემდეგ დიდმა დრომ
(დრო გადის, უშენო დრო გადის),
მუსიკის სამსვლიან რიტმად რომ
ვიქეცით და ისე ვროკავდით.

არაფრად ვაგდებდით ეტიკეტს,
მოშურნე თვალების ისრებსაც
და ისე შევაჭდეთ მკერდი მკერდს,
ვითომ ეს არ იყო მისრესა.

ამყევი, გამყევი, დამყევი
მიწიერ ვნებათა როკვიდან,
კოსმოსში მზის თავბრუდამხვევი
ტრიალის მიბაძვა მოგვინდა.

ვროკავდით, ჩვენს შორის იოტის
ოდენი ჰაერიც არ იდგა.
მიყვარდი, მწყუროდი, მტკიოდი,
მარიტკა, მარიტკა, მარიტკა.

* * *

შიშობ, პოეტის საყვარლად რომ არ
დაგსახოს თვალმა ყოვლის მჭვრეტელმა
და ფრთხილად ავსებ აკრძალულ რომანს,
რომელიც ყდაში ველარ ეტევა.
ასეთ სიყვარულს სჭირდება ვერდი.
დაე, ნუ მიხვდეს ჭორის ცენზურა —
თახჩაში პიტნის ნაყენის გვერდით
რად გიდგას შხამით სავსე მენზურა.

* * *

კედელზე აკრულხარ, დაცხრილვის მოლოდინს
უცხო რამ ცახცახი სცოდნია ციების
ფოთლები ცვივიან, ვითარცა ბოროტი
პროკლამაციები.

მსურს, სასხლეტს გამოვკრა მთრთოლვარე თითები
და ჩემი თავივე გესროლო შრაპნელად.
აღსრულდა! და თუმცა მზესავით ვინთები,
ვერ გამჩნევ... რა ბნელა...

ნატა ვარადა

# სასძლოს გალობა

შენ, ჩემი იესო ხარ, ლამაზო კაცო
მხრები, მკლავებზე ნაკვეთი კუნთები —
მექალწულეს შესაფარი გუმბათია.
თვალები —
მწვანე შუქია
შენში უთავბოლოდ სახეტიალოდ.

ატეხილია მეხთატეხა,
მეხამრიდია დამიწება.
გვამშია ჭიანჭველებია,
ზღვაშია ორ კუნწულა კუნძულია.
მანძილი შორია საზომია.
მზე,
ღმერთია!

უფალი კანონიერია,
ლურსმნული დამწერლობა —
ლოცვაა.

ელვა,
დაკლაკნილი ცეცხლის გველია,
კვდება გენია.

ორეული თუ შენია,
დღეს სხვისია, მაგრამ
შენია ჩემი მე,
ორეულია.

მონატრება პოლიპია,
ჭიჭი-ჭიჭი სკალპელია
ფაფუუუ ა სოფიაა.

როდეა, ჰანოვერია,
გიოთინგენია.

წვიმა,
დასველებაა.
ჭადრების ვედრება.

ლანდიაა,
შენია,
ცრუ დიაგნოზია.

ღამის ელეგია
შიზოფრენიაა,
შავი ქალის რელიგია.

სამია
თვეა თებერვალია

— რატო გიზიდავ?
— სანთელია, ფარვან,
სიკვდილია.

ჩემი კეთილი იესო, დღეს
ჩამობრძანდება,
დამითმობს ჯვარცმას.
ჩემთვის ხის კაცუნა შვებაა.
მოწყალება?
ძმარ-ნაღვლის შესმაა.
მკერდის შუბით გადაკვეთა

ან
ნათითურების ამოშანთვა,
მაცადე, რა:
მაჯაზე,
ლურსმნებით დავიჭედო უშენობა.

დილაა,
საზვერეებიდან გამოდი იესო,
ამიკარი თვალები და
ბეწვის ხიდიდან გადამაგდე, რომ
სისხლით და გულისწყვეტით
დაგიმახსოვრო.

(„ნუ გაალმერთებ კაცს —
სამი დღით ღმერთი მოკვდავია“).

დილაა,
კეთილი კაცი ისხეპავს დანით
წარსულს, რომელიც
ძილში ლოგინის მოგონებებად
ედება ზურგზე.
თივაა ხმელია, გამომშრალია,
მტკივნეულია.

სუნიაააა
სუნია, ტანში ჩარჩენილი თეთრი ვნებისა.

სული სხეულს დავაქორწინე
პირით ჯვრის წერას იმეორებდი.
ფიცია, ბოლოს გაკვირვება.
მიწა მუჭებით ამიწონე და დამმარხე.
წირვა-ლოცვისას მომიხსენიე,
გასხვისებული მიცვალებული.

ჩემი ორეულია სოფია!

თუ სულერთია,
ეს არაფერია.

ბიურგერი.
2004 წ. სოფკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაია ჯალიაშვილი

# შორეული ქორწინება

დღეს ბევრი მოსაწონი ლექსი იწერება, აი, იმგვარი, რომ წაიკითხავ და იტყვი, ჰო, კარგია, განწყობილებაა, სახეებია, სიმბოლოებია, თუმცა ამ კარგ ლექსებს, რამდენადაც უნდა განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან, ერთი მაინც აქვთ საერთო, არ გამახსოვრდებიან. ეტყობა, აკლია მარილი, ის აუხსნელი რამ, რაც ჩვეულებრივს და გაცვეთილს უჩვეულოსა და მოულოდნელის სარკედ აქცევს. სიტყვასა თუ სტრიქონთან შეგაყოვნებს, ერთხელ კიდევ შეგახედებს, მოგასმენინებს, გაგაოცებს. ამიტომაც, მართალია, პოეტებს ვეძახით ყველას, ვინც ლექსებს წერს, მაგრამ თავმდაბლობისთვის სჯობს, ავტორებად მოვიხსენიოთ. პოეზია ხომ, როგორც ბორხესი შენიშნავდა მახვილგონივრულად, ქუჩაში ნაპოვნი ქაღალდის ნაგლეჯიდანაც შეიძლება შემოგვეფეთოს. სიტყვებს აქვთ ეს სასწაულებრივი ფერისცვალების უნარი. ჩემ მიერ ნახსენები კარგი ლექსები კი ინტელექტუალურ-ფილოსოფიურ-რელიგიურ „წყევლა—კრულვიან“ მოტივებზე შექმნილი მოზაიკური ჩანახატებია უფრო მეტად. მართალია უხვადაა სიტყვები... სიტყვები... სიტყვები.... ჰამლეტისეული დაეჭვებანი, აგრეთვე უშურველადაა აზრობრივი თუ სახეობრივი სილამაზეები, მაგრამ არ არის „მშვენიერება“. მოზაიკის ოსტატობაში ზოგი მეტად დახელოვნებულია, ზოგი ნაკლებად. ნატა ვარადა, ვფიქრობთ, საკმაოდ განაფულია.



ნატა ვარადა

ამ ავტორს, ეტყობა, რომ სახეებით აზროვნებს, აქვს სიტყვის რიტმის, ფერისა და სურნელის შეგრძნება. ამ ლექსის მთავარი მოტივი სიყვარულისა და რწმენის განუყოფლობაა. თემა ძველია, მაგრამ მარად აქტუალური. სიყვარულის გზით შეიმეცნებ ღმერთს. ამ დროს სიშიშვლე სამოთხისეულ მოგონებად აღიქმება და არ გეჩოთირება საყვარლის შედარება იესოსთან („ჰე, შენ ჩემო საყვარელო, იმყოფები სადა“...—გურამიშვილი).

ლექსის სათაური პირობითადაა კოდირებული, რადგან სასძლოში, მკითხველის განწყობილებისა და მისწრაფების მიუხედავად, ერთმნიშვნელოვნად ზეციური სიძის მომლოდინე ქალწული იგულისხმება და სახეობრივ—აზრობრივი ხვეულებიც ამის წარმოსაჩენად იქმნება.

პირველივე სტრიქონებიდან იქმნება ლექსის იდუმალი რიტმი, რომელიც თანდათან ვითარდება, ჩქარდება, შემდეგ მინელდება და მიყუჩდება, თითქოს დაიძლევა ის შინაგანი გაუწონასწორებლობა, რომელიც მოაქვს მიწიერის ჭარბად შემოჭრას სულიერ ცხოვრებაში. მეტაფორები ჩვეულ და ნაცნობ საგანთა და მოვლენათა მიღმა მიგვიძღვებიან, მათ დაფარულ აზრობრივსა თუ ემოციურ შრეებს მოგვახილვინებენ. ავტორს მახვილი სმენა აქვს, ამაზე მეტყველებს სახეებისა და განწყობილებების გადაძახილი და კლასიკური ალიტერაცია: „სახეტიალოდ... ატეხილია მეხთატეხა“.

ავტორი ლირიკული მეს შინაგან მღელვარებას ნიუანსობრივად ხატოვნად წარმოაჩენს, ცდილობს მოიხელთოს დაეჭვებისა თუ დაბნეულობის, ღვთის „ღალატის“ უმცირესი გაელვებანიც კი, ორიგინალური სახეებით ხაზს უსვამს ხორცისა და სულის ჭიდილს, ახერხებს მაცდუნებელი პათეტიკის მოთოკვას ისე, რომ სიყალბით არ ებზარება ხმა და მკითხველს ამ ერთგვარი აღსარებისა თუ განდობის გულწრფელობაში აჯერებს. ყურადღებას იქცევს ლამაზად ნათქვამი სტრიქონი: „ლურსმნული დამწერლობა-ლოცვაა“. ე.ი. ყველა თავისებურად აქებს და ადიდებს ღმერთს („ყოველი სული აქებდით უფალსა“—150-ე ფსალმუნი). ისე, ქართული ანბანიც ლოცვაა, ამის შესახებ დაწერილია.

მართალია, ელვის შედარება გველთან გაცვეთილია, მაგრამ ეს სახე ლექსის კონტექსტში საინტერესოდ მოიაზრება და ახალ, უჩვეულო ემოციურ შეფერილობას იძენს. ლირიკული გმირის შინაგანი სულიერი მერყეობის წარმოსაჩენად ავტორი მიმართავს ტრადიციულ სიმბოლოებს (გველი-ადამი-ევა-სამოთხე...) მაგრამ ახერხებს, თავი დააღწიოს „გადამღერებულ“ მოტივებს და თავისი ხმით ჩაერთოს ქართულ პოეტურ სივრცეში. ცალკეული დეტალი საგანთა და მოვლენათა ზედაპირიდან ასხლეტილი იმპრესიონისტული შთაბეჭდილებაა. ლექსის პირობით „ნატეხებს“ დამოუკიდებელი აზრი გამოუკრთით, ასე რომ, თუნდ გადააადგილო, არაფერი შეიცვლება, იმდენად ასოციაციურია ლექსის ნაწილებს შორის კავშირი.

ლექსი აღიქმება, როგორც ვარიაციები სახარებისეულ თემაზე. ავტორი ცდილობს გადმოსცეს თავისი ორიგინალური (რადგან გამოსახატავად ლექსის ფორმა აირჩია) დამოკიდებულება ამ წიგნისა თუ მასში გადმოცემული ამბების მიმართ არა სიცარიელეში, არამედ დღევანდელობის ქაოტურობის, კრიზისის, დაბნეულობის... კონტექსტში.

სანთელი, ფარვანა—ლექსში ამ სახეებს თუმცა წარსული შინაარსები ამძიმებთ, ავტორი ახერხებს ცინცხალი მზერით ყოფიერების სიმსუბუქის ილუზიის შექმნას. ორიგინალურ ტროპებში განსხვავებული რაკურსით წარმოჩნდება და „კეთილშობილდება“ იმგვარი სიტყვებიც, როგორიცაა: შიზოფრენია, დიაგნოზი.... მომენონა მეტაფორა:

**მაცადე, რა,**
**მაჯაზე,**
**ლურსმნებით დავიჭედო უშენობა.**

ლექსი ბოლოსკენ უფრო ძლიერდება აზრის, ემოციის გამოსახვის თვალსაზრისით. თუმცა ლირიკულ გმირს უჭირს „სოფიასთან“ (სიბრძნესთან) გაუცხოება და შეინიშნება „ნაკითხობის“ მკრთალი ჩარჩოები.

ყურადღებას იქცევს სტრიქონები:

**დილაა,**
**კეთილი კაცი ისხეპავს დანით**
**წარსულს, რომელიც**
**ძილში ლოგინის მოგონებებად**
**ედება ზურგზე.**
**თივა ხმელია, გამომშრალია**
**მტკივნეულია.**

ერთი სიტყვით, ნატა ვარადა, უდავოდ ნიჭიერი ავტორი, ამ ლექსში ეფემერულ მიწიერ და ღვთაებრივ წარუვალ ფენომენებს ერთმანეთს გადააწნავს, რელიგიურ-ფილოსოფიურ თემებს თამამად „გადაათამაშებს“ და პოეტურ ღირებულებას ქმნის.

ესეისტიკა

*მიგელ დე უნამუნო*

# დონ კიხოტის სამარე

ჩემო კეთილო მეგობარო, მეკითხები, ეგებ იცოდე რა უნდა ილონოს კაცმა, რომ ამ ბეჩავ, უშფოთველ, წესისა და ადათის მიმდევარ ადამიანებს, რომლებიც იბადებიან, ჭამენ, სვამენ, იძინებენ, შთამომავლობას ტოვებენ და იხოცებიან, — ან სიგიჟემ დარიოს ხელი, ან ბოდვამ, ანდა სიშმაგემ შეიპყროსო, ეგებ იცოდე რაიმე საშუალებაო, მეუბნები, რომ მათაც ფლაგელანტებისა და კონვულსიონერების* მსგავსად რაღაც ეპიდემიისმაგვარი რამ მაინც შევყაროთ და მერე ათასწლეულებზე მესაუბრები.

შენსავით მეც ხშირად შევუპყრივარ ნოსტალგიას და შუასაუკუნეები მომნატრებია, შენსავით მეც ხშირად მიოცნებია, რა იქნებოდა, იმ დროს მეცხოვრა, როცა ის ათასწლეულები კრუნჩხვებში იბადებოდა-მეთქი. ის მაინც რომ შეგვძლებოდა, ხალხი დაგვერწმუნებინა, ვითომ ერთ დღესაც, ვთქვათ, თუნდაც 1908 წლის 2 მაისს — ესპანეთის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის პირველი მოწოდებების ასი წლისთავზე, — ესპანეთი დაიღუპება და ჩვენც ყველას ცხვრებივით ოთხში ამოგვილებენო, მაშინ, დარწმუნებული ვარ, 1908 წლის 3 მაისს ჩვენი ისტორიის უდიდეს დღედ და ჩვენი ახალი ცხოვრების გარიჟრაჟად აღიარებდნენ.

ეს უბედურებაა, ნამდვილი უბედურება. არავის არაფერი ადარდებს, მაგრამ საკმარისია გამოჩნდეს ვინმე და რაიმე პრობლემა წამოჭრას, რაიმე საკითხი დასვას, რომ მაშინვე მიესევიან და რას არ დააბრალებენ — ესაო და ანგარება ალაპარაკებსო, თავის გამოჩენა მოუნდომებიაო, განსაკუთრებულობის ჟინს აუტანიაო, და ვინ იცის, კიდევ რას.

ამ ხალხს ისიც კი ვერ გაუგია, რომ კაცი შეიძლება მართლაც შეცდეს ჭკუაზე, ხოლო ჭკუაზე შემცდარ კაცზე ისე ფიქრობენ და ლაპარაკობენ, გეგონებათ, ამ უბედურს გონება განზრახ, რაღაც ანგარიშით, ან სულაც გონების კარნახით ამღვრეოდეს. გონების კარნახით კი გონების ამღვრევა ამ უბირთა და არარაობათა თვალში სადავოც არ არის. ჩვენი ქველი რაინდი დონ კიხოტი რომ მკვდრეთით აღმდგარიყო და ამ ჩვენს დღევანდელ ესპანეთში მობრუნებულიყო, უნინ იმის კვლევა-ძიებას მოჰყვებოდნენ, თუ რა ქვენა ზრახვებით შეიძლებოდა ყოფილიყო შთაგონებული მისი ჭეშმარიტად კეთილშობილური სიგიჟე, ანდა, ვთქვათ, და, გამოჩნდა მავანი და ბოროტების მხილება სცადა, ანდა უსამართლობის წინააღმდეგ აღიმაღლა ხმა, ან კიდევ უმეცრება გაკიცხა, მაშინ ეს მონები იკითხავენ „ნეტავი რას ეძებს? რას ელოდება?“ ზოგჯერ ფიქრითაც ფიქრობენ და თქმითაც ამბობენ: „ეტყობა, იმედი აქვს, პირს ოქროთი ამომილესავენო „სხვები კი ამასაც დასძენენ: „მდაბალ ზრახვებსა თუ შურს ან შურისგების ჟინს აუტანიაო“; ანდა კიდევ იტყვიან: „პატივმოყვარეობის ჭია შესჯდომია და ხალხის ასალაპარაკებლად განზრახ ქოთქოთებსო“; ესეც კი უთქვამთ, თითქოსდა, ასეთი კაციცა და სხვა ყველა მისი მსგავსიც, უსაქმურობისგან რომ აღარ იციან, რითი შეიქციონ თავი, უბრალოდ ერთობიან, როგორც რამ სპორტითაო. რაოდენ სამწუხაროა, რომ ასე მცირედნი მოიძებნებიან ამგვარი სპორტით გართობის მსურველნი!

შეხედე და დაუკვირდი, რაოდენი კეთილშობილება, რაოდენი ქველობისა თუ სიგიჟის გამოვლინებასაც უნდა წააწყდნენ ეს ჩვენი გონებაჩლუნგი ბაკალავრები, მღვდლები და დალაქები, სულ ერთია, მათ თავში ერთი კითხვის მეტი მაინც არაფერი დაიბადება: „ნეტავი ასე რა რჯით?“ — და თუ მაინც მოეჩვენებათ, რომ ამ საქციელს უთუოდ რაღაც გონივრული საფუძველი უდევს, იმის მიუ-

* ფლაგელანტები და კონვულსიონერები — რელიგიურ ფანატიკოსთა ჯგუფი, რომლებიც შუასაუკუნეებში დაეხეტებოდნენ ევროპის გზებზე. **blagelacion** — თვითგვემა, **convulcion** — კრუნჩხვა.

ხედავად, ისეა, როგორც ისინი ფიქრობენ, თუ არაა ისე, თავისთვის ხომ იტყვიან: „აჰა! აი, თურმე რატომ და რისთვის გარჯილაო". — ყველაფერი, რასაც კი შეიძლება გონივრული ახსნა მოეძებნოს, რაც უნდა ნათლად განუმარტო, მათ თვალში მაინც ფასს კარგავს. აი, როგორ იყენებენ ისინი ამ საზიზღარ ლოგიკას.

ნათქვამია, გაგება მიტევებას ნიშნავსო, მაგრამ ამ ბეჩავებს გაგება მარტო ისა ჰგონიათ, თუ მიუტევებენ ყველას, ვისაც კი მათი დამცირება არ ეზარება; ყველას, ვინც კი სიტყვითა თუ საქმით მოურიდებლად მიახლის პირში მათი უბადრუკობის ამბავს.

ისინი იმ ზომამდე გამოთაყვანდნენ, რომ ასეთი კითხვაც კი მოსდით თავში: რაისთვის შექმნა უფალმა ეს სამყაროო და თვითონვე უპასუხებენ — თავისივე თავის სადიდებლადო! — და ეს პასუხი ისეთ ნეტარებასა და თვითკმაყოფილებას ჰგვრით, გეგონებათ, ისეთი სიმაღლეებისთვის მიეღწიოთ, საიდანაც ღმერთის დიდებაზე სჯაბაასიც კი შეეძლოთ გაემართათ.

ჯერ იყო ნივთი და მერე გავიგეთ მისი დანიშნულება; უწინ რაღაც აზრი უნდა შევიქმნა რომელიმე ახალ ნივთზე და მერე თვითონვე მიმანიშნებს რისთვისაა გამოსადეგი.

ზოგჯერ რაიმე გეგმაზე რომ ვსაუბრობ, ანდა რაიმე ისეთზე, რაც ჩემი აზრით, უთუოდ უნდა გახდეს მსჯელობის საგანი, მუდამ გამოჩნდება ხოლმე ვინმე და მკითხავს: „და მერე?" — ასეთ კითხვას — „და მერე", — კითხვითვე უნდა მიუგო: „და მანამდე?"

მომავალი არ არსებობს, არც არასდროს არსებულა; ის, რაც მომავალი ჰგონიათ, ერთი დიდი სიცრუის მეტი არაფერია. ჭეშმარიტი მომავალი დღევანდელი დღეა. რა გვეწევა ხვალ? არავითარი „ხვალ" არ არსებობს და მაინც რა არის ეს ჩვენი დღევანდელი დღე, ახლა? საკითხავიც სწორედ ეს არის.

რაც შეეხება დღევანდელ დღეს, მაშინ ჯერ ისა ვთქვათ, რომ ეს ბეჩავნი მართლაც ძალზე კმაყოფილები ბრძანდებიან, რაკილა დღეს, ახლა არსებობენ და რაკი არსებობენ, მეტი არც არაფერი უნდათ. არსებობა, ოდენ ეს ცარიელი არსებობა, — მთელი მათი სულიერი მოთხოვნილებაც ეს არის და ეს. არც კი ესმით, რომ არის კიდევ რაღაც უფრო მეტი, ვიდრე არსებობაა!

მაგრამ არსებობით კი არსებობენ? არსებობენ კი სინამდვილეში? მე მგონია, არა! ისინი რომ არსებობდნენ, ჭეშმარიტად რომ არსებობდნენ, მაშინ მათ ტანჯვას განაცდევინებდა ეს არსებობა და მარტო ამას აღარც დასჯერდებოდნენ. ისინი რომ სინამდვილეში არსებობდნენ და ჭეშმარიტადაც არსებობდნენ დროსა და სივრცეში, მაშინ მათ ტანჯვას განაცდევინებდა ისიც, რომ მათი ხვედრი არ ყოფილა მარადიული და უსასრულო ყოფიერება და აკი ასეთი ტანჯვა, ესოდენ მგზნებარე ლტოლვა მარადიულისა და უსასრულობისადმი არის კიდეც ღვთისმაძიებლობის გრძნობა ჩვენში; ღვთისა, ჩვენში რომ იტანჯება, რამეთუ სწორედ ჩვენში გრძნობს თავს ტყვედ, ჩვენს სასრულო ბუნებასა და ჩვენს დღემოკლეობაში; ეს ღვთიური ტანჯვა უცხო რომ არ ყოფილიყო მათთვის, მაშინ, ალბაც, გაგლეჯდნენ კიდეც იმ თავიანთი ლოგიკური ჯაჭვის რგოლებს, რითიც ერთმანეთთან აკავშირებენ საკუთარ საწყალობელ მოგონებებსა და ასევე საწყალობელ იმედებს, წარსულის ილუზიებსა და მომავლის ილუზიებსაც.

„ამას რატომ სჩადის?" — განა სანჩოს კი არ დაუსვამს ეს კითხვა, რატომ სჩადის დონ კიხოტი იმას, რასაც სჩადისო?

ისევ თავიდან მოვყვეთ და იმ კითხვას დავუბრუნდეთ, შენ რომ ასე განვალებს; ნუთუ არ შეიძლება, ამ ბეჩავ ხალხს რაღაც სიგიჟე შევყაროთ, რაიმე ისეთი შევუშხაპუნოთ, ბოდვა რომ დაანყებინოსო?

აკი თავადვე მიაგენი ამ კითხვის პასუხს ერთ შენს წერილში, სადაც კითხვების მთელი ბუქი დააყენე; სწორედ იმ წერილში მეუბნებოდი, როგორ გგონია, რა მოხდება, ერთი ახალი ჯვაროსნული ლაშქრობა რომ მოგვეწყოო!

კეთილი და პატიოსანი! ასე იყოს; მეც ამასვე ვფიქრობ, დარწმუნებული ვარ, შევძლებთ კიდეც, რატომაც არა, მოვაწყოთ ერთი წმინდა ჯვაროსნული ლაშქრობა და წავიდეთ დონ კიხოტის საფლავის გამოსახსნელად, თორემ ბაკალავრები, მღვდლები, დალაქები, ჰერცოგები და კანონიკოსები მთლად დაეპატრონენ მას. დიახ, მჯერა, რომ შევძლებთ წმინდა ჯვაროსნული ლაშქრობის მოწყობას და კიდეც გამოვიხსნით სიგიჟეთა რაინდის საფლავს საღი აზრის იდალგოთა მძლავრობისაგან.

ბუნებრივია, ისინიც თავისას ეცდებიან და იოლად არ დათმობენ იმ თავიანთ მონაპოვარს, ყოველ ღონეს იხმარენ, კარგად გაზეპირებულ საღ აზრსაც მოიშველიებენ, რომ დაგიმტკიცონ, სწორედ ჩვენა გვაქვს საფლავის დაცვისა და მოვლის უფლებაო. აკი ესოდენ გულმოდგინედ იმიტომაც დარაჯობენ, რომ ეშინიათ, ვაითუ რაინდი მკვდრეთით აღდგესო.

ამ საღი აზრის მათეულ დასკვნებს მხოლოდ ლანძღვაგინებით უნდა უპასუხო, ქვებიც დაუშინო, დაუღრიალო, შუბი მოუღერო, მაგრამ არამც და არამც არ სცადო, რაიმე შეაგონო, თორემ საღი აზრის ისეთ ქარბუქში გაგახვევენ მთლად დაილუპები.

მაგრამ თუ ჩვეულებისამებრ დაგიწყებენ გამოკითხვას, შენ თვითონ რა საფუძველზე აცხადებ საფლავზე უფლებებსო, პასუხის ღირსადაც არ ჩააგდო, მერე თვითონვე დაინახავენ, რის საფუძველზედაც. მერე ეგებ მაშინ, როცა აღარც შენ იქნები და აღარც ისინი, ყოველ შემთხვევაში, ამ მოჩვენებითს სამყაროში არ იარსებებო.

ჩვენი წმინდა ჯვაროსნული ლაშქრობა სრულიად არ ემგვანება იმ ძველ ჯვაროსნულ ლაშქრობას, როდესაც ახალი ცხოვრების განთიადი ამობრწყინდა ამ ძველთაძველ სამყაროში, ემგვანება კი არა, უპირატესობაც კი ექნება მასთან შედარებით; გარდასულ დროთა წმინდა შთაგონებით ანთებულმა ჯვაროსნებმა გადმოცემებით მაინც იცოდნენ, სად იყო უფლის წმინდა საფლავი, მაშინ, როცა ჩვენი ლაშქრის ჯვაროსნებმა არც კი უწყიან, სად ეძებონ დონ კიხოტის სამარე და ოდენ ბრძოლით უნდა გაიკვლიონ მისკენ გზა, ბრძოლით უნდა მოიპოვონ იგი.

დონ კიხოტური სიგიჟით შეპყრობილს აკი არაერთხელ გითქვამს ახალი რელიგიის „კიხოტიზმის" შესახებ. აი, რა შემიძლია ამაზე გიპასუხო; თუ ეგ შენი იდეა ხალხმა მიიღო და ნელ-ნელა კიდეც გავრცელდა, მაშინ მას ორი უიშვიათესი უპირატესობა ექნება: ჯერ ერთი, ის, რომ ჩვენ სულაც არა ვართ დარწმუნებული, არსებობდა თუ არა სინამდვილეში მისი მამამთავარი და მოციქული დონ კიხოტი და არა, რასაკვირველია, სერვანტესი, ანუ იყო თუ არა იგი სისხლისა და ხორცისგან ქმნილი არსება, ის კი

არადა, ჩვენ კიდეც ვეჭვობთ, რომ იგი ერთიანად გამოგონილი სახე გახლდათ; მეორე უპირატესობა კი ისაა, რომ ეს ჩვენი მოციქული კომიკური არსებაა, ხალხის თავშესაქცევად და სახეიროდ შექმნილი მასხარა.

და ჩვენც ყველაზე მეტად და ყველაზე უწინ ეს თვისება გვაკლია, სულ გვეშინია, კომიკურ, სასაცილო მდგომარეობაში არ აღმოვჩნდეთო. ამიტომაა ადვილი ჩვენი დაშინებაც; საკმარისია ერთი წამოსცდეს ვინმეს, სასაცილო ხარო, და მეტიც არ გვინდა; აი, სწორედ ამას იყენებენ კიდეც თავიანთ იარაღად ის საზიზღარი ბაკალავრებიც, მღვდლებიც, დალაქებიც, კანონიკოსები და ჰერცოგებიც, ასე გულდაგულ რომ გვიმალავენ სიგიჟეთა რაინდის საფლავს; იმ რაინდისას, ვისზედაც მთელი ქვეყანა იცინოდა, თავად მას კი ერთი სახუმარო სიტყვაც არ დასცდენია. იგი მეტისმეტად მაღალი სულის პატრონი გახლდათ, რომ ხუმრობისთვის დაწვრილმანებულიყო. სიცილს იგი თავისი სერიოზულობით იწვევდა.

მაშ, შეუდექი საქმეს, ჩემო მეგობარო, იტვირთე პეტრე მეუდაბნოეს ხვედრი, მოუწოდე ხალხს შემოგიერთდნენ, შემოგვიერთდნენ და ყველა ერთად დავადგეთ გზას, რათა მოვიპოვოთ რაინდის საფლავი, თუმცა კი არ ვიცით, სად არის იგი. ჯვაროსნული ლაშქრობა თავისთავად მიგვიყვანს იმ წმინდა ადგილამდე.



გუსტავ დომიე „დონ კიხოტის“ ილუსტრაცია

და როგორც კი წმინდა ლაშქარი გზას დაადგება, იმავ წუთს დავინახავთ, როგორ აინთება ცაზე ახალი ვარსკვლავი, ოდენ ჯვაროსნებისთვის ხილული, მოკიაფე და მჟღერი, ნაგვიძლვება იგი გრძელ ღამეში და ჩვენთვის ახალ სიმღერას შეთხზავს; და ვარსკვლავი იგი ცას გაჰყვება, როგორც კი ჯვაროსანთა ლაშქარი გზას დაადგება და როცა ლაშქრობა დასრულდება გამარჯვებით ან თუ ყველა ჯვაროსანი დაიღუპება (ეგებ სიკვდილი იყოს კიდეც ჭეშმარიტი გამარჯვების გზა), მაშინ კი მოსწყდება იგი ცას და, სადაც დაეცემა, იქ იქნება დონ კიხოტის საფლავიც.

და სადაც არის საფლავი, იქავ არის აკვანი, იქავ არის დასაბამი დასაბამთა და იქიდანვე ამაღლდება ცად იგი ვარსკვლავი, მჟღერი და კაშკაშა.

და ნულარ მკითხავ, ძვირფასო მეგობარო, როცა შენ ასე მიწვევ ხოლმე სასაუბროდ, მით უფრო ასეთ თემებზე, მაშინ იმგვარი გრძნობა მეუფლება, თითქოს ჩემი სულის სიღრმიდან, ამდენი უკეთურობისგან განაწამები ჩემი სულის სიღრმიდან, ყოველი მხრიდან შემოჯარული უკეთურობისა და სიცრუისაგან განაწამები, სიცრუისა, რომელშიც ვჭყუმპალაობთ და სხვასაც ვაშხეფებთ ამ ტალღას, დიახ, განაწამები ათასგვარი სიბილწისაგან, უზომო ტკივილს რომ გვაყენებს, გვტანჯავს და სულს გვიხუთავს, — აი, ასეთი გატანჯული სულის ფსკერიდან წამოიშლებიან ხოლმე შენი წყალობით გამოღვიძებული უგუნური სახეები, ალოგიკური იდეები, ენით აუწერელი აზრები და ფიქრები, მე კი არათუ მესმის მათი მნიშვნელობა, არამედ სურვილიც არა მაქვს, გავერკვე მათში.

ამით რა გინდა, თქვაო? — რამდენჯერ გიკითხავს ჩემთვის. მე კი გიპასუხებ: განა მე თვითონ ვიცი?

არა, ჩემო კარგო მეგობარო, არა! ხშირად არც მე ვიცი, რა მინდა ვთქვა, როცა კი რაიმე აზრი გამიელვებს თავში, — ფანტაზია ხომ თავისას შვრება, — და მაშინვე შენ გიზიარებ ხოლმე, მართლაც არ ვიცი... თითქოს ჩემში ვიღაც სხვა ზის და ის მკარნახობს, რაღაც აზრებს ჩამჩიჩინებს, მეც დავყვები, მაგრამ არც მისი სახის დანახვა მინდა და არც მისი სახელის გაგონება, თუმცა ერთი რამ კი ნამდვილად ვიცი, მე რომ მას სახეში შევხედო, ანდა მისი სახელი გავიგონო, ალბათ, მოვკვდები, ოღონდ მან იცოცხლოს ჩემ მაგივრად.

სინდისი მქენჯნის, რომ ამდენ გამოგონილ არსებებს ვქმნიდი, ამდენ ნოველისტურ პერსონაჟებს, მაგრამ ვქმნიდი იმიტომ, რომ ჩემი სათქმელი მათთვის მეთქმევინებინა, ისინი კი თითქოს ხუმრობით ლაპარაკობენ იმას, რასაც მე მეტისმეტად სერიოზულად ვეკიდები და სერიოზულზე მეტადაც.

შენ ხომ მაინც მიცნობ, სხვებმა რაც უნდა ილაპარაკონ, შენ ხომ კარგად იცი, რომ ის ნაცოდვილარი პარადოქსები, ექსტრავაგანტულობა და განსაკუთრებულობის დაჩემება ჩემგან ძალიან შორსაა. შენ და მე, ჩემო კეთილო მეგობარო, ჩემო ერთადერთო და ნამდვილო მეგობარო, ჩვენ ხომ არაერთხელ გვიმსჯელია, ჩვენთვის განმარტოებულებს, იმაზე, თუ რა არის სიგიჟე, არაერთხელ გაგვირჩევია იბსენის „ბრანდი“, კირკეგორის ეს სულიერი შვილი, გვილაპარაკია მისი სიგიჟის, მარტოობის თაობაზე, დაბოლოს, ერთად გამოგვიტანია დასკვნა, რომ ნებისმიერი სიგიჟე აღარ შეიძლება უკვე სიგიჟედ მივიჩნიოთ მას შემდეგ, რაც იგი კოლექტიურ სახეს მიიღებს, რაც მთელ ხალხს მოედება და შესაძლოა, მთელ კაცობრიობასაც; თუ ჰალუცინაცია კოლექტიურად ვრცელდება, ერთიანად მოედება ხალხს, სოციალურ ორგანიზმს, ეს ჰალუცინაცია კი არა, უკვე რეალობაა და ერთი შეხედვითაც გაარჩევ. შენც და მეც; ჩვენ ორივე იმ დასკვნამდე მივე-

დით, რომ დადგა ჟამი, როცა აუცილებელიც კია, შთავაგონოთ მასებს, ხალხს, შთავაგონოთ ჩვენს ესპანელ ხალხს რაიმე გიჟური იდეა, ხოლო ეს იდეა უნდა დავესესხოთ მისსავე შვილს, ვინც იყო გიჟი, ვინც იყო ჭეშმარიტად გიჟი და არა ხუმრობით, დიახ, გიჟი კი იყო, მაგრამ სულელი — არამც და არამც.

შენც და მეც, ჩემო კარგო მეგობარო, ჩვენ, ორივეს, მუდამ ალგვაშფოთებდა ის, რასაც აქ ფანატიზმს უნოდებენ და რაც ჩვენდა სავალალოდ, სულაც არ არის ფანატიზმი, არა, არ შეიძლება ფანატიზმად მივიჩნიოთ ის, რაც შეიძლება იყოს რეგლამენტირებული, მოზომილი, რაც შეიძლება ჩარჩოშიც მოთავსდეს და მერე როგორც უნდათ, ისე მართონ ბაკალავრებმა, მღვდლებმა, დალაქებმა, კანონიკოსებმა და ჰერცოგებმა, როგორ შეიძლება ფანატიზმი გამოდიოდეს ლოგიკური ფორმულების დევიზით, ჰქონდეს პროგრამა, აწყობდეს გეგმებს ხვალინდელი დღისთვის და მერე რომელიმე ორატორი მთელი მეთოდურობით განმარტავდეს.

ერთხელ, თუ გახსოვს, ასე, ათიოდე ყმაწვილი ვნახეთ, გარს რომ შემოხვეოდნენ ერთ თავიანთ ამხანაგს, რომელიც გაჰყვიროდა: „წავიდეთ და შავი დღეც დავაყენოთო!" და ყველანი გაჰყვნენ. ჩვენც ხომ სწორედ ამას ვნატრობდით, რა იქნება, ბლომად ხალხი შეგროვდეს და შეძახილით „წავიდეთ და ჩვენც შავი დღე დავაყენოთო!" — გასდგომოდნენ გზას და თუ რომელიმე ბაკალავრი, დალაქი, მღვდელი, კანონიკოსი თუ ჰერცოგი ეცდებოდა მათ შეჩერებას და ეტყოდა: „შვილნო ჩემნო! დიდებულია, ვხედავ, რომ აღვსილნი ხართ გმირული სულით, წმინდა რისხვას აუტანიხართ, მეც თქვენთანა ვარ, მაგრამ სანამ ჩვენ, ყველა ერთად და მეც თქვენთან ერთად „დავაყებდეთ", ეგებ დამეთანხმოთ, რომ ჯერ გვერჩივნა, მოგველაპარაკა, მაინც რას ვაპირებთ და რა ასეთი დღე უნდა დავაყენოთ!" და თუ რომელიმე ამ გაიძვერათაგანი ეცდებოდა ეს ხალხი შეეჩერებინა ასეთი სიტყვებით, მაშინვე მიწაზე უნდა დაგვენარცხებინა, რომ ყველას ზედ გადაევლო და გადაეთელა; სწორედ აქედან დაიწყებოდა კიდეც ჩვენი გმირული შემართებაც — „ერთი შავი დღე დავაყენოთო!"

განა ჩვენ არ გვიფიქრია, ჩემო მეგობარო, რომ ჩვენ შორისაც საკმაოდ ბევრი ისეთი მარტოსული მოიძებნება, რომელსაც გულიც ერჩის და ერთი სული აქვს, „დააყენოს", ისეთი რამ მოიმოქმედოს, რისთვისაც მართლაც ღირს სიკვდილი? მაშინ მიიხედ-მოიხედე და მოაგროვე ასეთი მარტოსულები, მერე კი ყველა ერთად წავიდეთ ლაშქრად, მეც შენთან ერთად წამოვალ, მათთან ერთად დავადგები გზას — დონ კიხოტის საფლავის გამოსახსნელად, რომელიც ღვთის წყალობით, არ ვიცით, სად არის, მაგრამ მოკიაფე და მჟღერი ვარსკვლავი გაგვინათებს გზას.

ხომ შეიძლება ისე მოხდესო, — მეკითხები ხოლმე იმ დროს, როცა მხნეობა გღალატობს და საკუთარ თავს ველარ ენდობი, — ხომ შეიძლება ისე მოხდეს, რომ გგონია წინ მივიწევთ, გაშლილ მინდორში რომ მივაბიჯებთ და სინამდვილეში ერთ ადგილზე ვტრიალებდეთო! მაგრამ მაშინ ხომ ჩვენი გზის მანათობელი ვარსკვლავიც გაჩერდებოდა და დადუმდებოდა ჩვენს თავს ზემოთ და საფლავიც ჩვენშივე აღმოჩნდებოდა; ვარსკვლავი კი ცას მოსწყდებოდა, მიწაზე დაეცემოდა, რათა ჩვენს სულში ჩაგვემარხა; ჩვენი სული ერთიანად განათდებოდა, შეერწყმოდა მუქურა მჟღერ ვარსკვლავს, გადაიქცეოდა მზედ, მარადიულ ჰარმონიად და კიდევ უფრო გაბრწყინდებოდა ჩვენი გადარჩენილი სამშობლოს ცაზე.

მაშ, გავწიოთ წინ! ოღონდ თვალი ფხიზლად უნდა გვეჭიროს, რომ ჯვაროსანთა წმინდა ლაშქარს არ მიეტმასნონ ბაკალავრები, დალაქები, მღვდლები, კანონიკოსები და ჰერცოგები, რომლებიც შეიძლება სულაც სანჩოდ გადაცმულები გამოგვეცხადონ. ყურადღება არ მიაქციო, როცა კუნძულების თხოვნას დაგიწყებენ, მაგრამ კინწისკვრით კი გარეკე, თუ შეეცდებიან მარშრუტი გამოგტყუონ, ან შეგიჩნდებიან, რომ შემდგომი მოქმედებების გეგმები წამოგაცდენინონ, ეშმაკურად დაგიწყებენ ჩურჩულს, გამოკითხვას, მაინც საით გეგულებათ დონ კიხოტის საფლავიო, შენ ვარსკვლავს მიჰყევი და ისა ქმენი, რასაც იქმოდა თავად რაინდი: გაასწორე ყოველი მრუდი, რაც წინ შემოგხვდება; დღეს დღეისა ქმენი და აქ კი აქაურისა.

მაშ, ვიაროთ წინ! მაგრამ საით? საითაც ვარსკვლავი წაგვიყვანს: საფლავისკენ! მაგრამ გზაში რაღა ვაკეთოთ? რა? რა და, ვიბრძოლოთ! ვიბრძოლოთ, მაგრამ როგორ? როგორ და, შემოგვეყრება ცრუპენტელა? მიახალე პირში: მატყუარა! — და განაგრძე გზა. შემოგხვდება ქურდი? დაუყვირე: ქურდო! — და განაგრძე გზა. შემოგეყრება ვინმე მოლაყბე, ვისაც ხალხი პირდაღებული უსმენს, შესძახე: ყეყეჩო-თქო! — და განაგრძე გზა! და იარე მუდამ წინ!

მაგრამ განა ამ გზით შევძლებთ კი ამქვეყანად აღვკვეთოთ სიცრუე, ქურდობა, სიბრიყვე, მივაღწევთ რასმე? — მეკითხება ჩვენი საერთო ნაცნობი, რომელსაც ერთი სული აქვს შემოგვიერთდეს ჩვენ, ჯვაროსნებს. მაგრამ ვინა თქვა, არაფერი გამოვაო? ყველაზე უფრო დიდი სისაძაგლე ყოველგვარ სისაძაგლეთა შორის, ყველაზე უფრო უხამსი და საძრახისი ფანდი სილაჩრისა სწორედ ისაა, როცა ამბობენ, ქურდს თუ ამხელ, ამით ვერაფერს გახდები, რადგან სხვები მაინც არ მოიშლიან ქურდობასო, თუ ყეყეჩს პირში მიახლი ყეყეჩოო, ამით არაფერი გამოვა, რადგან ამქვეყანაზე ყეყეჩები მაინც არ დაილევიანო.

იქნება ერთხელ და ორჯერ რომ ამხელ, მართლაც ვერაფერს გახდე და ათასჯერაც მოგიწიოს მათი მხილება, მაგრამ თუ პირველივე მხილებისას ერთი კაცი მაინც მოეგო ჭკუას, ნელ-ნელა ეგებ კიდეც მოისპოს სიცრუე.

მაშ, გავწიოთ წინ! ოღონდ წმინდა ლაშქარში არ გააჭაჭანო არავინ, ვინც თავისი ნაბიჯის სისწრაფესა და რიტმს ზომავს; დიახ, გააძევე ყველა, ვისაც მარტო ერთი ეს რიტმი აკერია პირზე, თორემ ასეთები შენს ლაშქარს საბალეტო დასად გადააქცევენ, მთელ ლაშქარს ცეკვას დააწყებინებენ. გააძევე ასეთები! მოშორდნენ თავიდან, სადაც უნდათ, იქ წავიდნენ და მარტო იმ თავიანთ ხორციელს უმღერონ. ისინი, ვისაც საბალეტო დასი ურჩევნია ლაშქარს, თავიანთ თავსაც და ერთმანეთსაც პოეტებს უწოდებენ, მართლა პოეტები ხომ არ არიან; იქნება რაღაც სხვა,მაგრამ პოეტები — არა! მათ ხომ საფლავისკენ მარტო ერთი, ცნობისმოყვარეობა მიაქანებს, მოდი ვნახოთ, რა იქნებაო, ანდა რაღაც სხვა, მძაფრ განცდებს ეძებენ, ანდა ჰგონიათ, გზაში კარგად გავერთობითო. შორს ყველა ასეთი!

სწორედ მაგათი ბოჰემური შემწყნარებლობის წყალობითაა, ასე რომ მოიკიდა ფეხი მდაბალმა სილაჩრემ, სიც-

რუემ თუ სხვა ათასგვარმა უკეთურობამ და ასე ნაგვიჭირა ყელში, როდესაც ისინი ამდენს ქადაგებენ თავისუფლებაზე, თავში მხოლოდ ერთადერთი თავისუფლება უტრიალებთ — როგორმე თავისი მოყვასის ცოლი ჩაიგდონ ხელში. მათთვის ხომ თავი და თავი მგრძნობელობაა, იდეებიც კი, მაღალი იდეებიც კი, თუ უყვართ მგრძნობიარე სიყვარულით უყვართ. მაგრამ დიადსა და წმინდა იდეასთან შეუღლება არ ძალუძთ, იდეებთან მხოლოდ შემთხვევითი კავშირი შეუძლიათ დაამყარონ, მარტო საყვარლად თუ დაისვამენ, ან უფრო უარესად, ერთი ღამის მეძავი ქალივით მოიშორებენ. მოიწყვიტე თავიდან ასეთები!

თუ გზად ვინმეს თვალი გაექცევა ფერდობიდან მომღიმარე ყვავილისკენ და მისი მოწყვეტა მოუნდება, დაე, მოწყვიტოს, მაგრამ ნუ შეყოვნდება, ლაშქარს ნუ ჩამორჩება, ოღონდ ამ დროს მეწინავე მედროშეს თვალი ფხიზლად უნდა ეჭიროს, რომ მოკიაფე — მომღერალი ვარსკვლავის გეზს არ გადასცდეს. მაგრამ თუ ვინმე მარტო ღილკილოს დასამშვენებლად მოწყვეტს ყვავილს, თავის მოსაწონებლად და არა საკუთარი სიამოვნებისთვის, ისიც გააგდე, დაე იმ თავისი ღილკილოში გარჭობილი ყვავილიანად მოშორდეს, სადაც უნდა იქ წავიდეს და ცეკვით შეიქციოს თავი.

ასე და ამგვარად, ჩემო მეგობარო, თუ გინდა პირნათლად შეასრულო შენი ვალი და ერთგულად ემსახურო შენს სამშობლოს, ნუ დაინდობ იმ მგრძნობიარე ყმაწვილებს, რომლებიც ამ ცხოვრებას ოდენ თავიანთი სატრფოს თვალებით უყურებენ, ანდა ვინმე სხვა უარესისა. დაე შენმა სიტყვებმა მათ ყური მოსჭრას, სმენა მოჰკვეთოს.

შესვენებით მხოლოდ ღამღამობით უნდა შეისვენოს ლაშქარმა, ტყის პირას ან მთის ძირას გაშალონ კარვები; იქ ჯვაროსნები ფეხს დაიბანენ, ცოლის მომზადებულ ვახშამს მიუსხდებიან, მერე კიდეც მიუწვებიან მეორე ნახევარს, დაორსულებენ, აკოცებენ და მერე ღრმა ძილს მიეცემიან, რომ დილაადრიან დაადგნენ შორეულ გზას. თუ ამასობაში ვინმე მოუკვდებათ, იქვე, გზის პირას დაასვენებენ და მისივ ამგარ-აბჯარი იქნება მისი სუდარაცა და საბურავიც, დანარჩენზე კი ყვავ-ყორანი იზრუნებს. „აცადენ მკვდარნი დაფლვად თვისთა მკვდართა“.

თუ გზად ვინმე მოინდომებს და კიდეც დაუკრავს სტვირს, ფლეიტას, გიტარას ანდა სხვა რამ საკრავს, წაართვი და დაუმტვრიე, რაკი არც თავად მიაპყრობდა ყურს მჟღერ ვარსკვლავსა და სხვებსაც ხელს შეუშლიდა. ხოლო ვისი ყურთასმენაც დახშულია ციური ხმებისთვის, არცა ჰმართებს რაინდის საფლავის საძებნელად წასვლა.

ეს მოცეკვავეები პოეზიაზეც კი გაგიბამენ საუბარს; ყურიც არ ათხოვო; ვინც სტვირსა თუ რაღაც სასტვენს უკრავს და ზეციური ხმა ვერ სწვდება მის სმენას, არც თვითონაა ღირსი, სხვამ მოუსმინოს. მისთვის გაუგებარია ფანატიზმის პოეზიის სიღრმეები, გამოცარიელებულ ტაძართა დიდებული პოეზია, სადაც ვერ ნახავთ ვერც გახჩახებულ სასანთლეებს, ვერც ოქრო-ვარაყს, ვერც ხატებსა და გერბებს და ვერაფერს, რასაც თუნდაც ხელოვნებას უწოდებენ. ოთხი შიშველი კედელი და ფიცრის ჭერი, რაღაც ფარღალალა რამ.

გააძევე ლაშქრის რიგებიდან ყველა ეს მესტვირე და მოცეკვავე; გააძევე, სანამ თვითონ გაიქცეოდნენ ერთი თეფში ლობიოს გულისთვის. ისინი ხომ ცინიზმის ფილოსოფოსები ბრძანდებიან, მიმტევებლები, ვითომ კარგი ბიჭები, ყველაფრის გამგებნი და ყველაფრის მპატიებლები. მაგრამ აკი მას, ვისაც ყველაფერი ესმის, არც არაფერი ესმის და ვითომ ყველაფრის მიმტევებელი რომაა, არც არაფერს მიუტევებს. ისინი უბრალოდ ამით ვაჭრობენ და არც არცხვენიათ. და რაკი ორ სამყაროში ცხოვრობენ, თავს ნებას აძლევენ, ერთში თავისუფლება იქადაგონ, მეორეში კი მონობას შეეგუონ; ერთი და იმავე დროს გუნდრუკი უკმიონ პერესებსაც, ლოპესებსაც და როდრიგოებსაც.

წინათ იტყოდნენ ადამიანის ცხოვრებას ორი რამ წარმართავსო, შიმშილი და სიყვარულიო. მდაბალ ადამიანთა და მიწიერ ცხოვრებას კი, როგორ არა, მოცეკვავეები ნამდვილად შიმშილისა და სიყვარულისთვის, ხორციელი შიმშილისა და ხორციელი სიყვარულის გულისთვის. გააძევე ისინი შენი ლაშქრიდან და რამდენიც უნდათ, იცეკვონ და დაუკრან ის თავიანთი სალამური თუ რაღაც სასტვენი; რამდენიც უნდათ, უმღერონ ერთ თეფშ ლობიოსა და იმ თავიანთ ერთი ღამის მეძავებს; რამდენიც უნდათ, იმდენი ახალ-ახალი პირუეტები და რიგოდოები შეთხზან.

თუ ვინმე გამოგეცხადება და გეტყვის, ხიდების შენება შემიძლია და ეგებ ეს ჩემი ხელობა მდინარეზე ხალხის გადასაყვანად მაინც გამოგადგესო, მოიშორე თავიდან, ყველა ინჟინერი — შორს! მდინარეზე ფონითა და ცურვითაც გადავლენ ჯვაროსნები, თუნდაც ნახევარი დაიხრჩოს. ინჟინრები კი იქ წავიდნენ, სადაც შენება სჭირდებათ. მათთვის კი, ვინც საფლავის საძებნელად მიეშურება, მარტო ერთი ხიდიც კმარა — რწმენა.

* * *

თუ შენ, ჩემო კეთილო მეგობარო, გინდა მიჰყვე შენს მოწოდებას, აღასრულო შენი მიზანი, ნუ ენდობი ხელოვნებას, ნუ ენდობი მეცნიერებას, ყოველ შემთხვევაში, იმასაც, რასაც ხელოვნებასა და მეცნიერებას უწოდებენ და სინამდვილეში კი საცოდავი მინამგვანია ჭეშმარიტი ხელოვნებისა და მეცნიერებისა. შენ შენი რწმენა იკმარე, შენი რწმენა იქნება შენი ხელოვნებაც და შენი მეცნიერებაც.

შენს წერილებში ისეთი წინდახედულება და სიფრთხილე იგრძნობოდა, ეჭვიც კი დამებადა, ნეტავ თუ შეძლებს თავისი შთანაფიქრის განხორციელებას-მეთქი. თითქმის ყველა შენი წერილი ერთიანად გადაჭრელებულია ჩანართებით, დაზუსტებებით, მინიშნებებით, შესწორებებით, ამიტომ წიაღვარივით როდი მოსჩქეფს, ნაპირებს რომ გადმოხეთქავს; შენს წერილებში ხშირად შემინიშნავს სიტყვაღვლარჭნილობა, მდარე ლიტერატურის იერი რომ დაჰკრავს, ხოლო ეს მართლაცდა უნიათო ლიტერატურა ბუნებრივად ემიჯნება ყოველგვარ მონურსა და უხამსს; დამმონებელმა კი მშვენივრად უწყის, რომ სანამ მონა თავისუფლებას უმღერის, თავის მონურ მდგომარეობასაც კარგად ეგუება და აზრადაც არ მოუვა, გაგლიჯოს თავისი ბორკილები.

მაგრამ ხანდახან კვლავ დამიბრუნდება ხოლმე შენდამი რწმენა და იმედი, მით უმეტეს, როცა დაუდევარ, მოუფიქრებელ და ლამის კაკოფონიურ სიტყვებს მიღმა აშკარად ვგრძნობ შენი ხმის ციებცხელებიანივით აგზნებულ

თრთოლვას. ზოგჯერ მაინც კაცი ვერ მიხვდება, რა ენაზე ლაპარაკობ; დაე, ყველამ თავის ენაზე თარგმნოს... მაშ იცხოვრე ამ დაუდგრომელ და უსასრულო გზნებათა ქარბუქში და დაჰყევი ამ ერთადერთ გზნებას. მხოლოდ ბობოქარ, დაუცხრომელ ადამიანებს შეუძლიათ შექმნან რაღაც ჭეშმარიტად დღეგრძელი და ნაყოფიერი. თუ შენს გასაგონად ვინმემ მავანზე თქვა, „უმწიკვლოაო", — ამ სულელური სიტყვის ნებისმიერი მნიშვნელობით, — გაერიდე მას, მით უმეტეს, როცა ის ხელოვანია. როგორც უფრო სულელი კაცი არც იტყვის და არც გააკეთებს სისულელეს თავის ცხოვრებაში, ასევე ხელოვანიც, ყველაზე ნაკლებად რომაა პოეტი და ანტიპოეტიც კია — ხელოვანთა შორის კი ბუნებით ანტიპოეტები ჭარბობენ, — სწორედ ის ხელოვანი აღმოჩნდება ხოლმე ასეთი „უმწიკვლო", სწორედ მას შეამკობენ ხოლმე დაფნის გვირგვინით ეს მესტვირე მოცეკვავეები, მას აჯილდოებენ პრემიებით, დიპლომებით და მას აცხადებენ „უმწიკვლოდაც".

ჩემო საბრალო მეგობარო, შენ გაძაბუნებს გაუნელებელი ციებ-ცხელება, წყურვილი უძირო და უნაპირო ოკეანეებისა, შიმშილი სამყაროთა და სევდა მარადიულობისა, იტანჯები შენივე გონებისაგან და არ იცი, რა გინდა. ახლა, ახლა აიკვიატე სიგიჟეთა რაინდის საფლავის საძებნელად წასვლა, რომ ცრემლად დაიღვარო, მოიშთო ოკეანეთა წყურვილით, სამყაროთა შიმშილით, მარადიულობის სევდით.

გაუდექი გზას მარტო. ყველა მარტოსული გამოგყვება, შენს გვერდით კი ივლიან ისინი, მაგრამ შენ მათ ვერ დაინახავ; ყოველ მათგანს ასევე ეგონება, რომ მარტო მიდის, თუმცა კი ყველა ერთად შეადგენთ ერთ დიდ წმინდა ლაშქარს, წმინდა უსასრულო ჯვაროსნულ ლაშქარს.

შენ, ალბათ არ იცი, ჩემო კარგო მეგობარო, რომ ის მარტოსულები, ერთმანეთსაც რომ არ იცნობენ, ერთიმეორის სახესაც რომ ვერ ხედავენ, და არც სახელი იციან ერთიმეორისა, მაინც ხელს უწვდიან ერთმანეთს და სიკეთეს უსურვებენ, სხვები კი ამ დროს მითქმა-მოთქმას უნდებიან, ჩურჩულ-კურკურსა და ლანძღვა-გინებას არ აკლებენ ერთმანეთს, მერე ყველა თავ-თავის გზას გაჰყვება და ყველა, რაც შეიძლება შორს გარბის საფლავიდან.

შენ ხომ შარახვეტიათა ბრბოს არ მიჰყვები, შენ თავისუფალ ჯვაროსანთა ლაშქარში ხარ. მაშ რატომღა უსმენ და უყურებ მაგათ ლაყბობას?

არა, მეგობარო, არა! ამ უბირთა ბრბოს რომ ჩაუვლი, ყურებზე ხელები აიფარე, ერთი სიტყვა გადაუგდე და შენი გზა განაგრძე, გზა საფლავისკენ, მაგრამ იმ სიტყვაში უნდა ისმოდეს მთელი შენი წყურვილი, მთელი შენი შიმშილი, მთელი შენი სევდა და სიყვარული. მაგრამ თუ გინდა შენც მათი ცხოვრებით იცხოვრო, მაშინ იცხოვრე მათთვის, ოღონდ იცოდე, ჩემო საბრალო მეგობარო, დასაღუპავად გაგიწირავს თავი და ეგ არის.

მახსენდება ის ტკივილით სავსე წერილი, რომელიც მაშინ მომწერე, როცა ლამის უკვე გატყდი, ფარ-ხმალი დაყარე და კინაღამ მიეკედლე კიდეც მათ; და მე მივხვდი, რარიგად მიმძიმდა მარტოობა, მარტოობა რომელსაც შენთვის ნუგეში და მხნეობა უნდა მოეტანა. მაშინ იყო, რომ ყველაზე უფრო საშინელი სასოწარკვეთილების ზღვარს მიუახლოვდი, ლამის უფსკრულს მიადექი, რომელიც შთანთქმას გიქადდა; იმ ზღვრამდე მიხვედი, რომ შენ საკუთარ მარტოობაშიც კი დაეჭვდი, წარმოიდგინე, ვითომ გარს ხალხიც კი გეხვია. „ეგებ ტყუილად ვიმტვრევ თავსო, — მეუბნებოდი, — მე რომ მგონია, მარტო ვარმეთქი, ეგებ ჩემივე გამონაგონია, ჩემი ეჭვების ნაყოფია, პატივმოყვარეობისა და ვინ იცის, სიგიჟისაც კი. მაშ, რატომ არის, რომ მშვიდ მდგომარეობაში თითქოს ჩემს ირგვლივ ადამიანებს ვხედავ, რომლებიც ხელს მართმევენ, მამხნევებენ, მათი გულითადი სიტყვებიც კი მესმის და, საერთოდ, ყველაფერი, რაც ჩემს გარშემო ხდება, იმაზე მეტყველებს, რომ მე მარტო არა ვარ". და სულ ასე და ამგვარად. მივხვდი, რომ თავს იტყუებდი, ლამის იღუპებოდი, და ვხედავდი, რომ გაურბოდი საფლავს.

არა, ნუ მოიტყუებ თავს, ნუ, რანაირი ციებ-ცხელების შეტევაც უნდა გქონდეს, რანაირი წყურვილიც უნდა გახრჩობდეს, რა შიმშილიც უნდა გტანჯავდეს, შენ მარტო ხარ, სრულიად მარტო. კბენა ხომ მუდამ კბენა არ არის, ზოგჯერ კოცნასაც ჰგავს. ისინი, ვინც ტაშს გიკრავენ, სინამდვილეში გისტვენენ, ვინც გიკიჟინებენ — „წინო!" — სინამდვილეში უნდათ შეგაჩერონ, ოღონდ კი საფლავისკენ არ წახვიდე. დაიხშე ყურთასმენა და უწინ უფრთხილდი ყველაზე უფრო საშიშ ცდუნებას, აბეზარი ბუზივით რომ აგედევნება; უფრთხილდი, არ აგიყოლიოს მაცდურმა წუხილმა — ნეტავ როგორი ვჩანვარ სხვის თვალშიო. შენ მარტო იმაზე იზრუნე, როგორი ჩანხარ უფლის თვალში, იმაზე იფიქრე, როგორი წარსდგები უფლის თვალთა წინაშე.

შენ მარტო ხარ, გაცილებით უფრო მარტო, ვიდრე გგონია, მაგრამ ჯერ მხოლოდ დგახარ აბსოლუტური, სრული, ჭეშმარიტი მარტოობის გზაზე. აბსოლუტური, სრული, ჭეშმარიტი მარტოობა მაშინ დგება, როცა კარგავ შენს უკანასკნელ მეგობარს — საკუთარ თავს და ჭეშმარიტად, აბსოლუტურად, სრულიად მარტო მაინც არ იქნები მანამდე, სანამ არ განთავისუფლდები ყოველივე იმისგან, რაც ხარ შენ თვითონ — სამარის პირას. წმინდა მარტოობა!

* * *

აი, ეს ყველაფერი მოვახსენე ჩემს მეგობარს და მან პასუხად მომწერა მწარე ნაღვლით აღსავსე ერთი გრძელი წერილი.

კეთილი, რაც შენ მითხარი, ყველაფერი ეს ძალიან კარგია, ძალიან კარგია, ურიგო მართლაც არ არის, მაგრამ ნუთუ იმაზე არ გიფიქრია, იქნებ გერჩივნა, სანამ დონ კიხოტის საფლავის საძებნელად წავიდოდით და გამოვიხსნიდით ბაკალავრების, მღვდლების, დალაქების, კანონიკოსებისა და ჰერცოგებისგან, ჯერ უფლის საფლავი მოგვეძებნა და გაგვეთავისუფლებინა მორწმუნეთაგან და ურწმუნოთაგან, ათეისტებისაგან და დეისტებისგან, ასე რომ დაეპატრონნენ მას და იქ, სადაც გაისმის უნუგეშო სასოწარკვეთილებისა და გულსაკლავი ტირილის ხმები, დიახ, იქ დავლოდებოდით, როცა უფლი ჩვენი აღსდგებოდა მკვდრეთით და გადაგვარჩენდა არარასაგან!

ესპანურიდან თარგმნა
მერი ტიტვინიძე

ემზარ კვიტაიშვილი

# ახალგაზრდული ჟინი და გაყვითლებული ფურცლები

*

## ერთი განუხორციელებელი სცენარის თავგადასავალი

მას მერე თითქმის ნახევარმა საუკუნემ განვლო. უნივერსიტეტი ახალი დამთავრებული მქონდა. რეჟისორმა ნანა მჭედლიძემ „ცისკარში" რეზო ჭეიშვილის რამდენიმე ნოველა წაიკითხა, აღფრთოვანდა და მასთან შეხვედრა მოინდომა. რეჟისორმა და მწერალმა გაიცნეს ერთმანეთი. მათი შემოქმედებითი თანამშრომლობა ნაყოფიერი გამოდგა. ქალბატონი ნანას მონადინებით რეზო კინოსტუდიის სასცენარო განყოფილებაში რედაქტორად მიიღეს. ჩვენ დღედაღამე ერთად ვიყავით. მაშინ, თითქმის ერთი წელიწადი, არსად ვმუშაობდი. ხშირად მიწევდა რეზოსთან და ანზორ სალუქვაძესთან სამსახურში მისვლა.

ანზორის მიღება (ასე მიამბეს) მთლად ანეკდოტურად მომხდარა. ჩვეულებრივ, მოცალეობის ჟამს, სულიკო და ერიკ ჟღენტებთან ერთად (ღმერთმა ნათელში ამყოფოს სამივენი) დიდ მაგიდასთან თამაშობდა. ასანთის კოლოფებს ისროდნენ გვერდიდან — ვინ რომელი კუთხით დააჯენდა. კარგი თავშესაქცევი იყო, მეც ვერთობოდი ხოლმე. ერთხელაც მიხეილ კვესელავას უთხრეს (მეგობარს დირექტორის მოგვარემ და საყვარელმა ნასტუდენტარმა რეზო კვესელავამაც შეაწია სიტყვა) — მაინც ყოველდღე აქ დადის, ნიჭიერი, განათლებული კაცია, სცენარების წერაც ეხერხება, ბარემ შტატში აიყვანეთო. ბატონი მიშა უცხო ენათა ინსტიტუტში დირექტორობის დროიდან იცნობდა ანზორს და მაშინვე უთქვამს, განცხადება დამიწეროსო. ანზორს თვე და რიცხვი ვერ გაუხსენებია (ვგონებ, პასტერნაკის არ იყოს, არც ის იცოდა, „რომელი ათასწლეული იდგა"), მაგრამ გულშემატკივრები დაეხვივნენ და განცხადების ტექსტი უკარნახეს — ასე გახდა კინოსტუდიის თანამშრომელი.

მალე რეზო და მე ნანა მჭედლიძის მოკლემეტრაჟიანი, ძალზე პოეტური ფილმის („ჩქარი მატარებელი") ჩვენებას დავესწარით. განხილვის მერე მხიარული პურობა გაიმართა. ნანას ულოცავდნენ გამარჯვებას, უსურვებდნენ, შემდგომში შენი დიდი ფილმი გვენახოსო. მეც ვადღეგრძელე, ვუთხარი — დარწმუნებული ვარ საუკეთესო სრულმეტრაჟიან ფილმს გადაიღებ-მეთქი (იგი ხომ უბერებელი, იმედითა და სიცოცხლით სავსე „პირველი მერცხალის" ავტორია განსვენებულ ლევან ჭელიძესთან ერთად). ისიც დავურთე — თუ ვინმემ ამ საქმეში ინტრიგანულად ხელი შეგიშალა, იმის გადიდებული სურათი გვენახოს-მეთქი. ყველა მიხვდა, რასაც ნიშნავდა ეს ქარაგმულად ნათქვამი და მთელი სუფრა ახარხარდა.

ზემოთაც აღვნიშნე — სამოციან წლებში კინოსტუდიის დირექტორი იყო დიდად განათლებული და უსაზღვროდ კეთილი ადამიანი, ახალგაზრდების ქომაგი და ყოველნაირი რისკის ფასად მხარდამჭერი მიხეილ კვესელავა, რომელმაც დაგვიახლოვა და თავისი წარსულიდან ბევრი საინტერესო რამ გვიამბო. ჩვენ კარგად ვიცოდით მისი ფართო ლიტერატურული ინტერესები, წაკითხული გვქონდა „ფაუსტური პარადიგმების" ორივე ტომი და მწერლობაზე, ხელოვნებაზე (მხატვრობაც ძალიან უყვარდა) ხშირად ვსაუბრობდით. მახსოვს, ახალგაცნობილს, რა დიდსულოვნად მათხოვა ანდრეი ბელის „არაბესკები", იშვიათი გამოცემა. ერთხელ ფრანც კაფკაზე დაწერილი გერმანული, უცნობი ფოტომასალით მდიდრულად ილუსტრირებული წიგნი ვიშოვე (ნოდარ კაკაბაძის ახლობელი, ჩემი უფროსი მეგობარი, ცხონებული ბორის გაჩეჩილაძე ვერაზე უცხოური წიგნების მაღაზიის გამგე იყო და, რაც მომეწონებოდა, ამარჩევინებდა ხოლმე). ის მოზრდილი წიგნი, სანახევროდ ალბომი, ბატონ მიხეილს მივუტანე და ვუთხარი, მე ამას ბევრს ვერაფერს გავუგებ, ჩემზე მეტად თქვენ გამოგადგებათ-მეთქი: გადაფურცლა, სახეზე კმაყოფილება გამოეხატა, მაგრამ დაიჟინა, საფასური უნდა გადაგიხადო, ახალგაზრდა კაცი ხარ, ამის ფული სად გექნებოდაო. როგორც იქნა, დავარწმუნე, რომ ეს გულს მატკენდა, ხინჯად დამრჩებოდა, და წიგნი დაიტოვა, დიდი მადლობა გადამიხადა. არ დამავიწყდება, რა გატაცებით გვიყვებოდა მეორე მსოფლიო ომში თავის მონაწილეობაზე. გერმანიის დამარცხება როცა მოახლოვდა, იგი, ხშირ შემთხვევებში, უშუალოდ ხელმძღვანელობდა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში მთავრობების შედგენას. უფრო დაწვრილებით რუმინეთის ამბები მოყვა. ძალიან შეაქო მეფე მიხაი, გვიამბო მისი გადაყენების დეტალები. ჩემს მიერ დანიშნული მთავრობის წევრები, მინისტრები, მერე კრემლში სტალინს ხელს ართმევდნენო, გაიცინა. სიები მეჭირა და სათითაოდ ვხვდებოდი ყველას. ეს საიდუმლო დავალება იყო. ისეთ რამეებში ვარ გარეული, რომ დავწერო, არც დამიჯერებენო, თქვა. ოთხ საათს მაინც ილაპარაკა გაბმულად. ვიცოდით, ნიურნბერგის გახმაურებულ პროცესს რომ ესწრებოდა (რამდენიმე წლის მერე, ორ ტომად, კიდევაც გამოსცა თავისი მეტად მნიშვნელოვანი დოკუმენტური წიგნი „ასერგასის დღე, ათასი ფუთი ბრალდება", რომელშიც ბევრი შემზარავი ფაქტია აღწერილი). გერმანიიდან მხოლოდ რამდენიმე ჩემოდანი ძვირფასი, უნიკალური წიგნები წამოიღო, ეს იყო მისი ნადავლი. ნანობდა, ერთი იმდენი გადარჩეული მქონდა, მეგონა, ისევ მივბრუნდებოდი და წამოვიღებდი, მაგრამ ჩემი ვარაუდი გამტყუნდაო.

არ შემიძლია მადლიერების გრძნობით, კეთილი სიტყვით არ მოვიხსენიო სასცენარო განყოფილების გამგე, ძალზე კულტურული, ღიმილიანი კაცი (თითქმის ოცი წელი ჰქონდა გატარებული საბჭოთა საპყრობილეებში), რეპრესიებგამოვლილი მიხეილ მგალობლიშვილი, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელთან ურთიერთობაც ფრიად სასიამოვნო იყო. იუმორის სხვანაირი გრძნობა ჰქონდა და რაღას არ გვიამბობდა. გვიყვარდა მისი ყურისგდება. მახსოვს, მოგვიყვა რომელიღაც ტრაბახა, მაგრამ უბოროტო დიდი თანამდებობის მქონე მოხელეზე, ვინც ბოლოს თავის ბაქიაობას გადააყოლეს. ბოლშევიკები სულ უმიზეზოდ იჭერდნენ და ხვრეტდნენ ყოვლად უდანაშაულო ადამიანებს, ხოლო თუ მათ რაიმე საბაბს მისცემდი, ცოცხალს როგორ დაგტოვებდნენო, ჩაილაპარაკა. ერთხელ, დილით, ის უილბლო ჩინოვნიკი სამსახურში წინა ღამით დრონატარები, ნაბახუსევი მისულა, თანამშრომლები შემოუკრებია. დიდი, ძველებური, ლომისფეხებიანი მაგიდა ჰქონია. მწვანე მაუდი იყო ზედ გადაჭიმული. უცნაურად ატაცებულს, ატეხილს, შუაში წითლად მოღუდღუდე პარტბილეთი დაუდია. გარშემო, თანავარსკვლავებივით, შემოუწყვია სხვადასხვა, ქვის გამხეთქავი დოკუმენტები, საშვები, მის პატრონს ნაირნაირ პრივილეგიებს რომ ანიჭებდა. დაწესებულების ერთპიროვნულ ხელმძღვანელს საჩვენებელი თითი წუთით მაღლა შეუმართავს და ხელქვეითებისთვის უკითხავს დაახლოებით თორმეტ ნიგნაკზე — ხომ საუცხოო, ერთმანეთზე უკეთესი საბუთებია ესენი, რასაც ჩემს მაგიდაზე ხედავთ? რა თქმა უნდა ასეა, ბატონოო, ერთხმად უპასუხეს. ხოდა, ყველა ეს სიკეთე მოიტანა ამანო, ამაყად თქვა გაცინებულმა და თითი ლენინისპროფილიან წითელ მანდატს დაარჭო.

იმავე დღეს (სად რა დაიმალებოდა?!) ამბავი გაუტანია ვიღაცას, ესა და ეს პიროვნება ნამეტანი თავს გავიდა, პარტიას და თვალისჩინივით მოსაფრთხილებელ წმინდათაწმინდა დოკუმენტს, პარტბილეთს, მასხარად იგდებსო. მერე აღარც გამოჩენილა სამსახურში ის უბედური, საგანგებოდ დაგეშილ ორგანოებს შეეპყროთ და ცოცხალი აღარავის უნახავს. გული დაგვწყდა ასეთი ენამოსწრებული კაცის დაღუპვაზე. გვარი არ დამამახსოვრდა, ტრაგიკომიკური ამბავი კი ზუსტად ასე იყო.

ეს კი მახსოვს — რომელიღაც შეთამამებულმა მაკვარანცხმა (თუ არ ვცდები, საქართველოდან გადაკარგული გივი კვერენჩხილაძე იყო, ჩვენი ზინას ძმა) ეშმაკურად ჰკითხა — ამდენი ტანჯვა-წამება გადაგიტანიათ, სამოც წელს გადაშორებული ბრძანდებით და გვითხარით, ქალის სურვილი თუ გიჩნდებათო. ბატონმა მიშამ ოდნავ მოკაუჭებულ ცხვირზე ხელი ჩამოისვა, მერე თავი მოიქექა (კეფასა და გვერდებზე ჯერ კიდევ შავი, ხუჭუჭი თმა უხვად ჰქონდა), გვერდულად გაიღიმა და თქვა: კი, სურვილი როგორ არ მიჩნდება, წელიწადში ერთხელ, გათენების ხანს, მაგრამ მე რომ მომწონს, ისეთ ქალს იმ დროს ვინ მომიყვანსო. სიცილი ატყდა. ძვირფასი ადამიანი იყო, ყოველთვის გვისწორებდა ხასიათს.

ერთხელ მეტად უცნაური რამ გვიამბო ბატონმა მიხეილ მგალობლიშვილმა მის ოთახში თავშეყრილებს. ღირს გახსენებად, იმ ავადმოსაგონარი ოცდაათიანი წლების თავისებურ ილუსტრაციად გამოდგება. რეალური პიროვნება, მგზნებარე რევოლუციონერი, უდრეკი ბოლშევიკი დაასახელა. გახურებულ დაპატიმრებათა და დახვრეტათა დროს ასეთი რამ მოუფიქრებია პარტიის თვალში ისედაც დიდი ავტორიტეტის ასამაღლებლად, ახალი ქულების მოსაპოვებლად; სტუმრები რომ ენვეოდნენ და სუფრა გაიშლებოდა, ბელადის სადღეგრძელოს შემდეგ, შვილებს, ორ ვაჟს, დაუძახებდა და სკამებზე შეაყენებდა (ეტყობა, წინასწარ ჰყავდა განვრთნილი). მერე გატვრენილებს რიხიანად ეტყოდა: აბა, ჩამოთვალეთ ხალხის მტრების გვარები. და ისინიც ჩამორაკრაკებდნენ. ერთი თუ შეყოვნდებოდა, მეორე წაეშველებოდა და ასე, წვეულებიდან წვეულებამდე „მტრების“ სია იზრდებოდა, ემატებოდა და ემატებოდა.

ბატონმა მიშამ გვერდულად გაიცინა: არ ერჩივნა იმ მამაცხონებულს (ძველი ბოლშევიკი იმხანად რამდენიმე წლის გარდაცვლილი იყო), ბავშვებისთვის ლექსები, არაკები და ზღაპრები ესწავლებინა. გაგონილა ამნაირად შვილების აღზრდა?! ბავშვობა წაართვა, სული დაუმახინჯა საწყლებს! — სინანულით გადააქნია თავი.

მხოლოდ ახლაღა გავიფიქრე, რა ბუნებრივად ჩაჯდებოდა მიხეილ მგალობლიშვილის მართალი მონაყოლი თენგიზ აბულაძის „მონანიებაში“, ოღონდ ამ ეპიზოდს ერთგვარი ტრანსფორმირება დასჭირდებოდა. იქ ვარლამ არავიძის ვაჟის პატარაობასაც ვხედავთ (გავიხსენოთ, როგორ ისკუპებენ ნაბადმოსხმული მამა და შვილი ღია ფანჯრიდან და წინასწარ შეკაზმულ ცხენებს მოახტებიან).

ერთხელაც შეიძლებოდა, რეჟისორს ეჩვენებინა პატარა წვეულება ცბიერი და სისხლიანი მიკროდიქტატორის ოჯახში, სადაც მასპინძელი, პრესტიჟულ სტუმრებთან თავის მოსაწონებლად მცირეწლოვან ვაჟს, აბელს, სწორედ ხალხის მტრების, მისი ვერაგობით და დასმენით განადგურებულ მსხვერპლთა ჩამოთვლას ავალებს. სკამზე შემდგარი ბიჭუნა იწყებს მამისგან შეკვეთილი გვარების დასახელებას, მაგრამ რაღაც მომენტში იბნევა, წაბორძიკდება და ავიწყდება.

უფროს არავიძეს მოულოდნელობისა და სიბრაზისაგან სახე მოელრიცება, თვალები ავად გაკვესავს (ისიც გავიხსენოთ, რა გენიალურად გამოსდიოდა მსახიობ ავთო მახარაძეს ეს მკვეთრი გარდასახვა); შვილმა იგი აშკარად შეარცხვინა საპატიო სტუმრებთან და გაშმაგებული, წონასწორობადაკარგული, ღრიალს მორთავს — ესენი რატომ გამოტოვეო და სახეშეშლილი, დუჟმორეული, ისტერიულად ყვირის, თვითონ იწყებს ნაკლული სიის შევსებას, დახვრეტილთა გვარების ჩამოთვლას შემცბარ, საქციელწამხდარ ბიჭს, მღელვარებისგან ტირილი აუვარდება, სკამიდან ჩამოხტება, შემზარავ სერობას ტოვებს და თავის ოთახში გარბის.

რეჟისორი ყოველივე ამას, რაღა თქმა უნდა, ჩემს ვარაუდზე ბევრად უფრო ოსტატურად გააკეთებდა, კიდევ უფრო გააძლიერებდა მისი შედევრის ტრაგიკულ ჟღერადობას და დარწმუნებული ვარ, ეს იქნებოდა ერთ-ერთი საუკეთესო კადრები იმ ფილმში, რომელმაც სამართლიანად მოიპოვა მსოფლიო რეზონანსი.

არასოდეს დამავიწყდება მეორე რეპრესირებული, სათვალიანი, ერთიანად მელოტი (მოგრძო, კუშტულა, უკან გამოზნექილი, ნესვივით თავი ჰქონდა), პატარა ტანის კაცი, პროფესიით ჟურნალისტი, საშა მახარაძე. მაშინ დაოჯახებული არ იყო, მოხუცი დედა, ძველებური ყაიდის ჩიხტიკოპიანი მანდილოსანი (ერთხელ შვილს სტუდიაშიც მოაკითხა) უვლიდა. მერე ერთი ნაქმრევი, შავტუხა, მას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თან შედარებით ახალგაზრდა ქალი შეირთო და ამბობდნენ, ტკბილი ცოლქმრობა აქვთო. ნაკითხობა არ აკლდა, მაგრამ აზრის გამოთქმისას გადამეტებულ სიფრთხილეს იჩენდა. შორეულ აღმოსავლეთში ჰყავდათ გადასახლებული, ოცდაჩვიდმეტ წლამდე გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში" ნამუშევარი. სტალინის სიკვდილის მერე გათავისუფლების ქაღალდი როცა მიუციათ (იქ აღნიშნული ყოფილა — რიგით ორი კვირის მერე უნდა გამომგზავრებულიყო), ანრიალებულა. მატარებელს თურმე იმდენი ნაპატიმრალი ეხვეოდა, ვაგონში ასვლა ძნელად გადასაჭრელი პრობლემა ყოფილა. ბატონ საშას, მოსაზრებულ კაცს, უფიქრია, სანამ ჩემი რიგი მოაწევს, მანამდე ვივარჯიშებო — ვეება ზურგჩანთა რიყის ქვებით გაუტენია და იმ ჯგლეთაში გზას იკვალავდა ოფლად გაღვრილი. გარკვეული წარმატებისთვისაც მიუღწევია, მაგრამ როცა მისი წამოსვლის ჯერი დადგა, არაქათი გამოცლილი ჰქონდა და ვაგონში ველარ მოიხვედრა თავი. მეორე დღეს, რის ვაი-ვაგლახით წამოსულიყო სამშობლოში.

საშა მახარაძეს ქვეყნის წინაშე ერთი უდავო დამსახურება მიუძღვის. თბილისის საპყრობილეში ყოფნისას, საკანში მასთან ერთად მჯდარა მსოფლიო მნიშვნელობის ელინისტი დიდი გრიგოლ წერეთელი. იგი ახალგაზრდა პატიმარს სალამოობით უყვებოდა, რაოდენ დახვეწილი ჯიში აქვთ ქართველებს, სხეულის, თავის ქალის როგორი იშვიათი, ჰარმონიული აგებულება და რომ ჩვენი მოდგმა როგორმე წმინდად უნდა შევინახოთ, არ შევრყვნათო. საშა მახარაძე ქაღალდის ნაკუწებზე იწერდა გენიალური მეცნიერის საკრალურ ნაუბარს და საიმედოდ ინახავდა, ბევრ რამეს ზეპირადაც იმახსოვრებდა. მე ხელთ მქონდა მოზრდილი ფორმატის გაზეთი (სახელწოდება, სამწუხაროდ, დამავიწყდა), გრიგოლ წერეთლის ნათესავის, მოგვარის გამოცემული, სადაც ნამებით მოკლული უთვალსაჩინოესი სწავლულის ნააზრევს თითქმის სამი გვერდი ეკავა. გაზეთის ის ნომერი 2000 წლის აპრილს საავადმყოფოში მივუტანე მომაკვდავ გივი გეგეჭკორს (მინდოდა რაიმეთი მენუგეშებინა), პალატაში დავტოვე და მერე რაღას მოვიკითხავდი, უბედურება დაგვატყდა.



*ემზარ კვიტაიშვილი და რეზო ჭეიშვილი*
*ახალქალაქის სამხედრო ბანაკი, 1958 წ. აგვისტო*

ისევ კინოსტუდიის ამბებს უნდა მივუბრუნდე, თანაც მთავარი სწორედ ის არის, რის მოყოლასაც ახლა ვაპირებ. ერთ საღამოს რეზო ჭეიშვილმა მითხრა, გრიგოლ აბაშიძის პიესის მიხედვით („მოგზაურობა სამ დროში") სცენარის დაწერა შემომთავაზეს, რეჟისორიც შერჩეული ჰყავთ, „დაკარგული სამოთხის" დამდგმელი დავით რონდელი; სიუჟეტი არაა ურიგო, შენც გადახედე და, თუ სურვილი გექნა, რაიმე ერთად მოვიფიქროთო. მე ჭკუაში დამიჯდა ეს წინადადება. მალე მუშაობას შევუდექით. პიესის ქარგა ორიგინალური იყო და თავისუფალი არჩევანის საშუალებას გვაძლევდა, მოქმედებას, სადაც გვინდოდა, იქ გადავიტანდით. ყველაფერი ძირისძირობამდე გადავაკეთეთ, რეზომ სათაურიც გამოცვალა, უფრო გააქართულა, „სამაია" დაარქვა. ფილმში ნაჩვენები იქნებოდა, თუ რა კურიოზული, აბსურდული დაბრკოლებები ელობებოდა ახალგაზრდა ნიჭიერი მხატვრის თორნიკე ამაღლობელის ნამუშევარს. ამბები უნდა დატრიალებულიყო სამ დროში. თანამედროვეობას გარიდებული, შემკვეთ-შემმოწმებლებისაგან განაწამები ხელოვანი ჯერ წარსულში გადაბარგდებოდა და იქაც საშინელი დღე რომ დაადგებოდა, შორეულ მომავალში ამოჰყოფდა თავს, თუმცა იქაც იმედგაცრუება ელოდა, აუტანელ გაუცხოებას იგრძნობდა. ისე კი ეს აზრიც გვინდოდა ჩაგვედო — ადამიანი იმ დროს უნდა დაჯერდეს, რომელშიც დაიბადა.

საბოლოოდ, მაინც ისე გამოდიოდა, რომ შემოქმედი იოლად ვერცერთ დროში ვერ იცხოვრებს, მისი საშველი არსად არაა, რასაც თანამედროვეობის მიმართ სოციალისტური რეალიზმი ვერასგზით ვერ შეიწყნარებდა.

შევეცადეთ, ჩვენი ძირითადი სათქმელი იუმორისტული პასაჟებით, კომიკური ეპიზოდებით შეგვენილბა. მხატვრის თანამგრძნობად გამოვიყვანეთ სასაცილო, დაბნეული პერსონაჟი, უცნაურად მოფიქრალი პოეტი უშანგი. მის პროტოტიპად რეალური პიროვნება, კეთილი კაცი, რამდენადმე ექსტრავაგანტური ლექსების ავტორი უშანგი ბედია მესახებოდა. იგი, სხვათა შორის, ლიტერატურის ინსტიტუტში ხშირად აკითხავდა გიორგი ლეონიძეს, ფიროსმანზე ცნობების შეგროვებაში ეხმარებოდა, მის ნალაპარაკევს იწერდა და შეხვედრებზეც დაჰყვებოდა. გიორგი ლეონიძე ამნაირ ხალხთან ურთიერთობას არ თაკილობდა, მუშაობით გადაღლილი, დღის ბოლოს, თავისებურად ერთობოდა. მერე უშანგი ბედიამ სასიამოვნოდ საკითხავი პატარა წიგნიც გამოსცა „ყივჩალის პაემანის" ავტორთან თავის სიახლოვეზე. შოთა ნიშნიანიძემ ძველ ქალაქურ სიმღერას მიმსგავსებული სახუმარო ლექსიც კი დაწერა უშანგიზე, მორის ფოცხიშვილის ესოდენ პოპულარულ „უკანასკნელ მეფაიტონეს" რომ გვაგონებს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფანჯარაში მტრედია,
თვით უშანგი ბედია,
არ მომიკლა, გეთაყვა,
დიდი შემოქმედია.

ჩვენდა სამწუხაროდ, მოგვიანებით, ოთხმოცდაათიან, არეულ წლებში, უშანგი ბედია ბრმა ნანლავის შეტევამ იმსხვერპლა. ყოვლად უწყინარი, ღვთისნიერი პიროვნება იყო. ძალიან დამწყდა გული. დავესწარი მის გასვენებას; სვანეთის უბანში, კუკიის სასაფლაოს მახლობლად ეცხოვრა.

სცენარზე გულდაგულ ვმუშაობდით. თავისთავად ცხადია, აქ მთავარი რეზო და მისი გამოცდილება იყო. მე უფრო წვრილმანების მოფიქრებაზე ვიყავი გადასული. გამჭოლ მელოდიად, ლაიტმოტივად გადავწყვიტეთ ძველი, წარმართული ელფერის და ჟღერადობის სიმღერა — „ერეხელი“ — გამოგვეყენებინა, რომლის ტექსტი საკმაოდ ბუნდოვანი იყო („ერეხელი ვარ და მერეხელი, ელიზბარი, ამისთანა, იმისთანა ქუმ ვარდა“).

რეზოს იდუმალებით მოცულ, სანახევროდ მითიურ პერსონაჟად უნდა გამოეყვანა ვინმეგრძელწვერა, ჩაბალახიანი ბრძენი ერეხელი, რომელიც წარსულ დროში დესპოტი მეფის (სამხატვრო გალერეის დირექტორ კეზევაძის იპოსტასის) შუანშეს თუ შვანშეს თვითნებობას დაუპირისპირდებოდა. შუანშე მრისხანეს სახეში, შეფარულად, სტალინს ვგულისხმობდით, ვინც პოლიტბიუროს მონურად მორჩილ წევრებს ყველაფერზე აწერინებდა ხელს. ამ ნანილში ზომიერად უნდა ყოფილიყო ჩართული ქართული ზღაპრის მოტივები, რაც ერთგვარ იდილიურ ფონსა და განწყობილებას შექმნიდა. ისიც ვიფიქრეთ, რომ სიმღერა „ერეხელის“ თავისებურ არანჟირებას მოახდენდა ჩვენი თაობის რომელიმე ნიჭიერი კომპოზიტორი. საამისოდ შეგულებული გვყავდა ბიძინა კვერნაძე და გია ყანჩელი. საჭიროების შემთხვევაში დაგვეხმარებოდა ხალხური სიმღერის საუკეთესო მცოდნე და თავად საუცხოო მომღერალი გომარ სიხარულიძე, თუმცა მათთვის წინასწარ არაფერი გვითქვამს.

ხშირად ვხვდებოდით რეჟისორ დავით რონდელს, განათლებულ, საინტერესო მოსაუბრეს. მან გვიამბო, რა ხიფათები გადახდა თავს „დაკარგული სამოთხის“ გადაღებისას (მხატვრად გენიალური დავით კაკაბაძე ჰყავდა მიწვეული). ბერიას თავისთან დაუბარებია დავით რონდელი. ყვებოდა, როგორ შემკრთალი მიდიოდა ხელის ცეცებით, კედელ-კედელ, ჩაბნელებულ კორიდორში და როგორ ძლივს მიაღწია აქოშინებულმა „სამგზის წყეულის“ კაბინეტს. ლავრენტის, მისდა გასაოცრად, ეთქვა (იგი, უხერხული აქცენტის გამო, ჩვეულებრივ, რუსულად მეტყველებდა), გავიგე, შენს ფილმში თურმე თავად-აზნაურობას მასხრად იგდებ და ასეთი რამე არ დავინახო, საქართველო აქამდე თავადაზნაურობამ მოიყვანაო. ბატონ დავითს ყველაზე მეტად იმის გამო წყდებოდა გული, ძალზე შთამბეჭდავად გადაღებული კადრები ამომაღებინაო. მთელი თხუთმეტი წუთი მიდიოდა, ნახევარი მილიონი დაჯდა. საიქიოში მოხვედრილი მიქელა გარდაცვლილ წინაპრებს და ახლობლებს ჩამოუვლის, მწკრივებს შორის ანგელოზივით დაფრინავს და ელაპარაკება. ბერიას უნახავს ის კადრები და რეჟისორი სასტიკად დაუტუქსავს (კიდევ კარგი, მხოლოდ ამას რომ დაჯერდა), ჩვენ გადავყევით ანტირელიგიურ პროპაგანდას, ეკლესიები დავანგრიეთ, ხატები დავლეწეთ, დავარწმუნეთ ხალხი, რომ არავითარი საიქიო არ არსებობს და ახლა ასეთ რამეებს როცა ნახავენ, ამდენი ხნის მუშაობა და აუარება სახსრები ხომ წყალში ჩაგვეყრებაო. რომელი რეჟისორი შეეწინააღმდეგებოდა ყოვლისშემძლე ჩეკისტის ნებას და ის კადრები მაშინვე განადგურდა.

ბატონ დავითს ვუთანხმებდით, რაც გვქონდა მოფიქრებული, აღტაცებული ჩანდა, ერთი სული მაქვს, გადაღებას როდის შევუდგებიო. მომავლის ეპიზოდები, შედარებით, ზოგად ხაზებში გვქონდა მოაზრებული, სხვანაირი არქიტექტურული ლანდშაფტი, სრულიად განსხვავებული გარემო უნდა ყოფილიყო. ღვინის თავგადაკლული მსმელი, რომელიც ზედიზედ სცლიდა ვეება ყანწებს და რიხიან სადღეგრძელოებს ამბობდა (მისი როლის შემსრულებლად დაუვიწყარი ეროსი მანჯგალაძე გვესახებოდა), მომავალ დროში დაგლახებული, გასაცოდავებული ზის მდინარის პირას, მკერდზე წინსაფარი აუკრავს, ხახაგამშრალს, სუფრის კოვზით ასმევენ ღვინოს; გულშეღონებული, დროდადრო ამოიგმინებს — რა დღეში ვარ, ესაა ცხოვრებაო.

რადგან ეჩქარებოდათ, სცენარში იმხანად მომავლის ეპიზოდები არ შეგვიტანია. დირექციას საცდელი ვარიანტი გადავეცით. მოიწონეს, ხელშეკრულება დაგვიდეს და ჰონორარის ნაწილიც მოგვცეს. დაინიშნა გენერალური განხილვა, რაც თითქმის ზუსტად დაემთხვა სცენარის დასაწყისში აღწერილ ეპიზოდს, როცა სამხატვრო გალერეის დირექტორი, დემაგოგი კეზევაძე კენჭს უყრის ფილმის მთავარი გმირის, თორნიკე ამაღლობელის სიმბოლურ ტილოს — გრძელ მაგიდასთან ხუთი მომხრეა და ხუთი მოწინააღმდეგე. საბოლოოდ, თავმჯდომარის ჩარევის შედეგად, ტილო უარყოფილი იქნება.

გუშინდელ დღესავით მახსოვს ზაფხულის ის ადრიანი საღამო. სცენარი წინასწარ იყო გამრავლებული და დარიგებული. საბჭოს წევრები დათქმულ დროზე შემოლაგდნენ გრილ დარბაზში. რეზო და მე ბრალდებულებივით ვისხედით კუთხეში. მოშორებით რეჟისორი იჯდა. განხილვას ბატონი მიხეილ კვესელავა უძღვებოდა, მაგრამ მისი მხარდაჭერა და კეთილი ნება საკმარისი ანუ გადამწყვეტი არ აღმოჩნდა. პირველად გამობრძმედილი ორატორი, ყბადაღებული სოციალისტური რეალიზმის პოზიციების ყბამოუღლელი დამცველი ბატონი ბესარიონ ჟღენტი გამოვიდა. გაუთავებლად ქირქილებდა. ჩვენს სცენარს საბჭოთა სინამდვილეზე მოჩმახული ბოროტი პასკვილი უწოდა. ამის გადაღება ყოვლად დაუშვებელია, ახლავე უნდა აღიკვეთოსო. ბოლო ეტაპზე ფილმის გადაღება-არგადაღებას მოსკოვი წყვეტდა, მაგრამ მოსკოვამდე ვინ მიგვიშვა, როგორც იტყვიან, ალაგობრივ „მოგვიხაზეს“.

პატივცემულ ბესოს ფიცხლავ აუბა მხარი „სტაჟიანმა“ დამსმენმა, ერთი ორგანოს ძველისძველმა და ერთგულმა მსახურმა, ვითომდა ინტელიგენტმა ვლადიმერ (ვოვა) მაჭავარიანმა, რომელსაც დიდად ეამაყებოდა, რომ ადრე მის ცოლს ახლო ურთიერთობა ჰქონდა ბერიასთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

(გამიგონია, ქალბატონი შურა თოიძე პენსნეიან სატანას მოფერებით ლავრუშას ეძახდაო). ბატონმა ვოვამ, ჩვენ რომ დავემცირებინეთ, როყიოდ განაცხადა — ამ ახალგაზრდებს ყოველგვარ ლოგიკას მოკლებული პრიმიტიული აზროვნება აქვთ, ატომისა და კოსმოსის ათვისების ეპოქაში ველოსიპედს იგონებენო, და რომ ასეთი უბადრუკი გამოხდომები ჩვენი სინამდვილის წინაალმდეგ სასაცილოა, მეტიც, უხამსი ცილისწამებაა

მესამედ კონსტანტინე ლორთქიფანიძეს მიეცა სიტყვა. სიმართლე უნდა ითქვას, მას არ ვულანძღივართ. პირიქით, შეგვაქო, ძალზე ნიჭიერი ყმანვილები ჩანან, მაგრამ სცენარის ნაკლი ამათი ბრალი არაა, ის ამბავი, საფუძველია ყალბი, რაზედაც სცენარი აშენდაო. რამდენიმე გონებამახვილური რჩევაც კი მოგვცა — უქნარა, ლოთი კაცი რომ გყავთ გამოყვანილი, იმას ბოლოს ფილთაქვა მიეცით ხელში, მოშილიფებული დასვით და წყალი ანაყვინეთო. პიესის ავტორი, იქვე მყოფი გრიგოლ აბაშიძე არ უხსენებია, მაგრამ აშკარად მასზე მიიტანა იერიში და, ამდენად, ჩვენც გაგვწირა.

მეოთხე გამომსვლელი ცნობილი მუსიკათმცოდნე გივი ორჯონიკიძე იყო, ძალზე განათლებული, თავის საქმის ჩინებული მცოდნე (მისი რამდენიმე წერილი წამიკითხავს, საკავშირო ჟურნალებიც უკვეთავდნენ მასალებს), მის დანახვაზე შევწუხდი, ფიზიკურად ნაკლული იყო; მკერდგამობურცულს კუზი ჰქონდა. ყელიდან რალაცნაირი რუყრუყი ამოსდიოდა, მაგრამ მივხვდით, რომ ჩვენი ნამუშევარი არ მოსწონებოდა, რატომღაც რეტროგრადების ბანაკში ალმოჩნდა, განაცხადა, ამ სცენარს მხარს ვერ დავუჭერო.

ამის მერე სიტყვა მისცეს პიესის ავტორს, ბატონ გრიგოლ აბაშიძეს. დასამალი არაფერია და მისი პიესიდან სცენარში არაფერი იყო დარჩენილი, რაც ალბათ სწყინდა, მაგრამ აშკარად უკმაყოფილება არ გამოუმჟღავნებია. მოკლედ თქვა, ორივეს ვიცნობ, ნიჭიერი, საიმედო ახალგაზრდები არიან, მაგრამ მე სულ სხვა რამე დავწერე, მაგათ კი თავისებურად გაიგეს, თუმცა ამის უფლება ჰქონდათო. ეს, ცხადია, ვერ გაამაგრებდა ჩვენს პოზიციას. მოგვიანებით, რამდენიმე ადამიანმა გვითხრა, იცოდეთ, გრიგოლ აბაშიძემ ჩაგძირათ, მაგრამ თვითონ არ გამოჩნდაო.

არასახარბიელო მდგომარეობის გამოსწორებას ყოველნაირად ეცადა ბატონი მიხეილ კვესელავა. თქვა, რომ ერთ-ერთ ნაწილში ჩაფიქრებული გვქონდა ტირანიის დასამხობად აზვირთებული ჩაგრულთა აჯანყება, რომელსაც მეთაურობდა ხალხის წიაღიდან გამოსული ბრძენი ერეხელი, სხვა არგუმენტებიც მოიშველია, მაგრამ სიტუაციის შეცვლა არ მოხერხდა, მოწინააღმდეგე მხარეზე არაფერმა არ გასჭრა, ჩანდა, მათ ჰქონდათ ვეტოს უფლება. მომხრეები ჩამძირველებზე ნაკლები არც ჩვენ გვყავდა, რაოდენობრივი სიმეტრია დაცული გახლდათ, თუმცა ეს არ ალმოჩნდა საკმარისი და გადამწყვეტი. ყველაფერს ისიც დაემატა, რომ რეჟისორმაც გვიგანა, ამ ახალგაზრდებს ვურჩევდი სცენარში მეტი სინათლე შეეტანათ და ჯიუტობდნენ, არ დამიჯერესო. მე არაფერი მითქვამს. რეზო წამოდგა, ბესო ჟღენტისა და ვლადიმერ მაჭავარიანის გასაბურთავებლად მნარემნარე რალაცები თქვა — ასეთი დახავსებული ტვინის პატრონებისაგან სიკეთეს არასოდეს უნდა ველოდოთო. გაკაპასებულმა, აჭარხლებულმა ბესომ, მაჭავარიანთან ერთად, დარბაზი დატოვა. რალას ვიზამდით, ჩვენც გავუყევით შინისკენ გზას.

კინოსტუდიაში სიარულისას ერთ კურიოზულ, სკანდალურ შემთხვევასაც შევესწარი. სასცენარო განყოფილებაში, ხელშეკრულების დასადებად და ავანსის ასაღებად ლიბრეტო ჰქონდა წარმოდგენილი სამხატვრო გალერეის დირექტორს, ძველ ფუნქციონერს, ჩვენს სცენარში გამოყვანილი კეზევაძის თავისებურ ორეულს მიშა თოფურიას. ჩადგმული კაცი იყო, პირქუში შესახედაობა ჰქონდა, ველურ ტახს ჰგავდა. სქელი, შავი წარბები კიდევ უფრო დაუნდობელ იერს აძლევდა. ასეთი კაცის ხელში იყო ქართველი მხატვრების ბედი. მას უნდა გადაეწყვიტა, ვისი ნამუშევრები უნდა გამოფენილიყო და ვისი — არა. ყველაფერზე, უპირველეს ყოვლისა, გამოხედვაზე, ეტყობოდა, რომ იგი მტკიცე თანამოაზრე უნდა ყოფილიყო სამხატვრო აკადემიიდან დავით კაკაბაძისა და ლადო გუდიაშვილის გამომძევებელის, უსიამოვნოდ გასახსენები-

### ბლოკის სიკვდილი

1920 წელს ბლოკის ჯანმრთელობა მკვეთრად გაუარესდა. მაქსიმ გორკი და მასთან ერთად სხვადასხვა ლიტერატურული დაწესებულება შუამდგომლობდნენ მთავრობასთან, რომ პოეტისათვის საზღვარგარეთ წასვლის უფლება მიეცათ, ვინაიდან მშიერ რუსეთში შეუძლებელი იყო სერიოზული მკურნალობა. შუამდგომლობას შედეგი არ მოუტანია, ბოლშევიკურ წრეებში ბლოკის რეპუტაცია შელახული იყო.

1921 წლის ივლისში პოეტმა ცნობიერება დაკარგა და მისი მდგომარეობა უიმედო გახდა. 7 აგვისტოს გარდაიცვალა. გარდაცვალებიდან ერთი საათის შემდეგ მოვიდა საზღვარგარეთ გამგზავრების ნებართვა. სიკვდილზე როცა ლაპარაკობდა, ბლოკი მას სწორედ „უცხოეთს" უწოდებდა, „უცხოეთს, სადაც გასამგზავრებლად წინასწარი ნებართვის ალება საჭირო არ არის".

როგორ გამოეხმაურა ოფიციალური პრესა პოეტის სიკვდილს? 9 აგვისტოს „იზვესტიაში" დაიბეჭდა: „გუშინ დილით გარდაიცვალა პოეტი ალექსანდრ ბლოკი". მხოლოდ ეს ერთი სტრიქონი, მეტი არაფერი. ბლოკი დაკრძალეს სმოლენსკის სასაფლაოზე. დაკრძალვას მხოლოდ რამდენიმე მეგობარი ესწრებოდა. მათ შორის იყო მტირალი ანა ახმატოვა, რომელმაც იმავე წლის შემოდგომაზე ასეთი სტრიქონები დაწერა: „მიუყვანეს სმოლენსკის ქომაგს, მიუყვანეს წმიდა ღვთისმშობელს, ხელში ატატებული, ვერცხლის კუბოთი, ჩვენი მზე, წამებით ჩამქრალი, ალექსანდრესი, ქათქათა გედისა".

ლი მამია დუდუჩავასი, რომელიც ავი ნაგაზივით იდგა უსახური სოცრეალიზმის სადარაჯოზე.

სამხატვრო გალერეის ხელმძღვანელის ლიბრეტო, როგორც თქვეს, მეტისმეტად უსუსური, სასაცილოზე სასაცილო იყო. კოლეგიამ პრინციპულობა გამოიჩინა და იგი პირველსავე განხილვაზე ჩავარდა. სამაგიეროდ, აპილპილდა და ავარდა თვითონ ლიბრეტოს ავტორი, ბეჰემოტივით ქშინავდა, სასცენაროდან გამოჭრილს, ბალიშებივით ლოყებზე ალი ასდიოდა.

— Я Вам покажу, где раки зимуют! — რუსულად დააგდო მუქარა და კიბეზე ქსიტინით, ქანჯალ-ქანჯალით დაეშვა.

ორი კვირის თავზე მთავრობამ კინოსტუდიის ხელმძღვანელობას გადმოუგზავნა სასტიკად განაწყენებული, უზომოდ შეურაცხყოფილი მიხეილ თოფურიას რუსულად დაწერილი ვეება საჩივარი, სადაც სათითაოდ იყო დახასიათებული და ბრალდადებული მის წინააღმდეგ გამოსული კოლეგიის წევრები. ყველა ვერ დავიმახსოვრე.

ბატონ მიხეილ მგალობლიშვილზე ასეთი რამ ეწერა:

„Скритый, замаскированный, враг советской идеологии, которого никак не следовало выпустить на свободу. Всячески мешает развитию нашего киноискусства".

აკაკი ბაქრაძე ასე იყო წარმოდგენილი:

„Злостный, отъявленный антисоветчик, мелконогий последователь югославских ревизионистов, которого следует немедленно обуздать"

ყველაზე მეტი რისხვა მაინც კინოსტუდიის დირექტორისთვის დაეტეხა. რა ეპითეტებს აღარ იყენებდა გაგულისებული მომჩივანი. ზოგიერთი მათგანი დამამახსოვრდა:

„Этими отщепенцами коварно руководит сам директор киностудии, Михаил Квеселава, политически неблагонадёжный субьект, тупой и равнодушный, как несгораемый шкаф его-же кабинета"

ყველა მათგანის სამსახურიდან მოხსნას რომ მოითხოვდა ამ ბობოქარი საჩივრის ავტორი, ამას რა მიხვედრა უნდოდა.

მახსოვს, როგორ გულიანად იცინოდა ინვექტივად ქცეული საჩივრის კითხვისას თვითონ ბატონი მიშა. ლამის ჩაბჟირდა. მწითური, ჩადგმული კაცი იყო. ჭაღარაშერთული ნაბლისფერი თმა უკან ჰქონდა გადავარცხნილი. ჭროლათვალებიანს, ერთთავად ყავისფერი კოსტიუმი ეცვა და ცეცხლგამძლე კარადასთან თავისი გარეგნობის შედარება მოხდენილ მიგნებად ჩათვალა. თანამშრომლებით გარშემორტყმულმა სიცილითვე თქვა: იმ მამაცხონებულს ლიბრეტოც ასე მგზნებარედ და ნიჭიერად რომ დაეწერა, ერთხმად გავიდოდა, წინ ვერაფერი დაუდგებოდაო.

გამოხდა ხანი. რეზო ჭეიშვილს კინოსტუდიამ ახალი ხელშეკრულება დაუდო — პოლიკარპე კაკაბაძის პიესის მიხედვით („ცხოვრების ჯარა"), პიროვნების კულტის, პატარ-პატარა სტალინების მამხილებელი სცენარი უნდა დაეწერა. რეზო სერიოზულად ჩაუჯდა საქმეს და მშვენიერი საკინოვე მასალა გამოუვიდა. იქაც იყო გამოყვანილი ერთი ექსცენტრული პერსონაჟი, დიდკაცთა მაამებელი პოეტი, სხვადასხვა შეკრებებზე პანეგირიკებს რომ კითხულობს. რეზომ მთხოვა, იმ პერსონაჟისათვის რამდენიმე მოკლე ტექსტი ლექსად დამეწერა. ეს დიდად არ გამძნელებია. ერთ ეპიზოდში დანიავებულ, ჩამოქვეითებულ, ერთ დროს ხელმწიფისტოლა კაცს, რომლის ძეგლიც პირველ კადრებში რკინის ბაგირით, „ტროსით", მოაყანყალეს, მოაძვრეს, მიწაზე დაანარცხეს, ძველი თაყვანისმცემლები, ფანატიკოსები პომპეზურ შეხვედრას უმართავენ და სწორედ მაშინ უნდა უთხრას მას პოეტმა-ტრიბუნმა გულისდამთუთქველი ლექსი. ორიოდე სტროფი ახლაც მახსოვს:

დიდებით განვლე გზა საპატიო,
ერთად ვიხდიდით პარტიის ამაგს
კარგა ხანს ქუხდი, როგორც რადიო,
რამ ჩაგიწყვიტა ხმა, ჩვენო მამავ?!..

* * *

ვიცით, ინახავ გრძნობებს უნაზესს,
მოგნატრებია მშრომელთა ტაში
ექვსი წელია, რაც ტრიბუნაზე
არ ჩანხარ შენი ჩინური პლაშით.

ამ დროს ბრეჟნევის ხანა, „უძრაობის პერიოდი" დადგა. პიროვნების კულტის მძაფრი კრიტიკა შეწყდა, ოცდაჩვიდმეტი წლის ნამდაუწუმ ხსენებაც არ ჩათვალა პარტიამ მაინცდამაინც საჭიროდ და სასურველად და რეზოს ის კარგი სცენარიც ჩაუგდეს ვილაც-ვილაცებმა.

მესამეჯერ კი, როდესაც უკვდავი „ყვარყვარეს" სცენარი დაწერა და ამ საშვილიშვილო საქმეს ხელი მოჰკიდა ულალატო, კაცურმა კაცმა დევი აბაშიძემ, რეზოს ვეღარაფერი დააკლეს. თანაც მთავარ როლში ყვარყვარეს ბრწყინვალედ განმასახიერებელი, ჩვენი უსაყვარლესი დოდო აბაშიძე იყო დაკავებული. გადაღების დაწყებამდე იგი ორივეს ღიმილით, ყელგაშვერილი ეხვეწებოდა: ე, ბიჭო, მალე გამაქექიეთ ნაცარი, ხელები მექავება, მეტის მოთმენა აღარ შემიძლიაო. თუ როგორი წარმატებული და სიცოცხლისუნარიანი გამოდგა დევი აბაშიძის გადაღებული „ყვარყვარე", ეს განვლილმა წლებმა ცხადყო.

რეზო ჭეიშვილისა და ჩემი ზემოთ ნახსენები, დიდი ხნის წინათ დაწუნებულ-ჩაძირული სცენარი „სამაია", ჯერ კიდევ მაშინ, წასაკითხად გადავეცი მეტად გულისხმიერ ადამიანს, ჟურნალისტ დინარა ლუკავას (ჩვენ, ჩვეული დაუდევრობის გამო, იგი არ შემოგვრჩა). ქალბატონმა დინარამ ამას წინათ დამირეკა და დამიბრუნა ჟამთა სვლისაგან ერთიანად გადაყვითლებული ფურცლები. ჩავიკითხე და ყველაფერი თვალის დახამხამებაში აღმიდგა, თითქოს არც გასულიყოს ეს ნახევარი საუკუნე, მთელი ეპოქა, რომლის მანძილზე უამრავი რამ ძირფესვიანად შეიცვალა. ჟურნალ „ჩვენი მწერლობის" რედაქტორმა ბატონმა როსტომ ჩხეიძემ გადაწყვიტა, იგი გამოექვეყნებინა (ვინ იცის, იქნებ ვინმეს რაიმეში გამოადგეს, თუნდაც ძველი დრო გაიხსენონ), ოღონდ მთხოვა, ტექსტისთვის მაშინდელი ვითარების შეულამაზებლად წარმომჩენი რამდენიმე ფურცელი წამემძღვარებინა. თავისთვის ძალა არ დამიტანებია, წინათქმა თითქმის ერთ დაჯდომაზე, იოლად დაიწერა.

ეკა ბუჯიაშვილი

# დარდიანი თაობის სარკე

✵

## ნონა კუპრეიშვილის საჯარო ლექცია

არსებობს თუ არა ლიტერატურული კრიტიკა?

ეს კითხვა თურმე დიდი ხანია ტრიალებს ჩვენს საზოგადოებრივ ყოფაში.

როგორია თავად კრიტიკოსების დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ, ამაზე ცოტა ქვემოთ შეიტყობთ, მანამდე კი გეტყვით, რომ ქალბატონმა ნონა კუპრეიშვილმა, ყველაფერთან ერთად შესაძლოა კრიტიკის არსებობაში დაეჭვებულთა საპასუხოდაც, ამ სფეროს კვლევა დაიწყო და ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ სალონში წაიკითხა მოხსენება, რომელშიც ვრცელი თემის ერთი ნაწილის შესახებ ისაუბრა და 50-60-70-იანი წლების ლიტერატურულ კრიტიკაში არსებული ვითარება მიმოიხილა.

საღამოს ქალბატონი მაია ჯალიაშვილი უძღვებოდა.

ბატონი როსტომ ჩხეიძის თქმით, არიან ადამიანები, ვინც უჩუმრად აკეთებენ მნიშვნელოვან საქმეს და მათ შორისაა ნონა კუპრეიშვილიც.

– მან არა მხოლოდ პირველწყარო იცის ზედმიწევნით, არამედ თვითონვე განაზოგადებს ამ ყველაფერს და რაც მთავარია, იგი მიუკერძოებელია, რაც აუცილებელი თვისებაა კრიტიკოსისათვის. თავის დროზე ოთარ ჩხეიძემ ლიტერატურის მკვლევარი მძღოლს შეადარა და აღნიშნა, რომ ნამდვილი კრიტიკოსი ორ განზომილებაში უნდა იხედებოდეს – წინაც იმზირებოდეს და სარკით მის უკან არსებულ სივრცესაც ზვერავდეს, სხვაგვარად ავარია გარდაუვალიაო.

ნონა კუპრეიშვილი ამ რანგის მკვლევარია. ის მოვლენების შუაგულშიც ტრიალებს და გარედანაც შეუძლია პროცესების შეფასება. აქვს გაბედულება და არ ეშინია თუნდაც შეცდომისა. მისი მოსაზრებები იწვევენ მოწონებასაც, კამათსაც, რაც ასე აუცილებელი სალიტერატურო ცხოვრებისათვის. ამიტომაც ძალზე გაგვიხარდა, როცა გავიგეთ, რომ ის კრიტიკის ისტორიის კვლევით დაინტერესდაო, –თქვა ბატონმა როსტომმა.

**ნონა კუპრეიშვილის ამ საჯარო გამოსვლის ზოგადი ქარგაც მრავალმხივაა საგულისხმო:**

— XX საუკუნის II ნახევრის ქართული კრიტიკული აზრის მეცნიერული კვლევის იდეა ჩვენი ინსტიტუტის უახლესი ქართული ლიტერატურის მაშინდელ კურატორს პროფესორ მანანა კვაჭანტირაძეს ეკუთვნის (ამჟამად ქ-ნი მანანა ლიტერატურის განყოფილების ხელმძღვანელია), სწორედ მისგან დამევალა ე.წ. პოსტსტალინური ხანის, უფრო ზუსტად კი 1953-1990-იანი წლების, კრიტიკული რეფლექსიის ანალიზი. ნაშრომმა, როგორც მოსალოდნელი იყო, კიდევ ერთხელ ცხადყო აღნიშნული საკითხის აქტუალობა. ანგარიშგასაწევი იყო ის ფაქტი, რომ არსებობდა აკაკი ბაქრაძის დოკუმენტური რომანი საბჭოთა იდეოლოგიის შესახებ, „მწერლობის მოთვინიერება“, სადაც თხრობა სწორედ სტალინის გარდაცვალებამდე გრძელდებოდა. გარდა ამისა, აკაკი ბაქრაძესვე განზრახული ჰქონდა აღნიშნული წიგნის გაგრძელება კონცეპტუალური სათაურით „გადარჩენა“, სადაც საუბარი სწორედ 1953-1990-იანი წლების ქართული მწერლობისა და კრიტიკის მნიშვნელოვან მისიას შეეხებოდა. აღნიშნული ნაშრომისათვის გაკეთებული ჩანაწერების პათოსი (ისინი აკაკი ბაქრაძის რვატომეულში უნდა მოიძიოთ) სრულად დაემთხვა ჩემეულ შეფასებებს და ამ ეტაპზე იქნებ ამ ფაქტის კონსტატაციითაც დავკმაყოფილებულიყავი, რომ არა უკანასკნელი პერიოდის პუბლიკაციები (მხედველობაში მაქვს 1999-2005 წლებში ჟურნალ „НЛО“-ში ქართველი ავტორების ზ. ანდრონიკაშვილისა და გ. მაისურაძის მიერ გამოქვეყნებული სტატია: „საქართველო 1990: დამოუკიდებლობის ფილოლოგემა ანუ გაუთვალისწინებელი გამოცდილება“; ჟურნალ „Дружба народов“-ში დაბეჭდილი გ. ნიჟარაძის პუბლიკაცია; კრებულში „საქართველო ათასწლეულთა გასაყარზე“ მოთავსებული იმავე გ. მაისურაძის თუ ლ. იაკობაშვილის წერილები), სადაც საბჭოთა სოციო-კულტურული მოდელების ანგარიშგასაწევი კრიტიკის პარალელურად შეინიშნება თვით საბჭოთა სისტემის შიგნით არსებული წინააღმდეგობების გაუთვალისწინებლობა, ანტისაბჭოთა განწყობილებების იგნორირება, მოვლენათა სუბიექტური შეფასების ტენდენცია (აქ ქალბატონმა ნონამ მაგალითად მოიყვანა ამონარიდი ზაალ ანდრონიკაშვილისა და გიორგი მაისურაძის წერილიდან, რომელშიც ავტორები იმოწმებენ ციტატას გიორგი ნიჟარაძის სტატიიდან „ნაცია ი მირ“, მისი შინაარსი ასეთია:

— 60-80-იანი წლები ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ყველაზე უდარდელ პერიოდად შეიძლება ჩაითვალოსო. ე.ბ.).

უთუოდ ამანაც მაფიქრებინა, რომ „იფქლის ღვარძლისაგან გამორჩევის“ პრინციპის დაცვა აუცილებელია. სწორედ ამ მიზნით მინდა გაგაცნოთ ჩემი ნაშრომის ზოგიერთი დებულება.

XX საუკუნის მეორე ნახევრის ლიტერატურული კრიტიკის კვლევის სირთულე, პირველ რიგში, აღნიშნული პერიოდის კრიტიკული რეფლექსიის საკმაოდ არასისტემური და წინააღმდეგობრივი ხასიათითაა განპირობებული. ტაბუახსნილი პოსტსაბჭოური დროის პოზიციიდან, არსებული თეორიული და დისციპლინარული რეორიენტაციის პირობებში, იგი განსხვავებულ ხედვასა და ანალიზს მოითხოვს. ჩვენში საკმაოდ ფეხმოკიდებული დასავლური თეორიების პოპრეცეფცია და უახლესი ქართული კულტურის ნიჰილისტურად შეფასების ტენდენცია, რომელიც არსებობს და თავისი არსებობის დეკლარირებას მეტ-ნაკლები წარმატებით ახდენს, შექმნილ ვითარებას მხოლოდ ცალმხრივად წარმოგვიდგენს. ძირითადად მიუღებლობის ნიშნით აღბეჭდილი შეფასებები: „კულტურული თვითკასტრაცია“, „მწერლობა მწერლების გარეშე“, „ანგაჟირებული კრიტიკა“, „ეთნომითოლოგიურ განზომილებაში თუ სომნამბულურ მდგომარეობაში მყოფი ერი, რომელიც მოკლებულია ცხად ცნობიერებას, რეალობის

გრძნობას“ არათუ ახდენს წარსულისაგან გონივრულ დისტანცირებას, არამედ საერთოდ შეუძლებელს ხდის იმავე წარსულის ნეგატიური გამოცდილების გადალახვის, დაძლევის შესაძლებლობას.

30-40-იან წლებში სახელგატეხილ ქართულ კრიტიკას, რომელიც ძირითადად სადამსჯელო ორგანოსა თუ ჟანდარმის როლს ასრულებდა და მკვდრადშობილი სოცრეალისტური ესთეტიკის ფარგლებში მოძრაობის იმიტირებას ახდენდა, სწორედ სტალინის გარდაცვალების შემდეგ მიეცა თვისობრივი სახეცვლილების საშუალება. გაჩნდა მწერალთა და კრიტიკოსთა მთელი თაობა (ო. ჩხეიძე, ნ. ჩხეიძე, გ. ასათიანი, გ. კანკავა, რ. თვარაძე, თ. ჩხენკელი, ფ. ბერიძე, ნ. კაკაბაძე, მ. კვესელავა, გ. მარგველაშვილი), რომელმაც „რკინის ფარდის“ გადაწევის შემდეგ, მას მერე, რაც განსხვავებულ შეხედულებათა და შეფასებათა სამყაროში კარები ოდნავ გაიღო, ღიად, კონსპირაციულად თუ ნახევრადკონსპირაციულად გაიბრძოლა მწერლობის საბოლოო დეზორიენტირების წინააღმდეგ და ამისათვის ერთ-ერთ უპირველეს საშუალებად კრიტიკის დეპოლიტიზირება, მისი ლიტერატურასთან დაბრუნება მიიჩნია. ვფიქრობ, სწორედ მაშინ გახდა შესაძლებელი იმის გადარჩენა, რისი წყალობითაც, „ავად თუ კარგად, რაღაც ცოცხალი და ცხოველმყოფელი იდენტობა გვაქვს“.

გასული საუკუნის 50-იან წლებში დაწყებული „საბჭოური მითის მსხვრევა“ ფარულ თუ აშკარა, ორივე შემთხვევაში კი უკომპრომისო, ენობრივ ბრძოლაში აისახა. სოციოლინგვისტურ ფენომენად ქცეული ენა საბჭოეთის პოლიტიკურსა და ლინგვისტურ ლანდშაფტში იმთავითვე არა გეოგრაფიულად, არამედ კონცეპტუალურად იყო ჩანერგილი და გარკვეული დროის მანძილზე „იდეური მითისქმნადობის ფორმად“ განიხილებოდა. საერთოდაც, ტოტალიტარიზმი, მ. მამარდაშვილის გამონათქვამს თუ გამოვიყენებთ, უპირველეს ყოვლისა „ლინგვისტური დაბჩავებაა“. აი, სწორედ ამ ენისაგან გამიჯვნის ნიშნით წარიმართა აღნიშნული პერიოდის კრიტიკოსთა თვითსელექცირების, იდეოლოგიურად ნორმატიული და დოგმატური მარქსიზმისაგან ლიტერატურის გამოცალკევების პროცესი, სადაც სოცრეალისტურ რიტორიკას პოეტიკა უნდა დაპირისპირებოდა.

წარმოდგენილ ნაშრომში ეს უმნიშვნელოვანესი მოვლენა, არა მარტო ჟურნალ „ცისკართან“ (1957 წ.) და „ცისკრელებთან“, არამედ ს. ჩიქოვანისეულ ჟურნალ „მნათობთან“ (1955-60 წწ.) და გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ 1954 წლის პოლემიკურ წერილებთანაცაა დაკავშირებული. გავაანალიზეთ რა ანტისოცრეალისტური ესთეტიკის მიმდევარ კრიტიკოსთა პუბლიკაციები და განსაკუთრებით გ. ასათიანის ესეი „პირველი დიალოგი ვრცელი რემარკებით“, როგორც „მგზავრის წერილების“ თანამედროვე ვარიანტი, საფუძვლიანად მივიჩნიეთ ამ პროცესისათვის რეკონსტრუქცია, ხოლო მასში უშუალოდ ჩართული მწერლებისა და კრიტიკოსებისათვის რეკონსტრუქტივისტები გვეწოდებინა. რეკონსტრუქცია, აღნიშნულ კონტექსტში გაგებულ უნდა იქნას, როგორც კულტურული წყვეტის გამრთელების მცდელობა, როგორც „მკვდარი დროის მედინი დროით ჩანაცვლება“, როგორც „დროისა და ცხოვრების ხანგრძლივი უქონლობის“ შემდეგ დროში, ისტორიაში დაბრუნების იმედი, როგორც „ისტორიაში დაკარგული ხალხის“ თვითგამორკვევის კიდევ ერთი შანსი.

60-70-იანი წლების კრიტიკული ნააზრევის ანალიზი გვარწმუნებს იმაში, რომ რეალურად მომზადდა კულტურისადმი განსაკუთრებული ინტერესის შემქმნელი ნიადაგი. კარლ გინზბურგის აზრით, ეს საყოველთაოდ საბჭოური მოვლენა იყო და ამ მოძრაობის მნიშვნელოვან გამოვლინებად მოსკოვურ-ტარტუული სემიოტიკური სკოლა (მასთან ერთად, პოსტბახტინური კულტურის ფილოსოფია) უნდა მივიჩნიოთ. გინზბურგი მას „კულტურის ხელახალ აღმოჩენას“ უწოდებს, რომელიც ადამიანთა ჯგუფებს კომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგ აერთიანებდა და საშუალებას აძლევდა მათ განრიდებოდნენ თავსმოხვეული კლასობრივი ბრძოლის იდეალებსა და მასთან შეფარდებულ ფასეულობათა სისტემას. მთავარი აქ პიროვნების კონცეფცია იყო. კომუნისტური დეპერსონალიზაციის კულტს უპირისპირდებოდა პიროვნება, როგორც კულტურის სუბიექტი. სწორედ ამ მოსაზრების ობიექტივაციით დასტურდებოდა სოციალ-ეკონომიკურ დეტერმინიზმთან კულტურის რედუცირების შეუძლებლობა. საბჭოთა ადამიანს, ასე ვთქვათ, „უტრადიციოს, უშკოლოს“, უპირისპირდებოდა ამა თუ იმ კულტურის მატარებელი და სწორედ ამ ნიშნით გამორჩეული ადამიანი.

აღნიშნული მოსაზრების საილუსტრაციოდ ნაშრომში წარმოდგენილია 60-70-იანი წლების მიჯნაზე გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე გაშლილი პოლემიკა (რ. თვარაძე, ო. ჯინორია, გ. ასათიანი, ზ. გამსახურდია, ნ. ნათაძე, ვ. ბააკაშვილი, ალ. მირცხულავა), რომელიც სწორედ სოციალისტური მონუმენტალიზმიდან ადამიანისაკენ, ჩვენს შემთხვევაში კი, კონკრეტული კულტურულ-ისტორიული მეხსიერების მქონე ადამიანისკენ მიბრუნების და რაც მთავარია, საკუთარ კულტურულ არეალში მისი თვითრეალიზების აუცილებლობის ნიშნით წარიმართა.

70-80-იანი წლების კრიტიკული დისკურსი (კრიტიკოსთა „ძველ“ თაობას ახალი სახელები ემატება: გ. გაჩეჩილაძე, ირ. კენჭოშვილი, ნ. გელაშვილი, ზ. აბზიანიძე, რ. ყარალაშვილი, თ. დოიაშვილი, ლ. ბრეგაძე, მ. კვაჭანტირაძე, ს. სიგუა, ა. მინდიაშვილი, თ. ვასაძე, რ. ჩხეიძე, მ. ჯოხაძე, ი. ამირხანაშვილი, ა. ბედუკაძე, ზ. გოგია) მომსახურებას უწევს სერიოზულ ანტიტოტალიტარისტულ ტალღას მწერლობაში თავისი ინტენციით: „მოძრაობა ცხოვრებისაკენ!“ და განსაკუთრებით, ქართული განახლებული რომანის ჟანრს, რომელმაც იტვირთა „საორიენტაციო ნიშანსვეტების მოძიება, ეროვნული მენტალიტეტის შერყეული საფუძვლების გაძლიერება“. გარდა ამისა, „კულტურის პრობლემის“ სიმწვავემ, რომელმაც ეტაპობრივად ქართული მოდერნიზმის დეტერმინიზმის საკითხთა და რეკონვერსიის, იგივე უკან დაბრუნების, მითოლოგემის აქტუალიზება გამოიწვია, შეუქცევადი გახადა არა მარტო კრიტიკული აზროვნების, არამედ თავად კრიტიკის ჟანრულ-მეთოდოლოგიური ცვლილებებიც. ცხადია, ეს ცვლილებები, ცნობილი მიზეზების გამო, კრიტი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოსთა მთელ კორპუსს ვერ შეეხებოდა, საამისოდ საკმაოდ ძლიერი იყო „ლიტერატურული გენერლებისა“ თუ ე.წ. „ნეკრიტიკაბელნი“ მწერლებისა და მათ გარშემო შემოკრებილი რეფერენციული ჯგუფების (სწორედ ამ ჯგუფებში შედიოდნენ „ნომენკლატურული კრიტიკოსები“) იდეოლოგიურ მანქანასთან მიჯაჭვულობა. თუმცა ლიტერატურულ-კრიტიკული ცხოვრების „ცენტრალიზებული მოდელის რღვევას“, ენისა და აზროვნების „დესოვიეტიზაციას“ ესეისტური კრიტიკის ჩარჩოების გაფართოება მაინც მოჰყვა.

თვით ის ფაქტი, რომ 70-80-იანი წლების კრიტიკაში დაისვა მიმეტური და ანტიმიმეტური ხელოვნების, საყოველთაო ვერლიბროფობიის ფონზე კონვენციური ლექსისა და ვერლიბრის თანაარსებობის, პოეზიაში ირონიულ-პაროდიული ნაკადის, ტრადიციული და ანტიუტოპიური რომანის, ლიტერატურის უტილიტარიზმისა და ანტიუტილიტარიზმის, მეტაფორული აზროვნების, ლექსმცოდნეობაში, კერძოდ კი, რუსთველოლოგიაში ტრადიციული (ა. განერელია) და სტრუქტურალისტური მეთოდის (აკად. გ. წერეთელი) გამოყენების მიზანშეწონილობის საკითხები – ადასტურებს აღნიშნული პერიოდის კრიტიკული აზრის თავისუფალი რეფლექსირებისაკენ სწრაფვას. მეორე მხრივ, იმავე პერიოდის ქართულ ლიტერატურისმცოდნეობაში ზუსტი მეთოდების შემოღწევის ეტაპიც უნდა გამოვყოთ. რ. ყარალაშვილის „წიგნი და მკითხველი“, თ. დოიაშვილის „სტრუქტურალიზმი RO EA CONTRA“, ს. სიგუას „მარტვილი და ალამდარი“, მ. ქურდიანის „ანტიავეროესი ანუ პოეტური შემოქმედების პრინციპები და მეთოდის პრობლემა თანამედროვე ქართულ კრიტიკაში“, ლ. ბრეგაძის „მხატვრული გაუცხოების პრინციპი“, ნ. კაკაბაძის „ანტიუტოპიური ტენდენციები 70-იანი წლების გერმანულ პროზაში“ და სხვა. ამ უმნიშვნელოვანეს ნოვაციებზე მიგვანიშნებენ. სრულად ვიზიარებთ ნინო დარბაისელის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ა) 80-იანი წლების ქართული კრიტიკის უპრეცედენტო აქტივობა 60-70-იან წლებში იდეოლოგიური ცენტრიდან სანქცირებული თავისუფლების, გარეიდეოლოგიური სივრცის შეძლებისდაგვარად მართებულად გამოყენების შედეგი იყო; ბ) მიუხედავად სხვადასხვა მიმართულებებისა, კრიტიკა შეძლებდა პოლემიკური პათოსის განელებას, რიტორიკული აბრუნდების ნაცვლად ღრმა აზრის დამკვიდრებას, რომ არა განვითარების ის ლოგიკა, რომელიც, სამწუხაროდ, ქართულ პოსტსაბჭოურ საზოგადოებას აღმოაჩნდა. მავანთათვის სწორედ ეს გახდა ქართული კრიტიკული აზრის ტენდენციურად შეფასების საფუძველი. მსგავსი დამოკიდებულება უახლესი ქართული მწერლობის იმ კრიტიკული მონაკვეთისადმი, როდესაც უმნიშვნელოვანესი სოციო-კულტურული ცვლილებები განხორციელდა, ვერ ჩაითვლება პრობლემის გადაწყვეტის ერთადერთ გზად.



*ნონა კუპრეიშვილი*

* * *

ქალბატონმა **მაკა ჯოხაძემ** ზოგადად დაახასიათა ნონა კუპრეიშვილის უკვე გამოკვეთილი ღვაწლი ქართულ სალიტერატურო კრიტიკასა და ლიტერატურისმცოდნეობაში და უსურვა ჩაფიქრებული წიგნის რაც შეიძლება მალე მოთავება, რადგან ასეთ ნაშრომებს დიდი მნიშვნელობა აქვს ლიტერატურის ისტორიისა და სამწერლო პროცესის მოსაწესრიგებლად.

სხვანი კი ასე საუბრობდნენ ამ საინტერესო მოხსენებისა და ქართულ კრიტიკაში არსებული ვითარების შესახებ:

* * *

**ლევან ბრეგაძე:**

– ახლა, როცა ვუსმენდი ქალბატონ ნონას, ვფიქრობდი, რომ ბევრნაირად შეიძლება ჩვენი სალიტერატურო ცხოვრების გამოკვლევა. ვთქვათ, ცალკეული კრიტიკოსების პორტრეტების დახატვით ან ძირითადი თემების მიხედვით ორმოცდაათიანი წლებიდან მნიშვნელოვანი დისკუსიები იმართებოდა. თქვენ რომ „ახალგაზრდა კომუნისტის“ დისკუსია ახსენეთ, დიდი კვალი დააჩნია ლიტერატურულ პროცესებს, ნოდარ კაკაბაძე მონაწილეობდა მასში, ვენორ ქვაჩახიამ დაიწყო და თითქოს ყინული დაიძრა მაშინ. „ცისკარში“ არლი თაყაიშვილმა წამოიწყო საინტერესო დისკუსია, რომელიც ასევე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა იმდროინდელი მწერლობისათვის. საინტერესო მსჯელობა და კამათი მიმდინარეობდა სიმბოლიზმზე, ვერლიბრზე ამ დისკუსიებს წინ მიჰყავდა ლიტერატურული აზროვნება. აქედან სულ სხვა გადასახედი გვაქვს, ამიტომ მაშინდელი პროცესების კვლევისას მასალები ასეც შეიძლება დალაგდეს, ქრონოლოგიურადაც და ყოველთვის ძალიან საინტერესო იქნება, რადგან საერთოდ რაც საკამათო არ არის, მალე ეძლევა დავიწყებას. ტრივიალურ რამეს ვიტყვი: თეზა ცოცხლობს ანტითეზით. წიგნის კითხვაც ძნელია, თუ მასში ინტრიგა არ არის. ამიტომ მგონია, რომ ქალბატონი ნონას ეს ნაშრომი ძალზე საინტერესო იქნება.

**თეიმურაზ დოიაშვილი:**

– მეტად საინტერესო მოხსენება იყო. ერთი რამ მინდა ვთქვა: ასე მგონია, ქალბატონმა ნონამ უმადურ საქმეს მოკიდა ხელი, როცა კრიტიკის ისტორიას, თანაც მისი აბსოლუტურად დაუმუშავებელი ეტაპის კვლევა დაიწყო და განვითარებაში სცადა მისი დანახვა.

ამას ერთი მიზეზის გამო ვამბობ: ქართულ სინამდვილეში გაჩნდა ასეთი კითხვა: არსებობს თუ არა ლიტერატურული კრიტიკა? ასე რომ, ზოგიერთის აზრით, თქვენ შესაძლოა არარსებულ რამეს, ქიმერას, იკვლევდეთ. რასაკვირველია, მე ამაზე ყოველთვის მაქვს პასუხი: როგორც წესი მოკავშირედ პუშკინს მოვუხმობ ხოლმე და მის ფრაზას ვიხსენებ: ყოველი ლიტერატურის ხარისხი განისაზღვრება იმით, როგორი კრიტიკაც აქვს მას. აქედან ლოგიკა ასეთია: თუ არ არსებობს ქართული კრიტიკა, მაშინ არც ქართული ლიტერატურა არსებობს. ეს ყველაფერი ერთხელ ამ საკითხში დაეჭვებულ ერთ „ბობოლა" მწერალს რადიოგადაცემის პირდაპირი ეთერიდან ვუთხარი და მივმართე: გამომიგზავნე შენი წიგნი (მე ვერ ვიყიდი) და მერე ვნახოთ არსებობს კრიტიკა თუ არა-მეთქი.

რასაკვირველია აქ ჩემზე არ არის საუბარი, ბარე ათი კრიტიკოსი მაინც მეგულება, პროფესიულად რომ ეკიდება თავის საქმეს და კიდევ ერთი ათეული ისეთიც, თავისი არალიტერატურული პროფესიის მიღმაც რომ მშვენივრად ართმევს თავს ამ ყველაფერს. ამიტომ ასე ხელაღებით საუბარი კრიტიკის არარსებობაზე, ჩვენი ლიტერატურის შეურაცხყოფა მგონია.

ამ საკითხზე საუბარი შორს წაგვიყვანს, ქალბატონი ნონას მოხსენებას დავუბრუნდები. აქ მშვენივრად იყო გამოკვეთილი ტენდენციები, თუმცა ერთი რამ მინდა გითხრათ (გნებავთ რჩევად მიიღეთ, გნებავთ – შენიშვნად): ისტორია მარტო პროცესი არ არის, მას ადამიანები ქმნიან, თანაც მათ შორის არიან ისინიც, ლიდერის ფუნქციას რომ ასრულებენ და ასეთები 50-60-იან წლებშიც იყვნენ.

ერთი ამბავი მინდა გავიხსენო:

ერთ ჭირის სუფრაზე ერთად ვისხედით მე და ბატონი გურამ ასათიანი. სასმელმა თავისი გაიტანა, ახალგაზრდის რადიკალიზმიც მოგეხსენებათ, ჰოდა, რალაც მომენტში გავკადნიერდი და ბატონ გურამს ვუთხარი: გუშინდელ „კომუნისტში" თქვენი უზარმაზარი სტატია დაიბეჭდა ერთი პოეტის შესახებ. წავიკითხე, სტილი მომეწონა, მაგრამ მაინც ვერ გავიგე, რა გააკეთა მან ახალი-მეთქი.

ის ძალზე მშვიდად მისმენდა. მე ამას არ დავჯერდი და მივაყოლე: — შეფასებებს არ იძლევით, ღირებულებების შკალა დარღვეული გაქვთ და ასეთი ლიტერატურა ჩაგვაბარეთ-მეთქი.

ბატონმა გურამმა დიდი პაუზის შემდეგ ასეთი რამ მიპასუხა:

– იცი რას გეტყვი, მე რომ მოვედი, ბესო ჟღენტი დამხვდა, შენ რომ მოხვედი – გურამ ასათიანიო.

უცებ გამოვფხიზლდი და შემრცხვა. ამ პასუხში ის ტენდენციებიც ჩანს, რაზეც ვსაუბრობდი და დამოკიდებულებაც კრიტიკის საგანთან.

კრიტიკის არსში დევს კიდევ ერთი რამ, რაც განასხვავებს მას ლიტმცოდნეობისაგან. ლიტმცოდნეობაში კრიტიკოსის როლს ასრულებს დრო – ხანი გასულია და მხოლოდდამხოლოდ ადგილის მიჩენა და ისტორიაში ჩასმაა საჭირო, რაც შეეხება კრიტიკას, აქ შენ თვითონ გიხდება შეფასება, განსაზღვრა, არგუმენტირება ამას ვედავებოდი ბატონ გურამსაც და ახლაც ვედავები საერთოდ 60-იანელთა თაობას. მათ ერთი ძალიან კარგი რამ გააკეთეს – იდეოლოგია შეცვალეს ლიტერატურით, თუმცა ამ თაობასაც კარგი „სარკე" ჰქონდა, რადგან არსებობდა გერონტი ქიქოძე, აკაკი გაწერელია, გიორგი ნატროშვილი

კრიტიკა განუყოფელი ნაწილია დემოკრატიისა, ამასაც სწავლა უნდა. საქართველოში მიჩვეულნი არ ვართ ამას და ამიტომაც გაიძახიან: კრიტიკა არ არსებობსო. თავის დროზე როსტომ ჩხეიძემ რეპლიკაც გამოაქვეყნა მათ საპასუხოდ:

– უცნაურია პირდაპირ, კრიტიკის არარსებობაზე ისინი საუბრობენ, ვინც ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ეს სფერო თავისი ხელით დაესამარებინაო.

გაოცებული ვარ იმ ახალგაზრდების პოზიციითაც, თაობის უდარდელობაზე რომ წერენ. სხვა რომ არაფერი, აკაკი ბაქრაძე მაინც არ გაუგიათ? რა, ბედნიერი ცხოვრება ჰქონდა მას? ვიდრე რამეს დაასკვნიდნენ, მათაც უნდა გააპრიალონ თავიანთი „სარკეები", მითუმეტეს, რომ ჯერ წინაც არ გაუხედავთ. ეს ურთულესი საქმეა. და აი, ასეთ საქმეში წარმატება მინდა გისურვოთ, ქალბატონო ნონა.

**იოსებ ჭუმბურიძე:**

– მე მხოლოდ რეპლიკის სახით მინდა ვთქვა: ცხადია, არ შეიძლება კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენო კრიტიკის არსებობა იქ, სადაც თემურ დოიაშვილი და ლევან ბრეგაძე არიან, მაგრამ მე რომ ახლა ლიტერატურის კრიტიკოსი ვიყო, აუცილებლად გადავდებდი ყველა საქმეს და ვუპასუხებდი იმ ახალგაზრდებს. თუ სწორად გავიგე მათ ეს წერილი „ლიტერატურნოე ობოზრენიემ" შეუკვეთა — არცთუ შემთხვევით. რატომ ანდეს ეს საქმე მაინცდამაინც ამ ახალგაზრდებს და არა ბატონ თემურს ან ბატონ ლევანს? მათ კარგად იციან ვის უნდა შეუკვეთონ ასეთი წერილები.

**თემურ ნადარეიშვილი:**

– ორ ძირითად მომენტს გამოვყოფ იმ საშინელებათაგან ჩვენს მაშინდელ „უდარდელ" ყოფას რომ ახასიათებდა:

პირველი: ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი ყრილობებზე გამოდიოდა და ლიტერატურის პარტიულობაზე საუბრობდა. საერთოდ, ფილოსოფიაც, ლიტერატურაც მოწოდებულია იმისათვის, რომ სამყარო ასახოს. იმ რეალობაში კი ყველაფერი კლასობრივ ინტერესებსა და პროლეტარიატის ამოცანებს ეფუძნებოდა. ამიტომაც იყო, რომ უამრავი წყალწყალა ნაწარმოები იწერებოდა.

მეორე საშინელება იყო ის, რომ ამ ყველაფერში იდო მზაკვრული ამოცანა – დენაციონალიზაცია. იმავე ბრეჟნევმა ერთ-ერთ ყრილობაზე აღნიშნა: გაჩნდა ახალი ისტორიული საზოგადოება – საბჭოთა ხალხიო.

ეს ორი მომენტი ბევრნაირ უბედურებას განსაზღვრავდა ჩვენი ერისა და ქვეყნის ისტორაში. ამის დადასტურება იყო 14 აპრილის მოვლენები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ პატარა ქვეყნის შვილები ვართ და ასეთ ვითარებაში დალხინებული ცხოვრება ვერ გვექნებოდა

**ნათელა არველაძე:**

– ვეთანხმები ბატონ თემურ დოიაშვილს იმაში, რომ როცა პროცესს აანალიზებ, იქ აუცილებლად უნდა გამოყო პიროვნება, რადგან, გვინდა თუ არა, პროცესს პიროვნებები ქმნიან და ერთ-ერთი ასეთი ადამიანი 60-იან წლებში იყო გურამ ასათიანი. მან ძალზე დიდი როლი შეასრულა ქართულ სინამდვილეში ლიტერატურათმცოდნეობის თვალსაზრისით. ერთ კონკრეტულ მაგალითს შეგახსენებთ: მან შექმნა მწერლების პორტრეტები, მათ შორის ალექსანდრე ჭავჭავაძისაც და სრულიად ზუსტად და მეტად მნიშვნელოვნად განაცხადა, რომ ალექსანდრე ჭავჭავაძე არის კლასიციზმის ტიპური წარმომადგენელი, რომელთანაც ჩნდება რომანტიზმის ნიშნები. ეს უბრალოდ ერთი მწერლის კი არა, მთელი მისი საუკუნის, პროცესის შეფასებაა და ნიშნავს იმას, რომ ქართულმა საზოგადოებრივმა ცნობიერებამ გაიარა ყველა ის ეტაპი, რაც დამახასიათებელი იყო ევროპულისათვის და, ამდენად, ქართული ცნობიერება დასავლურ მდინარებაში მოაქცია. ეს არის მწერლის — ლიტერატორის დამსახურება. დიდ მადლობას გეტყვით, თუ თქვენს თემაში ამის თაობაზე უფრო ვრცლად ისაუბრებთ. როცა კრიტიკა პროცესის შემფასებელი ხდება, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი არა მხოლოდ არსებობს, აქტიურადაც არის ჩაბმული საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

და კიდევ ერთი მომენტი: ყველას კარგად მოგეხსენებათ, როგორი რთული პერიოდი დაემთხვა კრიტიკულ აზროვნებას საბჭოთა კავშირში. მაშინ გარკვეული მოვლენების გამო ბევრმა მწერალმა თუ კრიტიკოსმა თავი მოიყარა ტარტუში. ეს არ იყო დალხინებული ცხოვრების შედეგი, რადგან ისინი გამოძევებულნი იყვნენ რუსეთიდან.

მე ვერ გავიზიარებ მოსაზრებას, რომ ქართველები კონსერვატორები ვართ და გვიჭირს სიახლის მიღება. გადავხედოთ, რა დიდი ძვრებია ლიტერატურათმცოდნეობაში. შესაძლოა გარკვეული თვალსაზრისით კონსერვატორები ვართ, რადგან ჩვენი ერი მცირერიცხოვანია და არ შეიძლება ფართოდ გაალო გულისა თუ ცხოვრების კარი, მაგრამ ეს საინტერესო ძვრები არ მოხდებოდა, რომ არ ყოფილიყო ჩვენი ხასიათის განსაკუთრებული თვისება – ელასტიურობა. ამ ყველაფრის გამო სალიტერატურო კრიტიკის კვლევა ძალზე საინტერესო რამ მგონია და მისასალმებელია თუ ამ საქმეს ქალბატონი ნონასნაირი ადამიანი მოკიდებს ხელს.

### აინშტაინი და ედისონი

ერთხელ ედისონმა შესჩივლა აინშტაინს, თანაშემწე ვერაფრით ვერ მიპოვნიაო. აინშტაინი შერჩევის კრიტერიუმებით დაინტერესდა. პასუხად ედისონმა კითხვარი აჩვენა, რომელიც რამდენიმე ფურცლისაგან შედგებოდა. აინშტაინი კითხვას შეუდგა :

„რამდენი მილია ნიუ-იორკიდან ჩიკაგომდე?" და უპასუხა: „რკინიგზის ცნობარში უნდა ჩავიხედო".

„როგორ ამზადებენ უჟანგავ ფოლადს?" და უპასუხა: „ეს ლითონმცოდნეობით ცნობარში უნდა მოვძებნო".

დანარჩენ კითხვებს სწრაფად გადაავლო თვალი, ფურცლები გვერდზე გადადო და განაცხადა:

„სანამ უარს მივიღებდე, თვითონ ვხსნი ჩემს კანდიდატურას."

**პაატა ჩხეიძე:**

– მხოლოდ მეოცე საუკუნის ქართულ კრიტიკას რომ გადავხედოთ და ჩამოვთვალოთ სახელები: გერონტი ქიქოძე, ვახტანგ კოტეტიშვილი, გურამ ასათიანი (აქ ამ დარბაზშიც არიან საინტერესო სახელები) ყველანი კონსერვატორები იყვნენ და ეს ცნება დადებითი მოვლენა მგონია. ჩემი აზრით, ყველა დიდი მწერალი თუ კრიტიკოსი უწინარესად კონსერვატორია და არა პროგრესისტი. ამიტომაც ვფიქრობ, რომ უარყოფითი ამაში არაფერია

**ნათელა არველაძე:**

– უარყოფითი გაგებით არც მე მიხსენებია

**ნონა კუპრეიშვილი:**

– აქ საუბარი სხვა რამეზე იყო – კონტექსტს შეგახსენებთ:

ლიტერატურული „ბოსები" ძალზე კარგად გრძნობდნენ თავს იმ სისტემაში, რომელშიც ცხოვრობდნენ და რაში აწყობდათ მათ, ვთქვათ, თემურ დოიაშვილი სტრუქტურალიზმზე რომ წერდა. ეს სტრუქტურალიზმი შესწავლას საჭიროებდა, რაც თავისთავად დიდ შინაგან მუშაობას მოითხოვდა და ამის გამო თავს ვინ შეიწუხებდა

**ლევან ბრეგაძე:**

– სტრუქტურალიზმი, სტრუქტურული ანალიზი ტექსტისა კრიმინალისტის ნამუშევარს ჰგავს, სწორედ ასე იკითხება ამგვარი ნაშრომები და ეს პირველად აკაკი ხინთიბიძემ და მისმა სკოლამ (ამ სკოლის წარმომადგენელია თემურ დოიაშვილიც) გააკეთეს და არაჩვეულებრივად საკითხავი ტექსტები შექმნეს. მეორე აკაკის – გაწერელიას დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ კი ძალზე კონსერვატიული იყო – ის სასტიკად ეწინააღმდეგებოდა სტრუქტურალიზმს: სისულელეაო, – ამბობდა, – ვერაფერს გაუგებო. აი, ასეთი ორი პოზიცია ერთდროულად არსებობდა, რადგან აკაკი ხინთიბიძე და აკაკი გაწერელია ერთსა და იმავე დროს მოღვაწეობდნენ. ორივე პიროვნება ძალზე ძვირფასია ჩემთვის, ორივე კარგი და ნიჭიერი ლიტერატორია, მაგრამ მათი მოსაზრებები ურთიერთგამომრიცხავია. საერთოდ გაწერელია კონსერვატორი სულაც არ იყო, ოღონდ სტრუქტურალიზმს კომპარატივისტიკა ერჩია.

ვფიქრობ, ესეც ძალზე საინტერესოა – ორი აკაკის მოღვაწეობა – ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეპიზოდი ქართულ ლიტერატურულ ცხოვრებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გია ხოფერია

# „აირევი ივერია“ ორდარული გაგებით

უთვალავი ადამიანის ნამოქმედარს, მის განარბენს წუთისოფელში, კაპიკზე მეტი ფასი რომ არ ჰქონია, მთავარ შემფასებელს – დროს — ყოველთვის კარგად მოეხსენებოდა.

შესაძლებელია, თითოეული მათგანისათვის ცალყბად გადაევლო თვალი და თავის ულმობელი ლავით ისე დაასამარებდა ხოლმე, თითქოს მისი ჭაჭანებაც არ ყოფილიყო ამ ქვეყანაზე. მაგრამ იყვნენ რჩეულნიც და რჩეულთა შორის რჩეულნიც. ვინ წალმა მოფიქრალ-მკეთებელი და ვინ უკულმა ატრუებულ-მნგრეველი. დროის ცხელი ლავა ამათაც გადაევლებოდა დაუნდობლად. ზოგჯერ იმ ლავის გაცივება ყოვნდებოდა, ინახავდა დრო სიცხელესა და სინედლეს. და თუ მაინცდამაინც ჩაცხრებოდა ლავის ბობოქრობა, დროის მეხსიერება არ ცხრებოდა. თუ დასჭირდებოდა, თვითონვე ამოაფრქვევდა დიდსა და პატარა ვულკანებს. იმეორებდა და იმეორებდა. ხან განუწყვეტლივ, ხან ზოზინ-ზოზინ, ხანაც შორი-შორ. ერთსაც და მეორესაც. წალმასაც, უკულმასაც. გარკვეულსაც და გაურკვეველსაც...

ამჟამად აშორდია ამოიფრქვა.

არა მგონია ელგუჯა თავბერიძემ ამ პიროვნების ვრცელი პორტრეტი იმ გულისწყვეტის გამო შემოგვთავაზა, რომ სხვადასხვა არქივებში მიბლანდული, ათასგვარად გაკერილ-გაჩარხული საქმეები აშორდიასეულ გმირობებისა უპატრონოდ იყო მიგდებული და სულზე თუ არ მიუსწრებდი, ფაქიზად თუ არ გადაწმენდდი მტვერს, საბოლოოდ დალუპულად ითვლებოდა ისტორიის ობოლი მარგალიტები.

მარგალიტობის რა მოგახსენოთ, მაგრამ აშორდია არაერთხელ გახდება დროის საყვარელი სინონიმი.

„აირევი ივერიას“ ავტორი ერთგან ამბობს, აშორდიას გაჩენას თვითონ დრომ შეუწყო ხელიო. მერედამერე რამდენჯერ გამოუჩენია ასეთი „სიკეთე“. განა დღეს ჩვენში არ სუფევს აშორდიული დრო? ესეც პალინდრომის უკვდავება –“აირევი ივერია“!

საზოგადოება, მკითხველი ასეთი ნაწარმოებების წაკითხვისას მხოლოდ ცალსახა თვისებას ავლენს: ჩაფიქრდება, რაღაც მწარე გაუელვებს გულში, თავსაც სინანულით გადააქნევს საკუთარ უსუსურობათა აღმოჩენის გამო და ჭკუას მაინც ვერ სწავლობს. ინფორმაციას ღებულობს, თითქოსდა ერთობა. ეს ინფორმაცია ცოდნად მიაჩნია. ხოლო თუკი სადმე წააწყდა აშორდიულ ნიუანსს, იმწამსვე უკან იხევს და ერთხელაც არ გაუელვებს აზრი მასთან შერკინებისა.

აშორდიამ თუ აშორდიებმა ეს ადამიანური ფსიქოლოგია შესანიშნავად უწყიან.

იმ სოლომონ აშორდიამაც, ღმერთმა თუ ეშმაკმა უზომო ნიჭი რომ მისცა ადამიანებზე საზეიმოდ, ამ ფსიქოლოგიის ცოდნის გამო გაიმარჯვა.

ერთი შეხედვით იგი არაა ბოროტი პიროვნება. სუსტებს, გულუბრყვილოებს, შურიანებს, ქვეგამხედვარებს, ნამუსგარეცხილებს... აძლევს და უკეთებს ყველაფერს, რასაც მოითხოვენ, და ამით მდიდრდება, ისქელებს ჯიბეს. ეს ადამიანები იხვეწებიან აზნაურობისა თუ თავადობის დამადასტურებელ საბუთებს, თუნდაც ყალბს, ითხოვენ გაკეთილშობილებას, სხვებზე ამაღლებას, მედიდურობას, და აშორდიაც ეხმარება შეძლებისდაგვარად ყველას, იმ საბუთის მეტი რომ არაფერი შერჩებათ ხელში, არანაირი ღირსება რომ არ გააჩნიათ, არც მიწა, არც წყალი, თავადისა ან აზნაურის შესაფერისი, და სიცილით კვდება. სოკოებივით ამოვიდნენ დასავლეთ საქართველოში და, კერძოდ, სამეგრელოში აშორდიას აზნაურები, უმეტესობამ წერა-კითხვა რომ არ იცოდა. აბა, თუ მოსვლია ვინმეს აზრად, აშორდიასთვის რომელიმე საფეხურის სასწავლებლის დამთავრების საბუთი ეთხოვა. ვერ მოაკვარახჭინებდა თუ რა? ასობით უგუნური წამოეგო ამ უნიჭიერესი თაღლითის ანკესზე, რისი ღირსნიც ნამდვილად იყვნენ.

„აირევი ივერია“ მწარე რომანი-გამოკვლევაა. მართალია ამ ნაწარმოებში თითქმის ასი წლის წინანდელ ამბებზეა საუბარი, თანაც ძალზედ მომართული აზარტულობით, მაგრამ იქ დღევანდელობაცაა. გონიერი მკითხველი იოლად შეამჩნევს უამრავ პარალელს თანამედროვეობასა და წარსულს შორის.

აშორდიას შემოკრებილი ჰყავს თავის საქმეში გარეული ათობით კორუმპირებული ჩინოვნიკი, ცრუ დეპუტატი, ორიოდე კაპიკის გულისთვის ნებისმიერი უნამუსობის ჩამდენი ადამიანი. მედროვეები, რომლებსაც არაფერი ენაღვლებათ. ისინიც უნიჭოები და გონებაბნელები არიან თავადაზნაურული წოდების მაძებრებივით. ამიტომაც დიდი გასაჭირი არ ადგება აშორდიას ამ მაფიოზური კლანის მართვისას.

რომანის საზოგადოება მთლიანად დაავადმყოფებულია განუკურნელი სენით. მხოლოდ აშორდიაა ჯანსალი ავადმყოფი.

ზოგჯერ შეიძლება მომხიბვლელიც იყოს მისი გამორჩეული ტალანტი, თუნდაც სასამართლოსა და გამოძიების მოხელეებთან შეუპოვარი კამათი, იურისპრუდენციასა და საქართველოს ისტორიაში განსწავლულობა, ციხიდან თავდახსნის ორიგინალური ხერხების მოძიება და მრავალი რამ, მის მებრძოლ თვისებებს რომ დაგამახსოვრებს. მაგრამ წესიერ თუ წესრიგიან სახელმწიფოში აშორდიას კულტი არ უნდა არსებობდეს.

სოლომონმა დუელში გამოიწვია საკუთარი თავიცა და მთელი სახელმწიფოც. იგი დაუზოგავად ცდილობს არ დააფიქსიროს საკუთარი შესაძლებლობების ზღვარი. არასდროს კმაყოფილდება მიღწეულით. არც მაშინ, ციხეში რომ ზის და თითქოს გამოსავალს ვერ ნახულობს, არც მაშინ, შორეული აღმოსავლეთიდან ვრცელ წერილს რომ სწერს ქუთაისის გუბერნატორსა და მოსამართლეებს, ლოგიკურად დაუმტკიცოს მათ თავისი უდანაშაულობა და, უამრავ მეხამრიდს რომ იგონებს, განტევების ვაცად

წარმოადგინოს თავი, არც მაშინ, სახელმწიფო თუ კომერციული ბანკებიდან მისივე ნახელავი საბუთებით ათიათასობით მანეთი ოსტატურად გაიტაცოს და მაზანდას თანდათან უმატებს. ვერ იქნა და ვერ ამოწურა სურვილები, თითქოსდა გაუთავებელი ენერგიის გამო.




ყოველდღიურად ახალ ფორმას იძენს ახალ სახელებსა და გვარებთან ერთად. ერთი აშორდია მრავალ აშორდიად გარდაიქმნება და სხვადასხვა მხრიდან ექაჩება თავისივე სულის მადნეულს. ქმედებებით ზღვარდაუდებელი სახელმწიფო მანქანას თითქმის ბორბლებში უვარდება. ერთხელ გადარჩა, მეორედ გადარჩა, მესამედ... ვინ იცის, რამდენჯერ დაუძვრა გამგელებულ მაძებრებს. ელგუჯა თავბერიძის თქმისა არ იყოს, აქ რომ ეგონათ, იქ იყო, იქ რომ ეგონათ, აქ. მაინც იჭერდნენ, მაინც გასკვანჩეს რამდენჯერმე, მაგრამ მისთვის გამოტანილი ყოველი განაჩენი, სადღეისო კანონებით რომ ვიმსჯელოთ, ტკბილეულის დარიგებას უფრო ჰგავს, ვიდრე მართლა სასჯელს. უამრავი ბრძოლა მოიგო თბილისიდან ბაქოში, ბაქოდან აშხაბადსა და უფაში, უფიდან ვლადივოსტოკში, ვლადივოსტოკიდან კიევში და კიდევ ვინ იცის სად არ ნათრევმა, ნაკვაჭარმა და ნახლაფორთალმა. ქუთაისსა და ბათუმზე არაა ლაპარაკი, არც მშობლიურ ზუგდიდზე. ათასი ნემსის ყუნწში გაძვრა, ვინ არ გააცრუპენტელა, გააბრუა და დაამხო, ვინ არ აატირა და ვის არ აალებინა ცხოვრებაზე ხელი. ირბინა, ირბინა და მაინც დაიღალა, მოულოდნელად სრულიად ახალგაზრდას გამოეცხადა ჩამავალი მზე, კედლისკენ გადაბრუნებული ცრემლად რომ აქცია და სამუდამოდ გადაიყვანა იმიერში.

ელგუჯა თავბერიძე ცდილობს როგორმე გააცოცხლოს სოლომონ აშორდიას ნამდვილი სახე. ცდილობს და კარგადაც გამოსდის. ბევრი მაგალითის მოხმობა შეიძლება რომანიდან, თუმცა არც ისე ცოტას გვეუბნება ვლადივოსტოკიდან ქუთაისში გამოგზავნილი წერილი. რასაც მოვისურვებთ, ის ვუწოდოთ აშორდიას: თაღლითი, ავანტიურისტი, გამყალბებელი და კიდევ მრავალი რამ, მაგრამ პროგიმნაზიაში ნასწავლი კაცი ასე სრულყოფილად ნიღბავდეს საკუთარ ჩრდილებს და ლოგიკური ტემპერამენტულობით, დიდი ცოდნითა და სიდინჯით უტევდეს სამართალმცოდნეებს, ცოტა არ იყოს, გასაკვირია. ასევე საოცარია, გადარეულ ზღვაში გემბანზე ურყევად მდგარი აშორდია. შეიძლება ითქვას, ეს მართლაცდა დიდი ოსტატობით შექმნილი დრამატული სურათი ერთბაშად ლოკალურად მოხაზავს სოლომონის მთელი ცხოვრების არსს. ასევე განუმეორებელია „დუხავოი მუსიკით“ სათევზაოდ ნასული აშორდია და უამრავი მისი ქალაქური სცენა.

ყველაფერში ორიგინალური იყო აშორდია, დაწყებული ფულის დახატვიდან თუ საბუთების გაყალბებიდან, ბანკების ძარცვითა და მგლის ბუნაგიდან გაქცევით დამთავრებული. იგი ყველაზე ანცი ბიჭი იყო იმპერიაში. მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ - შეუძლებლის შემძლებელი.

აშორდია ერთი შეხედვით რომანტიკულ, წარმოსახვითსა და ნასიზმრალს რეალობად გადააქცევდა ხოლმე. ხანდახან ვამბობთ: ერთ ადამიანში რამდენიმე ადამიანის კრებითი ძალოვანებაა თავმოყრილიო, ვამბობთ, როცა არაჩვეულებრივ ლიტერატურულ გმირს ან ცხოვრებაში ვინმე რჩეულ პიროვნებას გადავეყრებით. შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ ისიც გაუზვიადებული და მართებული მოსაზრება იქნება, თუ ვაღიარებთ მართლაც გამორჩეულობას, როგორც ერთი კაცის საკუთრებას. ვფიქრობ, ელგუჯა თავბერიძემ ასეთი აშორდია წარმოგვიდგინა.

სხვა საკითხია, როგორ გადაინაწილეს ჩვენმა მწერლებმა – მიხეილ ჯავახიშვილმა, კონდრატე თათარაშვილმა, შალვა დადიანმა, ფუცუ დგებუაძე-ფულარიამ, ვალერიან გაფრინდაშვილმა აშორდიას ცხოვრების რეალობა და ლეგენდები. რომანის ავტორი საინტერესო მოკვლევას ახდენს ამ მწერლების ნაწარმოებებიდან, ვფიქრობ, მისი მოსაზრებანი გასაზიარებელია.

და მაინც, ვინ იყო აშორდია?

აშორდია იყო მოთამაშე. მისთვის არ არსებობდა სხვისი დაწერილი არავითარი წესი და კანონი. იგი თვითონ ჰქმნიდა ერთსაც და მეორესაც. ამ წესებსა და კანონებს, ბუნებრივია, დიდი სათამაშო მოედანი სჭირდებოდა. ამ დიდ მოედანზე ცხოვრებამ პატარა ადამიანებიც შეყარა, რომელთა ვიწრო თვალსაწიერი იშვიათად სცილდებოდა საკუთარ ჭიშკარს. რაც უნდა მოინდომოს ჭიაყელამ, გველი ვერ გახდება. ხოლო გველს არავითარი სურვილი არა აქვს გაჭიაყელავდეს. აშორდია გველი იყო, ხოლო ჭიაყელათაგან ვინც კი მოინდომა გატოლებოდა მას, გაიწელა, გაიწელა და გაწყდა.

მილიონებს ერთი ანუ ერთნაირი ცხოვრების აუზი აქვთ, აშორდიას და აშორდიებს მეორე. მეორე არაერთხელ მორევია პირველს. კიდევაც მოერევა თუ მილიონთა აუზი სულდაჭლექიანებული ავადმყოფებით იქნება სავსე.

ღმერთმა იცის, ვის როგორ უნდა უმკურნალოს – აშორდიას და მის ამფსონებს თუ დანარჩენ სულჭლექიანებს.

ვიმეორებ, „აირევი ივერია“ არაა მხოლოდ წარსულზე დაწერილი რომანი. მეორე წაკითხვა უზარმაზარ ქვეტექსტს ბადებს, სიმბოლურს, პარადიგმულს, გამაფრთხილებელს.

აშორდია ყოველთვის დაიბადება, უფრო საშიში, უფრო ბოროტი და ყოვლისწამლეკავი. დღესაცაა დაბადებული. მისი სავსებით ამოძირკვა თითქმის შეუძლებელია. მაგრამ საზოგადოების თანდათანობით განკურნება-გამოჯანსაღება შესაფერისადაც შეანელებს მის პარპაშს. ხოლო რაც შეეხება სამკურნალო რეცეპტებს, ამ რომანის ყურადღებითა და გონების თვალით წაკითხვა, აუცილებლად მოგვაპოვინებს მათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანანა ტაბიძე

# ჟურნალი „სემიოტიკა“

*

## ახალი სამეცნიერო გამოცემა ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტში

საქართველოში სოციალურ-პოლიტიკურად უაღრესად დატვირთულ ბოლო ათწლეულში ერთი სამწუხარო ტენდენცია გამოიკვეთა — მკვეთრად შემცირდა წიგნის მკითხველი და იკლო სამეცნიერო თემატიკით ფართო საზოგადოების დაინტერესებამ. შედეგად კი მოსახლეობის ინტელექტუალური თვალსაწიერი დავიწროვდა; გაჩნდა სრულიად მცდარი აზრი, რომ მეცნიერება სადღაც სხვაგან, მხოლოდ დაწინაურებულ და დალხენილ ქვეყნებში უნდა ვითარდებოდეს, ჩვენთვის კი ეს ფუჭი გარჯა და ზედმეტი ფუფუნებაა. ამგვარ ნიჰილიზმს, როგორც წესი, საშიში მეტასტაზები უჩნდება: აღარ ვითარდება მთელი რიგი დარგები, ქვეითდება შემოქმედებითობა, ჩლუნგდება ენა, ბატონობს უმეცრება და სხვათა წინაშე მონური ქედმოდრეკა. არადა, მოწინავე მსოფლიოში ლამის ყოველდღიურად იბადება ახალი სამეცნიერო დისციპლინები და ჩნდება კვლევის უახლესი მეთოდები. რა ვქნათ, დავრჩეთ ამ პროცესების მიღმა და მხოლოდ საკრედიტო თანხების გადამთვლელი და იურიდიული სარჩელის შემდგენელი სპეციალისტების გამომშვები ფაკულტეტებით შემოვიფარგლოთ?

ქართული სამეცნიერო აზრი ყოველთვის იყო მოწინავე პროცესების თვალყურის მადევარი და მონაწილე. ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნაზე მხოლოდ ოცნება შეიძლებოდა, ქართულ ჟურნალ-გაზეთებში სისტემატურად ქვეყნდებოდა მსოფლიოს სამეცნიერო მიღწევათა ამსახველი ინფორმაციები, ხოლო ის ქართველი მეცნიერები, რომლებიც სამშობლოდან შორს, უცხო ქვეყნებში მოღვაწეობდნენ, შეძლებისდაგვარად, ცდილობდნენ საქართველოსთვისაც მოეწვდინათ პროგრესის ხმა. ეს ტენდენცია, სამეცნიერო ავანგარდში ყოფნისა, ნიშნად დაჰყვა ქართულ სამეცნიერო სკოლას და ამის წყალობაა, რომ ევროპული კულტურისა და მეცნიერების ყველა სიახლე ჩვენში გამოძახილს პოვებს, ჩვენი მეცნიერება საკუთარი კულტურისა და ყოფის შესწავლისათვის ყოველ ახალ მეთოდოლოგიას უმალ ირგებს.

მას შემდეგ, რაც მეცნიერების დარგობრივი დიფერენციაციის პროცესმა უკიდურესი სახე მიიღო და ყოველ სამეცნიერო სფეროში ლამის ყოველი საკვლევი საგანი მიკროსკოპულ დონეზე შეთვალიერდა, მეცნიერებებმა კვლავ მოისაკლისეს ერთმანეთი და დაგროვილ გამოცდილებათა ერთურთისათვის გაზიარებას დაეშურნენ. იმ საუნივერსიტეტო სხდომათა დარბაზებში, სადაც ადრე ვიწროდარგობრივი დისპუტები იმართებოდა, ამჯერად ერთმანეთის გვერდით აღმოჩნდნენ მონათესავე, ან სულაც ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებულ დარგთა წარმომადგენლები. ხოლო იმ სალონებში, სადაც მეცნიერულ მიღწევათა შესახებ პოპულისტური საუბრები შეიძლება გამართულიყო, ჩაისა და ყავის პიკანტური არომატით გაჟღენთილ ჰაერში უცხო მეთოდოლოგიათა და ტერმინთა კორიანტელი დატრიალდა.

სემიოტიკის სახით პრაგმატულ ღირებულებათა სამყაროში გაჩნდა შესაძლებლობა ადამიანებს პრაგმატიკის საკულტო ფენომენისათვის სათანადო პატივიც მიეგოთ და პრაგმატიკის ნიშნის ქვეშ თავიანთი რომანტიკულ-სენტიმენტალური გრძნობებიც დაეოკებინათ, შეენიღბათ ისინი ისეთი ყოვლისშემძლე ტერმინებით, როგორიცაა "სისტემა" და "პარადიგმა". ეს ტერმინები საშუალებას იძლევა რაციონალური სამოსი ჩააცვა ყველაზე ირაციონალურსა და ექსპრესიულს. სწორედ ამ ეტაპზე გახდა რეალური ენისა და ლიტერატურის, ეთნოგრაფიის, ხელოვნების სხვადასხვა დარგის (თეატრის, კინოს), მედიის ერთმანეთთან დაბრუნების, ხანგრძლივი განშორების შემდეგ კვლავ შეხვედრისა და საერთო პარადიგმული სისტემის შიგნით განთავსების შესაძლებლობა. ასეთი შესაძლებლობა სწორედ სემიოტიკამ გააჩინა.

სემიოტიკა მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებისათვის ის ახალი სამეცნიერო სფეროა, რომელიც დღემდე დაგროვილი ცოდნის ახლებური კლასიფიკაციის საშუალებას იძლევა და ამ ცოდნის პრაქტიკული გამოყენების პერსპექტივებს წარმოაჩენს. რა თქმა უნდა, ქართული სამეცნიერო საზოგადოება ვერ დაუშვებდა, რომ ამ პროცესთან არ ყოფილიყო დაკავშირებული. ეს კავშირი ჟურნალმა "სემიოტიკამ" უზრუნველყო. ამჯერად ჩვენ წინაშეა ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერიოდული სამეცნიერო გამოცემა — **„სემიოტიკა"** (მთავარი რედაქტორი **ცირა ბარბაქაძე**, რედაქტორები: *თამარ ბერეკაშვილი, თამარ ლომიძე, იზაბელა ქობალავა, ნინო აბაკელია*), რომლის მესამე ნომერი გამოდის ამჯერად.

მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებში განხორციელებული სემიოტიკური კვლევები ჩვენში კარგა ხანია შესწავლის საგნად იქცა, მაგრამ უშუალოდ ქართული ემპირიული მასალის სემიოტიკური კვლევა შედარებით გვიან დაიწყო.

ჟურნალ „სემიოტიკის" ნინამდებარე ნომრებში რუბრიკათა ჩამონათვალიც კი (ენისა და ლიტერატურის სემიოტიკა, კულტურის სემიოტიკა, სემიოტიკის თეორია და ისტორია, სემიოტიკა და სხვა...) ადასტურებს, ერთი მხრივ, სემიოტიკის მეტადისციპლინარულ ხასიათს, ხოლო, მეორე მხრივ, იმას, რომ ჩვენთვის სემიოტიკური კვლევები სხვის მიერ მიღწეულ წარმატებათა აღწერად კი არ რჩება, არამედ უკვე სრულფასოვნად, აპრობირებულ მეთოდოლოგიად და საკუთარ მასალაზე დაკვირვების საფუძველზე ჩამოყალიბებულ ქართულ საკვლევ სფეროდ გვევლინება.

ნიშანდობლივია, რომ ჟურნალში გამოქვეყნებულ სტატიათა ავტორები ოდენ პუბლიკაციის დასტამბვით დაინტერესებული პირები არ არიან. მათი უმრავლესობა




ქართველ სემიოტიკოსთა იმ ჯგუფს ეკუთვნის, რომელიც ამ ორი წლის წინ გაერთიანდა თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტში და სემიოტიკური სემინარების, **სემიოტიკური კვლევის ცენტრის** მესაძირკვლე აღმოჩნდა. ეს მეცნიერები, უკვე დამსახურებულნი თავიანთ საკვლევ დარგებში, საკუთარი ინტერესების სხვებთან გაზიარებისა და სხვათა ცოდნასთან საკუთარის შეჯერების სურვილმა შეკრიბა. ისინი, ცალ-ცალკე გატაცებულნი სემიოტიკური კვლევებით, ამ მიმართულების პოპულარიზაციის, სწავლების, ქართულ მასალაზე ადაპტირების სურვილით არიან შთაგონებულნი. ამ გაერთიანების სულისჩამდგმელი და ინიციატორი პროფ. ცირა ბარბაქაძეა, რომელიც სწორედ მულტიდისციპლინარული ინტერესების ადამიანია (ლინგვისტი, პედაგოგი, პოეტი, კრიტიკოსი). წარმატება განაპირობა სწორედ იმ ფაქტმა, რომ სემიოტიკის კვლევის ჯგუფის პროფესორებს აქვთ სერიოზულ სამეცნიერო დარგებში მუშაობის ჩვევები, სამეცნიერო სკოლების ტრადიციების ცოდნა, საკითხზე მუშაობის კულტურა, ემპირიული მასალის მოპოვების, კლასიფიცირების, შეფასების უნარი. სწორედ ქართული სამეცნიერო სკოლების საუკეთესო ტრადიციების გავლენით იყო, რომ სემიოტიკური სემინარები დაარსდა ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის დოქტორანტურის ბაზაზეც, შეიქმნა სადოქტორო და სამაგისტრო პროგრამები, რამდენადაც ყველა კვლევა საგანმანათლებლო პროცესის შედეგი და საფუძველია.

ჟურნალის გამოცემას წინ უძღოდა სემინარული მუშაობა, სემიოტიკის სფეროში ყველაზე თვალსაჩინო სტატიების თარგმანები. წინამდებარე ნომრები ცხადყოფს, რომ თვითონ სერიოზულ მკვლევრებს დრო გამოუნახავთ და უთარგმნიათ (და მშვენივრადაც) საყურადღებო სტატიები.

შემთხვევითი არც ისაა, რომ სწორედ ლინგვისტმა (ცირა ბარბაქაძემ) წამოიწყო ქართული სემიოტიკური ჟურნალის გამოცემის საქმე, რამდენადაც კომუნიკაციის ყველა ხელოვნური სისტემა, საერთო ჯამში, ბუნებრივ ენაში არსებული თავისებურებების ან გამაძლიერებელია ან — ჩამხშობი, რამდენადაც ხელოვნურ ენებთან შედარებით მხოლოდ ბუნებრივი ენა წარმოადგენს ზოგადს. კავშირის ყველა სხვა ნიშანთა სისტემა (ბუნებრივიც და სოციალურიც) ბუნებრივი ენის ესა თუ ის ანალოგია და შეიმეცნება ენის შესახებ ცოდნის გზით. ბუნებრივ ადამიანურ ენას ნიშანთა სისტემებს შორის ცენტრალური ადგილი უკავია, ხოლო ლინგვოსემიოტიკას (ბუნებრივი ენის სემიოტიკური კუთხით შემსწავლელ მეცნიერებას) ცენტრალური ადგილი ეთმობა სემიოტიკის შესახებ მეცნიერებათა შორის.

ეს სწორად დაგეგმილი ჩანაფიქრი, დელიკატურად და გონივრულად განხორციელებული, არის საწინდარი იმისა, რომ ჩვენი ჰუმანიტარული მეცნიერებანი დინამიკურად, ორგანულად გადავლენ მოძველებული მეთოდებიდან ახალ კვლევებზე, და არა მოდასაყოლილი პროვინციული ალტაცებით, თითქოს ახალ, ელვარე ფერუმარილს სამზარეულოს თავსაფრიან პირისახეს უხვად უსვამენო.

სემიოტიკა ისაა, რაც კომუნიკაციის საფუძვლებს იკვლევს.

ამგვარი მიზანი კვლევისა არ ახალია და იგი ოდითგანვეა უამრავი სახელწოდების ქვეშ მოქცეული დარგების ინტერესის ობიექტი. სამწუხაროდ, სემიოტიკით ზოგიერთი თანამედროვე მკვლევრის გატაცება იმ სურვილს უფრო ჰგავს, რომ არაფერი უკვე განვლილი და არსებული არ გაიმეოროს და სიახლეებით ესოდენ მდიდარ ჩვენს საუკუნეში თვითონაც სიახლის ფუძემდებლად იგრძნოს თავი (და, ამასთან, ერთი მისხალიც კი არ დაკარგოს წარსულში დაგროვილი ცოდნისა).

ეს შიში, მოძველებულობის ბრალდებით გარეთ არ გამოგაგდონ და ჩამორჩენილი, დანუნებული რომანტიკული ღირებულებებით მოფიქრალ დონ-კიხოტს არ მიგამსგავსონ, ისეთი პანიკურია, რომ მისი დაძლევის დაუოკებელი სურვილით ადამიანები ნიღბებს ირგებენ, უაღრესად მოდერნიზებულებად წარმოადგენენ თავს, ისეთ მელოდიებს აყოლებენ ფეხს და ისეთ უსულო ფერწერულ ტილოში ეძებენ უაღრესად ბრძნულ ჩანაფიქრს, რომელშიც ქვეყნად არსებული ყველა სანთელიც რომ ერთად აბრიალო, მაინც ვერაფერს იპოვი გულისა და გონების გასახარს. ამგვარმა ტენდენციებმა განაპირობა ჩვენი საუკუნის კიდევ ერთი დაავადება: ყველაფრისათვის სახელის გადარქმევა, რათა ძველ სახელებში წარსულში უკვე მიკვლეული ჭეშმარიტებები **არ** ვიცნოთ და **არ** აღმოვაჩინოთ, რომ ამ უამრავი ფერად-ფერადი სადენებისა და კოსმოსური თანამგზავრების ტრიალით აჩქარებულ დედამიწაზე, რომელსაც ციფრული მატრიცა მართლაც რომ აბლაბუდასავით შემოხვევია, ადამიანი ისევ ის ძველი მარტოსული არსებაა, რომელსაც ქარისა და წვიმის კვლავინდებურად ეშინია და რომელსაც ისევ ერთი გული აქვს, რომელიც ტკივა...

უნდა აღვნიშნოთ, რომ ამგვარ საფრთხეებს ღირსეულად აარიდა თავი ჟურნალმა „სემიოტიკამ".

აქ ტერმინები კარგად გააზრებული და შესაბამისია, მეთოდები — მორგებული, კვლევები — საკუთარ, ემპირიულ მასალაზე დაფუძნებული; სათანადო პატივისცემითაა აღნიშნული ადრე დაგროვილი ცოდნის მნიშვნელობა დღევანდელობისათვის, ქართულ სამეცნიერო ინტერესთა სპეციფიკა. ქართული სემიოტიკური კვლევის ცენტრი, რომელიც სულ მალე, ალბათ, ქართული სემიოტიკური სკოლის სახელსაც დაიმკვიდრებს, დინჯად, კომპეტენტურად, გადაუჭარბებელი სიფრთხილით მიიწევს წინ.

გამარჯვებით ევლოს!

ელგუჯა ბერძენიშვილი

# ოდესღაც რუსთაველზე

ჭადრების ხეივანში, შრიალა ჩრდილქვეშ, ჩაიარეს მხიარული სიცილ-კისკისით, თმების ფრიალით, საამურ სურნელს რომ აფრქვევდნენ, კაბების შრიალით, შარიშურით.

შენ აქ იდექი მაშინ, სადაც ახლა დგახარ. ზღვიდან ახლად დაბრუნებულები ჩანდნენ. მზე მოჰკიდებოდა მათ სახეებს, მათ მხრებსა და მკლავებს და ვარდისფერ ბაგეებს შორის უელვარებდათ სადაფისფრად კბილები.

მე მალულად გავყევი უკან და ვფიქრობდი მათ სამოსქვეშ მზემოკიდებულ ნორჩ ტანებზე, უაღრესად ქალური გრაციით რომ მიარხევდნენ, ფეხაწყობილნი, ლაღად და თავისუფლად. როდის იყო ეს? ან იყო კი? იქნებ არც ყოფილა და ცხოვრება მოჩვენებაა და სხვა არაფერი. თუ იყო, სად არის რაც იყო, ან ის გოგონები სადღა არიან?

ჭადრები კი ისევ ისე შრიალებენ, ისევ ისე შესევია ჭადრის შტოებს ბელურები და ჟივილ-ხივილი გააქვთ, მაგრამ ქუჩაში არ ისმის ჟრიამული, ნაცნობი, ხალისიანი შეძახილები. მაშინ სულ სხვა ხალხი დადიოდა რუსთაველზე, მაშინ სულ სხვა ცხოვრება ჩქეფდა რუსთაველზე; ფეხი მომტეხოდა და აქეთ არ წამოვსულიყავი!

ყველაფერი შემთხვევითობაა. ავტობუსი შემეშალა და ზემელზე ჩამომსვეს, კაუჭიანი ჯოხიც ჩამომიგდეს, ზედ მომაყოლეს.

როგორ ამიჩქროლდა გული, როცა რუსთაველს გავხედე. მინდოდა შინ დავბრუნებულიყავი, მაგრამ საყვარელი ქუჩა წინაღუდგომელი ძალით მეზიდებოდა. ჩემი მოღლილი გულის და მუხლების იმედი არ მქონდა.

ერთადერთი დასაყრდენი, კაუჭიანი ჯოხი გამაჩნდა; ერთ ადგილას ვიდექი და ვყოყმანობდი, თვალი რუსთაველისკენ გამექცა, ჭადრებში ისევ ისე ჩაღვრილიყო მზე. უცნაურად შემიქანდა გული. განა აქ არ მქონდა გატარებული სიყრმე და სიჭაბუკე?!

ოპერამდე ისე ვიარე, ერთი ნაცნობი არ შემხვედრია. იმდენად უცხო მეჩვენა მოსიარულენი, რომ სხვა ქალაქში მეგონა თავი. არც შენობათა ფასადები მესალმებოდნენ, აღარ მეგებებოდნენ ჭადრები შრიალით; თითქოს ქუჩა ჩამკვდარიყო, ველარ ვცნობდი.

ყველაფერზე მეტად იმან გამაოცა, ყველა რომ მიიჩქაროდა, ერთმანეთს რომ არ უჩერდებოდნენ, არავინ ერთმანეთს რომ არ ესალმებოდა და ხელს არ უწვდიდნენ, ერთმანეთს რომ არ კოცნიდნენ ხალისიანი სიცილით. ვინ არიან ესენი? საიდან გაჩნდნენ ქალაქში. ეს რა ხალხი დადის რუსთაველზე!..

მე კი მეგონა ყველას შევხვდებოდი, ვისთანაც ერთად მთელი დღეები ვხეტიალობდი. სად არიან? სად წავიდნენ? სად გაქრნენ? გაოგნებული ვეკითხებოდი ჩემს თავს და არც ვიცოდი, ვის დავეძებდი; რაღაც მაკლდა, მაგრამ არ ვიცოდი, რა. ეს მანუხებდა და გული სინანულით მევსებოდა. არ უნდა წამოვსულიყავი.

არამცთუ ნაცნობი, ისეთი ნაცნობი სახეც კი ვერ შევნიშნე, ყოველდღიური შეხვედრის გამო, ნაცნობად რომ ვთვლიდით, თუმცა არასდროს ხმა არ გაგვიცია და არც არასდროს მივსალმებივართ, მაგრამ სადმე, უცხო ქალაქში რომ ერთმანეთი დაგვენახა, სიხარულით რომ გადავეხვეოდით დიდი ხნის უნახავი ნაცნობებივით.

აი, თუნდაც ის ჩიბუხიანი კაცი, ლაღიძის წყლებთან რომ ჩაიქროლებდა ჩქარი ნაბიჯით და კვამლის ბოლქვებს ტოვებდა ვან-გოგის ორთქლმავალივით. ან ის ბადურიანი კაცი, ბორჯომის ცარიელ ბოთლებს რომ ეზიდებოდა, ანდა კონსერვატორიის მხრიდან რომ შემოვიდოდა ლაღიძის წყლის დასალევად ერთი, კაცურად გაკრეჭილი ჭაღარა ქალი, ხავერდის შავ კაბაში, გვერდზე დაფენილი თეთრი, ფუშფუშა ბაბთით, თავისი დიდი და მძიმე ქვედა ყბით რიჰარდ ვაგნერს რომ გვაგონებდა. ანდა ის საცოდავი კოჭლი კაცი, ილლიაში ამოჩრილ ახლადგამოცემულ წიგნებს რომ ჰყიდდა და გამვლელებს უმიზეზოდ ეჩხუბებოდა, მუდამ დამფრთხალი და შეშინებული. ალბათ აღარ არიან ცოცხალნი. ვერც ჯუჯა ვახოს მოვკარი თვალი. ისინი მაინც რატომ არ ჩანან, ისინი ხომ ბავშვები იყვნენ, ის გრძელთავა ქურთის ბიჭები, ეგვიპტური ფრესკებიდან გადმოსულები რომ გეგონებოდა.

ეს ჭადრები ხომ ისევ ისე დგანან და შრიალებენ, ისევ ჟივილ-ხივილი გააქვთ ბელურებს. ან ისინი სად არიან, ამ ჭადრის ქვეშ რომ იდგნენ ძველქართულად გამოწყობილნი და გამვლელებს რომ ხიბლავდნენ თავიანთი კეთილშობილური ქცევითა და აღნაგობით. მათ განუმეორებელ სილამაზეს გულგრილად ვერ ჩაუვლიდით, მოხიბლულნი მათი მიხრა-მოხრით და თუნდაც უბრალო დგომით. უცხოელი სტუმრები მათთან ერთად იღებდნენ სამახსოვრო სურათებს.

ისინი ამშვენებდნენ რუსთაველს, კეთილშობილი მოხუცები ნუთუ ერთიც აღარ დარჩა ცოცხალთა შორის?..

მათ ადგილას შორტებში გამოწყობილი მსუქანი ბიჭები დგანან და ჰამბურგერს მიირთმევენ.

არა, ეს აღარ არის რუსთაველი. მკვდარი ქალაქი. უსიხარულო რუსთაველი? შეხედეთ ამ ხალხს, მათ დანჯღრეულ სიარულში ხომ ჩანს საიდანაც არიან. რა უნდათ მათ რუსთაველზე. იმათთვის ხომ ეს მხოლოდ ქუჩაა, თუ საქმე გაქვს აქეთ, ხომ უნდა გაიარო. უსახური საშუალოება. განურჩევლად მსგავსნი, ნაკიანი წელიწადის ნაყოფნი, ფაბრიკული საქონელი ბუნებისა. სუფთად ჩაცმულ-დახურულები. ყველას ჰალსტუხი უკეთია. ჩვენ ევროპელები ვართ! ყველა მაჯის საათს დასცქერის, წამს არ კარგავენ საქმოსნები. როგორ სარკესავით პრიალებს ფართო ვიტრინები. ყოველი მაღაზიის წინ მარმარილოს იმიტაციით მოგებული პატარა, საკუთარი მონაკვეთი. უცხოური წარწერები; ლოზუნგები, საითაც გაიხედავ – რეკლამა გეჩხირება თვალში, სულელური მოწოდებანი, – ვიცხოვროთ ამერიკული სულით, გრიალებს დინამიკები. ისმის მსოფლიოს ყველა კუთხის ჰანგები, ყოველ წინწადგმულ ნაბიჯზე რომ იცვლება. ერთმანეთში აღრეული ხმები ერთვის ქუჩის გამაყრუებელ ხმაურს. ყველანაირი ჰანგი გაისმის: ინგლისური, რუსული, ფრანგული, გერმანული, იტალიური, ჩინური, მშობლიურის გარდა. აი დემოკრატიის შედეგი. ნიველირება, განუმეორებელი სილამაზის გა-

დაშლა, გაბაზრება ხელოვნების, ცხოვრების გამვლელები გულგრილად მიაბიჯებენ. ქუჩა სავსეა მათხოვრებით. უამრავი გამოწვდილი გამხდარი ხელი, სახეზე ჩამოფარებული შავი ხელსახოცი, სირცხვილის დასაფარავად. ლტოლვილი ბავშვები, ამაოდ განვდილი პანია პეშვები.

ეს აღარ არის თბილისი, ეს აღარ არის რუსთაველი. კოშმარულ სიზმრად მეჩვენება, რაც ვნახე და რაც მოვისმინე. და რომ არ დავეცე, ჭადრის ტანს ვეყრდნობი. ეს ჭადარი ლაღიძის წყლების პირდაპირ დგას. რამდენჯერ დავმდგარვართ აქ მე და ჩემი მეგობრები. მაშინ სულ სხვა სული დაქროდა, სხვა ცხოვრება მიედინებოდა (სად მიეჩქარება ამ ხალხს, საქმიანად რომ მიაბიჯებენ? ჩამოსულან, მიუტოვებიათ აქაფებული მდინარეები, შრიალა ცაცხვები, ხასხასა, ლორთქო კონდარი, გვირილები, ან იქნებ გვირილებსაც ჰყიდიან. ან იქნებ მდინარეებიც დაშრა და ცაცხვებსაც ველარ შეხვდები. მიიჩქარიან, სად მიიჩქარიან – დალუპვისაკენ, გარდაქმნისაკენ, გადაგვარებისაკენ). ჩვენ კი, ჩვენ დროს ვიდექით ჭადრებთან და ტკბილად ვსაუბრობდით ხელოვნებაზე, ფეხბურთზე, ოპერაზე. ჭადრების შრიალში მშვიდად საუბრობდნენ მოხუცები. ერთმანეთს ეხვეოდნენ დამშვიდობებისას და შეხვედრისას. ხალხი ხალისიანად ილიმოდა.



*ელგუჯა ბერძენიშვილი*

ეს იყო თბილისი, ეს იყო რუსთაველი. მზე, ჭადრების ჩრდილჩაღვრილი სიმშვიდე. ხალისი. სიყვარული. სითბო. რუსთაველზე კეთილშობილური სული ქროდა და წარმართავდა ადამიანთა ხასიათებს, მათ ქცევას, მოქმედებას. აქ რაინდული სული სუფევდა. გოგოსთან მიმავალ ბიჭს ხმას არ გასცემდნენ, რაც უნდა დამნაშავე ყოფილიყო, მერე ცალკე გამოიჭერდნენ და გაუსწორდებოდნენ.

აი, გამახსენდა ერთი საღამო. ხალხით გაჭედილ ქუჩაზე გოგო და ბიჭი მიდიოდნენ ერთად. უკან კი ბიჭების ხროვა მიჰყვებოდა სიმღერით. ახლაც ჩამესმის ბიჭის ხმა, სიმღერით მუქარას რომ უთვლიდა გოგოს: „გამითენდების, განანებ მაგა მოყმისა ყოლასა".

იმჟამინდელი გოგოებიც რაინდული ბუნებისანი იყვნენ. აი, აქ, ამ ჭადრის ქვეშ, ერთხელ ერთ ლამაზ გოგოსთან ერთად მოვდიოდი. ვილაც გაფითრებული, ჩემი ტოლი ბიჭი მოგვესალმა ნაძალადევი ღიმილით. მივხვდი, რომ ამ გოგოსთან რაღაც კავშირი ჰქონდა მის ზედმეტად მოკრძალებულ სალამს და ჩემკენ გამოპარებულ ბასრ მზერას. გოგონამ მითხრა: ვუყვარვარ და მოსვენებას არ მაძლევსო. ვისთანაც დამინახავს, იმას აუცილებლად სცემსო. ახლა ხმას არ გაგცემს, ჩემთან რომ ხარ, მერე მაინც ფრთხილად იყავიო.

– კი, მაგრამ ჩვენ შორის ხომ... – დროზე დავაჭირე კბილი ენას, მაგრამ გოგონა უკვე ხმამაღლა იცინოდა.

– რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, არაფერია ჩვენ შორის. ხა! ხა! ხა!

იმის შემდეგ ამ გოგონას ჩემთან აღარ გაუვლია. მუდამ თვალს მარიდებდა. „მშიშარა ყოფილაო", სადღაც უთქვამს ჩემზე. თავს შეურაცხყოფილად გრძნობდა. იმჟამინდელ თბილისელ გოგონებს მხოლოდ მამაცი და რაინდული ბუნების ბიჭები მოსწონდათ, მათი სიყვარულისათვის სიცოცხლეს რომ ადვილად დათმობდნენ, უკან რომ არ დაიხევდნენ და დანაზეც რომ წამოეგებოდნენ. ამავე დროს ისინი კულტურულებიც უნდა ყოფილიყვნენ, უნდა ჰყვარებოდათ პოეზია და ოპერა. ამ ამაყ გოგონებს სრულებით არ აინტერესებდათ, მათი რჩეულნი რა სიმდიდრეს ფლობდნენ. მათთვის მთავარი იყო რაინდული სული. რუსთაველი ხვეწდა ადამიანს. თავისებურ იერს ანიჭებდა. აქ სხვაგვარად დადიოდნენ, სხვაგვარი ჰქონდათ მიხრა-მოხრა, საუბრის კილო. რუსთაველი მარტო ქუჩა არ გახლდათ აქ ხეპრეც კი კაცად იქცეოდა. თეთრი, მსუბუქი პერანგები კი ეცვათ, მაგრამ ის მძიმე ჯაჭვის პერანგიც იყო.

ერთხელ მოგვვარდა ვილაც მწითური გოგო, თმაგაჩეჩილი, ლამაზი. ბიჭებო! – შემოგვჩივის ის, თუმცა არც ერთ ჩვენგანს არ იცნობს და ჩვენც პირველად ვხედავთ.

– ბიჭებო, ვილაც მთვრალი ამეკიდა და მომაშორეთ რაა?!

გოგონა მიდის, თავის გზას განაგრძობს შუალამით, მარტო. სჯერა, რომ ჩვენ ყურად ვიღებთ მის თხოვნას და აუცილებლად ჩამოვაცილებთ თავხედს, რომელიც უკვე მოჩანს ღამის დაცლილ ქუჩაზე მომავალი და რწევით გვიახლოვდება.

– არა, თქვენ თავს ვფიცავარ, მე მაგას ვიკადრებ? ალბათ მოეჩვენა მაგ ქალს.

– შენ ყველაფერს იკადრებ! – ეუბნება ვერელი კოლა, განთქმული თავურის დარტყმით და ზრდილობით. ის გვერდზე მოქცეულ ჰალსტუხს უსწორებს მთვრალს, მხარზე ხელს უთათუნებს და ნამუსზე აგდებს:

– შენ, ჩემო ძმაო, თუ გინდა აქ ყოფნა და აქ სიარული, უნდა იცოდე, როგორ უნდა მოექცე ქალს, ღირსეულად

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა მოექცე, როგორც ვაჟკაც ადამიანს შეფერის, როგორც თბილისს ეკადრება. ეგ რქები უნდა მოიმტვრიო. ქაჯად არ უნდა დარჩე. გაიგე, გენაცვალე? აგრეა, თბილისში ცხოვრება თუ გინდა, რუსთაველზე გავლა თუ გინდა.

* * *

რუსთაველზე ყველა ერთმანეთს ვიცნობდით. მე და ჩემი მეგობრები სამხატვრო აკადემიაში ვსწავლობდით. ყველა პატივს გვცემდა მხატვრებს. ჭავჭავაძის ქუჩასა და რუსთაველის კუთხეში, ახლა რომ ფართლეულის მაღაზიაა, წინათ სამხატვრო სალონი იყო. დიდ შესვენებაზე, აკადემიიდან აქ ჩამოვდიოდით და ვკამათობდით. ერთხელ სალონში ვართ ყველანი ერთად, ოთარ სულავას ვან-გოგის წერილები წაეკითხა და გვიყვებოდა ვან-გოგის კოლორიზმზე. ჯიბსონ ხუნდაძე ლევან შენგელიას „ლილი გვარამაძის" პორტრეტს აქებდა, სურათის ცისფერ გამას. ჟანი და ზურა მეძმარიაშვილები გოგენზე საუბრობდნენ.

მე და გაბრიელი კნუტ ჰამსუნის „მისტერიებზე" ვმსჯელობდით. უეცრად, ვიტრინის მიღმა, გარეთ, ქუჩაში თვალი მოვკარი ერთად მიმავალ რამდენიმე ლამაზ გოგოს. ისინი მიიჩქაროდნენ და თავიანთი თავი შეათვალიერეს სალონის ფართო ვიტრინაში. ზოგმა კეფაზე აიკრა ხელი, ზოგმა წინ გადაიგდო ნაწნავი. ერთი მათგანი ძალიან ახლოს მოადგა ვიტრინას და თავის სახეს ათვალიერებდა წარბებაწკეპილი. მე მივეპარე და წინ ავეტუზე მოულოდნელად, თითქმის შევეხე სქელ მინას. ხმა არ გამიგია, მაგრამ ჩანდა, რომ შეკრთნენ და შეკივლეს, მერე სიცილით მოწყდნენ ვიტრინას და ჩქარი ნაბიჯით ხალხს შეერივნენ.

აი, ისინი არიან, მე რომ გეუბნებოდით, ვთქვი. ბიჭები ვიტრინას მიაწყდნენ, მაგრამ უკვე გვიან იყო, გოგონები აღარ მოჩანდნენ.

პირველად მათი ჯგუფი ჭადრების ხეივანში დავინახე. ხუთნი იყვნენ. ფეხაწყობილნი მოდიოდნენ ლაღად და გამიცინეს. შეიძლება ჩემს გრძელ თმაზე გაეცინათ. შეიძლება კარგ ხასიათზე იყვნენ სუყველანი, იმიტომ, რომ ხალისიანად იცინოდნენ და მიიჩქაროდნენ. ძალიან ლამაზი იყო მათი სვლა.

რუსთაველს ჩვენ ესთეტიკურად ვჭვრეტდით. როგორ დახატავდა შემოდგომის თბილისს მონე ან სისლეი ანდა პისარო. ჩვენ გვხიბლავდა ჩვენი ქალაქის სილამაზე. მის მოქალაქეთა ნაირგვარობა. მაინც, რა ლამაზი გოგოები დადიოდნენ. ჩვენ იმათ დიდ მხატვართა თვალით შევცქეროდით. ყოველი პროფილი, ყოველი ანფასი, ყოველი ტიპი, რომელიც ჩაგვივლიდა, აუცილებლად უნდა აღმოგვეჩინა დიდ მხატვართა ტილოებზე. აი, ბოტიჩელის გოგო მოდის და ჩვენ წინ ჩაივლის ვიღაც გრაციოზული, ქერა გოგო. უნაზესი მოძრაობით მიაბიჯებს, რხეული ხაზები მიიმღერის. ბოტიჩელის გოგო. ჩვენ ასე შევარქვით იმიტომ, რომ ბოტიჩელის ფრესკაში ასე აქვს თმა დაგრაგნილი ფლორენციელ გოგოს და იმასავით სევდიანად იღიმება, – აქ რუსთაველზე. აი მიქელას ბიჭი გამოჩნდა (მიქელა – მიქელანჯელო იყო), ბიჭი კი თითქოს სიქსტის კაპელადან გადმოსული რომ გეგონებოდათ, თემურ მარგველაშვილი იყო, ჩვენი უმცროსი მეგობარი, თმაკულულა, ბეჭბრტყელი ჭაბუკი. გირლანდაიოს, ცხვირზე მეჭეჭიანი მოხუცი კაციც გვყავდა, უსათნოესი სიყვარულით რომ დასცქერის თავის შვილიშვილს. და ჩვენი ქვეჩარჩოების მკეთებელი, უბადლო ოსტატი სიმონა ძია, ჩვენთვის კი რომენ როლანის კოლა ბრუნიონი. რამდენი მკერდსავსე ტიციანის ქალი დადიოდა რუსთაველზე, რამდენი გოიას მახა.

ჩვენ, ბანკის, დოლარის კურსის დაცემაზე და აწევაზე კი არ ვსაუბრობდით, როგორც ეს ვაჭრუკანები, აგე, ფულს რომ ვერ იყოფენ და თავიდან რომ ითვლიან, არამედ გალაკტიონის ახალ ლექსებზე და კონსტანტინე გამსახურდიას ნოველებსა თუ რომანებზე. სალონში ეკიდა და იყიდებოდა მოსე თოიძე, ლადო გუდიაშვილი, დავით კაკაბაძე ჩვენ სიგარეტის ფული არ გვქონდა. რუსთაველზე იმიტომ კი არ გამოვდიოდით, რომ უსაქმურები ვიყავით და არ ვიცოდით, რა გვეკეთებინა და სად წავსულიყავით. აქ სილამაზე გვეგულებოდა, ის გვიზიდავდა, ის სიყვარულის გარემო, რომელიც ახლა სრულიად გამქრალიყო. ლამაზი იყო რუსთაველი, ლამაზი ხალხი დადიოდა. ლამაზები იყვნენ იმიტომ, რომ კეთილები იყვნენ, ამიტომ იღიმოდნენ ისე მომხიბლავად.

რუსთაველი განსაკუთრებულად ლამაზი იყო შემოდგომაზე. თბილისის სული შემოდგომაა. ჭადრების ხეივანი ამ დროს ოქროსფრად იმოსება. ქვაფენილი სპილენძისფერ ფოთლებს დაუფარავს. იეზიდი ქალები ხვეტენ ქუჩას. წითლად და ყვითლად შემოსილნი, მძაფრი წითლითა და მწვანით, ხმამაღლა ეკამათებიან ერთმანეთს, თითქოს ქუჩაში მათ გარდა არავინ იყოს. ისინი დელაკრუას პალიტრას მიეკუთვნებოდნენ.

არასოდეს საათი არ მიტარებია, არც არსად მეჩქარებოდა. მეგობრებისაკენ მიმიწევდა გული. მათთან შეხვედრა სიხარულს გაზიარებდა. ო, რა გვიხაროდა ერთმანეთის დანახვა.

ლაღიძის წყლებთან ვიდექით ხოლმე. ვიტრინის წინ, რკინის სახელურზე, იდაყვებით ჩამოყრდნობილნი, სიგარეტს ვაბოლებდით ლამაზი გოგონების მოლოდინში. ამ დროს ლურჯი ბინდი ეპარებოდა ქუჩებს და სამსახურებიდან გამოსული მუქი ლანდები იისფერ ნათელში მიირწეოდნენ. ერთმანეთს გვერდს უვლიდნენ და მიიჩქაროდნენ. ჩვენს უკან გაჩახჩახებული იყო ლაღიძის წყლები. ჩვენ ვერავინ ვერ გვცნობდა იმიტომ, რომ შავად ჩანდა ჩვენი სილუეტები და ჩვენს დაცემულ გრძელ ჩრდილებს ქვაფენილზე გამვლელები ფეხით თელავდნენ. ისინი შუქით განათებულ მონაკვეთს გაივლიდნენ, როგორც ეკრანზე და ვიდრე გასცდებოდნენ განათებულ სცენას, ჩვენ სათითაოდ ვათვალიერებდით მათ. აი, ჩაიარა გოგონების ერთმა ჯგუფმა. ისინი რომ ჩაივლიდნენ, ჩვენ უკვე ვიცოდით, მათ რომელი გოგონები მოჰყვებოდნენ და როდის გამოჩნდებოდნენ და მათ შემდეგ კიდევ რომელი უნდა გამოჩენილიყო. ჩვენ თვალს ვაყოლებდით და ვიცოდით, ისინი უკან როდის დაბრუნდებოდნენ და ჩვენი მდუმარე მზერა ისევ რომ შეხვდებოდა ერთმანეთს. უეცრად სინათლეს ჩართავდნენ, აბრწყინდებოდა ხალხით გადაჭედილი ქუჩა, ბელურები უმატებდნენ ჟივილ-ხივილს, ხალხიც ახმაურდებოდა. აელვარდებოდნენ ვიტრინები და ბნელ სიმუქეში მიჰქროდნენ მანქანების ანარეკლები. ფასადზე აკ-

რული შუქნიშნები თვალისმომჭრელად ბრწყინავდა, იფერქვეოდა ნაირგვარი ფერები. გამვლელები ყოველწამიერად იცვლიდნენ იერს, შუქნიშნები ქრებოდა და ინთებოდა. ხან მუქლურჯი გადაევლებოდა მოფუთფუთე ქუჩას, ხან ოქროსფერი ინთებოდა და ქრებოდა გამვლელთა სახეებზე, ლივლივებდა მათ სამოსებზე ლაჟვარდი და მწვანე, მძაფრი მენამული და მუქი მწვანე და ხალხით სავსე ქუჩა ფარშევანგის ბოლოსაებრ მრავალფერად აფერადებული, ყოველ წამს იცვლებოდა.

აი, მობრუნდნენ გოგონები უკან. მშვიდად მოაბიჯებენ. სადღაც ჩვენ ზემოთ, შენობის ფასადზე, სახურავის ახლოს, გაისმის ჩამრთველის ტკაცანი. ერთვება მწვანე შუქი და ბრწყინავენ მწვანედ გოგონების თვალები, საყურეები, ამობურცული შუბლი, თმა, სამკაულები, ტუჩ-კბილი, ისინი თითქოს წყალქვეშა სამყაროში მოაბიჯებენ. თრთიან, ლიცლიცებენ მათი გამჭვირვალე მძივები, საყურეები, ყელსაბამები, სამაჯურები

დალესტნელ ოსტატთა ნახელავი, კავკასიის ბენვენუტო ჩელინები! მაშინ ეს ხელოვნება ფასობდა და არა დღევანდელი ბრჭყიალა ბიჟუტერია, პარიზული თუ რომელიმე უცხოური ქალაქისა. წამით ქუჩა უკუნში იძირება, ინთება სხვა ფერის შუქი. ქუჩას ელვრება ოქროსფერი. გოგონები მალულად იმზირებიან, ხან წითლად შეფერილნი, ხან იისფრად და ახმაურებულ გამვლელებში იკარგებიან. მარტო ხალხი კი არა, ფერებიც მიმოდიან, რუსთაველი – ჩვენი მოძრავი, ფერებით გაბრწყინებული, ფარშევანგის ბოლოსაებრ ჭრელი ზღაპრული პალიტრა!

ქუჩა ცოცხლობდა. რა ლამაზი იყო, რა მომხიბლავი ღამის თბილისი, ჩვენი მთავარი ქუჩა! ყველა ერთმანეთს ულიმოდა, ნაზად, მომხიბლავად, უშუალოდ, გულითადად, სიყვარულის, გადახვევის, გადაკოცნის, სიცილის ქუჩა. წითელი, მწვანე, ყვითელი, ლურჯი და ათასფერი ბედნიერების ქუჩა (იმიტომ, რომ პერანგი ჩახსნილი მქონდა ჭიპამდე, თმა მხრებზე მეყარა და გული ძალუმად მიძგერდა სიყვარულით და არ მაწუხებდა ნეკრესის ქარები, არც ქვიშის გავლა).

სექტემბრის თვეში, როცა რუსთაველი ყველაზე ლამაზია, როცა საამური დარები იდგა და ქუჩა სავსე იყო ზღვიდან ან აგარაკებიდან შინმობრუნებული ახალგაზრდებით, როცა დიდი ხნის უნახავი მეგობრები ხვდებოდნენ ერთმანეთს მხიარული შეძახილებით, ხვევნა-კოცნით, სკოლელები ხალისიანი ჟრიამულით გარბოდნენ და ოქროსფერ ჭადრებზე ჟივილ-ხივილი გაჰქონდათ ბელურებს და ქუჩას ხალისი, ბედნიერება ავსებდა, ამ დროს სწავლა იწყებოდა ხოლმე.

მეც მოვიკიდე ბრეზენტის ლვედიანი ჩემი სამხატვრო ფერადების ყუთი, განუშორებელი სალებავების ყუთი, ჩემი ხელით გამოჩორკნილი და გავწიე სამხატვრო აკადემიისაკენ მეგობრებთან შეხვედრის წინასწარი სიხარულით და უფრო მეტად კი იმ იმედით, რომ მხიარულ გოგონებს შევხვდებოდი. გავცდი თუ არა ზემელს, ვხედავ მოდიან, გული ამიჩქროლდა. დანახვით კი დამინახეს, მაგრამ არ შეიმჩნიეს, ისე ჩამიარეს გვერდით. გამიკვირდა. ის კი არა, რომ არ შემნიშნეს, – ვითომ რატომ უნდა შევენიშნე?! გამიკვირდა, გული წყენით რომ შემეკუმშა.

უეცრად მივხვდი, რა ლატაკად გამოვიყურებოდი მათ თვალში. ზამთარ-ზაფხულ ერთი კალმახისფერი პიჯაკი მეცვა, მოვერცხლისფრო ნაცრისფერი და ქინძისთავისოდენა წითელი წერტილებით დაწინწკლული. წვიმაში და ქარში საყელოს ვიწევდი ხოლმე. მინდოდა დამენახა, იმათ თვალში როგორ გამოვიყურებოდი. ერთხელ სოფელში კოსტა დალაქთან გვერდით სარკეში, ჩემს პროფილს მოვკარი თვალი და ჩემი თავი ვერ ვიცანი, სხვა მეგონა. ძალიან ძნელია, გარედან შენი თავი რომ დაინახო, მითუმეტეს, სხვების თვალებით და აი, მოდის ვიღაც თმაგაჩეჩილი, პირგაუპარსავი ბიჭი და რაღაც ყუთს მოათრევს. ვინ არის ეს საცოდავი? ასეთი ეჭვი ხშირად გამკრავდა ხოლმე, იმათ მშვენიერებას რომ მოვკრავდი თვალს, მაგრამ ეს ეჭვი წამიერი იყო, ჩემში უმალვე გაილვიძებდა სიამაყე ამ ხალისიან, უშუალო ლოყაწითლების მიმართ და გუნებაში ზემოდან დავხედავდი ხოლმე. მათ არ აწუხებდათ, რა არის სილამაზე. მერე რა, რომ თვითონ ლამაზები იყვნენ? ისინი ხომ ვერ გრძნობდნენ მშვენიერებას ისე ღრმად, როგორც მე? „მხიარული გოგონების გუნდი", – ასე შევარქვი უცნობ ნაცნობებს ჩემს გუნებაში. სულ ერთად დადიოდნენ. მე – სულ მარტო. აქ, ამ მონაკვეთზე, ცალკე არც ერთი მათგანი არ შემხვედრია და რომც შემხვედროდა, ვერ ვიცნობდი, ვერც მივხვდებოდი, რომ იმ ხუთეულიდან ერთი იმათგანი იყო.

ისე ერთად ალმებეჭდა ისინი ცნობიერებაში, ხუთივეს ერთად აღვიქვამდი, როგორც ერთს. ჩემთვის ხუთივე ერთ ლამაზ, ერთ მშვენიერ ქალს წარმოადგენდა, განცდით, რა თქმა უნდა, და არა თვალით. მათი შეხვედრა ბედნიერებად მექცა, თუმცა მათგან არც არაფერს მოვითხოვდი და არც არაფერს ველოდი. მხატვრის თვალს ვინ დაუშლის სილამაზის ჭვრეტას.

ისინი ყოველ დილით უნივერსიტეტისაკენ მიემართებოდნენ, მე – სამხატვრო აკადემიისაკენ. ერთსა და იგივე ადგილას ვხვდებოდით, მუდამ ერთსა და იმავე დროს.

ამ ხშირმა შეხვედრებმა ჩვენ რაღაც უცნაურად დაგვაახლოვა. ისეთი განცდა მქონდა (ალბათ იმათაც), თითქოს დიდი ხნის ნაცნობები ვიყავით და გასაკვირია, რატომ არ ვჩერდებოდით შეხვედრების დროს და რატომ არ მოვიკითხავდით ერთმანეთს – როგორ ხართ, გოგონებო, რა ლამაზები ხართ. რატომ არ უნდა ყოფილიყო ასე, როცა ერთმანეთის დანახვა სიხარულს გვგვრიდა, მაგრამ ჩვენ მაინც უცნობებად ვრჩებოდით. ისინი, რა ვიცი, რას ფიქრობდნენ. საჭირო იყო გაგვეცნო ერთმანეთი. ხელი ჩამოგვერთვა, გაგვეგო ერთმანეთის სახელი და გვარი. ნეტა რა ერქვათ. ისინი კეთილშობილი ოჯახის შვილები ჩანდნენ; მგონი უცხო ენებზე სწავლობდნენ, რადგან ხშირად მესმოდა, უცხოურად რომ ჩაილაპარაკებდნენ გვერდით ჩავლისას. ჩემი იდუმალი იმედიც ის იყო, რომ მათ მხატვრობა ეყვარებოდათ, ამიტომ მეც მეტად დამაფასებდნენ და თვალს არ ამარიდებდნენ. გაცნობის ცერემონია არ შემდგარა. ჩვენ შორიდან ვულიმოდით ერთმანეთს, სიხარულს ვგრძნობდით, სიმპათიას ერთმანეთის მიმართ და პატივისცემას და მოკრძალებას. ერთი სული მქონდა, ქუჩაში მიმავალს თვალი მომეკრა მათთვის, დამენახა უკვე ნაცნობი და ახლობელი ფერები მათი სამოსისა. დამენახა თანდათან მოახლოებული მათი წორჩი, ხალისიანი, დილასავით ნათელი, გასხივოსნებული სახეები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალს მომკრავდნენ თუ არა (მეჩვენებოდა, რომ შეკრთებოდნენ) ერთმანეთს რაღაცას გადაულაპარაკებდნენ. მერე თავს დახრიდნენ და მალულად სიცილს იკავებდნენ ან უხმოდ ჩაიცინებდნენ და ჩაივლიდნენ. მე მესმოდა მათი, ხან ფეხაწყობილი, ხან ფეხარეული მაღალქუსლიანი ფეხსაცმელების პაკუნი ქვაფენილზე. ახლაც თვალწინ მიდგას მათი ხალისიანი სვლა, თვითეულის მომხიბლავი ღიმილი. აი, აქ ჩაიარეს, აქ დადიოდნენ და შენც აქ იდექი, სადაც ახლა დგახარ და ჭადარს მიყრდნობილი ფიქრობ, სახლში როგორ დაბრუნდე და მიაღწიო.

* * *

მათი დანახვისას მუდამ მახსენდებოდა ერთი შავ-თეთრი რეპროდუქცია, სოფელში, ჩვენს ოდაში რომ ეკიდა, დაფლეთილი და ჭიკარტებით მიკრული ნაბლის ძელზე.

სურათზე მოჩანდა ფლორენცია (ეს ახლა ვიცი).

და, აი, ძველი ფლორენციის ქუჩაში მოდიან იმჟამინდელი ლამაზმანები, ნორჩი ქალიშვილების გუნდი, ისინი ანფასში გამოუსახავს ვილაც უცნობ მხატვარს. გოგონები წინ იმზირებიან და თითქოს ვერ ამჩნევენ ხიდის კუთხეში შეჩერებულ შავსამოსიან კაცს, ერთ ადგილზე გაქვავებულს, გულზე რომ მიუდვია ხელი და შემკრთალი შეცქერის გოგონების სვლას (გვიან გავიგე, რომ სურათი თურმე დანტეს ვიტა ნოვა-ს ილუსტრაციაა). ბეატრიჩეს გრძელი, კოჭებამდე დაშვებული თეთრი კაბა ეცვა, კომპოზიციურად შუაში იყო, რა თქმა უნდა, სხვები მას ახლდნენ. მერე გავიგე, რომ ამ ერთადერთი შეხვედრისას, ბეატრიჩე სრულიად ნორჩი, თითქმის ბავშვი იყო, გამიკვირდა ამ შავ-თეთრ რეპროდუქციაში ის ქალს უფრო ჰგავდა. მაშინ ვიფიქრე, სულ ბოლოში რომ მოდის (და ის ყველაზე უფრო მომწონდა), ბეატრიჩე ალბათ ისაა-მეთქი.

დიდი ხნის მერე ვნახე ამ სურათის ფერადი რეპროდუქცია. ბეატრიჩეს თეთრი კაბა ბროწეულის ყვავილისფერი აღმოჩნდა, ისე, როგორც დანტეს შავი ჩაბალახი – შინდისფერი. ეს სურათი მიყვარდა. ჩემი უცნობი გოგონების სვლა მუდამ მაგონებდა ბავშვობიდან შემორჩენილ შთაბეჭდილებას. საიდან მოხვდა ჩემს სოფელში ეს რეპროდუქცია, ახლაც არ ვიცი.

მათ კაბების ფერს შორიდან ვცნობდი. სხვადასხვა ფერის კაბები, შორიდან ერთ მთლიან მოძრავ ლაქად მოჩანდა და ამ ფერების დანახვა დიდ სიხარულსა და სიამოვნებას მგვრიდა, უცნაური მღელვარება ამიტანდა ხოლმე, თვალს რომ მოვკრავდი. ასე მემართებოდა ბავშვობაში სოფლად, როცა ციდან უცნაური ხმები შემომესმოდა. ცას რომ ავხედავდი და მუქლურჯ გამჭვირვალე ცაში მოლაღურებს მოვკრავდი თვალს; მათი ამაღელვებელი კვირკვილი, ახლაც ხმიანობს ჩემს ყურებში. ცაში მიქროდნენ ისე, რომ ფრთებს არ შეაქანებდნენ. შაბიამნისფერი და ყვითელი ფერის უცხო და მოულოდნელად მოფრენილი მოლაღურების გუნდი! რატომ იწვევდა ასეთ გულისშემძვრელ მღელვარებას, ასეთ სიხარულს მოლაღურების ფერები ცაში?

აი, ისინი, მოლაღურები მოფრინავენ. მოლაღურები, ასე შევარქვი გულში გოგონებს. ისინიც მიყვარდნენ და ისინიც მაღელვებდნენ, მაგრამ ჯერ მათი კვირკვილი არ გამეგო. ქუჩას რომ გავხედავდი, სადაც უამრავი ხალხი ირეოდა, შორს, ჯერ მოვკრავდი თვალს მათი სამოსის ფერებს, რომელიღაც მათგანს მართლა ეცვა მოლაღურისფერი, ან შეიძლება ორს ეცვა და ახლო-ახლო მოჩანდა მკრთალი ცისფერი და კვერცხლისგულისფერი მოლაღურისფრად. თეთრი, ვარდისფერი, შაბიამნისფერი. ზამთარში სხვა ფერებად იყვნენ შემოსილები.

* * *

მზიანი დილაა, ქუჩაში მიიჩქარის ხალხი. შენობის ჩრდილები ეცემა ქუჩას. აი, მოფრინავენ მოლაღურები, ისინი ხან ნათელში ჩნდებიან, ხან ჩრდილში იძირებიან, ხან ენთებიან დილის მზის სხივებში გახვეულნი. ხან ქრებიან, წამით დაკარგულნი, კვლავ ჩნდებიან, ლაღად მოდიან, ფეხაწყობილნი, თავაღერილნი. ფრიალებს მათი შავი, მოლურჯო თმა. ოქროსფერი თმა, სიცილ-კისკისით მოიწევენ წინ, ლაღად, მხიარულად, ხალისიანად.

ყველა თვალს მიაყოლებს გამფრინვალე მოლაღურებს, ყოველ მათ გამოჩენაზე, მათი შეხვედრისას და ჩავლისას მეჩვენებოდა, რომ მათ სვლას თან დაჰყვებოდა ხალისიანი, პაწია ვერცხლის ეჟვნების წკრიალი, თითქოს მუსიკა მიაცილებდა, მესმოდა ხოლმე რაღაც იდუმალი მელოდია, მომხიბლავი, ვალსის მაგვარი, წკრიალა და ამავე დროს მიმქრალი, თითქოს შორიდან მოისმისო. ეს უჩინარი მუსიკა, მაგონებდა მოცარტის რომელიღაც სიმფონიის ერთ ფრაგმენტს, რომლის სახელი არც ვიცი და არც მახსოვს, მაგრამ შემეძლო დამესტვინა შეუმცდარად და გულში იმ მელოდიას ვმღეროდი და მივაყოლებდი მათ სვლას რამტარა-რამტარა-რამ ტამ.

ჩვენი მზერა წამით შეხვდებოდა ერთმანეთს, როცა მდუმარედ, მხოლოდ თვალებით ვესალმებოდით და როცა ისინი ჩაივლიდნენ და თვალს მიეფარებოდნენ, ყურში ჯერ კიდევ ხმიანობდა მათი სვლის მუსიკა, მათი ნაბიჯების რიტმს შეწყობილი ჰანგი, რომელიც თანდათანობით ქრებოდა, მკრთალდებოდა, იკარგებოდა, მაგრამ ექო ამ უჩინარი მუსიკისა დიდხანს და საამურად ხმიანობდა ჩემში. შევბრუნდებოდი და თვალს მივაყოლებდი მათ მოხდენილ სვლას და ერთხელ – სურვილიც კი აღმეძრა – სადიპლომო ნამუშევრად მათი სვლა დამეხატა, მაგრამ ვის შეეძლო გადმოეცა ამ სვლის იდუმალება, მისი უხილავი მომხიბლაობა.

ჯერ არ ვიყავი ძლიერი ოსტატი და თავს ვიმართლებდი ათასგვარი ტყუილებით – ფერწერას არ გააჩნია დინამიკური პოტენცია! ის მაინც სტატიკურია! ერთ ადგილზე გაქვავებულ სვლას, მოძრაობას, გრაციას, მუსიკა თუ შეძლებს. არა ვერც მუსიკა შეძლებს ამ სილამაზის წვდომას. ხაზი? ფერი? ეს თუ დაიკარგა, ხომ ჩამოცვივდნენ ციდან მოლაღურები? მუსიკა სულ სხვა რაღაცაა, ერთგან რომ სახალისო სცენას ამშვენებს, იგივე მელოდია სხვაგან მწუხარე ჰანგებად ილვრება. ვერც სიტყვა გამოხატავდა მათ ხალისიან სვლას. გაუბედაობა მაკრთობდა და წარმოსახვაშიც კი ფუნჯები ხელიდან მიცვივდებოდა.

ყველაფერს მერჩივნა ჭვრეტა და ამით დატკბობა. მათ სამოსქვეშ ხელშესახებად ვგრძნობდი უაღრესად ქალწულური სინაზით მოსილი სხეულების რხევას, რასაც ქსოვილთა ჰაეროვნებაც ამჟღავნებდა; რომელიღაცას ზღვისფერი ეცვა. მუხლებს ქვემოთ თეთრი მაქმანით შე-

მოქუფული, თითქოს აღელვებული ზღვის ტალღა, თეთრ ქაფად ქცეული, გარშემო ევლებაო. ქერა იყო, შუა გადაყოფილი, ხვავრიელი ოქროსფერი თმა შემოვლებოდა მის მშვენიერ სახეს. აფროდიტე დავარქვი გულში. ლურჯი ზღვისფერი კაბა თეძოებზე მჭიდროდ ჰქონდა შემოტმასნილი და მაღალი გავიდან ლაღად დაშვებული ნაჭერი იშლებოდა, ღელავდა, თეთრად ქაფდებოდა. მის გვერდით რომ გოგო მოდიოდა, იმას მუქი, კვერცხისგულისფერი კაბა ეცვა (ალბათ მოლაღურს ეს ორი ფერი მაგონებდა); ასე იმოსებოდნენ და ხშირად იცვლიდნენ კაბებს. სულ ახალ-ახალი ფერები ჩნდებოდა. ზამთარში სულ სხვანაირად გამომეცხადნენ. ზოგს მდიდრული, მოკლე ქურქი ეცვა. ზოგს შავი, მოკლებეწვიანი, კოჭებამდე დაშვებული, ასე შემომხვდნენ ერთხელ. მე ისევ პიჯაკის საყელოაწეული და მხარზე ფანერის ყუთგადაკიდული მივაბიჯებდი. მაშინაც კი, როცა წამოთოვდა ხოლმე, მაგრამ ხშირი თმა მიფარავდა. ფეხსაცმელში კი წყალი ჭყაპუნობდა.

ისინი ჩემთვის სილამაზის, მშვენიერების მომნიჭებელი გოგონები იყვნენ. ბედნიერება იყო მათთან შეხვედრა. ხდებოდა ისიც, რაღაც მიზეზის გამო, რომელიმე დილას ერთმანეთს ავცდებოდით. მაშინ იმედი გადამქონდა ნაშუადღევზე, როცა ლექციები თავდებოდა, როცა მეც და ისინიც შინ ვბრუნდებოდით, მაგრამ თუ აქაც ვერ შევხვდებოდით, ისეთი განცდა მეუფლებოდა, რომ რაღაც დავკარგე და მწუხარებით მევსებოდა გული. ეს, რაღა თქმა უნდა – მხოლოდ სილამაზის ჭვრეტა აღარ იყო.

აქ მთავარი სილამაზე და უანგარო, ესთეტიკური მზერა აღარ იყო. მაშ რა იყო? სილამაზის ხედვით არასოდეს მკერდში ტკივილისგან არ შექანდება გული. ახლა კი ვიცი, რასაც ნიშნავდა ის განცდა. იმათი არ ვიცი, მაგრამ მე მწყუროდა სილამაზესთან შერწყმა, ანუ სიყვარული მწყუროდა. აი, რა იყო თურმე.

მთელი ღამე მოუთმენლად ველოდი გათენებას. ვხედავდი მათ. გული მღეროდა ფლეიტების ნათელ მელოდიას. მესმოდა მათი მაღალი ქუსლების პაკუნი და ეჟვნების წკრიალი.

საჩქაროდ ვდგები. ვიცვამ. ცივი ჩაი, ერთი-ორი ლუკმა. დედას ვკოცნი თმაზე. მხარზე ვიკიდებ ჩემს სალებავების ყუთს და ქუჩაში მივიჩქარი. ზღვა ხალხი მოედინება. ისინი რატომ არ ჩანან? იგვიანებენ? ან იქნებ ამცდნენ. შეიძლება ჯერ შორს არიან. მე უკან გავრბივარ და თავიდან ვიწყებ სვლას, გამოვლილ გზას ხელმეორედ მივუყვები. რამდენადაც შეიძლება, ნელა მივაბიჯებ. ხანდახან ერთ ადგილზე დავდივარ ისე, რომ წინ ერთ ნაბიჯსაც კი არ ვდგამ, მერე ვაგრძელებ სიარულს, დაძაბული დავეძებ მოლაღურებს, შევცქერი უცნობ სახეებს. არ ჩანან, ნამდვილად ავცდით ერთმანეთს. „ავცდით, ავცდით". სინანულით ვამბობ ჩემთვის და სწორედ ამ დროს, ხალისიანი ეჟვნების შორეული ჟღარუნი უცნაურად ძრავს ჩემს გულს. მათი გამოჩენა და ჩემს გულში ეჟვნების აწკრიალება ერთი იყო. მოლაღურები მოფრინავდნენ, მოფარფატებდნენ, როგორც ფერადი პეპლები.

თვალს მომკრავდნენ თუ არა, იდაყვებს გაჰკრავდნენ ერთმანეთს, – მოდისო, წამით აირეოდა მათი მწყობრი. ფეხაწყობილი სვლა, მაგრამ უმალვე ყველანი ერთდროულად თავებს მაღლა სწევდნენ და გასწორდებოდნენ და წინ იმზირებოდნენ გაჩუმებულნი. „თუ არაფერია ჩვენს შორის" – ვფიქრობდი და თვალს არ ვაშორებდი, მეშინოდა ისე არ ჩაევლოთ, რომ ჩვენი მზერა ასცდენოდა ერთმანეთს. თუ არაფერი იყო ჩვენს შორის, მაშინ რას მიყურებდნენ ან ვინ ავალებდათ, რაზე ინუხებდნენ თავს, ან რას მიღიმოდნენ, რატომ მიცინოდნენ, მაგრამ, ხომ შეიძლებოდა, რომ ყველას ასე უცინოდნენ და ულიმოდნენ, მაგრამ მწამდა, რომ მათი უეცარი შეშფოთება რომელიმე მათგანს მეტად ეკუთვნოდა ამ წუთში. მე არ ვიცოდი, რომელს, ხუთივე მშვენიერი იყო. მოამღერებდნენ ტანებს, მოარხევდნენ კაბებს, იცინოდნენ მხიარულად; შორიდან ვხედავდი მათ, მაგრამ ვითომ ვერ ვამჩნევდი, მინდოდა ახლოს მომეშვა, ძალიან ახლოდან ჩამეხედა თვალებში, მაგრამ რომელი ერთისათვის! მე ვითომ არხეინად მივაბიჯებდი, ისე ვაკეთებდი, თითქოს ისინი შემთხვევით შენიშნე და უეცარი, მოულოდნელი შეხვედრით გახარებული გავუღიმებდი ხოლმე. ეს ღიმილი კი ნიშნავდა: „ახ, ეს ისევ თქვენა ხართ?" და ვითომ მეტს არაფერს. შეხვედრისას თუ ახლოს აღმოვჩნდებოდით ერთმანეთის გვერდით, მაშინ ჩემი მოულოდნელი დანახვა და ღიმილი, უმცირესი ნიუანსით იცვლებოდა: „ახ, ეს ისევ ჩვენა ვართ?" და ღიმილის მაგივრად შევცინებდი ხოლმე. როცა ჩაივლიდნენ და ბაგეებზე შექვავებულ ღიმილს ადგილზე ვაბრუნებდი, ნაწყენი ვფიქრობდი:

რა იქნება ერთ დილით თავი დავუკრა, სიცილით რომ მივესალმო, არ მიპასუხებენ? – ნუ მიპასუხებენ. მეტის მოთმენა აღარ შეიძლებოდა, აღარ მაკმაყოფილებდა მათი სილამაზე, მათი მდუმარე მზერა, მათი ხმის გაგება მსურდა, მათთან გულითადად გასაუბრება, მათი სიცილის მოსმენა. „ახ, ისევ თქვენა ხართ?" ჩაივლიდნენ. მათ გამოჩენაზე სისხლი მიჩქროლდებოდა, გული ისე მძლავრად მიცემდა მკერდში, რომ მტკიოდა. სუნთქვა მეკვროდა. მღელვარება. გაფითრება. წუხილი. ფორიაქი და ყოველივე ამის დამფარავი იყო ღიმილი! ბაგეებზე შეჩერებული ღიმილი. უკვე ყალბი ღიმილი.

ხშირად ისინი რაღაცას დამცინავად ჩაილაპარაკებდნენ. ამოჩემებული ჰქონდათ ჩემი სალებავების ყუთი, ბრეზენტის ფართო ღვედით მხარზე გადაკიდული

**„стекло вставлять!"** – იტყოდა ხმადაბლა რომელიმე მათგანი ისე, რომ ჩემკენ არც კი იყურებოდა. სახეებზე ვატყობდი, სიცილს ძლივს იკავებდნენ. მე პირქუშად შევავლებდი მათ თვალს, რომ შიშით ხმა გაეკმინდათ (ნიცშეს ვკითხულობდი. აიღე მათრახი, როცა ქალთან მიდიხარ!). მე რომ წარბს შევიკრავდი, იმათ სიცილი წასკდებოდათ.

უფრო მრისხანედ გავხედავდი, მაგრამ ისინი სიცილს უმატებდნენ, თავშეუკავებლად იცინოდნენ და ერთმანეთს ანყდებოდნენ. ხალისიანი ეჟვნების წკრიალი უფრო ხმამაღლა მიაცილებდა მათ მხიარულ სვლას. მე მწყინდა მათი სიცილი, უფრო მეტად კი ჩემი პასიურობა. ჭადრების შრიალი მამშვიდებდა, ხოლო მაიმედებდა ის, რომ ჩემს ღიმილს, ისინიც ღიმილით პასუხობდნენ.

აი, რა სასწაულები ხდებოდა ამ ჭადრების ხეივანში. როგორ მიყვარდა ამ ხეივანში ჩავლა. მათი დანახვა, მათი შეხვედრა. გული მძლავრად სცემდა ჭაბუკურ მკერდში. გულისცემა სიცოცხლეა. აქ, ამ ხეივანში ათასში ერთხელ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გალაკტიონიც ჩაივლიდა ხოლმე, მე ის არასოდეს მინახავს ვინმესთან ერთად.

 აი, სწორედ აქ, შემოდგომაზე დავინახე მარტო მომავალი, უეცრად ამოჭრილმა ქარმა მოხვეტა ხმელი ფოთლები, აიტაცა, დაახვია და გარშემო შემოახვია გალაკტიონს, ნამით დაფარა ყვითელმა ფოთლებმა. მან ქუდზე იტაცა ხელი და აეშალა თმა, აეწეწა. მერე ქარბორბალამ ბელურების გუნდივით გაიტაცა ფოთლები, წააფრიალა ქუჩის გადაღმა და ისევ გამოჩნდა გალაკტიონი. ქუდს იხურავდა. აქა-იქ, მხრებზე ყვითელი ფოთლები შერჩენოდა. მარტო მიუყვებოდა ქუჩას და გამვლელები ბაგეებზე ღიმილშერჩენილები, გაოცებულნი აყოლებდნენ თვალს.

ჭადრების ქვეშ ხშირად ვკამათობდით ხელოვნებაზე, პოეზიასა და ფერწერაზე, კონსერვატორიის სტუდენტებიც გვიერთდებოდნენ, ოპერის მომღერლები. ბახი. მოცარტი. ბეთჰოვენი. ვაგნერი. აჟრიამულებულ რუსთაველზე ისმოდა ჩვენი ყაყანი. გამვლელები ჩერდებოდნენ და ყურს გვიგდებდნენ, მაგრამ მათ არაფერს ეუბნებოდა უცნობი სიტყვები – მანე, მონე, ვან-გოგი, გოგენი, სეზანი, რენუარი – ვკამათობდით გაცხარებულნი, ყოველ ჩვენგანს ძლიერ გვსურდა საკუთარი მეს დამკვიდრება. ერთმანეთს არაფერს ვუთმობდით. ხშირად ჩვენს ხმაურზე მილიციელი ჩასტვენდა ხოლმე, რომ დავშლილიყავით. ამ გახურებული კამათის დროს ვილაცა დაიჩურჩულებდა – შეხედეთ, ვინ მოდის! ყველანი თავს მივატრიალებდით და დავდუმდებოდით. ვხედავთ, კონსტანტინე გამსახურდია მობრძანდება, ოჯახთან ერთად. მათ წინ მოცუნცულებს ყურებფართხუნა ესპანური შავი სპანიელი. ის ხან ადგილიდან მოწყდება, გაზონებში გადაიჭრება, მისუნმოსუნავს ბალახს და ბუჩქებთან ფეხს აწევს, ასე დგას წამით და კვლავ პატრონისაკენ ბრუნდება კუდის ქიცინით. კონსტანტინე გამსახურდია რუსთაველზე მისეირნობს, თან ახლავს მეუღლე და შვილები. შავნაწნავიანი პატარა გოგონა, ყვითელ კაბაში გამოწყობილი, მამას მოჰყავს ხელკავით.

გოგონას ყვითელი ბაბთა უკეთია, თითქოს ვეება ყვითელი პეპელა დააფრინდა პატარა, ჯიშიან თავზე, ხოლო ბიჭი, სპილოსძვლისფერი სახით, მოქანცულად მიაბიჯებს დედის მკლავს გამობმული. ბიჭუნას აგურისფერი ჩოხა აცვია, თეთრი ქილებით დამშვენებული. ლამაზ სახეს უფარავს თეთრი ფაფახი, პატარა მარჯვენით სატევარი ჩაუბღუჯავს (ვინ იფიქრებდა მაშინ, რა ბედისწერის მატარებელი იყო ეს ნორჩი ჩოხოსანი). აი, ჩაიარეს მათ და განახლდა კამათი. მაგრამ ლაპარაკს უმალვე ვწყვეტთ – შორიდან ჩვენთვის ყველაზე ახლობელი სახე გვიღიმის და შორიდანვე ქუდს გვიხდის. ასე გვიახლოვდება პატივისცემით ოდნავ წინ წახრილი ლადო გუდიაშვილი ვიდრე ჩაგვივლიდეს და თეთრ თმას ისწორებს, შლიაპას იხურავს და გზას განაგრძობს ქაშვეთისაკენ.

ერთ საღამოს, გაზაფხული იყო მაშინ, მახსოვს ეს ჭადრები ახლადამოყრილი ნორჩი სიმწვანით იყო ფესვებდაფარული.

გაზაფხულის ნიავი შხუოდა ჭადრების ხეივანში. დასავლეთით კი ყრუდ გრუხუნებდა ჩამუქებული ზეცა. ბელურები განაბულნი ისხდნენ, ალბათ წვიმის მოლოდინში. ქუჩაში უამრავი ხალხი ირეოდა. წყნეთელი ვირგლა ბიჭები იდგნენ რუსთაველზე და გაწვდილ ვეება ნითელ ხელში იების ლურჯი კონები ეკავათ და გაზაფხულის შემოსვლას იუწყებოდნენ. უეცრად თვალი მოვკარი მოცინარ გოგონებს, მოდიოდნენ ლაღად, ნათელ ფერებში გამოწყობილნი; იფიქრებდით, თავად გაზაფხული შემოსულა თბილისში ამ გოგონების სახითო. ისევ ისეთივე ლამაზები და ხალისიანები იყვნენ, გულმა ბაგა-ბუგი დამიწყო. მინდოდა იები მიმერთმია, მაგრამ ამაოდ ვიქექავდი ჯიბეებს. ვხედავ, მოდიან, მაგრამ თითქოს ვერ მამჩნევენ, გამართულნი, თავაღერილნი იმზირებიან წინ. „ზამთარში ისე ხშირად ველარ ვხედავდი, შეიძლება მიმივიწყეს", – ვფიქრობდი მე, გული გაუცივდათ, მაგრამ ახლა ხომ გაზაფხულია, მზის სხივებში გახვეულა ახლადამწვანებული ჭადრები. წინ იცქირებიან, ამობურცული ბაგეები შეუტყუპებიათ, მაგრად მოუკუმავთ, სახეები გაუქვავებიათ მანეკენებივით, მაგრამ მე ხომ მოვასწარი დანახვა, ერთი წამის წინ როგორ გადაულაპარაკეს ერთმანეთს და როგორ ამარიდეს თვალი. ილიმოდნენ და უეცრად ასეთი სიმკაცრე? რატომ? რა ჩაიფიქრეს?

„მოდი, ნულარ შევამჩნევთ, გვეყო ბავშვური თამაში, ბოლოს და ბოლოს ვინ არის, რას წარმოადგენს, მოდი, მოვიკვეთოთ".

ეს იყო ჩემი ეჭვი. არა, არა, არა, ეს არ არის სიმართლე. მე ხომ ვგრძნობდი, რომ მე იმათთვის არ ვიყავი ჩვეულებრივი გამვლელი, რომ ისინი გულგრილნი არ იყვნენ ჩემს მიმართ და ასე ადვილად ვერ გამიმეტებდნენ, იმიტომ, რომ მეც მომწონდნენ ისინი, ახლობლად ვთვლიდი მათ. ერთმანეთის დანახვა გვახარებდა, თუ ასე არ იყო, რატომ წითლდებოდნენ, ურიცხვ სახეებში უეცრად რომ მომკრავდნენ თვალს. ერთ საღამოს, როცა იქუხა და მეხიც გავარდა და წვიმას აპირებდა, გადავუდექი წინ და შევძახე: მე თქვენი გაცნობა მინდა!

* * *

აი, როგორ მოხდა ეს ამბავი. მე და ჩემი მეგობრები, ლაღიძის წყლების წინ ვიდექით. უეცრად იმათ მოვკარი თვალი. ოქროსფერ შუქში გახვეულნი, მიიჩქაროდნენ და ვიდრე კარგად ალვიქვამდი, იისფრად გადაიქცნენ და მერე, უმალვე, მუქლურჯად. თითქოს მთვარიანი ლამით მიაბიჯებდნენ. სწრაფად გასცდნენ განათებულ მონაკვეთს და გაქრნენ. ბელურები ფრთხიალებდნენ შიშველ ტოტებში. შორს ყრუ გრუხუნი გაისმოდა. მე მალულად იმათ დავეძებდი. უეცრად ჩემკენ გადმოიხარა გაბრიელი და მითხრა: „მიდი, გაბედე". მე ძალიან გამიკვირდა, საიდან მიხვდა ჩემს ჩანაფიქრს-მეთქი. წავედი! ვთქვი მე და გოგოებს გავყევი, იმათ გადაჭრეს ქუჩა და სასტუმრო „თბილისთან" ჩაუხვიეს. გადასასვლელზე ფეხს აუჩქარეს და გაიქცნენ. პირველად დავინახე ისინი გაქცეულნი. ლამაზად გარბოდნენ. მე სირბილით წამოვეწიე, გადავასწარი მათ და დალმართზე დავეშვი. გული გახეთქვაზე მქონდა და მღელვარებისაგან ციებ-ცხელებიანივით ვცახცახებდი. სირბილით ჩავუარე ლიტერატურულ მუზეუმს და ხეს ამოვეფარე. ვხედავდი, როგორ ჩამოდიოდნენ დალმართზე. „ხომ არ გადამედო შეხვედრა! სადაცაა წვიმას დაუშვებს". უეცრად შემრცხვა. „რას უსაფრდები, არ ჯობდა, რომ ჯერ ქუჩაში მისალმებოდი". შიშმა შემიპყრო.

ვიგრძენი, ვცდებოდი. ამით რაღაც კარგი ჩაიშლებოდა. მე მზად ვიყავი, გამეტარებინა ისინი, მაგრამ ჩემი მეგობრების მრცხვენოდა. გაბრიელი ხომ მოუყვებოდა მათ, გოგოებს რომ ავეკიდე.

ჩამობნელდა, იელვა და დავინახე ისინი სულ ახლოს. იქუხა. აქა-იქ ასფალტზე დაეცა წვიმის მძიმე წვეთები და მტვერში ამოგანგლულნი, ჭუჭყიანი ვერცხლის წყალივით გაგორდნენ. წვიმა იწყებოდა. ისინი მომიახლოვდნენ, მე საფარიდან გამოვედი მოულოდნელად, იმათ ერთდროულად შეჰკივლეს და ადგილზე გაქვავდნენ.

– მე თქვენი გაცნობა მინდა, – ვთქვი, რაც შეიძლებოდა თამამად. წვიმა იწყებოდა და ეს ძალიან მახარებდა, იმიტომ, რომ წვიმა შეწყვეტდა ჩემს კადნიერებას. მე მეტი სათქმელი სიტყვები აღარ გამაჩნდა. ისმოდა წვიმის წვეთების ტკაპუნი, ვნატრობდი წამოეშინა წვიმას. ეს იქნებოდა ჩემი ხსნა.

– ქუჩაში არ ვეცნობით უცნობს! – ერთდროულად მიპასუხეს. თითქოს ეს პასუხი გაზეპირებული ჰქონდათ.

მე მხოლოდ ჩავახველე.

– ბოდიშს გიხდით! – ვთქვი მშვიდად, თან გული ყელში მებჯინებოდა.

გვერდით გავდექი და ჩავილაპარაკე: ნუთუ ჩვენ უცხონი ვართ ერთმანეთისთვის? მომეწონა ჩემი ნათქვამი, მაგრამ უფრო ხმამაღლა უნდა მეთქვა. იელვა, იქუხა და აშხრიალდა ჩემ ზემოთ, ფოთლებში, წვიმა. გოგონებმა ლამაზი ქოლგები გაშალეს, თითქოს მიწიდან ვეება ყვავილები ამოიზარდნენ და უმალვე გაიფურჩქნენ.

– გთხოვთ მაპატიოთ! – ჩავილაპარაკე და თავის დაკვრით გამოვემშვიდობე.

უკვე მაგრად წვიმდა.

გალუმპული მივაბიჯებდი შხაპუნა წვიმისაგან ახმაურებულ ჭადრების ხეივანში. ნორჩი ფოთლები ვერ მიფარავდა წვიმისაგან.

რუსთაველზე კაციშვილის ჭაჭანება არ იყო. მივდიოდი თავსხმაში და მიხაროდა ჩემი გამბედაობა. განა ცოტას ნიშნავდა ის, რომ მათი ხმა გავიგონე. გრძელი ნაბიჯით მივიჩქაროდი, პიჯაკის საყელოაწეული, ჯიბეებში ხელებჩაწყობილი. წვიმის წყალი წურწურით ჩამდიოდა კისერში და ხერხემალს ჩასდევდა. მე ვუსტვენდი იმ მელოდიას, რომლის სახელი ახლაც არ ვიცი.

აივნების ქვეშ, წვიმას თავშეფარებული ხალხი, სადარბაზოებში შეყუჟულები და დაორთქლილ ვიტრინებს მომდგარნი, თვალს მაყოლებდნენ და იცინოდნენ. წვიმდა დაუცხრომლად, საწვიმარი მილებიდან ასხამდა ქაფმორეული წყალი, მღვრიე ნაკადები დაძრულიყვნენ და მივტოპავდი ქვაფენილზე შემოჭრილ ღვარცოფს. გული სიხარულს ველარ იტევდა.

როგორ შეიძლება თბილისი არ მიყვარდეს. როგორ შეიძლება რუსთაველი არ მიყვარდეს, როცა გაზაფხულის ერთ საღამოს ასე ძალუმად მიცემდა გული, სიყვარულით კიდემდე სავსე?!

წვიმამ გადაიღო. ახლა ყველაზე მეტად მაინტერესებდა დილის შეხვედრა. რა მოხდებოდა, რაღაც ხომ უნდა შეცვლილიყო. თუ ნაწყენები იქნებოდნენ ჩემი საქციელით, შეიძლება ჩემკენ საერთოდ აღარც კი გამოეხედათ. მანეკენებივით გაექვავებინათ სახეები, როგორც იცოდნენ და დიდებულადაც ასრულებდნენ გულქვა გოგონების უგრძნობელობას და მოჩვენებით სიცივეს. ანდა პირიქით მომხდარიყო, მხიარულად მომსალმებოდნენ სიცილით, გულითადი სიყვარულით. ახლა მთავარი იყო, მალე გათენებულიყო და დილით არ ავცდენოდით ერთმანეთს. მერე რა, რომ ხელი არ ჩამოგვირთმევია, მერე რა, რომ ქუჩაში არ ეცნობოდნენ უცნობს, მე ხომ გავეცი ხმა, იმათაც ხომ მიპასუხეს. ხომ გავესაუბრეთ ერთმანეთს. განა ეს გაცნობა არ იყო? მაინც რა დროს წამოუშინა წვიმამ, წვიმა რომ არ დაწყებულიყო, ვინ იცის, რა მოხდებოდა. შეიძლება ქოლგებიც დაეშინათ წვიმასავით, შეიძლება ჩემს თხოვნაზე ეთქვათ, ჩვენ ხომ დიდი ხანია ვიცნობთ ერთმანეთს. დილის შეხვედრის გარდა, ველარაფერზე ვფიქრობდი. გულში ერთი იდუმალი ზრახვა მედო. გადაწყვეტილი მქონდა დილით, სიცილით შევეგებებოდი და იები მიმერთმია, იების დიდი კონა და მეთქვა – გაზაფხულია! ხმამაღლა უნდა მივსალმებოდი. თუ არ შეჩერდებოდნენ, მთელი ძალით უნდა მეყვირა. თუ მაინც არ მომაქცევდნენ ყურადღებას და გინდ გვერდზე გაეხედათ და არ შევენიშნე, თუ ჩემს მისალმებას ყურში გაატარებდნენ, მაშინ გადავასწრებდი მათ და იების კონას წინ დავუყრიდი. იებს ხომ არ გადათელავდნენ. ეგ მე აღარ მაინტერესებდა. უმალვე გამოვუყვებოდი ჩემს გზას. ასე ვაპირებდი წერტილის დასმას ჩვენი შეხვედრებისას.

რატომ უწოდებენ წუთისოფელს ცრუსა და მუხთალს, რა შეუმჩნევლად ვკარგავთ ერთმანეთს. ვინ იცის, მას შემდეგ რამდენჯერ გათენდა და დაღამდა. ვინ იცის, რამდენჯერ შეხვდა ჩვენი მზერა, მაგრამ როდის შეწყდა და როდის დავშორდით ერთმანეთს? რა შეუმჩნევლად ხდება ხოლმე თურმე განშორება.

მე არ მახსოვს მათთან შეხვედრის უკანასკნელი დღე. როცა აღარ ვხვდებოდით, როცა მღელვარებით აღარ მიცემდა გული, როცა ურიცხვი ხალხი მოედინებოდა ქუჩაში და ისინი კი აღარ ჩანდნენ. როდის მოხდა ეს? როცა შეწყდა ჟღვნების ტკბილი ჟღარუნი

მაგრამ განა სამუდამოდ დადუმდნენ ეჟვნები, განა სამუდამოდ მიჰქრიან და იკარგებიან მელოდიები?! ადამიანს გული იმიტომ აქვს, რომ წარსული იქ განაგრძობს სიცოცხლეს. მე აღარსად დავდივარ და თუ სადმე ვმოგზაურობ, მხოლოდ და მხოლოდ ბავშვობაში, ნათელ, დილის ქვეყანაში, მიბრუნებული უხსოვარ დროში. იქ ჩაღწევა ნეტარებაა და ბედნიერება, მაგრამ განა შინ მიბრუნება, ბავშვობის დროში, იგივე დაკარგულის პოვნას არ ნიშნავს? იყოს სიკვდილი შინ მიბრუნება, განა ეს საშიშია. განა მხოლოდ იმისათვის არ ღირდა ამ ქვეყნად მოსვლა, რომ ღიმილი არსებობს მაგრამ სად გაქრა იმათი მომხიბლავი ღიმილი.

ლალიძის წყლების ვიტრინასთან აღარავინ დგას. წინ რკინის სახელურიც მოუხსნიათ. ვიტრინასთან ვილაც მსუქანი ჭაბუკი დგას და სალეჭ რეზინას ილეჭება. მას შორტები ასკდება მსუქან ბარკლებზე, ფეხზე სქელლანჩიანი თეთრი ბოტასები აცვია, ხელში ძეწკვი უკავია, ძეწკვზე გამობმული ნაბლისფერი ტაქსა გაზონებისკენ მიიწევს. ეს ბიჭი ჩვენ დროს რომ დაენახათ! ამხელა ოყლაყი, მოკლე შარვალში. ფენოვანი ხაჭაპური უკავია ხელში, ალბათ, ტაქსასთვის. მის ამხანაგსაც შორტები აცვია და ჭრე-

## საყვარელ ქუჩაზე

ლი ბოტასები. ის მობილურ ტელეფონს ჩაჰყვირის: ასსამოცი დოლარი, არ გაჭამოს, იცოდე. ამერიკული დოლარი, გაიგე? კარგად დათვალე!.. ის ხმამაღლა გაჰყვირის.

ამ ორს კიდევ მესამე უერთდება, ადგილზე ცეკვაცეკვით მოიწევს მეგობრებისაკენ. ყურებზე მოსასმენი აპარატი ჩამოუცვამს და ქუჩის გამაყრუებელ, ჯოჯოხეთურ ხმაურში ადგილზე ტოკავს. ალბათ რაღაც საამურ საცეკვაო მუსიკას ისმენს, ცხადია, საცეკვაოს, ისე იქნევს უკანალს. ის ბავშვის სათამაშოსავით დიდ და წითელი ფერის მაჯის საათს დასცქერის: სად არიან აქამდის, რას გვაცდევინებენ? მაგათი – ამბობს და შუბლზე კოპლებიან დოლბანდს ისწორებს, სწორედ ისეთს, ქვეშ თუ კეჟერა ფხალის ფურცელს დაუფენს ალათი ბებია რომ წაიკრავდა ხოლმე თავის ტკივილისას. სწორედ ამ დროს გაისმის მანქანის გაბმული სიგნალი. ბრონეულის ყვავილისფერ წითელ მანქანაში საჭესთან ახლადგამოჩეკილი წვრილკისერა, ბიჭურად შეკრეჭილი გოგონა ზის. მის გვერდით მკერდმოშიშვლებული გოგო გრძელსა და წვრილ სიგარეტს აბოლებს და ეტყობა ისეა მოქანცული, რომ ბიჭებს სალამზე ძლივს პასუხობს. ის ხელით ანიშნებს ჩაჯექითო, ბიჭები კარის გაუღებლად ალაჯებენ და ისე სხდებიან. გოგო სიგარეტს მოისვრის ჩაუქრობლად და ტაქსას ეფერება, იხუტებს, კოცნის. ძაღლი ყეფს. საჭესთან მჯდარი გოგო შავი ტყავის, თითებწამძვრალ ხელთათმანიანი ხელებით პატარა საჭეს მაგრად ბღუჯავს. მოსხლეტით, საბურავების აკივლებით, ელვისებურად ძრავს წითელ მანქანას. ლურჯი კვამლი ნელ-ნელა იფანტება.

* * *

ო, ეს ახალი თაობა! ერთხელ, ჟურნალ „ამერიკის" ყდაზე დაბეჭდილი იყო ფერადი ფოტოსურათი. ამერიკელი ახალგაზრდები, ჯანსაღი გოგო-ბიჭები ჟივილ-ხივილით მირბიან მწვანე მინდორზე. მათ ფეხქვეშ, რაკურსში, შორს, თეთრი სახლი მოჩანს. სურათის ქვემოთ წარწერა საყვედურობდა ახალ დროს, ხოლო დიდად ეწერა: ო, ეს ახალი თაობა! და იცით, ვის ეკუთვნოდა ეს ჩივილი? არა რომელიმე ამერიკელ სოციოლოგს, არამედ ძველ ბერძენ ფილოსოფოს პლატონს, რომელიც თურმე ჩვენს წელთაღრიცხვამდე ისევე მისტიროდა თავის დროს, როგორც მრავალნი, ყველგან და ყველა დროში. და რა გასაკვირია, მეც რომ ჩემი დროის თბილისი მიყვარდეს?

მე თავს მირჩევნია სიცოცხლის ის ჟამი, როცა ჭაბუკი დააბიჯებ ჭადრების ხეივანში და ყველა და ყველაფერი გიყვარს, მეგობრები, ხუთივე გოგო ერთად, მთელი ქუჩა, მთელი ქვეყნიერება.

## ახალი წიგნები

გრიგოლ სენეკური

# აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის გახლეჩილი კაცის სიყვარული

კრისტოფერი ჰონკონგელი იყო. განათლება ლონდონში ჰქონდა მიღებული. ჩინური წერა არ იცოდა. მხოლოდ ადგილობრივ დიალექტზე ლაპარაკობდა. ამიტომ საყვარლები ინგლისურად ურთიერთობდნენ. უცხო ენასა და ევროპულ კულტურას ამოფარებული ბანანი, როგორც მისნაირებს აზიაში უწოდებენ, კრისი მოჯადოებული იყო. მოჯადოებული ქალის სიყვარულით, ვინ ქალი როდი იყო, არამედ ტირიფის რტო.

საკვირველ მეტამორფოზებს გადიან ჩინელი მწერალი ქალის, შან სას, რომანის — „მტირალა ტირიფის ოთხი სიცოცხლე", პერსონაჟები. ტირიფის წყვილი რტო, რომლებიც დაოსი ბერის შეგონებით სოვდაგრის ვაჟმა სახლის წინ დარგო, მწერლის დაუძლეველი ფანტაზიით ოთხჯერ გაცოცხლდება და ერთგულ მიჯნურებად იქცევა. ვინც ჩინურ ლიტერატურას იცნობს, ეს არ უნდა გაუკვირდეს, რაკილა ამ ქვეყნის მწერლობას მთლიანად მსჭვალავს აღმოსავლური რელიგიებისაგან ნასესხები მოტივები. გასახსენებლად ბუდჰიზმიც კმარა, დადასტურებულ ფაქტად რომ თვლის სიცოცხლის უწყვეტობას და სულიერ არსთა გარდასახვას უსულო საგნებად ან პირუკუ. ევროპული ლიტერატურიდან გვაგონდება ოვიდიუსის „მეტამორფოზები", თუმცა რომაელი პოეტის თხზულებას მსოფლმხედველობრივი სიღრმე აკლია და უფრო თავშესაქცევ არაკთა ენციკლოპედიას ჰგავს. ევროპულისაგან განსხვავებით ჩინურ მწერლობაში ყოველთვის ხაზი გაესმის სამყაროს ერთიანობას და ცოცხალ არსთა უწყვეტობას — ეს კი საუკუნეთა წიაღში შობილი რელიგიური წარმოდგენებიდან მომდინარეობს, როცა ადამიანი ჯერ არ გამოცალკევებოდა ბუნებას და მასთან პირველყოფილი მაგიური კავშირით იყო შენივთებული. მსგავსი შეხედულებები ახლაც ცოცხლადაა შემონახული ამერიკელ ინდიელთა შორის, რაც ასე დიდებულად აგვიწერეს ე.წ. „მაგიური რეალიზმის" მწერლებმა. ეს წარმოდგენები ღრმად არის ჩამარხული მითსა თუ ზღაპარში და მწერალიც თითქოს მზამზარეულად იღებს მათ გადასამუშავებლად, ოღონდ წინ ბეწვის ხიდი ელოდება: როგორ მოიხმარს იგი ძველ მოტივებს? ხომ არ იქცევა უკვე ანაქრონიზმად შთენილი ამბავი მარტოლა თავშესაქცევ არაკად?! არცთუ იშვიათად მითოლოგებით,

ეროვნული ბიბლიოთეკა



შან სა

მტირალა ტირიფის ოთხი სიცოცხლე



სიმბოლოებითა და ეგზოტიკური რელიგიური მოტივებით ჟონგლიორობა თვითმიზანი ხდება, რისი სამწუხარო დასტურიცაა მილორად პავიჩის რომანები. ჩინელი მწერალი ქალის თხზულება ამ მხრივ ბედნიერი გამონაკლისია, თუმცა გაორება ამ წიგნს მოუშორებლივ სდევს თან. უპირველესად ეს ეხება თავად ავტორს — პერსონაჟების კვალდაკვალ მანაც განიცადა ფერისცვალება და 1972 წელს პეკინში დაბადებული შან სა, პარიზში გადასახლების შემდეგ, ფრანგულენოვან მწერლად იქცა (ალბათ ამიტომაცაა, მისი სტილი ასე რომ მოგვაგონებს ფლობერისას). კიპლინგის პესიმისტური პროგნოზის საწინააღმდეგოდ, მან შესძლო და პიროვნულად შეაერთა აღმოსავლეთი და დასავლეთი, თუმცა კი მისი პერსონაჟები გაორების დილემით იტანჯებიან. შან საც გაორებულ ადამიანთა ისტორიებს მოგვითხრობს და მისი კრედო რომანის სტილივით სადაა: რატომ ხდება, რომ ადამიანი ამაო ილუზიებში იკარგება, როცა ცხოვრება და სიყვარული ეძახის?! როგორც ჭეშმარიტი აღმოსავლელი, შან სა გვიმტკიცებს, რომ ცხოვრება მარადიულია და განშორება ეფემერული, სულის სიცოცხლე კი ინკარნაციებისგრძელი ციკლია და ჩვენ სიცოცხლეში რამდენჯერმე ვკვდებით. რა მიგვანიშნებს ამას? ტირიფის მარადმწვანე რტო, რომელიც შესაძლოა საყვარელ არსად იქცეს და ინკარნაციის გრძელ გზაზე თან გვდევდეს, რათა ილუზიების ტყვეობისგან გვიხსნას. „საყვარელი არსება მარგალიტივითაა, რომელიც ბნელ ტალღებში იმყოფება. თუ ოდესმე დაილუპები, იცოდე, რომ ამ სამკაულის მოსაწყვეტად ილუპები". — ასე არიგებს რომანის პერსონაჟს მოხუცი ჩინელი შამანი. შან სას რომანი თავადაა ტირიფის რტო, რომელიც ლიტერატურული ინკარნაციების ჯაჭვში სისადავისა და ჰარმონიისაკენ გვიხმობს. მართალია, შან სა ფრანგულად წერს, მაგრამ სულით და ხორცით არქეტიპულ აღმოსალეთს ეკუთვნის; აღმოსავლეთს, რომლის თავშეკავება და ზომიერების გრძნობა სანატრელია. მწერალი ქალი აცოცხლებს ძველ მოტივებს, სახეებს, თემებს, რათა ყოფიერების სიღრმეებისაკენ მიგვახედოს. მისი გამბედაობა და თავდაჯერება — წეროს სადად და მხატვრულად, ნამდვილად განსაცვიფრებელია რეკლამის ეპოქაში, როცა მწერალიც კი ბალგანის არტისტივით იმანჭება ყურადღების მისაქცევად. შან სას რომანი თვალნათლივ გვიმტკიცებს, რომ მწერლობა არასოდეს ჰკარგავს თავის დანიშნულებას — აპოვნინოს ადამიანს გზა თავისივე სულის სიღრმეებისაკენ. ჭკუისსასწავლია ისიც, რომ ლიტერატურული ჰორიზონტი მარტო ევროპა-ამერიკის მწერლობით არ შემოიფარგლება და ჩვენ, ქართველებმა, აღმოსავლეთისკენაც უნდა გავიხედოთ. მით უმეტეს, რომ ყოველთვის ახლო ვიყავით სიბრძნის ამ ოკეანესთან და ჩვენი უპირველესი წიგნიც — „ვეფხისტყაოსანი", სწორედ ამ ოკეანეში ნაშობი მარგალიტია.

შან სას რომანი სხვა მხრივაც არის ჩვენთვის ნიშნეული. თუ მართალია მოსაზრება, რომ ყოველი ავტორი საკუთარ სულიერ გამოცდილებას, თავის ბედს აგვიწერს, პირდაპირ თუ მოიარებით, ამა თუ იმ ერის მწერლობაშიც ის საჭირბოროტო ჩივილი ისმის, რაც დღევანდელობას მოუტანია მისთვის. ფრანგულენოვანი ჩინელი მწერალი შან საც ჩინეთის დღევანდელობაზე მოთქვამს. ჩინეთი მუდამ ჰგავდა მარადმწვანე ტირიფს, რომელიც ვერა და ვერ დაამყნეს უცხო ძირზე. ამიტომაც ამბობს უარს რომანის პერსონაჟი ქალი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის გახლეჩილი კაცის სიყვარულზე; ამიტომაც აგვიწერს დრამატულად და ამავე დროს ირონიით კომუნისტური ჩინეთის საშინელებებს, რათა კიდევ ერთხელ შეგვახსენოს, რომ დასაღუპადაა განწირული ყოველივე, რაც ჰარმონიის დიად კანონს ეწინააღმდეგება. არაადამიანური და არაბუნებრივია დრო, როცა ტირიფი არ მწვანობს წყლის პირას და როცა კაცი, ისევე როგორც ზოგადად ერი, ქვეყანა, თავის ჭეშმარიტ დანიშნულებას ღალატობს. ძნელი სავარაუდოა, გამოიტანს თუ არა რაიმე დასკვნას ზემოთ თქმულიდან ქართველი მკითხველი, მაგრამ უთუოდ მადლობის ღირსია საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო და განსაკუთრებით საფრანგეთის საელჩო თბილისში, რომლის ეგიდითაც არაერთი კარგი წიგნი გამოიცა. მადლობა ეკუთვნის გამომცემლობა „ჯი-სი-აი"-საც, ოღონდ მცირე შენიშვნით: სასურველია, ასეთი კარგი წიგნები ორიგინალიდან ითარგმნოს და არა რუსულიდან — ამის თქმის საფუძველს მაძლევს რომანში არცთუ იშვიათად მიმობნეული რუსიზმები, ბარბარიზმები, კალკი და გაუმართავი სინტაქსი. კარგი იქნებოდა, გამომცემლობის რედაქტორები და კონსულტანტები ყურადღებით მოჰკიდებოდნენ თარგმანს და ქართულადაც ისეთივე ნატიფი და გამჭვირვალე ტექსტი გადმოგვეღო, როგორიც, უეჭველია, შან სამ ფრანგულ ენაზე შექმნა.

სამშაბათს, 30 სექტემბერს
ჟურნალ „ჩვენი მწერლობის"
დარბაზში გაიმართება
**ლევან ბრეგაძის**
საჯარო ლექცია

**„როსტომ ერისთავი —
რეპრესირებული პოეტი"**

დასაწყისი 14 საათზე
ჩუბინაშვილის 41

„დინო ბუცატის მოთხრობების გასაღები მათ ფინალში იმალება. ხშირად ნაწარმოების ბოლოს, ერთ პატარა აბზაცში, კვლავ გაიელვებს ჩვენ წინაშე ნოველაში მოთხრობილი მთელი ამბავი, სწორედ აქ იძენს განსაკუთრებულ აზრსა და სიცხადეს მასში მოტანილი ყველა მხატვრული დეტალი, რეალური თუ ირეალური ფაქტი და ირეალური პლანის რეალურობის გამოხატულებად გვევლინება", – წერს გაგა შურღაია დინო ბუცატისადმი მიძღვნილ ესეიში „სინამდვილესა და ოცნებას შორის", რომელიც დაერთვის მის მიერვე იტალიურიდან თარგმნილ ბუცატის ნოველათა კრებულს („მერანი", 2004).

თავის დროზე 11 ნოველისაგან შემდგარი ამ კრებულის გამოცემამ დიდი ინტერესი გამოიწვია ჩვენს მკითხველ საზოგადოებაში, მით უფრო იმიტომ, რომ მთარგმნელმა შესანიშნავად მოუძებნა გასაღები იტალიელი მწერლის სტილისტიკას, ერთმანეთში მოხდენილად გადაწნულ მის გროტესკსა და იუმორს.

როგორც კრებულის ანოტაციაში აღინიშნა: „მწერალი ფრთხილად გვახედებს უსასრულო სამყაროს შესაცნობად ამხედრებული კაცის სულში და არაჩვეულებრივი მხატვრული ექსპრესიით გვაჯერებს, რომ თავიდანვე მარცხისათვის განწირულია უსასრულო სამყაროს სრულად შეცნობის ცდა; გვეუბნება, რომ ღირსებიანი კაცი ხშირად იძულებულია, გაექცეს ცხოვრებას და სხვა სამყაროში ეძიოს სულიერი სავანე, იქ, სადაც სრულიად სხვაგვარი ღირებულებებია ფასეული".

ეს სტრიქონები გვარწმუნებს, თუ რაოდენ ახლობელია დინო ბუცატის მხატვრული სამყარო ჩვენთვის და აუცილებლობად გვესახება, უკეთ გავაცნოთ მისი მრავალფეროვანი შემოქმედება ქართველ მკითხველს. ამ მიზნითაა ნაკარნახევი მისი საკმაოდ მძაფრი დრამატიზმით აღსავსე ნოველის – „შეხვედრა აინშტაინთან" – გამოქვეყნება, რომელიც თარგმნა მკითხველისათვის კარგად ცნობილმა ბელეტრისტმა ჯანო ჯიქიძემ. შეიძლება ითქვას, ეს მისი დებიუტია მთარგმნელობით დარგში და საკმაოდ წარმატებულიც, რაც მოასწავებს, რომ იგი ამ მხრივაც უთუოდ განაგრძობს შემოქმედებით მოღვაწეობას.

დინო ბუცატი

# შეხვედრა აინშტაინთან

ოქტომბრის ერთ მშვენიერ საღამოს, სამუშაო დღის შემდეგ ალბერტ აინშტაინი მარტოდმარტო დასეირნობდა პრინსტონის ხეივნებში და სწორედ ამ დროს ერთობ უცნაური რამ შეემთხვა.

უცბად, რაიმე განსაკუთრებული მიზეზის გარეშე, მაშინ, როცა მისი აზრები (ახალაშვებული ძაღლივით) თავისუფლად გადარბოდა ერთი საგნიდან მეორეზე, მეცნიერი სწვდა იმას, რასაც მთელი ცხოვრების მანძილზე ამაოდ ესწრაფოდა და რაზეც მხოლოდ ოცნება შეეძლო. აინშტაინმა მყისიერად იხილა ე.წ. გამრუდებული სივრცე და ყოველი მხრიდან მისთვის თვალის შევლებაც მოასწრო ისე, როგორც შეგიძლია აილო წიგნი და დაათვალიერო.

დღემდე ასეა მიჩნეული, რომ ჩვეულებრივ ადამიანს არ შეუძლია აღიქვას სივრცის გამრუდება. ამ უკანასკნელის არსებობა დამტკიცებულია, მაგრამ მისი წვდომა — შეუძლებელი. ამას ხელს უშლის ჩვენს ირგვლივ აღმართული ერთგვარი კედელი — დაბრკოლება. თავისი დაუოკებელი აზრებით ფრთაშესხმული ადამიანი, თუმცა კი მიისწრაფის პირდაპირ, მაღლა და მაღლა, მაგრამ უცებ წააწყდება ხოლმე ამ კედელს. არც პითაგორას, პლატონს, არც დანტეს, დღემდე რომ ეცოცხლათ, არ ეღირსებოდათ ამ ზღუდის გადალახვა, იმდენად, რამდენადაც ეს ჭეშმარიტება არანაირად არ თავსდება ლოგიკური აზროვნების ჩარჩოებში, თუმცა...

თუმცა მიჩნეულია, რომ გამრუდებული სივრცის წვდომა შესაძლებელია მრავალწლიანი ექსპერიმენტების და აზროვნებისა ზედმიწევნით დაძაბვით. და ეს ზოგიერთმა მეცნიერმა შეძლო.

მაშინ, როცა ირგვლივ ქვეყნიერება ჩვეული ცხოვრებით ცხოვრობდა: ბოლავდნენ ორთქლმავლები და ბრძმედები, მილიონობით ადამიანი იღუპებოდა ომებში, ქალაქის პარკების ჩრდილში შეყვარებულები ერთმანეთს ეფერებოდნენ და ა.შ. და ა.შ. ამ დროს ეულმა მეცნიერებმა გონების გმირული ძალისხმევით (ყოველ შემთხვევაში დღემდე მოღწეული ლეგენდებიდან სწორედ ასე ვიცით), მართალია, სულ რამდენიმე წამით (თითქოს რაღაც ძალამ აიტაცა, უფსკრულს ზემოდან დაახედა და მაშინვე უკან, საწყის ადგილამდე გამოიტაცაო)



შეძლეს ეხილათ გამრუდებული სივრცე — ეს მიუწვდომელი მწვერვალი. ამ ფენომენის შესახებ არსად უმსჯელიათ, გმირებისთვის ეს გმირობა არავის დაუფასებია. არ ყოფილა არც მილოცვები, არც ოვაციები, არც დაფი და ნაღარა; არც ორდენი გაუმეტებია ვინმეს და არც ინტერვიუ ჩამოურთმევიათ, რადგან ეს ტრიუმფი ზედმიწევნით პირადული ხასიათისა იყო. ბედნიერ მეცნიერს შეეძლო მხოლოდ ეთქვა: მე შევიცანი გამრუდებული სივრცე — მეტი არაფერი. მას ხომ არავითარი დამადასტურებელი საბუთი არ გააჩნდა, არც ფოტოსურათი, არც რაიმე მსგავსი საიმისოდ, რომ ნათქვამის სიმართლე დაემტკიცებინა.

და მაინც, როცა ასეთი მომენტი დგება — მძლავრი აზრი დაუბრკოლებლად მიისწრაფის, თითქოს რაღაც ნაპრალი იპოვა და მასში გაალწიაო; მაშინ, როცა ის აღმოჩნდება მანამდე ჩვენთვის სრულიად დახშულ, მიუწვდომელ სამყაროში, ხვდები, რაც მანამდე აბსტრაქტული ფორმულა იყო, ჩვენგან დამოუკიდებლად და განყენებულად არსებული, რეალური ცხოვრება ხდება... ო, მაშინ კი თვალის დახამხამებაში გაცამტვერდება ჩვენი სამგანზომილებიანი საზრუნავი და სადარდებელი. ამ დროს ატაცებულები ვლივლივებთ რაღაც ენით გამოუთქმელში, რომელიც ძალიან წააგავს მარადისობას.

სწორედ ეს შეემთხვა პროფესორ ალბერტ აინშტაინს პრინსტონში ოქტომბრის იმ მშვენიერ საღამოს, როცა ცა

ბროლივით გამჭირვალე იყო, მინაზე კი აქა-იქ რიგრიგობით ინთებოდა ქუჩის ღამის განათების ლამპიონები — თითქოს ვენერასთან გაჯიბრება სურთო. ადამიანის გული კი — ეს იდუმალი კუნთი — ისრუტავდა ირგვლივ არსებულ სილამაზეს, როგორც ღვთის წყალობას.

მიუხედავად იმისა, რომ აინშტაინი იყო კაცი — ბრძენი და ამა სოფელში დიდებას, სახელის მოხვეჭას არ ესწრაფოდა, ამ წუთას მაინც გაუჩნდა შეგრძნება, რომ ყველაზე მაღლა დგას. ის უკვე სხვაა, უფრო მეტი, ვიდრე მანამდე იყო. ეს ყველაფერი ჰგავდა იმ კაცის მდგომარეობას, რომელმაც იცის, რომ ღარიბზე უფრო ღარიბია, ლატაკია, და უცბად აღმოაჩენს, რომ თურმე ჯიბეები ოქროებით ჰქონია დატენილი.

და მაშინვე, თითქოს ჯიბრზე, ეს იდუმალი ჭეშმარიტი სურათი, ისევე სწრაფად გაქრა, როგორც გაჩნდა.

აინშტაინს გარემო ესხვაფერა. იგი მიაბიჯებდა გრძელ ხეივანში, რომელსაც ორივე მხრიდან ცოცხალი ღობე მიუყვებოდა. ირგვლივ არ იყო არც სასახლეები, არც სახლები, არც ქოხმახები. იყო ერთი ბენზოკოლონი, შავ-ყვითელ ზოლებიანი, თავზე მანათობელი მინის ბურთულით. იქვე ხის გრძელ სკამზე კლიენტის მომლოდინე ზანგი იჯდა; მას სამუშაო კომბინეზონი ეცვა და თავზე ბეისბოლის წითელი ქუდი ეხურა.

აინშტაინი გვერდით ჩავლას აპირებდა, ის-ის იყო ბენზოკოლონს გასცდა, რომ ზანგი წამოდგა და მისკენ გაემართა. ბატონო! — დაუძახა მან, ახლა, როცა უკვე ფეხზე იდგა, ჩანდა, რომ ეს ადამიანი აინშტაინზე გაცილებით მაღალი გახლდათ; საკმაოდ სანდომიანი გარეგნობა, განსაცვიფრებლად კარგი აღნაგობა ჰქონდა, აფრიკელის შესაფერისად გაწვართული და წარმოსადეგი იყო. საღამოს ბინდბუნდში მკვეთრად უელავდა ქათქათა-კბილებიანი ღიმილი.

— ბატონო! — თქვა ზანგმა, — ასანთი ხომ არ გექნებათ? — და აინშტაინისკენ წაიწია თავისი ჩამქრალი სიგარეტით.

— მე არ ვეწევი, — უპასუხა მეცნიერმა და იმის მაგივრად რომ სვლა განეგრძო, პირიქით, შეჩერდა, უფრო გაკვირვებისგან, ვიდრე რაიმეს სათქმელად.

მაშინ ზანგმა ჰკითხა: იქნებ შეგიძლიათ დასალევად ცოტაოდენი ფული გამოიმეტოთ?

ის იყო მაღალი, ახალგაზრდა, ერთობ თავხედიც.



მხატვარი ალექსანდრე სლოვინსკი

აინშტაინმა ჯიბეები მოიჩხრიკა.

"არ ვიცი... თან არაფერი მაქვს. ძალიან ვწუხვარ"... ჩაილუღლუღა და წასვლა დააპირა.

"ამაზეც მადლობელი ვარ, — თქვა ზანგმა, — მაგრამ, უკაცრავად, ერთი წუთით!"

"კიდევ რა გნებავს?"

"მე თქვენ მჭირდებით. სწორედ ამისთვის ვარ აქ".

"მე? რაშია საქმე?"

"თქვენ მე მჭირდებით ერთი საიდუმლო საქმისათვის, — თქვა ზანგმა, — მაგრამ ამის შესახებ მხოლოდ ყურში უნდა გითხრათ."

იგი აინშტაინისკენ დაიხარა.

"მე ვარ იბლისი, — უთხრა წყნარად, — მე ვარ სიკვდილის ანგელოზი და შენი სულის წასაყვანად ვარ აქ მოსული."

აინშტაინმა ერთი ნაბიჯით უკან დაიხია და უკმეხად მიაძახა: ზედმეტი დაგილევიათ!

"მე სიკვდილის ანგელოზი ვარ, — გაიმეორა მან, — მიყურე!"

ზანგი მივიდა ცოცხალ ღობესთან, მოტეხა ერთი ტოტი და აინშტაინს დაანახა. ფოთოლმა მყისვე იცვალა ფერი, ჭკნობა შეეპარა, მერე სულაც ნაცრისფერი გახდა. იბლისმა სული შეუბერა და ყველაფერი — ის ფოთლები და თვითონ მცენარის ღეროც — მტვერივით გაიფანტა.

აინშტაინმა თავი დახარა, ჩაიბუტბუტა: ეშმაკმა დალახვროს! ნუთუ ეს მართლა დასასრულია!?

მერე ხმას აუმაღლა:

"კი მაგრამ, როგორ? ასე პირდაპირ, უცბად, საღამოს, ქუჩაში?"

"ასე მაქვს დავალებული", — მშვიდად მიუგო იბლისმა.

მეცნიერმა მიმოიხედა. ირგვლივ სულიერი არ ჭაჭანებდა. ისევ ის ხეივანი, ლამპიონები, და შორს, ქვევით, მანქანების ფარების შუქი. ცას ახედა — მოწმენდილი იყო და ყველა ვარსკვლავი თავის ადგილზე ჭიატებდა, ვენერა ის-ისაა ჰორიზონტს მიღმა უნდა გაუჩინარებულიყო.

"რაღა ახლა გამომეცხადე, როცა უმნიშვნელოვანესი სამუშაოს დასრულებას ვაპირებ. მისმინე, ერთი თვე მომეცი. გთხოვ, მხოლოდ ერთი თვე მადროვე!"

"რისი აღმოჩენაც გინდა, — შენიშნა ზანგმა, — მყისვე შეგიძლია შეიცნო იქ, როცა თან წამომყვები".

ეროვნული ბიბლიოთეკა

"ეგ სულ სხვა რამეა. რაღა ფასი აქვს იმას, რასაც უშრომლად მზამზარეულს გაიგებ იმქვეყნად. ჩემი კვლევა დიდ ინტერესს იმსახურებს. აგერ უკვე ოცდაათი წელია თავს ვიკლავ, იმდენს ვმუშაობ... და ახლა, როცა სულ ცოტაღა დამრჩა..."

"ესე იგი ერთი თვეო, არა? კარგი, იყოს ერთი თვე, მაგრამ როცა ეს ვადა ამოიწურება, არც ეცადო, სადმე მიიმალო. ყველაზე ღრმა შახტში რომ ჩაძვრე, მაინც გიპოვი".

აინშტაინს რაღაც უნდოდა ეკითხა, მაგრამ მისი თანამოსაუბრე თვალის დახამხამებაში გაქრა.

ერთი თვე დიდი დროა, როცა საყვარელ ადამიანს ელი, მაგრამ ძალიან ხანმოკლე ვადაა, როცა სიკვდილის მაცნეს უცდი — ერთ ამოსუნთქვაზე ხანმოკლეა თითქოს.

და გავიდა ეს ვადა.

ერთხელ საღამოს, როცა აინშტაინმა, როგორც იქნა, მარტო დაიგულა თავი, დათქმული ადგილისკენ გასწია.

ისევ ის ბენზოკოლონი, ისევ ის გრძელი სკამი და სკამზე ზანგი, რომელსაც ძველებური სამხედრო მაზარა გადაეცვა კომბინეზონის ზემოდან — უკვე საკმაოდ ციოდა.

"მოვედი", — უთხრა აინშტაინმა და მხარზე ხელით შეეხო.

"ხოოო! როგორ არის შენი ნაშრომის საქმე, დაამთავრე?"

"ვერა, ვერ დავამთავრე, — ნაღვლიანად თქვა მეცნიერმა, — ერთი თვე კიდევ მომეცი. გეფიცები, ახლა ნამდვილად მეყოფა, დარწმუნებული ვარ, ყველაფერი ისე გამოვა, როგორც ჩავიფიქრე. დამიჯერე, შლეგივით ვმუშაობდი, თავს არ ვზოგავდი, დღე და ღამეს ვასწორებდი, მაინც ვერ მოვასწარი, მაგრამ სულ ცოტაღა დამრჩა, სულ ცოტა"...

იბლისმა მხრები აიჩეჩა და ისე, რომ არც მობრუნებულა, თქვა: "ყველანი ერთნაირები ხართ ეს ადამიანები, არასდროს არ კმაყოფილდებით. მუხლებზე დაჩოქილები იხვეწებით გადავადებას. საბაბი? საბაბის პოვნა, იცოცხლე, არცერთს არ გიჭირთ!.."

"მაგრამ ის რაღაც, რაზეც ვმუშაობ, ძალზე რთულია. ჯერ არავის, არასდროს..."

"ხო, ვიცი, ვიცი! — შეაწყვეტინა სიკვდილის ანგელოზმა, — გინდა, რომ სამყაროს გასაღები მოარგო. ასე არ არის?"

ორივე დადუმდა. ნისლიანი, ცივი, უკვე ნამდვილი ზამთრისთვის შესაფერისი ღამე იყო. ასეთ ღამეში შინიდან გარეთ გამოსვლის სურვილი აზრადაც არ მოუვა ადამიანს.

"ესე იგი როგორ იქნება ჩემი საქმე?" — იკითხა მეცნიერმა.

"კაი, კაი, წადი... წადი, მაგრამ იცოდე, ეგ ერთი თვე მალე გაივლის".

და მართლაც ერთმა თვემ მალე გაიფრინა — არასდროს ის ოთხიოდე კვირა დროს ასე ხარბად არ შთაუნთქავს.

დეკემბრის იმ სუსხიან ღამეს ქარი ქროდა, ნაბოლარა ხმელ ფოთლებს ქუჩის ასფალტზე შრიალ-შრიალით მიერეკებოდა, აინშტაინის ბერეტის ქვემოთ ჩამოშლილ ჭაღარა თმებს ათრთოლებდა — მეცნიერი დათქმული ადგილისკენ მიიჩქაროდა.

ისევ ის ბენზოკოლონი; მის შორიახლოს ზანგი დაყუნტული იჯდა, თავზე ყაბალახი შემოეხვია და, როგორც ერთი შეხედვით ჩანდა, თვლემდა.

აინშტაინი მივიდა და მხარზე ხელის შეხებით შეაფხიზლა: "მოვედი."

ზანგმა კბილი კბილზე დააცემინა, მოიბუზა, მაზარაში ჩაიფუთნა, ჩაიყურსა, ახედა მოსულს: "ეს შენა ხარ?"

"ჰო, მე ვარ"

"ანუ დაამთავრე."

"მადლობა ღმერთს! დავამთავრე."

"საუკუნის შეჯიბრი დასრულებულია. აბა, რას იტყვი: ჰპოვე იგი, რასაც ეძიებდი, ჰა? მაშ სამყარო ასო-ასოდ დაანალიკე, არა?"

"ჰო! — ღიმილით უპასუხა აინშტაინმა და სიცივისაგან ხველა აუტყდა, მერე სული მოითქვა და თქვა, — ახლა, ვფიქრობ, სამყარო სრულ წესრიგშია."

"მაშ წავედით? მზად ხარ ამ მოგზაურობისთვის?"

"რა თქმა უნდა, პირობა პირობაა."

აქ უკვე იბლისი ზეზე წამოიჭრა და გადაიხარხარა, გულღიად, ძაან ზანგურად. მერე მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი აინშტაინს ისე მაგრად ატაკა მუცელში, რომ ხნიერმა მეცნიერმა ძლივს შეიმაგრა თავი, რათა არ წაქცეულიყო.

"კაი-კაი, შე ბებერო თაღლითო!.. შინ დაბრუნდი, გაიქე სწრაფად, თუ გინდა, რომ ფილტვების ანთება არ დაგემართოს!.. ჯერჯერობით აღარ მჭირდები."

"როგორ, მიშვებ?.. მაშ რაღად გჭირდებოდა ყოველივე ეს?"

"იმისთვის, რომ სამუშაო დროულად დაგემთავრებინა, — ეს არის და ეს. და ამას მივაღწიე... რომ არ შემეშინებინე, ვინ იცის, კიდევ რამდენ ხანს გააჭიანურებდი შენებურად".

"ჩემი სამუშაო? შენ რაღად გინდა ჩემი ნაშრომი?"

იბლისმა გაიცინა: "მე არაფრად მინდა, სულ არ მჭირდება... მაგრამ, ჩემს უფროსებს იქ, ქვესკნელში, ეშმაკებს — ჩემზე უფრო დიდებს... ისინი ამბობენ, რომ ჯერ კიდევ ადრე, შენმა პირველივე აღმოჩენამ მათ დიდი სამსახური გაუწია... თუმცა შენ ამაში ბრალი არ მიგიძღვის, მაგრამ ეს ასეა. მოგწონს თუ არა, ძვირფასო პროფესორო, ჯოჯოხეთში ამით კარგა გვარიანად ისარგებლეს, ახლა ისინი აპირებენ დამატებითი ინვესტიციების გამოყოფას ახალი..."

"სისულელეა! — წამოიძახა აღშფოთებულმა აინშტაინმა, — მსოფლიოში ამაზე უწყინარი არაფერი არსებობს. ეს ხომ, უბრალოდ, ფორმულებია, წმინდა წყლის აბსტრაქცია, სავსებით ობიექტური..."

"ბრავო! — შესძახა იბლისმა და აინშტაინს ისევ ატაკა მუცელში თითი, — აი, ყოჩაღ! გამოდის, რომ მე აქ ტყუილად მომავლინეს? გგონია, იმათ რაიმე შეეშალათ?.. არა, არა, შენ კარგად იმუშავე. ჩემები იქ, ძირს, ქვესკნელელები კმაყოფილები დარჩებიან... ეჰ, შენ რომ იცოდე!.."

"რომ ვიცოდე — რა?!" — მიაძახა აინშტაინმა, მაგრამ იბლისი თვალის დახამხამებაში გაქრა.

აღარც ბენზოკოლონი იყო, აღარც სკამი. იყო მხოლოდ ცივი ღამე, ქარი და ავტომანქანების შუქფარების ციმციმი შორს, ქვევით. პრინსტონში. ნიუ-ჯერსის შტატში.

თარგმნა
ჯანო ჯიქიძე

## დაკარგული გამარჯვება

ვანის ტბის პირას მდებარე ხლათი ცნობილი და აყვავებული ქალაქი იყო. იქაურ ბაზრებში უხვად მოჰქონდათ ათასგვარი საქონელი მთელი დუნიიდან.

ხლათს უდარებდნენ ხოლმე არაბული სამყაროს ზღაპრულ ქალაქებს — ბაღდადსა და დამასკოს.

სწორედ ხლათს ეცილებოდნენ ერთიმეორეს აიუბიანთა ეგვიპტე და საქართველო, რომელიც ცდილობდა ირანიდან ლევანტისაკენ მიმავალ სავაჭრო გზებზე გასვლას და სომხებით დასახლებული მიწა-წყლის შემომტკიცებას.

1207 წელს აიუბიანები დაეპატრონნენ ხლათს. ქართველები განაგრძობდნენ თავდასხმებს ხლათის ოლქზე, აიღეს ქალაქი არჭეში.

ხლათის გამგებელმა, ეგვიპტის სულტნის ალადილის ძემ ალ-ავჰადმა, ვერ გაბედა ქართველთა წინააღმდეგ გამოსვლა, თუმცა ხლათში დიდი ჯარი ჰყავდა. ქართველებისაც ეშინოდა და ხლათელი სომხებისაც — აჯანყდებიან და ქალაქს ჩააბარებენ მტერსო.




1210 წლის შემოდგომაზე ქართული მხედრობა, ივანე მხარგრძელის სარდლობით, კვლავ შეიჭრა ხლათის ოლქში და ალყა შემოარტყა ქალაქ ხლათს, რომლის ციტადელში ალ-ავჰადი იყო გამაგრებული.

10 ოქტომბერს დილით ვარსკვლავთმრიცხველმა ივანე მხარგრძელს უწინასწარმეტყველა: საღამოხანს ხლათში შეხვალ, ღამეს ხლათის ციხეში გაატარებ და ხლათის ტახტზეც დაჯდები, ოღონდ სხვა სამოსელში იქნები გამოწყობილიო.

წინასწარმეტყველებამ გაათამამა ივანე. გახარებული ღვინოს მიეძალა, გვარიანად შეზარხოშდა და ოციოდე მხედრის თანხლებით გაეშურა ხლათისკენ. ქალაქის გალავანს რომ მიუახლოვდნენ, ქართველთა სარდლის ცხენმა მოულოდნელად წაიფორხილა, ფეხი ჩაუვარდა ხლათელების მიერ საგანგებოდ გათხრილ და კარგად შენიღბულ ორმოში. ივანე მხარგრძელმა ცხენიდან მიწაზე მოადინა ზღართანი.

ხლათელები ფხიზლად უთვალთვალებდნენ დაუპატიჟებელ სტუმრებს. ივანეს მარცხს რომ მოჰკრეს თვალი, მყისვე გამოცვივდნენ გალავანს გარეთ. ქართველთა სარდლის მხლებელთაგან ზოგი შემოაკვდათ და ზოგიც დაატყვევეს.

ივანე მხარგრძელი დამფრთხალა და უყვირია: არ მომკლათ, ივანე ვარო.

შეიპყრეს და ზარ-ზეიმით მიჰგვარეს ხლათის გამგებელს.

ალ-ავჰადმა დიდი პატივით მიიღო სახელგანთქმული სარდალი, საპატიო ხალათით შემოსა და ტახტზეც წამოასკუპა.

ასე რომ, წინასწარმეტყველება სიტყვასიტყვით აუხდა, მაგრამ ვაი ასეთ ახდენას!

არაბი ისტორიკოსის სიტყვით, ალაჰს რომ არ შეეწყალებინა მუსლიმები ქართველთა ლაშქრის სარდლის ივანეს დატყვევებით, ისინი უსათუოდ აიღებდნენ ხლათს.

ეგვიპტის სულტანმა ალ-ადილმა ივანე მხარგრძელის დატყვევება რომ შეიტყო, ბრძანა, კაიროში ჩამოიყვანეთო. მაგრამ საქართველოს ამირსპასალარი ზაქარია მხარგრძელი ხლათელებს დაემუქრა: ძმა დამიბრუნეთ, თორემ დაღუპვა არ აგცდებათ, თქვენი ქვეყნის მიწას საქართველოში წავაღებინებ და აქაურობას გავაუდაბურებო.

ხლათელები შეშინებულან და აღარ გაუგზავნიათ ივანე ეგვიპტეში.

საქართველოს სამეფო კარმა დატყვევებული სარდლის გამოსასყიდად გადაიხადა უზარმაზარი თანხა — ასი ათასი დინარი, გაათავისუფლა ხუთი ათასი ტყვე და პატრონს დაუბრუნა ხლათის ოლქში აღებული ციხე-სიმაგრენი.

ესოდენ ძვირი დაუჯდათ ქართველებს ივანე მხარგრძელის „უანგარიშო სიმამაცე“ — ეს ზრდილობიანი ევფემიზმი ინგლისელი მკვლევარის კალამს ეკუთვნის, სინამდვილეში სრულიად სხვაგვარ შეფასებას იმსახურებს პატივმოყვარე და კადნიერი ათაბაგის იმდღევანდელი გასეირნება.

ქართველებმა პირობა დადეს, რომ ამიერიდან აღარაფერს დაუშავებდნენ ხლათის ქვეყანას და ალ-ავჰადის მოკავშირენი გახდებოდნენ მის მტრებთან ბრძოლაში.

დაიდო ოცდაათწლიანი ზავი. ასეთი ხანგრძლივი დაზავება ქრისტიანებთან იშვიათი იყო მაჰმადიანურ სამყაროში.

სწორედ ამ ზავის თანახმად, ივანე მხარგრძელმა თავისი ასული თამთა ცოლად გააყოლა ხლათის გამგებელ ალ-ავჰადს.

ასე დაეკარგა საქართველოს, გამარჯვებასთან ერთად, შალვა ახალციხელისა და თურმან თორელის „საოცნებო თამთა“. სამუდამოდ დაეკარგა!

სომეხი ისტორიკოსის კირაკოს განძაკეცის სიტყვით, აიუბიანთა სახელმწიფოსა და საქართველოს შორის „მშვიდობა და მეგობრობა“ დამყარდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კოვენტრიდან დრეზდენამდე

მეორე მსოფლიო ომის წლებში, ჰიტლერული ავიაციის წყალობით, ინგლისური ენის ლექსიკაში გაჩნდა და სამუდამოდ დამკვიდრდა ახალი ზმნა „coventrate“ (კოვენტრეიტ), რომელსაც უამრავი ინგლისური სიტყვებისგან განსხვავებით ერთადერთი, დიახ ერთადერთი მნიშვნელობა აქვს: გამანადგურებელი დაბომბვა ციდან ანუ დაკოვენტრება.

ამ სიტყვას თავისი დაბადების ზუსტი თარილიც მოეპოვება (1940 წლის 14 ნოემბერი) და დაბადების ადგილიც (დიდი ბრიტანეთის ქალაქი კოვენტრი).

ნაცისტური გერმანიის რადიომ თავმომწონედ გამოაცხადა: ინგლისის ყველა ქალაქს დავაკოვენტრებთო.

წარმატებითაც აკოვენტრებდნენ.

მაგრამ სისასტიკე იწვევდა საპასუხო სისასტიკეს.



დრეზდენი, 1945

1946 წელს ნიურნბერგის პროცესზე ამერიკელი ბრალმდებელი რობერტ ჯეკსონი ნაცისტური გერმანიის სამხედრო-საჰაერო ძალების მთავარსარდლის ჰერმან გერინგის დაკითხვისას ერთი სიტყვითაც არ შეხებია იმ ტოტალურ საჰაერო დაბომბვებს, ჰიტლერული ავიაცია რომ ანარმოებდა.

როდესაც ჰკითხეს, თუ რატომ იყო, რომ გერინგისადმი წაყენებულ აურაცხელ ბრალდებათა შორის ჯეკსონს ერთხელაც არ წამოსცდენია ბრალდება მშვიდობიანი ქალაქების დაბომბვის თაობაზე, ამერიკელ ბრალმდებელს გულახდილი პასუხი გაუცია: „ერთობ უხერხულია, რომ ნიურნბერგში, სადაც ერთი შენობაც კი არ გადარჩენილა უვნებლად გარდა იმ შენობისა, სადაც პროცესს ვატარებთ, გერმანელებს ბრალი დავდოთ დაბომბვებში“.

ჯეკსონის აზრით, ნაცისტთა უმძიმესი ბოროტმოქმედებანი მხოლოდ „სუფთა ხელებს“ უნდა მოეთავსებინათ თემიდას სასწორზე.

ინგლისელმა ბრალმდებელმა, ჩანს, ვერ შეამჩნია ამერიკელი კოლეგის სიფრთხილე და გენერალ-პოლკოვნიკ ალფრედ იოდლს ჰკითხა: „როგორ ფიქრობთ, რამდენი მშვიდობიანი მცხოვრები დაიღუპა გერმანელთა მიერ ბელგრადის გაუფრთხილებლად დაბომბვისას?“

იოდლს არ დაუყოვნებია პასუხი: „მაგას ზუსტად ვერ მოგახსენებთ, მაგრამ ვფიქრობ, რომ იმის მეათედიც კი არ იქნებოდა, რამდენიც თქვენ ამოულიტეთ დრეზდენში, როდესაც ომი უკვე მოგებული გქონდათ“.

დრეზდენისთანა ქალაქი ბევრი არ ყოფილა გერმანიაში. მას უწოდებდნენ „ფლორენციას ელბაზე“.

დრეზდენის დაკოვენტრება დაიწყო 1945 წლის 13 თებერვალს. ღამით ინგლისელთა 800 ბომბდამშენმა ქალაქის ცენტრში ჩამოყარა 650 ათასი ცეცხლგამჩენი და ფუგასური ბომბი.

14 თებერვალს ამერიკელთა 1350 ბომბდამშენი თავს დაესხა იმავე დრეზდენს და, როგორც იტყვიან, ლაზათიანად დააუთოვა.

15 თებერვალს ისევ ამერიკელთა 1100 ბომბდამშენი ანადგურებდა ცეცხლში გახვეულ დრეზდენს. ქალაქი გადაჭედილი იყო აღმოსავლეთიდან გამოქცეული ლტოლვილებით, რომლებიც უფრთხოდნენ კაციჭამია წითელ არმიას და დასავლეთისკენ მიისწრაფოდნენ კაცთმოყვარე ანგლო-ამერიკელთა ხელში მოსახვედრად.

დაღუპულთა ოდენობა 40 ათასს აღწევდა (თავად გერმანელები ხუთჯერ მეტს ვარაუდობენ) და ამდენივე იყო დაჭრილი.

ინგლისელი ისტორიკოსის ჯონ ფულერის სიტყვით, ასეთი საზარელი მუსრის გავლება ველური ჰუნების წინამძღოლ ატილასაც კი სამარცხვინოდ მოეჩვენებოდა.

მკვლევარი ირონიულად შენიშნავს: წითელი არმია 40 ათას მშვიდობიან მცხოვრებს სამ დღეში ვერაფრით ვერ გაჟლეტდა, ძალიანაც რომ მონდომებინათო.

ნაცისტური გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის იოახიმ ფონ რიბენტროპის მემუარებში ვკითხულობთ, რომ სწორედ დრეზდენის დაბომბვით გაცოფებულ ჰიტლერს გადაუწყვეტია, მოკავშირეთა იმდენივე სამხედრო ტყვე დაეხვრიტა, რამდენი მცხოვრებიც დაიღუპა დრეზდენში. რიბენტროპი გვამცნობს, ძლივს გადავათქმევინეთო.

ფულერს უცნაურ გარემოებად ეჩვენება, რომ დაბრუნება პირველყოფილ ველურთა დროინდელი ომების წესთან განახორციელეს ბრიტანეთმა და შეერთებულმა შტატებმა ანუ ორმა დიდმა დემოკრატიულმა ქვეყანამ და არა — ტოტალიტარულმა გერმანიამ და რუსეთმაო.

მკვლევარი ლამობს კიდეც ამ პარადოქსის ახსნას.

# ლიტერატურა XII კლასში ანუ ქართული 12

სახელმძღვანელო მეთორმეტეკლასელთათვის.
ავტორები: **თამაზ ვასაძე, ნუგზარ მუზაშვილი, ნიკოლოზ ჩუბინიძე.**

რედაქტორები: **ლალი ბაქრაძე, სოლომონ ნოზაძე.**
გარეკანის დიზაინი: **სოფო კირთაძე.**
დიზაინი და დაკაბადონება: **ფატი გაგულია.**
გარეკანზე გამოყენებულია **მიხეილ ჯავახიშვილის** ავტობიოგრაფიის ხელნაწერი.




შინაარსი: **ირაკლი ლომოურის, ლეონიდ ანდრეევის, ოთარ ჩხეიძის, რევაზ ყარალაშვილის, ზურაბ კაკაბაძის, ჯემალ ქარჩხაძის, გურამ გეგეშიძის, მერაბ მამარდაშვილის, გაო სინჯიენის, ჰერმან ჰესეს, დიმიტრი უზნაძის, ვაჟა-ფშაველას, ბესიკ ხარანაულის, ფრანც კაფკას, ჯიბრან ხალილ ჯიბრანის, ბელ კაუფმანის, ჯერომ სელინჯერის, არონ გურევიჩის, თამაზ ნატროშვილის, ფრანსუა ვიიონის, ანდრე მორუას, ტარიელ ჭანტურიას, გოდერძი ჩოხელის, რევაზ ინანიშვილის, ერნესტ ჰემინგუეის, გერონტი ქიქოძის, გალაკტიონ ტაბიძის, კონსტანტინე გამსახურდიას, გურამ ასათიანის, ნიკო ლორთქიფანიძის, რეზო ჭეიშვილის, ოთარ ჭილაძის, ჭაბუა ამირეჯიბის** და სხვათა ტექსტები.

## ლიტერატურული კომენტარები ... დამხმარე მასალა პედაგოგთათვის

რა პრინციპები დაედო საფუძვლად XII კლასის ქართულის სახელმძღვანელოს?

რა ფუნქცია აქვს და როგორ უნდა გამოვიყენოთ წიგნში განთავსებული თითოეული რუბრიკა?

რატომ იწყება დამამთავრებელი კლასის სახელმძღვანელო კითხვის პროცესისადმი მიძღვნილი თავით?

რატომ სთავაზობენ მოსწავლეებს გასაანალიზებლად ქართველი და უცხოელი ავტორების ესეებს?

საერთოდ, რატომ გაიზარდა უცხოელი ავტორების ხვედრითი წილი სახელმძღვანელოში?

ამ და კიდევ სხვა შეკითხვებზე იხილეთ პასუხები **ნუგზარ მუზაშვილისა და ნიკოლოზ ჩუბინიძის** ლიტერატურულ კომენტარებში.
გამომცემლობა **„დიოგენე“.**



1-50



ევკალიპტები

ლეოპოლდ ძაძამიძე